დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
ასავალ დასავალი
2022 წლის 14 - 20 ნოემბერი
N 47 1459
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ჩალაძირად განწირულები

2-3 4-5 6-7 16




# გიჟია თუ ტუზიკია?

„საქართველოს არაფერში სჭირდება ისეთი ევროკავშირი, სადაც მწვალებელი სააკაშვილის დედას ტაშით ხვდებიან!“

## „უსირცხვილო გელბახიანო და ხაჭაპურიძევ, თქვენი სააკაშვილი ციხეში უნდა დალპეს!“

# გიჟია თუ ტუბიკია?

***ალბათ, გახსოვთ ცნობილი ფრანგული კინოკომედია „ადამიანი ორკესტრი“, რომლის მთავარ პერსონაჟს ევან ევანსს ლეგენდარული ლუი დე ფიუნესი განასახიერებს, ხოლო პოლიტიკურ კომედიას, რომლის მთავარ როლშიც პატიმარი სააკაშვილი გვევლინება, შეგვიძლია, „ადამიანი დიაგნოზი“ ვუწოდოთ.***

საქმე ის არის, რომ **პატიმარ სააკაშვილის** დიაგნოზთა რაოდენობის დათვლას უკვე ორი ხელის თითები არ ჰყოფნის, ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად კი, არც ექვსი ხელის თითებია საკმარისი. მაგალითად, **გიული ალასანიასა და ეკა ხერხეულიძის განცხადებით,** ექიმებმა სააკაშვილს **14 დიაგნოზი** დაუსვეს, მისი ძმის **გიორგი სააკაშვილის თქმით,** სააკაშვილის **დიაგნოზთა რაოდენობა 17-ს შეადგენს,** ხოლო ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** ამბობს, რომ პატიმარ ნაცბელადს დემენცია, ტუბერკულოზი და კიდევ **34 დაავადება** სჭირს, ანუ ჯამში **36 დიაგნოზი** აქვს დასმული.

კარგი იქნებოდა, სააკაშვილის ოჯახის წევრები, თანაპარტიელები და ადვოკატები მისი **დიაგნოზების რაოდენობასთან დაკავშირებით ერთ კონკრეტულ ციფრზე შეჯერებულიყვნენ** და საჯარო განცხადებებში ამხელა აცდენა არ ჰქონოდათ, თორემ საზოგადოება ძალიან დაიბნა, რამდენი დაავადება სჭირს სააკაშვილს — **14, 17 თუ 36?**

თუმცა, ერთი რამ სრულიად ნათელია: იმის მიუხედავად, თუ რამდენი დიაგნოზი აქვს დასმული სააკაშვილს — 14, 17 თუ 36 — მან ახალი თიკუნი — **„ადამიანი დიაგნოზი“** უკვე დაიმსახურა!

**თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ კლინიკა „ვივამედში“ სააკაშვილის გასასინჯად ბრიტანელი სამედიცინო ექსპერტი, ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის ფსიქიატრიის განყოფილების საპატიო პროფესორი კორნელიუს კატონა იმყოფებოდა, არ არის გამორიცხული, „ადამიანი დიაგნოზის“ დიაგნოზებს კიდევ ერთი დიაგნოზი დაემატოს და პატიმარი ნაცბელადი ოფიციალურად გამოაცხადონ შეურაცხადად, ანუ გიჟად.**

ისე, სააკაშვილისათვის ჩამოყვანილ ბრიტანელ ფსიქიატრს ერთობ ანტიკური სახელი და გვარი აქვს — **კორნელიუს კატონა.** მაგალითად, ძველი წელთაღრიცხვის 298 წელს რომის კონსული გახლდათ **ლუციუს კორნელიუს სციპიონი,** ასევე ძველი წელთაღრიცხვის 138-78 მოღვაწეობდა რომაელი სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი **ლუციუს კორნელიუს სულა,** ქრისტეშობამდე პირველ საუკუნეში რომს ჰყავდა ისტორიკოსი **კორნელიუს ნეპოსი,** ხოლო ქრისტეს აქეთ 251-253 წლებში რომის პაპად იჯდა **კორნელიუსი,** რომელიც კათოლიკურ ეკლესიას წმინდანად ჰყავს შერაცხილი. რაც შეეხება **კატონს,** ძველ რომში ასეთი ორი იყო — სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი **მარკუს პორციუს კატონ უფროსი,** რომელიც სენატში თავის ყოველ გამოსვლას ამთავრებდა სიტყვებით — **„კართაგენი უნდა დაინგრეს!“** — და სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი **მარკუს პორციუს კატონ უმცროსი.** შესაძლოა, სააკაშვილს ანტიკური სახელისა და გვარის მქონე ფსიქიატრი **კორნელიუს კატონა** სპეციალურადაც კი შეურჩიეს, რადგან **ნაცბელადს, როგორც გიჟებს სჩვევიათ, თავი რომელიმე რომაელ იმპერატორად ან სულაც რომის პაპად წარმოუდგენია.** მოგეხსენებათ, სიგიჟის პირველი ფაზა, რაც საკუთარი თავის დავით აღმაშენებლად და ჯორჯ ვაშინგტონად გამოცხადებაში გამოიხატებოდა, სააკაშვილმა ჯერ კიდევ პრეზიდენტობისას გაიარა, ახლა კი არ არის გამორიცხული, „ვივამედის“ თერაპიულ განყოფილებაში მისი სახით **იულიუსი, ნერონი, კალიგულა ან ბალთაზარ კოსა იწვეს.**





იულიუსი



ნერონი



კალიგულა



ბალთაზარ კოსა

**არ არის გამორიცხული, „ვივამედის“ თერაპიულ განყოფილებაში მისი სახით იულიუსი, ნერონი, კალიგულა ან ბალთაზარ კოსა იწვეს!**

იმედია, ანტიკური სახელისა და გვარის მქონე ფსიქიატრი **კორნელიუს კატონა** სააკაშვილს ზუსტ დიაგნოზს დაუსვამს და ქართველი საზოგადოება ერთხელ და საბოლოოდ შეიტყობს, სააკაშვილის **14, 17 თუ 36 დაავადებიდან** რომელია ყველაზე მთავარი და საგანგაშო?

მანამდე კი სააკაშვილთან დაკავშირებით ჰაერშია გამოკიდებული კითხვა — **გიჟია თუ ტუბიკია?**

რაკი სააკაშვილს ბრიტანეთიდან ანტიკური გვარ-სახელის **ფსიქიატრი კორნელიუს კატონა** ჩამოუყვანეს, ე.ი. საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ნაცბელადი **გიჟია,** ხოლო **ადვოკატ ხაჭაპურიძის** განცხადების მიხედვით, უეჭველად არის დადგენილი, რომ სააკაშვილს **ტუბერკულოზი** სჭირს!

**იმის მიუხედავად, „ადამიანი დიაგნოზი“ გიჟია თუ ტუბიკია,** მისი საზღვარგარეთ გაყვანა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რადგან **საქართველოში ორივე დაავადებას — სიგიჟესაც და ტუბსაც კარგად მკურნალობენ.** კერძოდ, ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულებისათვის **ხონის მუნიციპალიტეტში** მშვენიერი კლინიკა ფუნქციონირებს, რომელიც სამიოდე წლის წინათ საფუძვლიანად გაარემონტეს და კეთილმოაწყვეს, ხოლო ტუბიკებისათვის, ანუ ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისათვის **ქსანში სპეციალური სამკურნალო პენიტენციური დაწესებულება — ე.წ. ტუბზონა არსებობს.**

ასე რომ, არავითარი უცხოეთში წაყვანა — **თუ სააკაშვილი გიჟია, ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გაამწესონ, ხოლო, თუ ტუბიკია, ქსნის ტუბზონაში მოათავსონ!**

**და რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვი-**

## არავითარი უცხოეთში წაყვანა:

## თუ სააკაშვილი გიჟია, ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გაამწესონ, ხოლო თუ ტუბიკია, ქსნის ტუბზონაში მოათავსონ!

## კვირგვინოსნები



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

სამწუხაროა, რომ **ევროპარლამენტის რეზოლუციაში მთელი რიგი არასწორი საკითხები იწერება.** მოსახლეობამ კარგად იცის, ვინ არის **ბიძინა ივანიშვილი,** რა აქვს გაკეთებული სამშობლოსთვის.

„პირველი არხი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

საქართველო რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევების პირობებში რჩება **მშვიდობის კუნძულად** და ამ მხრივ ინარჩუნებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას.

„ინტერპრესნიუსი“



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*

საქართველოში **პოლიტპატიმრები არ გვყავს,** სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და ნებისმიერი სახის ჩარევა მიუღებელია.

„რეზონანსი“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობის **პოლიტიკური გემი იძირება** და **დავით კეზერაშვილი** ცდილობს, ამ გემისგან გადარჩენილი ნაწილებით ნავი ან ტივი მაინც შეაკოწიწოს.

„ინტერპრესნიუსი“



**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტარი*

სხვადასხვა ძალას უნდა, **საქართველოში როგორმე გაიხსნას მეორე ფრონტი** და ამის მთავარი დასაყრდნობი არის საქართველოში **ომის პარტია ნაციონალური მოძრაობა.**

„იმედინიუსი“

**შესაძლოა, სააკაშვილს ანტიკური სახელისა და გვარის მქონე ფსიქიატრი კორნელიუს კატონა სპეციალურადაც კი შეურჩიეს, რადგან ნაცბელადს, როგორც გიჟებს სჩვევიათ, თავი რომელიმე რომაელ იმპერატორად ან სულაც რომის პაპად წარმოუდგენია!**



# კორნელიუს კატონა: სააკაშვილი ქვეყნიდან გასაყვანია!

*ერთ წელიწადზე მეტია, სააკაშვილი ვირის აბანოშია გამომწყვდეული და მთელი ამ ხნის განმავლობაში დღე და საათი არ გასულა, ნაცსექტის წევრებსა და მათთან კუდით გადასკვნილ ქართველ თუ უცხოელ გულშემატკივრებს გიჟის ბიჭი არ დაეწყევლოთ და ანდა ხატზე არ გადაეცეთ — სააკაშვილი ქვეყნიდან გასაყვანიაო!*

ზოგი ისეა როლებში შეჭრილი, გულზე მჯიღსაც კი იცემს და იქადნის — **სააკაშვილს ამ ქვეყნიდან აუცილებლად გავიყვანთო!**

მოგეხსენებათ, როცა ჩვენში ვინმეზე ამბობენ — **ამქვეყნიდან გავიდა,** ან უფალმა **ამქვეყნიდან გაიყვანაო!** — ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გარდაიცვალა, ანუ მოკვდა და სააქაოდან საიქიოში გადაინაცვლა! აქედან გამომდინარე, როცა ნაცსექტის რაიხსმარშლები ან რიგითი, ხუთლარიანი „მიშას ქალები“ და „კაცები“ ჯღავიან და იჭიმებიან — **სააკაშვილი ქვეყნიდან გასაყვანიაო!** — ისინი საქართველოს გარყვნილ ნაპრეზიდენტალს, ფაქტობრივად, წყევლიან და თავზე ქოქოლას აყრიან — **„სააკაშვილო, სასიკვდილო ხარ, ძაღლი მიგაკვდა სამარეში!“**

შესაბამისად, ქადილი და გულზე მჯიღის ცემა — **სააკაშვილს ამქვეყნიდან აუცილებლად გავიყვანთო!** —მართლმადიდებლური სწავლების თანახმად, იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილს თავისივე სექტის წევრები მოსაკლავად ემუქრებიან და **იმ დღეს შენატრიან, როცა საქართველოს მაოხრებელ „ცქირს“ სულში ძაღლი მიაკვდება!**

პატივცემულო მკითხველო, ამ წვრილმან საკითხზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებდით, რომ არა ის უცნაურობები, რომელიც ბოლო ჟამს სააკაშვილის გარშემო ხდება. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც ჩანს, ამდენმა წყევლა-კრულვამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი მავნე შედეგი გამოიღო და სააკაშვილის პალატაში პარანორმალურმა მოვლენებმა იჩინა თავი. ასე, მაგალითად, გავრცელებული ინფორმაციით, 2022 წლის 11 ნოემბერს კლინიკა „ვივამედში“ სააკაშვილი ორ სულთამხუთავთან ერთად მოინახულა **ბრიტანელმა ექსპერტმა კორნელიუს კატონამ,** რომელმაც ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური შვილობილი და ნაცსექტის სისხლიანი რაიხსფიურერი კიდევ ერთხელ დაწყევლა — **სააკაშვილი ქვეყნიდან გასაყვანიაო!**

ბრიტანელ კატონასთან ერთად ხსენებული ორი სულთამხუთავიდან ერთი ქუთაისელი აფერისტია — **გრანტიჭამია, ანუ როგორც ცხონებული თამაზ წივწივაძე იტყოდა, ძღვენიჭამია გიორგი მშვენიერაძე,** ხოლო მეორე — **„ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი.** ერთმაც და მეორემაც **კორნელიუს კატონას** მიერ სააკაშვილის მისამართით აღვლენილ წყევლას ბეჭედი დაუსვეს და სოროსის მენორა თავადაც ააგიზგიზეს, როცა კიდევ ერთხელ დაიჭყავლეს — **ღმერთო, გაიყვანე სააკაშვილი ამქვეყნიდანო!**

როგორც ავი ენები ამბობენ, უახლოეს მომავალში, მას შემდეგ, რაც **ბრიტანელი კორნელიუს კატონა** ლონდონში დაბრუნდება, იტალიიდან, მცირე აზიის ქალაქ ჰალიკარნასიდან, საბერძნეთიდან, ირანიდან, სომხეთიდან, ჩინეთიდან და გოთების ქვეყნიდან საქართველოსკენ დაიძვრებიან და კლინიკა „ვივამედში“ სააკაშვილს აუცილებლად მოინახულებენ: **ცნობილი რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი, რომაელი კანონმდებელი კატონი, „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, გოთების ისტორიკოსი იორდანე, დიდი გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი, სომეხი ისტორიკოსები — მოვსეს ხორენაცი და ლაზარ ფარპეცი, ცნობილი ჟამთააღმწერლები — ჯუზჯანი, იბნ ალ-ასირი, რაშიდ-ად-დინი** და, რაც ყველაზე მთავარია, **იბნ-სინა, ანუ ავიცენა,** რომლებიც **მარიამ ჯიშკარიანმა, გიორგი მშვენიერაძემ და კორნელიუს კატონამ** წინასწარ ინახულეს, მოისყიდეს და „შეა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ლი ერთდროულად გიჟიც არის და ტუბიკიც? ალბათ, პრიორიტეტი იმ დაავადების მკურნალობას უნდა მიენიჭოს, რომელიც უფრო სწრაფად პროგრესირებადია და პატიმარ-პაციენტის სიცოცხლეს მეტ საფრთხეს უქმნის!

მოგეხსენებათ, **ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, ცნობილ მეგრულ სიმღერაში დღემდე ღიად რჩება კითხვა — ქუდია თუ ბოხოხია?** — მაგრამ კითხვას — **სააკაშვილი გიჟია თუ ტუბიკია?** — პასუხი აუცილებლად გაეცემა!

**კინოკომედია „ადამიანი ორკესტრი“ 1 საათისა და 59 წუთის განმავლობაში გრძელდება, ხოლო პოლიტიკური კომედია „ადამიანი დიაგნოზი“ უკვე 1 წელი და 45 დღეა, მიმდინარეობს!**

**საკმარისზე მეტია, კომედია უნდა დამთავრდეს!**

## ბოლოთქმა

სააკაშვილის რამდენ დიაგნოზზეც არ უნდა ილაპარაკონ მისმა ოჯახის წევრებმა, ადვოკატებმა და თანაპარტიელებმა, რამდენჯერაც არ უნდა ატეხონ ცრუ განგაში — მიშა კვდებაო, ქართველი საზოგადოებისათვის ყველაფერი ცხადი და აშკარაა — **ნაცბელადს არაფერი სჭირს, გარდა იმისა, რომ ოთხ კედელში გამოკეტვას ვერ ეგუება!**

მთელი ეს პოლიტიკური კომედიაც, სახელწოდებით — **„ადამიანი დიაგნოზი“** მხოლოდ იმას ემსახურება, რომ სააკაშვილი როგორმე პატიმრობიდან დაიხსნან და სასამართლოს მიერ მისჯილი მიზერული სასჯელი — 6 წელიც კი არ მოახდევინონ! **იმედია, საქართველოს ხელისუფლება შინაურ და გარეულ პროვოკატორთა შანტაჟს არ წამოეგება, პოლიტიკურ ზეწოლას გაუძლებს და პატიმარ სააკაშვილთან დაკავშირებით კანონის უზენაესობას ბოლომდე აღასრულებს!**

*ჯაბა ხუბუა*




# ფრთხილად: მამაზეციერმა ყური არ ათხოვოს ნაცების ვედრებას — სააკაშვილი ამქვეყნიდან გასაყვანიაო!



# ენამ არ უყივლოთ!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ნიკა გვარამია** არის რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი და, შესაბამისად, ეს პარტიები სუბიექტურად არიან დაინტერესებული, რომ **გვარამია** პოლიტიკურ პატიმრად მოიხსენიონ. **ეს ადამიანი ძარცვავდა ტელეკომპანიას, რომელიც რამდენიმე თვეში უნდა გადაეცა კანონიერი მფლობელისთვის სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.** 7 მილიონის ძარცვის პირობებში ვინმეს პოლიტპატიმრად მოხსენიება სრულიად არარელევანტურია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლევან ნიქოლეიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები ითხოვენ **კრიმინალი სააკაშვილის** გათავისუფლებას, პრეტენზია აქვთ სხვა კრიმინალების — **გვარამიას, კეზერაშვილის, ჭუტას** და ა.შ. საქმეებზე და შეშფოთებას გამოხატავენ, რომ პარლამენტმა სამუშაო ჯგუფში არ შეიყვანა ისფედ-ი — ორგანიზაცია, რომელმაც წინასწარი დათვლის შედეგები გააყალბა და ქვეყანაში რევოლუციურ პროცესებს მისცა ბიძგი. ყველამ კარგად დაიმახსოვრეთ ეს ხალხი — **კუბილიუსი, ფოტიგა, რასა** და ძმანი მისნი. ეს აგენტები და მათი უსამართლო ქმედებებია ჩვენს ქვეყანაში **ანტიდასავლური განწყობების გამღვივებელი.** ეს ხალხი ღიად იბრძვის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **შინაარსისგან დაცლილი** პოლიტიკური ჯგუფია, სადაც **დაშლის პროცესი** შეუქცევადია.

„პირველი არხი“

**ლევან მგალობლიშვილი**
*აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი*



ნაციონალურმა მოძრაობამ გამოაცხადა **თვითლიკვიდაცია,** რაც გააჯანსაღებს ქართულ პოლიტიკურ რეალობას.

„იმედინიუსი“

# ფრთხილად:

## მამაზეციერმა ყური არ ათხოვოს ნაცების ვედრებას — სააკაშვილი ამქვეყნიდან გასაყვანიაო!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ხუჭუჭეს“, რათა სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ სასურველი დასკვნა დაადებინონ, გიულის ბიჭი კიდევ ერთხელ ყველას დააწყევლინონ და ათქმევინონ, რომ **სააკაშვილი ქვეყნიდან გასაყვანია!**

გამორიცხული არ არის კლინიკა „ვივამედის“ წინ, სააკაშვილის პალატასთან ასევე ჩამოიარონ აწ განსვენებულმა **ზურაბ ჟვანიამ, ბადრი პატარკაციშვილმა, ნუგზარ საჯაიამ, დემურ დვალიშვილმა, გურამ შარაძემ, სანდრო გირგვლიანმა, გუტა რობაქიძემ, ზურაბ ვაზაგაშვილმა, იური ვაზაგაშვილმა, დათო ცინდელიანმა, ნავთლუღის ბაზარში ამოწყვეტილმა ბიჭებმა** და ცნობილი ისტორიკოსებისა და რომაელი კანონმდებლების მსგავსად ისინიც შეთანხმდნენ, რომ **სააკაშვილი ამქვეყნიდან გასაყვანია!**

მოკლედ, დიდია საფრთხე, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამდენი ხალხის ვედრებას შესაძლოა, მამაზეციერმაც ყური ათხოვოს და **სააკაშვილი ამქვეყნიდან მართლაც გაიყვანოს,** რაც მთელი ამ წყევლაკრულვიანი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული და ალოგიკური დასასრული იქნება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **სააკაშვილი ამქვეყნიდან არ უნდა გავიდეს,** ის დიდხანს უნდა იჯდეს ციხეში, დიდხანს იცოცხლოს და შეხედოს, თუ როგორ ვითარდება, შენდება და მშვენდება მის მიერ გაყიდული, აოხრებული და გატიალებული საქართველო!

შესაბამისად, სააკაშვილთან მარადის და დაუსრულებლად უნდა იარონ **ჯიშკარიანებმაც, უჯიშკარიანოებმაც, მშვენიერაძეებმაც, მახინჯაძეებმაც, კორნელიუსმაც და კორიოლანუსმაც,** რომელსაც ღვთაებრივმა შექსპირმა გენიალური ტრაგედია უძღვნა.

სხვათაშორის, შექსპირი **„კორიოლანუსში“** ერთგან ამბობს — **„ვინც ერთხელ მაინც შეისხა ფრთები, მიწაზე ფორთხვას არასოდეს დაუბრუნდება!“**

მიუხედავად საპრეზიდენტო ტახტზე კოტრიალისა და საქართველოს გაყიდვის ხარჯზე აურაცხელი ქონების დაგროვებისა, სააკაშვილმა ფრთები ვერა და ვერ შეისხა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გორში მიწაზე მფორთხავ არსებად დარჩა!

სააკაშვილის ქვეყნიდან გაყვანა საჭირო არ არის!

**მან დიდხანს უნდა იფორთხოს და იცოცხლოს, ხოლო კორნელიუს კატონამ, მარკუს პორციუს კატონებმა და მათმა მიმდევარმა კატებმა გამუდმებით უნდა იჭყავლონ, რომ სააკაშვილი ქვეყნიდან გასაყვანია!**

***დიტო ჩუბინიძე***





# თამაზ მოლაშვილი:

## ისეთ ევროპაში, რომელიც გვაძალებს, რომ სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსი დამნაშავეები არ დავსაჯოთ, ჩვენი ადგილი არ არის!

***ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტმა საქართველოსთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშში მოითხოვა, რომ მიხეილ სააკაშვილი ჰუმანიტარული მიზნებით პატიმრობიდან გათავისუფლდეს და საზღვარგარეთ სამკურნალოდ იქნას გაგზავნილი, ნიკა გვარამიას მიმართ ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კი გადაიხედოს. ამასთან, ევროკავშირის საგარეო კომიტეტის სხდომაზე საგანგებოდ ჰყავდათ მიწვეული მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია, რომელსაც ევროპარლამენტარები ტაშით შეხვდნენ. ყოველივე ამის გამო აღშფოთებას ვერ მალავს სააკაშვილის რეჟიმის მიერ ციხეში სასტიკად ნაწამები ყოფილი პოლიტპატიმრის, აწ გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის მამა, 83 წლის თამაზ მოლაშვილი, რომელიც ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს:***

— ცოტა ხნის წინათ „ასავალ-დასავალის“ რუბრიკა „კვირგვინოსნებში“ გამოქვეყნებული იყო **სააკაშვილის დედის გიული ალასანიას სიტყვები** — მესმის სულხან მოლაშვილის მამის, მაგრამ ასეთი შემთხვევები ინდივიდუალურად უნდა იყოს განხილულიო! უკაცრავად, მაგრამ **მაგ შობელძაღლს ჩემი ტკივილი თუ ესმის, თავის შვილს გმირსა და პოლიტპატიმარს რა ნამუსით ეძახის?** ან

**როგორ დავიჯერო, რომ სააკაშვილის დედას ჩემი ტკივილი ესმის, როცა აცხადებს – ჩემს შვილს პრეზიდენტობის დროს არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, შეცდომაც კი არ დაუშვიაო! ეს ჩემთვის და ჩემნაირებისათვის სულში ჩაფურთხებაა, გიული ალასანია მთელ ქართველ ხალხს დასცინის და მასხრად იგდებს!**

რაც შეეხება ევროკავშირს, იყო დრო, როცა იგი სამართლიანობისა და დემოკრატიის ანკარა წყაროდ წარმოგვედგინა, მაგრამ დღეს ჩანს, რომ გველებითა და ხვლიკებით სავსე ჭაობია, სადაც საქართველოს არაფერი ესაქმება!

**— მიგაჩნიათ, რომ საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარი უნდა თქვას?**

— **საქართველოს არაფერში სჭირდება ისეთი ევროკავშირი, სადაც მწვალებელი სააკაშვილის დედას ტაშით ხვდებიან!** ისეთ ევროპაში, რომელიც გვაძალებს, რომ სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსი დამნაშავეები არ დავსაჯოთ, ჩვენი ადგილი არ არის!

# «ეს ევროკავშირი



## „სანამ ევროპა სააკაშვილს, გვარამიასა და მათნაირ კრიმინალებს არ გაემიჯნება, ჩვენმა მთავრობამაც და ხალხმაც ევროკავშირზე უარი უნდა თქვას!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ევროპარლამენტის რეზოლუციაში შესწორებები შეაქვთ ნაცმოძრაობის ფასიან ლობისტებს: **ფოტიგებს, კუბილიუსებს, გრეგოროვას — „გიჟი ჯაფარა“** რომ დარბის ჩვენთან ეულად, ამ კონტინგენტის ხალხია.

**ნიკანორ მელია — ონჯღორე სი!** ხაბესა და მისი დაჯგუფების ასაყირავებელი რომ გახდები, ახია შენზე და იმსახურებ ამას ყველაფერს!

„აიპრესი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ჩვენ არ ვართ აგრესიულები, **ვაგრძელებთ მხილებას** და გვინდა, როგორც პარტნიორულ ურთიერთობას შეესაბამება და შეეფერება, სწორედ იმ კალაპოტში არსებობდეს **საქართველო-ამერიკას** შორის ურთიერთობა.

„პალიტრანიუსი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



საქართველომ დამოუკიდებლობის პერიოდში პირველად გაბედა და განაცხადა, რომ **მისი ხალხის ინტერესები არის ყველაზე მაღალი ინტერესი**, ეს არის ყველაზე დიდი საბაბი, რის გამოც **ვერ ეგუებიან ჩვენს სუვერენიტეტს.**

„იმედინიუსი“

**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*



ყველაფერი, რაც მედიის თავისუფლებას ასუსტებს ან ძირს უთხრის, ცხადია, ასუსტებს დემოკრატიის საძირკველს. **მედიის თავისუფლება არის სფერო, რომელსაც აშშ-ის საელჩო მხარს უჭერს 30 წლის განმავლობაში,** ვინაიდან ის არის ჯანსაღი დემოკრატიის მთავარი საკითხი.

„ინტერპრესნიუსი“



# „მე, თამაზ მოლაშვილი, ვეკითხები შალვა ხაჭაპურიძეს – ვის იცავ? სულხან მოლაშვილის მკვლელს დაუდექი ვექილად?“



ერთხელ შემახვედრონ იმ ევროპარლამენტარებთან, რომლებიც გარეწარ სააკაშვილსა და ნაციონალებს იცავენ, თვალებში ჩავხედავ და ვეტყვი — **სააკაშვილმა შვილი რომ მოგიკლათ და მე მის დამცველად გამოვიდე, გაგიხარდებათ?** ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედონ! ან იქნებ ადამიანადაც არ მთვლიან ეს კუბილიუსები და ვიღაც შობელძაღლები!

## საბჭოთა კავშირი იმიტომ არ გვინდოდა, რომ ჩვენი თავის ბატონ-პატრონები არ ვიყავით და საქართველოს ბედი მოსკოვში წყდებოდა, ახლა კი ევროკავშირს უნდა დავემონოთ და ჩავაბაროთ ჩვენი ბედ-იღბალი? არ გვინდა, ბატონო, არ გვჭირდება!

ეს ევროკავშირი კი არა, ევროსაბჭოთაკავშირია და საბჭოთა კავშირზეც უარესია!

არადა, ყოველთვის ვფიქრობდი — დამოუკიდებელი ქვეყანა რომ გვექნება, გვეშველება-მეთქი! აბა, სად არის დამოუკიდებელი ქვეყანა? **რუსეთს თბილისიდან 30 კილომეტრში უყენია თავისი ჯარი და რაც უნდა, იმას გვიშვრება, ამერიკას კი კიკუს როლში ვყავართ — პირში კანფეტს გვიდებს და მერე ჩახდასა და წაკუზვას გვთხოვს! ალარ შემიძლია, გასკდა გული ამდენი უსამართლობით!**

**— თქვენი აზრით, ევროპარლამენტარები და სხვა ევროპული ინსტიტუტების წარმომადგენლები ასე თავგამოდებით რატომ იცავენ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას?**

— მაგ ევროპარლამენტარებსა და ნაციონალებს ერთმანეთში რა ანგარიშები აქვთ, ეშმაკმა უწყის! **შესაძლოა, თავის დროზე სააკაშვილისაგან ქრთამებსაც იღებდნენ, რათა ნაციონალების დანაშაულებზე ხმა არ ამოეღოთ და ახლაც ის დრო ენატრებათ, როცა საქართველოდან ასიათასები და მილიონები მიჰქონდათ! მე ერთი რამე ვიცი — სანამ ევროპა სააკაშვილს, გვარამიასა და მათნაირ კრიმინალებს არ გაემიჯნება, ჩვენმა მთავრობამაც და ხალხმაც ევროკავშირზე უარი უნდა თქვას!**

მტერს და ავს ისეთ ევროკავშირში შესვლა, სადაც ჩვენი არც ტრადიცია აინტერესებთ, არც — ეროვნულობა, არც — კანონიერება და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, ხელისუფლებაში ისევ ის მკვლელები და ჯალათები დაგვისვან!

**— როგორც სააკაშვილის ოჯახის წევრები, თანაპარტიელები და ადვოკატები ამბობენ, მას 14 თუ 34 დიაგნოზი აქვს დასმული, კვდება და სასწრაფოდ არის წასაყვანი საზღვარგარეთ სამკურნალოდ. როგორ ფიქრობთ, მართლა ასეა თუ პოლიტიკურ აფერისტობასთან გვაქვს საქმე?**

— **დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს სასიკვდილო არაფერი სჭირს და აბეზარი ბავშვივით ჭინჭყლობს, რადგან ციხეში ჯდომა არ უნდა.** ამბობენ — ფსიქიკური პრობლემები აქვსო და თუ მართლა ასეა, ეს სწორედ მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების ბრალია, რომლებიც ეუბნებიან — აი, ხვალ გამოგიყვანთ ციხიდან, აი, ზეგ გაგათავისუფლებთო!

## თუ უნდათ, სააკაშვილი მართლა არ გაგიჟდეს, დედამისმაც და ნაციონალებმაც ურჩიონ – ბედს დაემორჩილოს და შეეგუოს, რომ სასჯელის ბოლომდე მოხდა მოუწევს!

**ჩემი შვილი დაჭერილი რომ იყო, ორ თვეში ერთხელ მაძლევდნენ მისი ნახვის უფლებას, სააკაშვილს კი ციხესა თუ სამედიცინო დაწესებულება „შარაშკინა კანტორა“ აქვს გახსნილი და დღეში 30 კაცს იღებს!**

## მთავრობას ვეკითხები – ეს სამართლიანია? სხვა პატიმრებს აძლევთ ამდენის უფლებას? მერე რა, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი იყო,

კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თითოეულმა პატიმარმა ერთნაირ პირობებში უნდა მოიხადოს სასჯელი!

# კი არა, ევროსაბჭოთაკავშირია!»




გიული ალასანია და გიორგი ჩალაძე ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის სხდომაზე საგანგებო სტუმრების რანგში. 2022 წლის 8 ნოემბერი

## „საქართველოს არაფერში სჭირდება ისეთი ევროკავშირი, სადაც მწვალებელი სააკაშვილის დედას ტაშით ხვდებიან!“

ბოლოს, თუ ნებას მომცემთ, სააკაშვილის ადვოკატს **შალვა ხაჭაპურიძეს** მინდა, მივმართო!

**— კი ბატონო, ყურადღებით გისმენთ!**

— საერთოდ, მე დიდ პატივს ვცემ ყველას, ვინც ჩემს შვილს — **სულხან მოლაშვილს** უკანონო პატიმრობის დროს გვერდში ედგა და უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა. მათ შორის იყო **შალვა ხაჭაპურიძეც,** რომელიც დღეს სააკაშვილის ადვოკატია და ამის გამო ძალიან გულდაწყვეტილი ვარ! მე, **თამაზ მოლაშვილი,** ვეკითხები შალვა ხაჭაპურიძეს — ვის იცავ? სულხან მოლაშვილის მკვლელს დაუდექი ვექილად? **ბატონო შალვა, გამიხარდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვა მაგ გარეწრის დაცვაზე და საზოგადოების თვალში ისევ ისე ვაჟკაცურად გამოჩნდე, როგორც მანამდე ჩანდი!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

*თემის გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



რომელ ევროპულ ქვეყანაში და პარტიაში გაგიგიათ — **გერი პარტიის ბელადი იყოს, ხოლო მამინაცვალი პარტიის თავმჯდომარე?** ნაცმოძრაობა — ეს არ არის ინტერესთა კონფლიქტი?! თანამედროვე-ევროპულ პარტიად აცხადებთ თავს და **ოჯახურ კლანად აქციეთ პარტია!** კიდევ კარგი **ფეთჰულა გიულენი** გაქცეულია და ძებნაშია, თორემ დიდი შანსი იყო **ჩალაძის** ნაცვლად ნაცმოძრაობის თავმჯდომარე გიულენი გამხდარიყო და საქართველოს პრემიერობაზე ან პრეზიდენტობაზე განეცხადებინა პრეტენზია!

„ფეისბუქი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



პარლამენტის მანდატს დავტოვებ იმ შემთხვევაში, თუ **სახალხო დამცველად** ამირჩევენ. თუ ოდნავ მაინც საღ აზრზე ხარ, **შეუძლებელია, ენდო კვლევას,** სადაც **ნინო ლომჯარია** უფრო რეიტინგულია, ვიდრე **ბიძინა ივანიშვილი.**

„ინტერპრესნიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**მამულაშვილი** რომ გავიდა პარლამენტიდან და თავისი პარტიიდან, ეს ის **მამულაშვილი** არ არის, **მაგიდებზე რომ დარბოდა?** როცა პარლამენტარი თავის სადეპუტატო მოვალეობას მხოლოდ **მაგიდებზე სირბილში** ხედავს, იმას პარლამენტში რა უნდა?

„კვირის პალიტრა“

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



პარტიის შიდა გადაჯგუფებით ნაციონალები **წარსულის გასუფთავებას** ცდილობენ.

„ახალი თაობა“

# «იმასაც ხმამაღლა ვიტყვი, რომ



**ხაჭაპურიძე და გელბახიანი ამბობენ – გვამური ლაქები აქვსო, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია ეს ნაძირალა სიმულანტი!**

დარწმუნებული ვარ, სისხლის სამართლის ისეთი მძიმე დამნაშავე, როგორიც სააკაშვილია, ქართულ ციხეში მეორე არ ზის. ამ არაკაცმა სამშობლო გაყიდა, რუსეთს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი ჩააბარა, აზერბაიჯანს დავითგარეჯის ნაწილი გადასცა, იმაზე აღარაფერს ვამბობ, უდანაშაულო ბიჭებს ქუჩაში ბეღურებივით რომ ხოცავდა და ახლა მინიმალური სასჯელის მოხდაც აღარ უნდა!

**— მიგაჩნიათ, რომ სააკაშვილისათვის 6-წლიანი სასჯელი ცოტაა?**

— **6 წელი სააკაშვილისათვის სასაცილო სასჯელია, უვადო პატიმრობა ეკუთვნის!** მის ადვოკატებს მივმართავ, განსაკუთრებით კი, უსირცხვილო გელბახიანსა და ხაჭაპურიძეს — თქვენი სააკაშვილი ციხეში უნდა დალპეს!

**ლია კრიალაშვილი:**





*თემის დასაწყისი მე-4 გვერდზე*

***საკაშვილის რეჟიმის მიერ დახვრეტილი პოლკოვნიკის გია კრიალაშვილის და, საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის თანამშრომელი ლია კრიალაშვილი პატიმარ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ატეხილ მორიგ აჟიოტაჟს ეხმაურება და მიიჩნევს, რომ ნაცბელადი, მისი ოჯახის წევრები, თანაპარტიელები და ადვოკატები საზოგადოებას ატყუებენ:***

— არ მჯერა, რომ სააკაშვილს 34 ან თუნდაც 14 დაავადება სჭირს! ეს არაუნებთან ერთად შემოპარული მაოხრებელი გზირი კლინიკა „ვივამედში“ მხოლოდ იმიტომ არის წამოგორებული, რომ ციხის საკანში ჯდომა აიცილოს თავიდან!

**ერთი წელია, გვეუბნებიან – კვდებაო, მისი უსირცხვილო ადვოკატები**

# უსირცხვილო გელბახიანო და ხაჭაპურიძევ,

# თქვენი სააკაშვილი ციხეში უნდა დალპეს!

**მინდა, რომ სააკაშვილს მის მიერ მოკლული უდანაშაულო ადამიანები საკანში ყოველღამე გამოეცხადონ და ჭკუიდან შეშალონ!**

დიახ, არ ვმალავ და პირდაპირ დაწერეთ — მინდა, გია კრიალაშვილის, როინ შავაძის, სერგო თეთრაძის, გურამ შარაძის, გირგვლიანის, რობაქიძისა და უღვთოდ დახოცილი სხვა ბიჭების სულებმა სააკაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანონ! შეიძლება, ვინმემ გაბოროტებული ადამიანი მიწოდოს, მაგრამ მინდა, რომ ასე მოხდეს!

ისე, სააკაშვილის დედას გიული ალასანიას რომ ვუყურებ



**„სააკაშვილის დედას ჩალაძემდეც ბევრი „ახლო მეგობარი“ ჰყავდა და იმედია, ყველა ერთად არ განაცხადებს პრეტენზიას ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობაზე!“**

# «არც კუბილიუს-ფოტიგების ევროპა

## კვირგვინოსნები

**გიორგი გურგულია**
*მსახიობი*



დღევანდელ სასამართლოს ვერც შევადარებ **სააკაშვილის** დროინდელს. მაშინ რასაც პროკურატურა ეტყოდა, ბრმად იღებდა სასამართლო. **ახლა ნამდვილად არსებობს სასამართლო და შეუძლია მსჯელობის შედეგად პროკურატურისგან განსხვავებული აზრი ჰქონდეს.** მგონი, ახლა რაღაც ტენდენცია დაიწყო — **ჯონი დეპი** ამერიკაში გაამართლეს, აქ — მე და **ბასილაშვილი.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გაბედავა**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



როგორ მოხდა, რომ **ვარ პარლამენტის მიერ აღიარებული პოლიტპატიმარი** და ის პროკურორები, რომლებმაც უკანონოდ მომისაჯეს, დღეს დაწინაურებულები არიან?

„ალია“

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



**კეზერაშვილი** შავი ფულით აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს, ფლობს და აფინანსებს **„კრიტიკულ მედიებს“**, ასევე სამოქალაქო სექტორის და **„ავტორიტეტული ენჯეოების“** ნაწილს.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვახტანგ მაისაია**
*პოლიტოლოგი და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი*



საქართველოში არსებულ იატაკქვეშა ლაბორატორიებში **შემოსულ ნარკოტიკებს სხვადასხვა ქიმიური მინარევით აჯერებენ და ე.წ. მკვლელი ნარკოტიკები ქვეყანაში ვრცელდება.** აუცილებელია ნარკოდანაშაულთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შექმნა. ასევე პრეზიდენტთან უნდა შეიქმნას სპეციალური საკოორდინაციო საბჭო და შემოღებულ იქნეს სპეციალური მრჩევლის თანამდებობა. **შევარდნაძის დროს არსებობდა ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახური,** ეროვნული ბიურო, რომელსაც ბატონი **ჯემალ ჯანაშია** ხელმძღვანელობდა. **სააკაშვილის დროს ის გაუქმდა,** რაც შეცდომა იყო.

„კვირის პალიტრა“

# ამ ხელისუფლებაზე ნაწყენი ვარ!»





## „არ ვმალავ და პირდაპირ დაწერეთ – მინდა, გია კრიალაშვილის, როინ შავაძის, სერგო თეთრაძის, გურამ შარაძის, გირგვლიანის, რობაქიძისა და უღვთოდ დახოცილი სხვა ბიჭების სულებმა სააკაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანონ!“

და ვუსმენ, აღარ მიკვირს, მისი შვილი ასეთი სადისტი და მანიაკი რომ გაიზარდა!

### პირდაპირ ვამბობ – გიული ალასანია სააკაშვილზე უარესია!

**— სხვათაშორის, გასულ კვირას ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის სხდომაზე გიული ალასანიას აპლოდისმენტებით შეხვდნენ და საგანგებოდ უმასპინძლეს!**

— სააკაშვილსა და მის ხროვას დღემდე ის ევროპარლამენტარები უჭერენ მხარს, რომლებიც თავის დროზე მოსყიდული ჰყავდათ და ქართველი ხალხის ნაძარცვ ფულს ლობისტობის სანაცვლოდ უხდიდნენ. ასეთი ევროპარლამენტარების შემხედვარე ძალიან ვმწარდები და ხშირად ვფიქრობ — **რაში გვჭირდება ევროკავშირი, რომელიც მკვლელებსა და ჯალათებს არის გადაფარებული?** დიახ, არც კუბილიუს-ფოტიგების ევროპა გვინდა და არც ბაიდენ-დემოკრატების ამერიკა, ჩვენ ღირსეული ევროპა და ამერიკა გვჭირდება!

იმასაც ხმამაღლა ვიტყვი, რომ ამ ხელისუფლებაზე განაწყენებული ვარ, რადგან მკვლელები დღესაც გარეთ დადიან და ამდენი წლის შემდეგაც კი სამართლიანობა არ აღდგა, არადა, „ოცნების“ მთავარი დაპირება სწორედ სამართლიანობის აღდგენა იყო!

**— თუ სამართლიანობის არაღდგენას დღევანდელი ხელისუფლების მთავარ დანაშაულად თვლით, რა მიგაჩნიათ მის მთავარ დამსახურებად?**

— დღევანდელი ხელისუფლების და პირადად ირაკლი ღარიბაშვილის უსაზღვროდ მადლიერი ვარ იმის გამო, რომ საქართველოში მშვიდობაა და უკრაინასავით თავზე ბომბები არ გვაცვივა!

### იმედი მაქვს, პრემიერ-მინისტრი ბოლომდე შეძლებს დანის პირზე გავლას და საქართველოს არ დაემართება ის, რაც ზელენსკიმ თავის ავადმყოფ

### არახამია-არესტოვიჩებთან ერთად უკრაინას დამართა!

დიახ, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ომისა და მოღალატეების პარტიამ — ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოს ომში ჩათრევა ვერ შეძლოს!

ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ ნაციონალები გამოდიან და ამბობენ — დღევანდელმა ხელისუფლებამ ქართულ ჯარს ღირსება აჰყარაო! ლამის ტვინში სისხლი ჩამექცეს, როცა ამას ვისმენ სააკაშვილის ბანდის წევრებისაგან, რომელთა რეჟიმიც ქართულ ჯარს მართლა ღირსებას ყრიდა, ოფიცრებს სასიკვდილოდ სცემდა და ნაბრძოლ, საქართველოსათვის სისხლდანთხეულ ბიჭებს ქუჩაში ხვრეტდა! **მანიაკი ბაჩო ახალაია და კორუფციონერი ვირთხა დავით კეზერაშვილი** თავდაცვის მინისტრები რომ იყვნენ, მარტო ეს იყო საკმარისი ქართული ჯარის დასამცირებლად და ქართველი ჯარისკაცებისათვის სულში ჩასაფურთხებლად!

**— ნაციონალურ მოძრაობაში დიდი არეულობაა — პარტიის შიგნით ვადამდელი არჩევნები გამოაცხადეს, რათა ახალი თავმჯდომარე აირჩიონ და ერთ-ერთი პრეტენდენტი სააკაშვილის დედასთან ძლიერ დაახლოებული გიორგი ჩალაძე გახლავთ! როგორ უყურებთ ამ პროცესს?**

— სააკაშვილის დედას **ჩალაძემდეც** ბევრი „ახლო მეგობარი“ ჰყავდა და იმედია, ყველა ერთად არ განაცხადებს პრეტენზიას ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობაზე! **სულაც არ მაღელვებს ამ მკვლელების პარტიაში მიმდინარე შიდა არეულობა და არც ის მაინტერესებს, ვის აირჩევენ თავმჯდომარედ,**

### მხოლოდ ერთი რამ მინდა – ნაცმოძრაობა სამუდამოდ გაქრეს ქართული პოლიტიკიდან!

ვოცნებობ იმ დროის მოსვლაზე, როცა ქალ-კაცა ხოშტარიას, უდღეურ ხაბეიშვილსა და მათნაირებს აღარ ექნებათ საშუალება, ქვეყანას ზიანი მიაყენონ!





## „მანიაკი ბაჩო ახალაია და კორუფციონერი ვირთხა დავით კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრები რომ იყვნენ, მარტო ეს იყო საკმარისი ქართული ჯარის დასამცირებლად და ქართველი ჯარისკაცებისათვის სულში ჩასაფურთხებლად!“

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

# გვინდა და არც ბაიდენის ამერიკა!»

## კვირგვინოსნები

**ნანა დევდარიანი**
*„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი*



**ომბუდსმენი სახალხო კენჭისყრით უნდა ავირჩიოთ!** სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანის უფლებები ისე ირღვეოდა, **მსგავსი ფაშისტურ გერმანიაშიც არ ყოფილა.** ვგულისხმობ, პატიმრების წამება-გაუპატიურებას. კი ბატონო, **გესტაპოში წამება იყო, მაგრამ კაცის გაუპატიურება თავში აზრად მათაც კი არ მოსვლიათ.** თუ ამაზე ხმა არასდროს ამოგიღია, არ გაგიპროტესტებია და **უცებ მოგინდა, სახალხო დამცველი გახდე, ეს ძალიან სასაცილოა.**

„საერთო გაზეთი“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



დათქვით საათი, დრო და **კეთილი ვინებოთ და „ვივამედთან“ მივიდეთ.** რა შუაშია ვიღაცა უნიჭო ლიდერი, ვიღაც **ნიკა მელია,** რომელიც ჩემთვის არავინ აღარ არის საერთოდ. **რა გახდა ერთი დიდი აქცია იმისთვის, რომ მომაკვდავი პრეზიდენტი ცოცხალი გავიყვანოთ აქედან?!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზვიად ძიძიგური**
*„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი*



ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისთვის **„სავარჯიშო მსხლის“** ფუნქციას ასრულებს.

„ახალი თაობა“

**კოტე ზარნაძე**
*გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი*



ხშირად ყოფილა პოლიტიკურ ველზე, რომ **ადამიანები კამერებთან კინკლაობენ და კამერების უკან ერთმანეთს ემეგობრებიან,** მე კი ეს არ შემიძლია. იმიტომაც აქვს ხალხს დაკარგული ნდობა პოლიტიკოსების მიმართ, რომ სწორედ გულწრფელობა აკლიათ. გულგრილობა არ შემიძლია, როდესაც ვინმე ჩემთან პრობლემით მოდის, რადგან მეც გავლილი მაქვს ძნელი პერიოდი.

„სარკე“

*წინამდებარე პუბლიკაციას ერთი მთავარი და ორი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ჰყავს: მთავარი პერსონაჟია ნაციონალური მოძრაობის პარტიული დროშა, რომელიც 18 წლის წინათ მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ გამოაცხადა, ხოლო მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი და მომღერალი ნინა წკრიალაშვილი არიან.*

# საქართველოსა და უკრაინის თავზე „ვაჟა ექიმის“ მაისური და ნინა წკრიალაშვილის ბიუსტჰალტერი არ უნდა ფრიალებდეს!




გარდა იმისა, რომ ვაჟა გაფრინდაშვილი და ნინა წკრიალაშვილი ნაციონალური მოძრაობის მოტრფიალენი ბრძანდებიან, მათ კიდევ ერთი რამ აერთიანებთ — **ორივენი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ გასაღებული ნაცპარტიული დროშის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში არიან შემჩნეული.**

## დროშის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას რომ ვამბობთ, უხამსობას ნუ გაიფიქრებთ, რადგან აქ დროშის ტარი არ ფიგურირებს და მხოლოდ უტარო დროშაზეა საუბარი.

როგორც ფოტოზე ხედავთ, **ვაჟა გაფრინდაშვილს** ნაცმოძრაობის პარტიული დროშა, რომლის ჯვრებიც ყვითლად არის გაფერადებული, მოცისფრო მაისურზე ახატია, რითიც უკრაინის სახელმწიფო დროშის ალუზიას ქმნის და ზედ ინგლისურად აწერია — **„ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით“**. რაც შეეხება **ნინა წკრიალაშვილს,** მას ნაცმოძრაობის პარტიული დროშა, არც მეტი, არც ნაკლები, **ბიუსტჰალტერზე** აქვს დატანილი.

**ამ ორ ფოტოს ერთმანეთისაგან დაახლოებით 15 წელიწადი აშორებს.**

**ნაცმოძრაობის პარტიული დროშა** საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ რომ არ ითვლებოდეს, ნინა წკრიალაშვილსა და ვაჟა გაფრინდაშვილს, როგორც სააკაშვილის სექტის მხარდამჭერებს, სრული უფლება ექნებოდათ, მას ისე მოქცეოდნენ, როგორც მოესურვებოდათ, მაგრამ **რაკიღა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ არ ინება, სააკაშვილის პარტიული დროშისათვის სახელმწიფო სიმბოლოს სტატუსი გაეუქმებინა, ვაჟა გაფრინდაშვილის მიერ დროშის ყვითლად გაფერადება და ნინა წკრიალაშვილის მიერ იმავე დროშის ზედა საცვალზე დახატვა, გინდა-არ გინდა, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის ხელყოფად და შეურაცხყოფად აღიქმება.**

მეორე მხრივ, სრულიად ლოგიკური და სიმბოლურია, რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერები — **წკრიალაშვილი და გაფრინდაშვილი** ნაცმოძრაობის პარტიულ დროშას ისე იყენებენ, როგორც იყენებენ. დიახ, არც **„ვაჟა ექიმის“ ცისფერ მაისურზე** მიხატული **ყვითელი ჯვრები** და არც **ნინა წკრიალაშვილის თეთრ ბიუსტჰალტერზე** დატანილი **წითელი ჯვრები** საქართველოს სახელმწიფოს არ განასახიერებენ, ისინი მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის სიმბოლიზებას ახდენენ! რაც მთავარია, **ვაჟა გაფრინდაშვილსაც და ნინა წკრიალაშვილსაც მაისურსა და ბიუსტჰალტერზე ნაცმოძრაობის პარტიული დროშა საქართველოს კი არა, ნაცმოძრაობის სიყვარულით ახატიათ!** ისინი ამით არა საქართველოს, არამედ ნაცმოძრაობას განასახიერებენ!

მომღერალი **ნინა წკრიალაშვილი,** რომელიც სააკაშვილის მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის აქტიური მხარდამჭერი გახლდათ, კარგა ხანია, საზოგადოების თვალთახედვის არედან გაქრა და მისი არსებობა ბევრს, ალბათ, აღარც ახსოვს, მაგრამ **ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ ნაცლიბერასტებმა გმირად შერაცხეს, საზოგადოებას მუდმივად თვალში ეჩხირება, რადგან ნაცლიბერასტული ტელეარხების ხშირი სტუმარი და ნაცლიბერასტული საპროტესტო აქციების ხშირი მონაწილეა.**

მოგეხსენებათ, **„ვაჟა ექიმის“** გმირობის მითი საბოლოოდ მაშინ დაიმსხვრა, როცა მან ცხინვალის იზოლატორში ორთვიანი პატიმრობის შემდეგ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის **ანატოლი ბიბილოვის** სახელზე შეწყალების თხოვნა დაწერა, დღეს კი, ვითომც ფარცაგი არაფერი უქნია, „სამოქალაქო აქტივისტის“ ამპლუაში გვევლინება და **ხან რუსულ ოკუპაციას აპროტესტებს, ხან ვადამდელ არჩევნებს ითხოვს და ხან უკრაინის მხარდამჭერობას იჩემებს.** არადა,

## ცრუ გმირი „ვაჟა ექიმი“, რომელმაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეჟიმის ლიდერის სახელზე შეწყალების თხოვნა დაწერა და ამით მისი ლეგიტიმაცია აღიარა, საკუთარ თავს საჯარო აქტივობის უფლებას ნამდვილად არ უნდა აძლევდეს.

რა თქმა უნდა, გაფრინდაშვილს იმის გამო არ ვამუნათებთ, რომ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად სეპარატისტულ რეჟიმს შეწყალების თხოვნით მიმართა, მაგრამ **გვახსოვს ზაზა გახელაძის ნამდვილი გმირობა, როცა მან ცხინვალის რეჟიმს შეწყალე-**



ზაზა გახელაძე



არჩილ ტატუნაშვილი

**გვახსოვს ზაზა გახელაძის ნამდვილი გმირობა, როცა მან ცხინვალის რეჟიმს შეწყალება პრინციპულად არ სთხოვა და სეპარატისტების დილეგში ერთწლიანი ჯოჯოხეთი გამოიარა. აღარაფერს ვამბობთ ცხინვალის იზოლატორში წამებით მოკლულ არჩილ ტატუნაშვილზე, რომელიც დღეს ცოცხალი იქნებოდა, „ვაჟა ექიმივით“ რომ მოქცეულიყო და ბიბილოვის რეჟიმის წინაშე ქედი მოედრიკა – შემიწყალეთო!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ნადირაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალური მოძრაობის რეგიონულ ლიდერებთან ერთად ვითხოვთ, **პარტიაში ჩატარდეს თავმჯდომარის ახალი არჩევნები!**

„პირველი არხი“

**ანა ნათელიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



7 ნოემბერი იყო **ნაციონალური მოძრაობის დიდი შეცდომა,** რამაც 2012 წელს ძალაუფლება დააკარგვინა.

„პირველი არხი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**1%-იანი პარტია** რომ დაუწყებს **20%-იან პარტიას** საქმის გარჩევას იმაზე — **მოდი და გავერთიანდეთო,** ეს ხომ ძალიან კომიკურად გამოიყურება? **თავისი „შაურიანის“ „მანეთად“ გაყიდვა უნდათ.**

„პალიტრანიუსი“

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



**სამ პროცენტზე მეტი რომ არ აგიღია არცერთ არჩევნებზე, როგორ შეიძლება, მესამე ძალაზე ილაპარაკო?** ჯერ პრაიმერიზის იდეა იყო, ახლა დავიშალოთ და მერე ავეწყოთო, **რომ დავიშალოთ და ველარ ავეწყოთ,** მერე რა ვქნათ? ოპოზიციას დიდი პოტენციალი აქვს იმისი, რომ **ვერ აეწყოს და მარტივ მამრავლებად დაშლილი დარჩეს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ანზორ აბრალავა**
*ანალიტიკოსი, ყოფილი პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში **ხრწნის პროცესი** მიმდინარეობს.

„ახალი თაობა“

ბა პრინციპულად არ სთხოვა და სეპარატისტების დილეგში ერთწლიანი ჯოჯოხეთი გამოიარა. აღარაფერს ვამბობთ ცხინვალის იზოლატორში წამებით მოკლულ არჩილ ტატუნაშვილზე, რომელიც დღეს ცოცხალი იქნებოდა, „ვაჟა ექიმივით“ რომ მოქცეულიყო და ბიბილოვის რეჟიმის წინაშე ქედი მოედრიკა — შემიწყალეთო!

ცხადია, გაფრინდაშვილს სრული უფლება ჰქონდა, თავის გადასარჩენად ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა, მაგრამ ნაცლიბერასტების მიერ შეთხზული ლოზუნგი — „ვაჟა ექიმი გმირია!“ — ისეთივე ყალბი და ფარისევლური გახლავთ, როგორც თავად „ვაჟა ექიმის“ ახლანდელი „სამოქალაქო აქტივისტობა“ და უკრაინის მხარდასაჭერად ცისფერ მაისურზე ყვითელი ჯვრების მიხატვა.

ისე კი, ნიშანდობლივია, რომ ნაცმოძრაობის პარტიული ალამი უკრაინის სახელმწიფო დროშის ფერებში გადაღებეს და „ვაჟა ექიმის“ მსგავსი ნაცაქტივისტები მას უკრაინის მხარდაჭერის სიმბოლოდ იყენებენ, რადგან ნაციონალური მოძრაობა და უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება აბსოლუტურად ერთ ძალას, ერთ დაჯგუფებას და ერთ „მეხუთე კოლონას“ წარმოადგენენ!

**შეიძლება, პირდაპირ ითქვას: დროშა, რომელიც ვაჟა გაფრინდაშვილს მაისურად აცვია, ხოლო ნინა წკრიალაშვილს — ბიუსტჰალტერად, საქართველოს შინაურ მტერს — ნაციონალურ მოძრაობას და საქართველოს გარეულ მტერს — ზელენსკის ხელისუფლებას აერთიანებს!**

დროშა, რომელიც **ვაჟა გაფრინდაშვილს** მაისურად აცვია, ხოლო **ნინა წკრიალაშვილს** — ბიუსტჰალტერად, ერთნაირად არის **რომან გოცირიძის, ხატია დეკანოიძის, ლევან ხაბეიშვილის, ეკა ხერხეულიძის, ელენე ხოშტარიას, დავით არახამიას, ალექსი არესტოვიჩის, მიხაილო პოდოლიაკის, ალექსი გონჩარენკოსა და ყველა იმ ქართველი და უკრაინელი ნაცის დროშა, რომლებიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობასა და ამ ქვეყნის ომში ჩათრევას ლამობენ!**

ვაჟა გაფრინდაშვილის მაისურად და **ნინა წკრიალაშვილის** ბიუსტჰალტერად გადაქცეული დროშით მოსულმა ხელისუფლებამ საქართველო დააქცია და სისხლიანი ცრემლებით ატირა, დღეს კი იმავე დროშის ქვეშ გაერთიანებული **არახამია-დეკანოიძეები და არესტოვიჩ-ხოშტარიები** უკრაინის დამაქცევრებად გვევლინებიან!

ჩვენ დიდი ხანია, ვწუხვართ იმაზე, რომ **საქართველოს თავზე სააკაშვილის პარტიული დროშა ფრიალებს,** მაგრამ ნაციონალური მოძრაობისა და ზელენსკის ხელისუფლების აბსოლუტური ერთნაირობის გამო სააკაშვილის პარტიული დროშა უკვე უკრაინის თავზეც არის გადაფენილი!






## ვაჟა გაფრინდაშვილის მაისურად და ნინა წკრიალაშვილის ბიუსტჰალტერად გადაქცეული დროშით მოსულმა ხელისუფლებამ საქართველო დააქცია და სისხლიანი ცრემლებით ატირა,

### დღეს კი იმავე დროშის ქვეშ გაერთიანებული არახამია-დეკანოიძეები და არესტოვიჩ-ხოშტარიები უკრაინის დამაქცევრებად გვევლინებიან!

**ზურაბ ადეიშვილის დანიშვნა უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩევლად, გია ლორთქიფანიძის დანიშვნა უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის პირველ მოადგილედ და გლდანის ციხის ცნობილი**



**ჯალათის ალექსანდრე მუხაძისათვის უკრაინაში პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაც იმის ნიშანი და დასტურია, რომ უკრაინის თავზე ნაცმოძრაობის პარტიული დროშა ფრიალებს!**

**„ვაჟა ექიმის“** მაისურიც ამის ერთ-ერთი ნიშანი და დასტურია!

არადა, ქართველი და უკრაინელი ხალხები არ იმსახურებენ, რომ საქართველოსა და უკრაინის თავზე **„ვაჟა ექიმის“ მაისური და ნინა წკრიალაშვილის ბიუსტჰალტერი** ფრიალებდეს!

**„ვაჟა ექიმის“ მაისური და ნინა წკრიალაშვილის ბიუსტჰალტერი** ვერასოდეს გახდება ქართველი და უკრაინელი ხალხების გამარჯვების დროშა!

**„ვაჟა ექიმის“ მაისურისა და ნინა წკრიალაშვილის ბიუსტჰალტერის** ქვეშ გაერთიანებული შინაური მტრები ქართველმა და უკრაინელმა ხალხებმა ერთად უნდა მოიშორონ!

*ჯაბა ხუბუა*

## დროშა, რომელიც ვაჟა გაფრინდაშვილს მაისურად აცვია, ხოლო ნინა წკრიალაშვილს – ბიუსტჰალტერად, საქართველოს შინაურ მტერს – ნაციონალურ მოძრაობას და საქართველოს გარეულ მტერს – ზელენსკის ხელისუფლებას აერთიანებს!

## კვირგვინოსნები

**მურმან დუმბაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**მიხეილ სააკაშვილის** სიკვდილი მეორე **სამოქალაქო დაპირისპირება** იქნება.

„ახალი თაობა“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ლიდერი*



მსურს, ყველამ იცოდეს — **მზად ვიყავი, ვარ და ვიქნები, მონაწილეობა მივიღო ნებისმიერი ტიპის არჩევნებში.** მითუმეტეს, შიდაპარტიულ არჩევნებში და მითუმეტეს, მაშინ, როცა არცთუ ისე ცოტა სათქმელი დამიგროვდა. თუ **სალომე ზურაბიშვილი** არ შეიწყალებს **ნიკა გვარამიას,** ის სამიზნე იქნება იმ მღელვარებისა, რომელიც ამ ქვეყანაში გარდაუვალია.

„ახალი თაობა“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**რომან გოცირიძეს** ერთადერთი ამოცანა აქვს, რომ, რაც შეიძლება მეტხანს იყოს პარლამენტში. სადღაც ისიც უთქვამს, **გიორგი ვაშაძე** ამბობს მაგას, თორემ რეალურად არ გავა პარლამენტიდანო. მე ვნახე და ვუთხარი — **მოდი, ხელი ჩამომართვი, მე თუ გავალ, შენც გამომყვები-მეთქი და არ ჩამომართვა!**

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



გამარჯვების ფორმულა **ოპოზიციური პარტიების გაერთიანებაა,** ოღონდ არა წარუმატებელ, ერთ „უნგრულ ქვაბში“ ყველას თავმოყრა.

„აიპრესი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელო საქართველოსთვის“ წევრი*



ევროპულ დიდ ოჯახში გაერთიანების შანსი მოგვეცა **და სამოსანი ბავშვებივით ვიღებთ გაფრთხილებას.** ამ ხელისუფლებას არ უნდა შევატოვოთ ხელში საქართველოს მომავალი.

„პალიტრანიუსი“

***პარლამენტის ყოფილი წევრი, უფლებადამცველი ДИМИТРИ***

***პარლამენტის ყოფილი წევრი, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში შექმნილ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავს და იმ ურთულესი გამოწვევების შესახებ გვაფრთხილებს, რომლებიც ბნელი და გლობალისტური ძალების მხრიდან ჩვენს სამშობლოს ემუქრება:***



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# საქართველოს მძიმე დღეები ელის, საფრთხე რეალურია!

— ამერიკის შუალედური არჩევნების საბოლოო შედეგები, ალბათ, უახლოეს ხანში გამოცხადდება, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ როგორც სენატში, ისე წარმომადგენლობით პალატაში რესპუბლიკელები უმრავლესობით მოვლენ. 435-კაციან წარმომადგენლობით პალატაში უკვე რესპუბლიკელები 12 ხმით უსწრებენ დემოკრატებს, ხოლო სენატში, სადაც დემოკრატები აქამდე მხოლოდ **ᲙᲐᲛᲐᲚᲐ ᲰᲐᲠᲘᲡᲘᲡ** ერთი ხმით ლიდერობდნენ, ვითარება რადიკალურად იცვლება!

**— ეს ყველაფერი რაზე მიგვანიშნებს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ დონალდ ტრამპი, რომელმაც უკვე დააანონსა 15 ნოემბერს საგანგებო განცხადების გაკეთების სურვილი, დიდი ალბათობით, მონაწილეობას მიიღებს 2024 წელს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში. ყოველ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში 90 პროცენტით თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ტრამპი ამ ნაბიჯს აუცილებლად გადადგამს და 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს კიდეც!

ამ შუალედურმა არჩევნებმა, როცა ამერიკის სენატში დემოკრატების სიით **ᲝᲠᲘ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ** — 90 წელს გადაცილებული ქალბატონი **ᲙᲣᲞᲔᲠᲘ** და ბატონი **ᲑᲔᲚᲣᲙᲐ** სენატორებად აირჩიეს, ყველა დაარწმუნა, რომ გლობალისტურმა და ბნელმა ძალებმა დონალდ ტრამპს არჩევნები გაუყალბეს და გამარჯვება ხელიდან გამოსტაცეს! **ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲜᲐᲢᲨᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ 80 ᲓᲐ 82-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ „ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ“...**

**— და მაინც, როგორ გაუყალბეს ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნები?**

— უკვე დამტკიცებულია და არავისში ეჭვს აღარ იწვევს ის ამბავი, რომ ფოსტით გაგზავნილი ყველა ხმა მიაწერეს ბაიდენს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა! **ᲢᲠᲐᲛᲞᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲧᲐᲚᲑᲐ ᲐᲜᲒᲚᲝᲡᲐᲥᲡᲣᲠᲛᲐ — ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲛᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲛᲐ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲫᲐᲚᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲝᲛᲔᲑᲡ, ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲡ! ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐ-ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐ! ᲗᲣ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲘᲚᲐᲒᲛᲐ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ!**

**— ევროპარლამენტი რას გვერჩის და რატომ გვიჩხიკინებს? ბოლოს და ბოლოს, რა უნდათ საქართველოსგან და რით ვერ ისვენებენ?**

— გლობალისტური ძალებისა და ბაიდენის ადმინისტრაციის მთავარი დასაყრდენი ევროპის კონტინენტზე სწორედ ევროპის პარლამენტია. ევროპის სახალხო პარტია და ნეოლიბერალური ინტერნაციონალი ყოველთვის ამ ბნელი ძალის სამსახურში იდგნენ. უკრაინის ომის წინ სწორედ მათ მოახდინეს ბელარუსში ვითარების არევა, როცა **10-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲢᲘᲮᲐᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ** „პრეზიდენტად“ გამოაცხადეს, ხოლო ყაზახეთში მოულოდნელად ბუნტი გამოიწვიეს... ანალოგიური უბედურება ჰქონდათ ჩაფიქრებული საქართველოშიც, სადაც სააკაშვილი შემოგვაპარეს.

საქართველო, რომელსაც რუსეთის ფედერაციასთან 840-კილომეტრიანი საზღვარი აქვს, წარმოადგენს უნიკალურ გეოპოლიტიკურ პლაცდარმს კრემლის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად. რა თქმა უნდა, ამ შანსის ხელიდან გაშვებას დასავლეთი არ აპირებდა და არც აპირებს. **ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲞᲝᲚᲘᲒᲝᲜᲐᲓ ᲔᲥᲪᲘᲐᲗ, ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲜᲘᲙᲐᲜᲝᲠ ᲛᲔᲚᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲑᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲣᲠ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ, ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲝ, ᲠᲐᲗᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲨᲚᲘᲚᲘᲧᲝ...**

**— გახარია როგორ გადაიბირეს?**

— **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** ვაშინგტონში ვიზიტის დროს გადაიბირეს! საბოლოოდ ამ ყველაფრის გაფორმება მოხდა საქართველოში **ᲛᲐᲘᲙ ᲞᲝᲛᲞᲔᲝᲡ** სტუმრობის დროს, რის შემდეგაც ტრამპის ადმინისტრაცია ძალიან მალე შეიცვალა კიდეც. **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ,** რომელიც უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის რეკომენდაციით გახდა პრემიერი, დღეს ივანიშვილს ზუსტად იმ ეპითეტებით ამკობს, როგორც ამას **ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ, ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ** და ქუჩის მასხარა **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** სჩადიან. მოკლედ, გახარია მოღალატე აღმოჩნდა, რომელიც მტერს შეეკრა!




**— ფაქტია, რომ გახარიასთან და სააკაშვილთან დაკავშირებით ავის მოსურნეებს გეგმები ჩაუვარდათ, მაგრამ აწი რას გეგმავენ?**

— ოპოზიციის პარლამენტიდან გაყვანაც მათი გეგმა იყო! ესეც რომ ჩაუფლავდათ, მერე თორმეტპუნქტიანი გეგმა მოიფიქრეს და საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მისცეს... ესეც ჩაუვარდათ, მაგრამ ამჯერად სამი განსაკუთრებული პუნქტი მოგვახვიეს თავს და პირდაპირ ითხოვენ ბიძინა ივანიშვილის მოკვეთას, რასაც ჯერ გახსნილად ვერ ამბობენ, მაგრამ მალე იტყვიან!

**— კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ?**

— **ᲐᲠᲐ, ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲔᲜ!** თავის მხრივ, არც **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ** გამოუშვებს ციხიდან ვინმე და არც **ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ,** რადგან მათი გათავისუფლება ხელისუფლების რეიტინგს დაარტყამს. ჩემი აზრით, საბოლოოდ ყველაფერი იქითკენ წავა, რომ, **ᲠᲝᲪᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲒᲕᲔᲢᲧᲕᲘᲐᲜ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲬᲔᲡᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲘᲡᲔᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲕᲔᲡᲠᲝᲚᲝᲗ!** აი, ამის მოწყობა უნდათ, ეს გეგმა აქვთ და

**ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲩᲘᲜᲝᲗ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲑᲜᲔᲚ ᲓᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ!**

**— როდის ელით ვითარების დრამატიზაციას?**

— ყველაფერი დამოკიდებული იქნება **ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ** გადაწყვეტილებაზე! ბნელი ძალები ნებისმიერ შემთხვევაში შეეცდებიან, საქართველოში გადატრიალება მანამდე მოაწყონ, ვიდრე ამერიკის ხელისუფლების სათავეში **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ** მოვა! არავის ვაშინებ, მაგრამ საქართველოს მძიმე დღეები ელის, საფრთხე რეალურია!

*ესაუბრა*
***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***





**„ᲗᲣ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲘᲚᲐᲒᲛᲐ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ!“**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



ჩვენი **დემოკრატია საფრთხეშია,** ახლა არის მომენტი, დაიცვათ ის!

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲓᲔᲕᲘᲓ ᲚᲘ**
*ევროპარლამენტის ბიზნეს-ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი*



საქართველოში დიდი პრობლემაა **კორუმპირებული არასამთავრობო ორგანიზაციები,** რომლებიც ფულის სანაცვლოდ კონკრეტული პირებისთვის სასურველ პოზიციას იკავებენ; ისინი მიდიან ბრიუსელში და ადამიანებს დეზინფორმაციას აწვდიან. **„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კორუმპირებულია,** პირდაპირ იღებენ თანხებს დონორებისგან, თუმცა, საქმეს არ აკეთებენ და **ფულს პოლიტიკური მიზნებისთვის ხარჯავენ.**

„TV ᲘᲛᲔᲓᲘ“

**ᲜᲘᲜᲝ ᲤᲝᲩᲮᲣᲐ**
*ექსპერტი*



**ᲙᲣᲑᲘᲚᲘᲣᲡᲘᲡ მსგავსი ნაძირალები** რომ „მართავენ“ ევროპარლამენტს, იმიტომ არის მათი საქმე კარგად, **მასზე სწორება ღირსეული ხალხისთვის დამამცირებელია.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲠᲝᲛᲐᲜ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ**
*საზოგადოებრივი ორგანიზაციის „პოლიტიკური არჩევანის“ დამფუძნებელი*



სამწუხაროა, რომ **ᲓᲔᲒᲝᲚᲔᲑᲘᲡ, ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ** ევროპაში ახლა დონე **ᲙᲣᲑᲘᲚᲘᲣᲡᲐᲛᲓᲔ** ჩამოვიდა.

„TV ᲘᲛᲔᲓᲘ“

# მამუკანასკნელები,

## ანუ ბოლოდან პირველი ადგილი მამუკა ხაზარაძის 1-პროცენტიანი პარტიისათვის

*რამდენი მილიონი დახარჯა, რამდენი სარეკლამო კლიპი გადაიღო, რამდენი იწვალა, რამდენი იპოპულისტა, მარჯანიშვილისა და ვაგზლის მოედნებზე ბენდის თანხლებითაც კი დაუკრა და იმღერა, მაგრამ მაინც 1-პროცენტიანია!*

ჰო, **პარტია „ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძეზე** მოგახსენებთ — ხალხში **მევახშისა და ყაჩაღ-ბანკირის** სახელდაგდებულ, ქართული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნობილ და ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებულ მამუკა ხაზარაძეზე, რომელიც **ციხეში მხოლოდ იმიტომ არ ზის, რომ მის დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა.**

**მამუკა ხაზარაძის პარტია „ლელოს“** 1-პროცენტიანი რეიტინგი რომ აქვს, ამის შესახებ გასულ კვირას გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევიდან შევიტყვეთ, რომელიც **„საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა“** (IRI-მ) ჩაატარა. კერძოდ, **„აირაის“** მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, **უახლოეს კვირაში საპარლამენტო არჩევნები რომ ტარდებოდეს, გამოკითხულთა 25 პროცენტი ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, 12 პროცენტი — ნაციონალურ მოძრაობას, 3-3 პროცენტი — გიორგი გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“ და ზურაბ ჯაფარიძის პარტიას „გირჩი — მეტი თავისუფლება“**, 2-2 პროცენტი — **გიორგი ვაშაძის პარტიას „სტრატეგია აღმაშენებელი“, ელენე ხოშტარიას პარტიას „დროა“, შალვა ნათელაშვილის ლეიბორისტულ პარტიას, ანა დოლიძის პარტიას „ხალხისთვის“, იაგო ხვიჩიას პარტიას „გირჩი“ და ირმა ინაშვილის პარტიას „პატრიოტთა ალიანსი“,** ხოლო 1-1 პროცენტი — **მამუკა ხაზარაძის პარტიას „ლელო“, ალეკო ელისაშვილის პარტიას „მოქალაქეები“ და პარტია „კონსერვატიულ მოძრაობას“,** რომლის თავმჯდომარეც **გიორგი ქარდავა** გახლავთ.

ასე და ამრიგად, **„აირაის“** მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, **მამუკა ხაზარაძის პარტია „ლელო“** 1-პროცენტიანი რეიტინგით ბოლო ადგილს იკავებს.

უფრო ზუსტად, **მამუკა ხაზარაძის პარტია ბოლოდან პირველ „საპატიო“ ადგილს ალეკო ელისაშვილისა და ვინმე ქარდავას პარტიებთან იყოფს.**

გაინტერესებთ, ამ 1-პროცენტიანი პარტიებიდან მაინცდამაინც **მამუკა ხაზარაძის „ლელოზე“** რატომ ვაკეთებთ აქცენტს? მიზეზი მარტივია — **ამ 1-პროცენტიან პარტიებს შორის არცერთს იმის ნახევარი ფინანსური რესურსიც კი არ გააჩნია, რამდენიც — ხაზარაძის პარტიას!**

უფრო მეტიც — **ის პარტიებიც კი, რომლებსაც სოციოლოგიურ კვლევაში „ლელოზე“ ორჯერ და სამჯერ მეტი რეიტინგი აქვთ, პოლიტიკურ კამპანიაში გაცილებით ნაკლებ ფულს ხარჯავენ, ვიდრე — ხაზარაძის პარტია.** მაგალითად, **ალეკო ელისაშვილის პარტიამ,** რომელსაც „აირაის“ კვლევაში 1-პროცენტიანი რეიტინგი აქვს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში **162 545 ლარი** დახარჯა, ხოლო **მამუკა ხაზარაძის პარტიამ,** რომლის რეიტინგიც ასევე 1 პროცენტია — **2 566 897 ლარი.**

მაშ, რა ხდება?

**მამუკა ხაზარაძის პარტიას, რომელიც ფულში ბანაობს, რატომ აქვს ისეთივე დაბალი რეიტინგი, როგორიც ჯიბეგაფხეკილ პარტიებს?**

ცხადია, საქმე ფინანსურ კაპიტალში არ არის!

**საქმე მამუკა ხაზარაძის პოლიტიკურ და მორალურ კაპიტალშია, რომელიც მისივე ფინანსურ კაპიტალთან შედარებით კატასტროფულად მცირეა!**




## ხაზარაძის პარტიის სამარცხვინოდ დაბალი რეიტინგი – სულ რაღაც 1 პროცენტი – „ასავალ-დასავალის“ დამსახურებაა!



ყოველგვარი მორიდებისა და ყალბი თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვათ, რომ **ხაზარაძის პარტიის სამარცხვინოდ დაბალი რეიტინგი — სულ რაღაც 1 პროცენტი — „ასავალ-დასავალის“ დამსახურებაა!**

დიახ, სწორედ **„ასავალ-დასავალს“ მიუძღვის ლომის წილი იმაში, რომ ყაჩაღ-ბანკირებისა და ხანდაზმული თაღლითების პარტიას, უზარმაზარი ფინანსური რესურსისა და აგრესიული სარეკლამო კამპანიის მიუხედავად, ქართველი ამომრჩევლის მხოლოდ 1 პროცენტი უჭერს მხარს!**

დიახ, **სწორედ „ასავალ-დასავალი“ იყო პირველი,** რომელიც **მამუკა ხაზარაძე** ყაჩაღ-ბანკირობასა და „საქართველოს სახალხო-საინვესტიციო კორპორაციიდან“ ქართველი ხალხის ანაბრების შეთქვლეფაში ამხილა!

დიახ, **სწორედ „ასავალ-დასავალი“ იყო პირველი,** რომელიც საჯაროდ და ხმამაღლა ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ **მამუკა ხაზარაძე სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ხელში ფინანსური ტერორის იარაღს წარმოადგენდა და „თიბისი ბანკის“ მეშვეობით ბიზნესმენების გატყავებაში მონაწილეობდა!**

დიახ, **სწორედ „ასავალ-დასავალი“ იყო პირველი,** რომელმაც მამუკა ხაზარაძე ფართო საზოგადოებას გააცნო, როგორც ეროვნულ ფასეულობებთან, მართლმადიდებელ ეკლესიასთან და პატრიარქთან მებრძოლი „უბორნიის მწერლების“ ფინანსური დონორი!

დიახ, **სწორედ „ასავალ-დასავალი“ იყო პირველი, რომლის ფურცლებზეც მამუკა ხაზარაძე ზონდერკომკავშირელობაში, ეროვნული მოძრაობის მიტინგის დარბევასა და მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვაში ამხილეს კონკრეტულმა რესპონდენტებმა!**

დიახ, **სწორედ „ასავალ-დასავალი“ იყო პირველი,** რომელმაც განგაშის ზარები დაარისხა იმასთან დაკავშირებით, რომ ხაზარაძე-კვირიკაშვილის ტანდემი ანაკლიის პორტთან დაკავშირებით დიდ აფერას ახორციელებდა და ეს პროექტი მათ ხელში კრახისათვის იყო განწირული!

**დღეს ბევრი მედიასაშუალება, ბევრი პოლიტიკოსი, ბევრი საზოგადო მოღვაწე თუ სამოქალაქო აქტივისტი ლაპარაკობს მამუკა ხაზარაძეზე, როგორც ყაჩაღ-ბანკირზე, ანაბრების მიმთვისებელზე, ზონდერკომკავშირელზე, მერაბ კოსტავას მიტინგის დამრბევსა და „უბორნიის მწერალთა“ უსტაბაშზე, მაგრამ 7-8 წლის წინათ „ასავალ-დასავალი“ მას ამ ყველაფერში სრულიად მარტო ამხელდა!**

ჰო, **„ასავალ-დასავალმა“ სრულიად მარტომ, ყოველგვარი იდეური და ინფორმაციული მოკავშირეების გარეშე შეძლო, ხაზარაძისათვის ნიღაბი ჩამოეხსნა და საზოგადოებისათვის ეჩვენებინა,** რომ წარმატებული ბანკირის, სოციალურ აქტივობებში ჩართული ბიზნესმენის, გიტარაზე დამკვრელი, მომღერალი და ცხენის გამჭენებელი შლაპიანი მაჩოს იმიჯის უკან არამხოლოდ ჩვეულებრივი პოპულისტი, არამედ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ფინანსური ჟანდარმი და **ქართველი ხალხის ძარცვის ხარჯზე გამდიდრებული ყოფილი ზონდერკომკავშირელი იმალებოდა.**

სწორედ ამ მხილების პირდაპირი შედეგია, რომ დღეს **მამუკა ხაზარაძის პარტიას,** რომელიც პოლიტიკაში მილიონებს ხარჯავს, ოდენ **1-პროცენტიანი რეიტინგი აქვს და პულსი არ ესინჯება!**

**რა უფრო სამარცხვინო და სავალალოა — 500 თუმანი, რომელიც მამუკა ხაზარაძემ თავისი ძმაბიჭის გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს „ასავალ-დასავალს“ სასამართლოს მეშვეობით აწაპნა თუ 1-პროცენტიანი რეიტინგი, რომელიც იმავე ხაზარაძის პარტიას „ასავალ-დასავალის“ დამსახურებით აქვს?**

რა უფრო სამარცხვინო და სავალალოა — **500 თუმანი, რომელიც მამუკა ხაზარაძემ თავისი ძმაბიჭის გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს „ასავალ-დასავალს“ სასამართლოს მეშვეობით აწაპნა თუ 1-პროცენტიანი რეიტინგი, რომელიც იმავე ხაზარაძის პარტიას „ასავალ-დასავალის“ დამსახურებით აქვს?**

ამაზე თავი **თვითონ ხაზარაძემ და „ლელომ“** იმტვრიონ, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მათ დიდი კმაყოფილებით მივულოცოთ **1-პროცენტიანი რეიტინგი და ბოლოდან პირველი, ანუ მამუკანასკნელი ადგილი პოლიტიკურ პარტიებს შორის!**

ჩვენ თუ გვკითხავთ, ხაზარაძის პარტიისათვის ესეც ბევრია, მაგრამ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე დრო ჯერ კიდევ გვარიანად რჩება და **„ლელოს“ ნამდვილად გააჩნია დიდი რესურსი, რომ ... 1-პროცენტიან მაჩვენებელს ჩამოსცდეს!**

**„ასავალ-დასავალი“ თავის წვლილს ამაშიც აუცილებლად შეიტანს!**

**ჯაბა ხუბუა**

### კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი*



ეს **გახარიას** ეგრეთ წოდებული პოლიტიკური გუნდი **რამ გამოგაიმასქნათ?** რა **ივანიშვილი** და რა ოლიგარქია? რა ბიძინა და რა შეფერხება ევროპულ გზაზე? **ნამუსი რომ არ გქონდათ, ეგ 2021-ში ვნახეთ,** მაგრამ ამ დონეზე?

„ტვიტერი“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



ის ადამიანები, რომლებიც ასეთი ბინძური სიტყვებით ლანძღავდნენ **ბატონ გახარიას,** მილიონი განცხადება არსებობს მათი, როცა **ჩემპიონ პრემიერს** ეძახდნენ.

„ახალი თაობა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ასეთი სუსტი ოპოზიცია ჯერ საქართველოს არ ჰყოლია.** ოპოზიციის გაერთიანებას ვერ ვხედავ და არც ქარიზმატული ლიდერი ჩანს. გაზაფხულზე ალბათ, პროცესი გააქტიურდება, ახალ რეალობაში კი, ვფიქრობ, **ოპოზიციიდან ყველაზე დიდი შანსი ექნება გახარიას და მის გუნდს.**

„რეზონანსი“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



**ოპოზიციაში სუპერკრიზისია, ულიდერობა იგრძნობა.** გაერთიანების მცდელობა უკვე განწირულია. თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, **არსებული ოპოზიციის შანსები არჩევნებზე ძალიან დაბალია.**

„ახალი თაობა“

# ადეიშვილის აგინტურა

***2014 წლის 16 მაისს საქართველოს მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გამოსცა ბრძანება №123, რომელშიც ვკითხულობთ: „ნოტარიუსი ნუნუ გინტური 2014 წლის 17 მაისიდან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, შეუწყდეს ნოტარიუსის უფლებამოსილება და ამოირიცხოს საქართველოს ნოტარიუსთა რეესტრიდან“.***

**წულუკიანის** ამ ბრძანებას საფუძვლად დაედო **ნოტარიუს გინტურის** წინააღმდეგ იუსტიციის სამინისტროში შესული **არაერთი მამხილებელი საჩივარი,** რომლებიც დისციპლინურმა კომისიამ შეისწავლა და დაასკვნა, რომ **გინტურის ნოტარიუსობა აღარ შეიძლებოდა.**

ასე და ამგვარად, **8 წლის წინათ პროფესიული საქმიანობის უფლება ჩამოერთვა ქალს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მძვინვარებისას არაერთ შავბნელ საქმეში იყო გარეული და საზოგადოებამ „ადეიშვილის ნოტარიუსად“ და „ღამის ნოტარიუსად“ გაიცნო.**

**ნუნუ გინტურს** „ადეიშვილის ნოტარიუსი“ იმიტომ შეარქვეს, რომ **ზურაბ ადეიშვილის პროკურატურის** დანაშაულებრივ დავალებებს ასრულებდა და ნაცრეჟიმის მიერ კანონიერი მფლობელებისათვის ქონების წართმევას ნოტარიულად ამოწმებდა.

ვინაიდან კანონიერი მფლობელებისათვის ქონების წართმევა და სააკაშვილის რეჟიმთან დაახლოებული პირებისათვის გადაფორმება **ნუნუ გინტურის სანოტარო ბიუროში, ძირითადად, არასამუშაო საათებში — ღამით და ზოგჯერ შუაღამითაც ხდებოდა, ნუნუ გინტურმა „ღამის ნოტარიუსის“ ზედწოდებაც დაიმსახურა.**

თუ რაოდენ შერწყმული იყო **ნუნუ გინტური სააკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან** და რამხელა ნდობას უცხადებდა მას რეპრესიული სისტემა, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს მისი მონაწილეობა რეჟიმისათვის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საქმეებში, კერძოდ კი, **დამოუკიდებელი ტელევიზიების მიტაცებაში.**

მაგალითად, 2004 წელს ტელეკომპანია **„რუსთავი-2“**-ის მფლობელებს **დავით დვალსა და ჯარჯი აქიმიძეს** სააკაშვილის ხელისუფლებამ არხის საკონტროლო პაკეტი **ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის** სახელზე სწორედ **ნუნუ გინტურის სანოტარო ბიუროში** გადააფორმებინა. **დვალსა და აქიმიძეს** არაერთხელ განუცხადებიათ, რომ **ქიბარ ხალვაში** პირველად სწორედ **გინტურის კანტორაში** ნახეს, როცა იქ ტელევიზიის საკონტროლო პაკეტის გადასაფორმებლად იძულებით იყვნენ მისული. იმავე დვალისა და აქიმიძის თქმით, რეჟიმის მხრიდან მათზე განხორციელებულ ზეწოლაში ხალვაში არ მონაწილეობდა და მან გინტურის ოფისში „რუსთავი-2“-ის მფლობელებს უთხრა — ბიჭებო, მეც თქვენსავით გაუგებრობაში ვარო!

სამაგიეროდ, ადეიშვილის ნოტარიუს გინტურისათვის იყო გასაგები, რატომ იმყოფებოდნენ მასთან **დვალი, აქიმიძე და ხალვაში!**

**ადეიშვილის ნოტარიუსმა გინტურმა** ისიც ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც — ბეჭდით დაამოწმა, თითქოს დვალი და აქიმიძე ხალვაშს ნებაყოფლობით უფორმებდნენ ტელევიზიის საკონტროლო პაკეტს!

**ნუნუ გინტური მონაწილეობდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის საქმეშიც. კერძოდ, ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილს, რომელიც დღეს სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მეხოტბედ არის ქცეული, 2004 წელს ტელევიზიის 51-პროცენტიანი წილი სწორედ გინტურის სანოტარო ბიუროში დაათმობინეს.**

12 წლის შემდეგ, 2016 წლის თებერვალში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის საქმე გახსნილად გამოაცხადა, ხოლო ყოფილი გენერალური პროკურორი **ზურაბ ადეიშვილი** და მისი პირველი მოადგილე **გიორგი ლაცაბიძე** სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. მათი დანაშაული დაადასტურა სასამართლომაც, რომელმაც ადეიშვილს 1 წლითა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ლაცაბიძეს კი 40 000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

აქ თავისთავად ჩნდება კითხვა —

**მაშინ, როცა კანონიერი მფლობელისათვის ტელეკომპანია „იბერიის“ წართმევის საქმეზე ადეიშვილი და მისი პირველი მოადგილე სასამართლომ დამნაშავედ ცნო, წყლიდან მშრალად როგორ ამოვიდა ნოტარიუსი გინტური, რომელმაც ტელევიზიის საკონტროლო პაკეტის იძულებით გადაფორმების დანაშაულებრივ სქემაში უშუალო და პირდაპირი მონაწილეობა მიიღო?**

გასაგებია, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს გინტურს ადეიშვილის პროკურატურა მფარველობდა, მაგრამ 2012 წლის შემდეგ ხომ აღარც სააკაშვილის რეჟიმი არსებობს და აღარც ადეიშვილი ზის გენერალურ პროკურორად?

**იქნებ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსად წოდებულ გინტურს სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმისდროინდელი პროკურორები და მოსამართლეები აფარებენ ხელს, რომლებიც პროკურატურასა და სასამართლო სისტემაში დღესაც მრავლად არიან შემორჩენილი და დიდი გავლენებითაც სარგებლობენ?**

იქნებ სწორედ მათი მეშვეობით შეძლო **ნუნუ გინტურმა** სასამართლოს ძალით გაებათილებინა **თეა წულუკიანის** მიერ 2014 წელს გამოცემული ბრძანება, რომლითაც ნოტარიუსის უფლებამოსილება შეუწყდა?

**დარწმუნებული ვართ, იუსტიციის დღევანდელმა მინისტრმაც მშვენივრად უწყის, ვინ არის და რას წარმოადგენს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური, რომელიც, სხვა თუ არაფერი, 2016 წელს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და თაღლითობის გამო დააკავეს, მაგრამ რატი ბრეგაძე კანონით არ არის ძალმოსილი, გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება გინტურისათვის ნოტარიუსის უფლებამოსილების აღდგენის შესახებ.** თუმცა, იუსტიციის მინისტრს, რომელსაც წესიერი კაცისა და კვალიფიციური ჩინოვნიკის რეპუტაცია აქვს, ის მაინც შეუძლია, რომ ყურად იღოს ნუნუ გინტურის მიერ დაზარალებული მოქალაქეების თხოვნა, პირადად შეხვდეს მათ და გულდასმით გაეცნოს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის მამხილებელ მასალებს, რომლებსაც ბლომად წარუდგენენ.

ვინაიდან საქართველოს სასამართლო სისტემა დღესაც **ზურაბ ადეიშვილის ყოფილი ხელისბიჭების — მურუსიძისა და ჩინჩალაძის** ხელშია, კიდევ უფრო მყარი და საფუძვლი-





## ვიცე-პრემიერმა თეა წულუკიანმა ეს არ უნდა გადაყლაპოს!

### დაზარალებულის ხმა

***თაღლითობაში არაერთგზის მხილებული ავადსახსენებელი ნუნუ გინტურის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ სკანდალური ისტორიები არ წყდება. ამჯერად სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი გოჩა მაჩაიძე აცხადებს, რომ წყეული ზურაბ ადეიშვილის ე.წ. „ღამის ნოტარიუსმა“ 480 ათასი დოლარით აზარალა, რაც ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსაც დამტკიცებული აქვს, მაგრამ ნუნუ გინტურს ქართულ სასამართლოსა და პროკურატურაში მფარველები არა და არ დაელია:***



გოჩა მაჩაიძე:

# გინტურს ვენდე

— ცხოვრებამ მაგრად მცემა... 1984 წელს გარდამეცვალა ბიჭი, რომელიც მაშინ ერთი წლისაც არ იყო... 2006 წელს მეორე შვილიც დამეღუპა — 16 წლის ბიჭი და ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელი... **თავის მოკვლაზე ვფიქრობდი, საშინელ დეპრესიაში ვიყავი, ჩავიკეტე, სახლიდან არ გამოვდიოდი. ასე გადიოდა დრო. რაკი ღმერთმა ინება, რომ უნდა მეცოცხლა, მოგეხსენებათ, ცოცხალ ადამიანს რაღაც-რაღაცები სჭირდება, თან შვილები კიდევ მყავს...** ახლობლები მოვიდნენ და მოკრძალებით მითხრეს — გოჩა, **გიგი უგულავა** გამოვიდა ტელევიზიით, მთელ საქართველოს მოუწოდა, სამშენებლო ბიზნესში თანხები ჩადეთ, თბილისში ერთ კვადრატულ მეტრ ფართობში მერია გარანტირებულ 450 დოლარს გადაიხდის და ხომ არ დაფიქრდები, რამე ხომ არ წამოვიწყოთო! თან ჩემი ყურითაც მოვუსმინე, როცა **სააკაშვილი და უგულავა ხალხს ჰპირდებოდნენ** — იაფ კრედიტს მოგცემთო! რაღაც დანაზოგები მქონდა და სპორტის სასახლის უკან, ოყიოს ქუჩის №13/13ა-ში, რომელსაც დღეს მიროტაძის ქუჩის №7 ჰქვია, ერთსადარბაზოიანი თერთმეტსართულიანი კორპუსის მშენებლობა წამოვიწყეთ... ფუნდამენტის ჩაყრასა და მიწის ზედაპირამდე ამოსვლაში, როცა კედლების მშენებლობა უნდა დამეწყო, დაახლოებით 40 ათასი დოლარი პირადად ჩემი ფული დავხარჯე...

**— ბატონო გოჩა, ამ საქმეში რამდენი პარტნიორი გყავდათ?**

— სულ სამნი ვიყავით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე ავიღე ჩემს თავზე ყველაფერი. როგორც მოსალოდნელი იყო, აფერისტმა სააკაშვილმა და უგულავამ არ გამიკარეს და არავითარი იაფი კრედიტი არ მომცეს, რათა მშენებლობა გამეგრძელებინა. მივედი **„სვის კაპიტალში“,** რომლის დირექტორმა **ჯექსონმა** ძალიან კარგად მიმიღო, რადგან ადგილი მოეწონა და შევთანხმდით, რომ 1 მილიონ 76 ათას დოლარს ტრანშის სახით მივიღებდი. აი, აქ გამოჩნდა სწორედ **„სვის კაპიტალის“ იურისტი, შემდგომში პარლამენტარი ილია წულაია,** რომელმაც სულ მალე ინგლისელი ჯექსონი გააგდო, დირექტორი თავად გახდა და მეორე დირექტორად ვინმე **ირაკლი ქაფიანიძე** შემოიყვანა, რომელმაც ულტიმატუმი წამომიყენა — **ორი ბინა ჩემი დებისთვის მჭირდებაო!**

**— ანუ ორი ბინა მაჩუქეო?**

— არა, მთლად მაგას არ ამბობდა, მაგრამ მიზერულ ფასში უნდოდა ორი ბინა. რომ არ დავთმე, **ირაკლი ქაფიანიძე** ჩემზე გამოიწია. ამ დაპირისპირების დროს **წულაიამ** ჩემი მხარე

# უნდა აილაგმოს!








**იუსტიციის მინისტრს ის მაინც შეუძლია, რომ ყურად იღოს ნუნუ გინტურის მიერ დაზარალებული მოქალაქეების თხოვნა, პირადად შეხვდეს მათ და გულდასმით გაეცნოს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის მამხილებელ მასალებს, რომლებსაც ბლომად წარუდგენენ!**

ანი ხდება ეჭვი იმის შესახებ, რომ სწორედ მათი ხელშეწყობითა და მფარველობით მოახერხა ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა **ნუნუ გინტურმა თეა წულუკიანის ბრძანების გაუქმება** და შეწყვეტილი უფლებამოსილების აღდგენა!

მართალია, **წულუკიანი** დღეს არა იუსტიციის, არამედ კულტურის მინისტრის თანამდებობას იკავებს, მაგრამ იმავდროულად ვიცე-პრემიერიც არის და საქართველოს მთავრობაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს, რომელიც აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, **როგორ და რა მანქანებით შეძლო ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა, აღედგინა მის მიერ ჩამორთმეული უფლებამოსილება?**

დიახ, **თეა წულუკიანისათვის,** როგორც გავლენიანი მინისტრისა და წონადი პოლიტიკური ფიგურისათვის, წესით, პრინციპისა და ღირსების საქმე უნდა იყოს იმის გარკვევა, თუ ვინ გაუბედა თავზე გადახტომა და ვინ მოისროლა ნაგავში **მისი ბრძანება ადეიშვილის ღამის ნოტარიუს გინტურისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ?**

ზოგადად, **ქართული სახელმწიფოს სირცხვილია, რომ ადეიშვილის უბინძურესი სისტემის გოშია — ნუნუ გინტური დღეს არათუ დასჯილი არ არის, არამედ კვლავ ნოტარიუსის უფლებამოსილებით ბრძანდება აღჭურვილი!**

ადეიშვილის უბინძურესი სისტემის გოშია **ნუნუ გინტური** დღეს ისევ ნოტარიუსის უფლებამოსილებით რომ არის აღჭურვილი, ეს ერთადერთ რამეზე მეტყველებს — **საქართველოში სამართლიანობა და კანონის უზენაესობა კვლავინდებურად გაბახებულია!**

არადა, **სანამ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი ნუნუ გინტური თავისუფლად პარპაშებს, ხოლო მის მიერ დაზარალებული და გაწირული ადამიანები სამართალს ვერ პოულობენ, საქართველოს ადეიშვილის ავბედითი აჩრდილი არ მოასვენებს!**

თუ საქართველოს სურს, სამართლებრივ სახელმწიფოდ შედგეს, მაშინ ადეიშვილის აგენტურა და **ა-გინტურ-ა** ერთხელ და სამუდამოდ უნდა აილაგმოს!

***ჯაბა ხუბუა***

## დაზარალებულის ხმა



„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №45, №46

დაიჭირა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაკვირდები, არ გამოვრიცხავ, ეს ყველაფერი სპექტაკლი იყო. მოკლედ, აქედან დაიწყო ჩემი პრობლემები... რაკი **ქაფიანიძე** ჩემზე გამოიქაჩა, თავმოყვარეობამ უფლება არ მომცა, **„სვის კაპიტალთან“** ურთიერთობა გამეგრძელებინა. ამიტომ დავუწყე ძებნა ორგანიზაციას, სადაც „სვის კაპიტალის“ სესხს გადავიტანდი. 810 ათასი დოლარი მქონდა სულ ათვისებული... ნაცნობებმა გამაგზავნეს კოსტავას ქუჩაზე, კაზინო „ევროპასთან“ და მითხრეს — მანდ **ნოტარიუსი ნუნუ გინტურია** და ეგ დაგეხმარება, დიდი კონტაქტები აქვსო! თურმე, სად მიდიხარ, ვისთან მიდიხარ... ასე აღმოვჩნდი ამ თაღლითის კლანჭებში...

**— ეს ყველაფერი როდის ხდება?**

— **ეს ხდება 2011 წელს, როცა სააკაშვილის რეჟიმი ყარს...**

**— ბინის მშენებლობა რა კონდიციამდე გქონდათ მიყვანილი?**

— ბინა უკვე, ფაქტობრივად, აშენებული იყო, მაგრამ საქმის ბოლომდე მისაყვანად თანხის დამატება მჭირდებოდა. მოკლედ, **ნუნუ გინტურმა და ია იაშვილმა** დიდი ამბით მიმიღეს და დამაკავშირეს ირანელ ბიზნესმენს, აწ განსვენებულ **შაჰრან შამილ რაჯაბს,** რომელიც დიდი ბრიტანეთის მოქალაქე იყო და ოფისი დავით გურამიშვილის ძეგლთან ჰქონდა. ვინც **„ბატონო გოჩა“** მითხრა, ყველა ჩემიანად ჩავთვალე. **ჩემდა ჭირად, ვენდე ამ გახრწნილ და უზნეო ნუნუ გინტურსაც, რომელმაც ია იაშვილთან ერთად სულ შაქარი ამოუშვა პირიდან — ბატონო გოჩა, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ამხელა კაცი სად გატაროთ, ეს ირანელი ჩვენი კლიენტია, ჩვენ გვაქვს მაგასთან ურთიერთობა და ამიტომაც შამილ რაჯაბთან ჩვენ თვითონ მოვამზადებთ ხელშეკრულების ტექსტსო!** მოკლედ, ნუნუ გინტურს ვენდე და დავიღუპე კიდეც...

**— რა გააკეთეს?**

— თურმე, **ნუნუ გინტურმა და ია იაშვილმა** ისეთი ტექსტი შეადგინეს, რომ მე ჩემ მიერ აშენებულ კორპუსში ბინების ცალ-ცალკე გაყიდვის უფლება არ მქონდა! ეს გავარკვიე მხოლოდ მას შემდეგ, რაც **შამილ რაჯაბის** 930 ათასი დოლარით „სვის კაპიტალი“ გავისტუმრე და მერე რაჯაბს ვთხოვე — ბინების გაყიდვაში დამეხმარე, რათა შენი ფული გაგისტუმრო-მეთქი! რაჯაბმა ჩაიხედა შეთანხმებაში და მითხრა — **აქ სხვანაირად წერია, ბინებს ცალ-ცალკე ვერ გაყიდი, კორპუსი ერთიანად უნდა გაყიდოო!** თურმე, თერთმეტსართულიანი კორპუსი ერთიანად უნდა გამეყიდა! აი, ამის უფლება მქონდა, მაგრამ ცალ-ცალკე ბინებს ვერ გავყიდდი... გადავირიე... აი, **ეს გამიკეთეს ნუნუ გინტურმა და ია იაშვილმა, რომლებმაც საშუამავლო და მომსახურების ხარჯები ბლომად მიითვალეს!**

**— ამის შემდეგ როგორ წარიმართა ნუნუ გინტურთან თქვენი ურთიერთობა?**

— როცა გავიგე, რაც გამიკეთა, მივაკითხე, მაგრამ **ნუნუ გინტური და ია იაშვილი** უკვე ჩაიკეტნენ... ბოლოს ოფისიდან ფეხი რომ არ მოვიცვალე, **ნუნუ გინტური** გამოვარდა, სახალხოდ ხელები გაშალა და დაიყვირა — **ეს კაცი მომაშორეთო!** რა უნდა მექნა, წამოვედი და **ნუნუ გინტურს** ვუჩივლე. სასამართლო მოვიგე და **შამილ რაჯაბიც** გვერდით დამიდგა, მაგრამ ბინების ცალ-ცალკე გაყიდვის უფლება მაინც არ მომცეს! **ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დაამტკიცა და საბუთიც მომცა, რომ ნუნუ გინტურმა და ია იაშვილმა 480 ათასი დოლარის ზარალი მომაყენეს, მაგრამ ამის მიუხედავად, მოსამართლე ნინო ცოტაძემ გინტური გაამართლა, ხოლო პროკურატურამ ამ გაფუჭებულ ქალს ხელი არ მოჰკიდა!** მე ვუთხარი მაგათ პროკურატურაში — ნუნუ გინტური შეაჩერეთ, თორემ ეს ქალი კიდევ ბევრს დაღუპავს-მეთქი!

**— ახლა რა მდგომარეობა გაქვთ?**

— ნელ-ნელა ბინების გაყიდვა შევძელი... ახლა დარჩენილი მაქვს ორი ბინა და ერთი კომერციული ფართი, რომელიც 210 კვადრატული მეტრია. ამ ყველაფრის საერთო თანხა, ალბათ, ჩემს ვალს დაფარავს. ორი ბიზნესმენი გამოჩნდა, რომლებმაც მიხსნეს და კაცურად გვერდით დამიდგნენ, თორემ **ნუნუ გინტურის გადამკიდე,** სამართალს რომ ვერ მივაღწიე, გადაწყვეტილი მქონდა, ან მეტეხის ხიდიდან სახალხოდ მტკვარში გადავმხტარიყავი, ანდა იარაღით გამომეტანა ჩემი თავისთვის განაჩენი!

ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩენილს, ბევრმა მიჩვენა კეთილი გული და ბევრი დამეხმარა, მაგრამ ბევრიც ამერიდა. **თურმე, პრობლემებში ჩაძირული კაცი კეთროვანს ემსგავსება, არადა, რამდენი მყავს ამოყვანილი უკიდურესი სიღარიბიდან და გაჭირვებიდან!** სასამართლოზე მობინადრეებიც კი გვერდით დამიდგნენ, რადგან დარწმუნდნენ, რომ არავისი არაფერი შემიჭამია და **ნუნუ გინტურმა და ია იაშვილმა** დამღუპეს!

***— რა არის თქვენი ბოლო სიტყვა!***

— ვიცი, რომ ბატონ ბიძინას ჩემთვის არ სცალია! არც **კახი კალაძეს** შევაწუხებ, რადგან ერთ ფეხბურთელს რომ დაეხმაროს, მერე ყველა მიადგება, ნამუსიანი ბიჭია და ცუდ დღეში აღმოჩნდება!

# და დავიღუპე კიდეც!

**სასამართლოსა და პროკურატურას კი მივმართავ: რაკი ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დაამტკიცა, რომ ნუნუ გინტურმა 480 ათასი დოლარით მაზარალა, მოჰკიდეთ ამ გარეწარ ქალს ხელი და პასუხი აგებინეთ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# „ევროკავშირი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული ორგანიზაციაა!“



## დავით ქართველიშვილი:

# ამ თაღლითური გზით მიტაცებული თანხების ბატონ-პატრონი და განმკარგავი სწორედ კეზერაშვილია!



***„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი ე.წ. „ქოლცენტრების“ თემას ეხმიანება და აცხადებს, რომ ევროპარლამენტს ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ კეზერაშვილისა და „ქოლცენტრების“ სკანდალმა ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა და ევროპარლამენტმა ამ საშინელი დანაშაულის ფონზე ივანიშვილისთვის სანქციების დაწესება ვერ გაბედა:***

— მას შემდეგ, რაც ნაცსექტამ საქართველოში გამანადგურებელი მარცხი იწვნია და ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი მოვიდა, საქართველოში, ისრაელში, უკრაინასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს, ან ქართველ ებრაელებს, რომლებთანაც **დავით კეზერაშვილს** ახლო მეგობრული ან ნათესაური ურთიერთობა აქვს, მოუვიდათ იდეა, ევროპელი პენსიონერების ხარჯზე ეშოვათ ასეულობით მილიონი დოლარი ან ევრო და შეექმნათ ე.წ. **„ქოლცენტრები“**... მაგალითად,

**უკრაინაში, კეზერაშვილის ე.წ. „ქოლცენტრების“ შემკრები თუ გამაერთიანებელი შტაბბინა კიევში, სასტუმრო „მანდარინის“ შენობაში, მდებარეობს!**

საახალწლოდ ამ „ქოლცენტრების“ ხელმძღვანელების კორპორატიულ შეკრებაზე ალბანეთიდან ჩამოსული იყო დავით კეზერაშვილის უახლოესი მეგობარი და ალბანეთის თავდაცვის მინისტრის თანაშემწე... ჩემი ინფორმაციით, „ქოლცენტრები“ ასევე მდებარეობს ბალკანეთის ქვეყნებში, მათ შორის, ჩრდილოეთ მაკედონიაში და მათი მართვა ხორციელდება კიევიდან, თბილისიდან და ისრაელიდან...

**— ბატონო დავით, როგორ არჩევენ ე.წ. „ქოლცენტრებში“ დასაქმებული თაღლითები თავიანთ მსხვერპლს?**

— თაღლითები ძირითადად დასტრიალებენ მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფს — ევროპელ პენსიონერებს, ხანდაზმულ ადამიანებს, რომელთა სიები და ტელეფონის ნომრები მათ აქვთ. გერმანელ, ავსტრიელ, ბრიტანელ ან ფრანგ პენსიონერებს ისინი სთავაზობენ ბიტკოინების იაფად ყიდვას, მათი პენსიებისა და დანაზოგების ე.წ. ურისკო ბიზნესში ჩადებას და ა. შ. **იმისათვის რომ კლიენტებთან ნდობაში შევიდნენ, „ქოლცენტრების“ ოპერატორები — ინგლისურად მოლაპარაკე ახალგაზრდა გოგო-ბიჭები თავიანთ მსხვერპლს რაღაც ეტაპზე ფინანსურ ბენეფიტებს აძლევენ, მაგრამ როგორც კი კუში გაიზრდება, თაღლითები მაშინვე ქრებიან...** შესაბამისად, მათი ტელეფონები და საკონტაქტო ნომრებიც ქრება და პენსიონერი გაძარცული რჩება.

**— კეზერაშვილი ამ ყველაფერთან რა კავშირშია?**

— ჩემი ინფორმაციით, **დავით კეზერაშვილი** ამ ყველაფრის სათავეშია! სწორედ კეზერაშვილია ამ თაღლითური გზით მიტაცებული თანხების ბატონ-პატრონი და განმკარგავი. 2013 წლის შემდეგ „ქოლცენტრების“ საშუალებით მიტაცებული თანხებით ფინანსდებიან ნაცმოძრაობაც, მასთან აფილირებული ტელევიზიებიც და არასამთავრობოებიც... მთელ ამ კრიმინალურ ისტორიას სოლიდურობასა და განსაკუთრებულ დამაჯერებლობას სძენს ის ფაქტი, რომ ე.წ. „ქოლცენტრების“ სქემით გერმანიის პოლიციაც დაინტერესდა...

**— ნუთუ ზელენსკის ხელისუფლებამ არ იცის, რომ კიევში, სასტუმრო „მანდარინის“ შენობაში, კეზერაშვილის ე.წ. „ქოლცენტრია“?**

— ზელენსკიმ ესეც იცის და ისიც კარგად უწყის, რას სჩადიოდნენ საქართველოში ნაძირალა **კოხტა კოდუა, ალექსანდრე მუხაძე, ანუ „ქილერა“ და ზურაბ ადეიშვილი,** მაგრამ რომელიმე მათგანს ხმა უბატონოდ გასცა? პირიქით, ეს კრიმინალები დააწინაურა, წაახალისა და გვერდით მოისვა...

**კიევის ოფიციოზი ქართველი კრიმინალებისა და სისხლიანი დამნაშავეების ბუნაგად იქცა. ასე რომ, კეზერაშვილის „ქოლცენტრების“ შესახებ ზელენსკიმ ყველაფერი იცის!**

**— თუ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ კეზერაშვილს ამ ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმეზე ბრალი ოფიციალურად წაუყენა და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, მაშინ რა იქნება, საქართველოს ხელისუფლებას ევროპარლამენტიდან ისევ ეტყვიან, რომ „მედიამენეჯერსა“ და „პოლიტიკურ ოპონენტს“ დევნის?**

— ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას და, მათ შორის, გერმანიას თავმოყვარეობა თუ შერჩა, დავით კეზერაშვილზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა უნდა გამოაცხადოს! საქართველოს რომ თავი დავანებოთ, ეს გერმანიამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გააკეთოს, რადგან, ჩემი ინფორმაციით, ამ ბანდას ყველაზე მეტად სწორედ გერმანელი პენსიონერები ჰყავს დაზარალებული და გაძარცული!

**— თუკი ეს ასე არ გაკეთდება და კეზერაშვილზე ევროპული სახელმწიფოები ძებნას არ გამოაცხადებენ, მაშინ მომხდარის შესახებ რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ?**

— ჩემი ინფორმაციით, ევროპარლამენტს **ბიძინა ივანიშვილისთვის** სანქციების დაწესება გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ კეზერაშვილისა და „ქოლცენტრების“ სკანდალმა ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა და ევროპარლამენტმა ამ საშინელი დანაშაულის ფონზე ივანიშვილისთვის სანქციების დაწესება ვერ გაბედა!

**კეზერაშვილზე ძებნის გამოცხადება და მისი დაპატიმრება დღეს ევროკავშირისთვის ტესტია!** ევროდეპუტატებმა ჩვენზე უკეთ იციან, რას აკეთებს კეზერაშვილი და რით არის დაკავებული მისი შტაბბინა კუნძულ კვიპროსზე, სადაც ის დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. ცნობისათვის, **ევროკავშირი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული ორგანიზაციაა.** კერძოდ, ყოველწლიურად ევროკომისარი საშინაო საქმეებში აკეთებს მოხსენებას და აბარებს ანგარიშს ევროკავშირის ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშინელი ანგარიში, რომელიც წავიკითხე, ეკუთვნის **სესილია მალშტრომს,** რომელმაც განაცხადა, რომ ევროკავშირის ნომერ პირველი პრობლემა არის დახარვეზებული დემოკრატია და ტოტალური კორუფცია, რომელიც ყოველწლიურად შეადგენს **120 მილიარდ ევროს!**

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— როცა ევროკომისარი ოფიციალურად მეუბნება, რომ ევროკავშირში ყოველწლიური კორუფცია **120 მილიარდ ევროს** აღწევს, რატომ არ უნდა დავუშვა, რომ შესაძლოა, ამ კორუფციულ სივრცეს განეკუთვნება რამდენიმე ის ევროპარლამენტარი, რომელიც ფულის სანაცვლოდ მოწადინებულია, საქართველოს ჩირქი მოსცხოს და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ უბინძურესი რეზოლუციები გამოაცხოს? ცხადია, ამის ალბათობა დიდზე დიდია!

**— კეზერაშვილის მილიარდები მხოლოდ მას ეკუთვნის თუ ეს სააკაშვილის ფულია?**

— არა, **ეს კორპორატიული ფულია! ეს არის ბანდის მიერ ქართველი ხალხის ძარცვა-გლეჯით მოპოვებული ფული, რომელსაც ატრიალებენ...** ამ ეტაპზე ამ პარტიული „ობშიაგის“ მოლარედ სააკაშვილის მიერ დანიშნულია **დავით კეზერაშვილი.** რამდენად მარტოა ის ამ ფულის მართვაში და ჰყავს თუ არა გვერდით **თემურ ალასანია** ან სხვა მისი მსგავსი ოდიოზური ფიგურა, ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით, თუმცა, ჩემი ინტუიციით,

**თემურ ალასანიას გარეშე კეზერაშვილი ამოდენა ფულს ვერ მართავს!**

**— გამოძვრება თუ არა ამ საქმიდან კეზერაშვილი?**

— გიმეორებთ: ეს დამოკიდებულია იმაზე, ეყოფა თუ არა ევროკავშირს ღირსება, დააპატიმროს თავისი პენსიონერების ფულების ქურდი, რომელსაც ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი „კეთილმოსურნე“ „მედიამენეჯერსა“ და „პოლიტიკურ დევნილს“ უწოდებს!

# „2013 წლის შემდეგ „ქოლცენტრების“ საშუალებით მიტაცებული თანხებით ფინანსდებიან ნაცმოძრაობაც, მასთან აფილირებული ტელევიზიებიც და არასამთავრობოებიც!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ემზარ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



**კეზერაშვილის** სხეულზე ჩამოცმული სამართლებრივი თოკი თანდათანობით უფრო მყარად ვიწროვდება და სულ მალე იქნება ის დრო, როდესაც **ქართული სახელმწიფოსა და ჯარის მძარცველი კეზერა საბოლოოდ გაიკოჭება!** ახლა ხომ ვერ იტყვიან, პოლიტიკურიაო, გერმანელ სამართალდამცავებთან ერთად მიმდინარეობდა ეს გამოძიება.

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



ცოტაც დარჩა, ვიდრე ე.წ. **ქოლცენტრების საქმეზე** ბრალს **კეზერაშვილსაც** წაუყენებენ! **ქართველმა ოლიგარქმა** ზუსტად იცის, რომ **ევროპელი სამართალდამცველები** მალე მის კართანაც მიაკაკუნებენ!

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ **„ქოლცენტრის“ თაღლითური სქემის** სათავეში, რომელმაც ასიათასობით პენსიონერი გააუბედურა, სწორედ **ოლიგარქი კეზერა** დგას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ძებნილი ოლიგარქის **დავით კეზერაშვილის** ცაზე ძალიან მოიღრუბლა. მის ურეიტინგო ტელეარხს **„ფორმულას“** ვეღარ დააფინანსებს შავი ფულით.

„იმედინიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



არ შეიძლება, **ბიუჯეტის ქურდს** უწოდო **მედიამენეჯერი** და **მეცენატს** — **ოლიგარქი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

*თავის დროზე სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით გადაჭრით ბრძანა: „არა და არასოდეს!“ ხომ არ გადათქვამს საქართველოს პრეზიდენტი თავის დანაპირებს? — ამ კითხვით მივმართეთ სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელს, ექსგუბერნატორ ლევან მამალაძეს:*

## „ყველამ ვიცოდით, რომ სააკაშვილი ბავშვობიდანვე იყო რეგისტრირებული ფსიქიატრიულ დისპანსერში!“



## ლევან მამალაძე:

# შეიძლება, სააკაშვილს მართლაც ჰქონდეს ფსიქიკური პრობლემები, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ კამოსავით აფერისტობდეს, რომელმაც საკუთარი განავალი შეჭამა!

— სალომე ზურაბიშვილს მორალური პრინციპები ხელს არ შეუშლის, თავისი სიტყვები გადათქვას. ერთხელ გააკეთა ასე თუ ორჯერ? დადასტურებული დამნაშავეები შეიწყალა მაშინ, როცა უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ არასოდეს შეიწყალებდა.

ახლა განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“, რადგან მისი „უნიკალურობა“ ვერ დაინახეს. ასე თვლის თვითონ და ვშიშობ, სააკაშვილის შეწყალებით ან საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაშვებით ნიშნი არ მოუგოს „ქართულ ოცნებას“, რითიც დავალებას შეუსრულებს სააკაშვილის მიერ გაწუწკებულ ევროპარლამენტარებს.

**— თუ ასე მოხდა, თქვენი აზრით, ამას ზურაბიშვილის იმპიჩმენტი მოჰყვება?**

— ეს ქალბატონი, როგორც ვთქვი, ქვეყნისთვის სასარგებლოს მაინც არაფერს აკეთებს და ამიტომ არც ესაა გამორიცხული, მაგრამ მაინტერესებს, თვითონ რატომ არ ფიქრობს, როგორ შევა ის საქართველოს ისტორიაში?! და, საერთოდ, უბედურებაა, რომ ყველა პრეზიდენტი ექსპერიმენტს ატარებს ჩვენზე.

**— ეს ექსპერიმენტი ძალიან ძვირად დაუჯდა სააკაშვილს, რომელმაც განსაკუთრებულად კომფორტულ ციხის პირობებსაც კი ვერ გაუძლო...**

— ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, რომ სააკაშვილი ფსიქიკურად არანორმალური იყო. ტელეკომპანია „მზის“ ეთერში დებატების დროს ვუთხარი კიდეც — წავიდეთ ფსიქიატრიულში და ორივე შეგვამოწმონ-მეთქი. ამის გაგონებაზე წამოხტა და გაიქცა ეთერიდან. მერე, როცა უკვე პრეზიდენტი გახდა, ისე იყო დაზაფრული, ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიული დაწესებულება გაანადგურა. სხვათაშორის,

**2003 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, მე ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი, რომ ჩატარებულიყო ორი სახის შემოწმება – ნარკოლოგიური და ფსიქიატრიული. სწორედ სააკაშვილმა გააკეთა ყველაფერი, რომ ფსიქიატრიული შემოწმება აუცილებელი არ ყოფილიყო.**

ნარკოლოგიური შემოწმება კი დარჩა, იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილის ახლო გარემოცვა ამასაც ეწინააღმდეგებოდა. იმ ხანებში ამ სიახლეს დასავლელი პოლიტმრჩევლები უჭერდნენ მხარს და ნაცები ვერაფერს გახდნენ, ფსიქიატრიული შემოწმება კი ამოიღეს. **მაშინ ყველამ ვიცოდით, რომ სააკაშვილი ბავშვობიდანვე იყო რეგისტრირებული ფსიქიატრიულ დისპანსერში.**

მიშას „აპეკუნები“ ადგილობრივ ექიმებს არ ენდობიან, ჩამოჰყავთ უცხოელები, ძირითადად, ნევროპათოლოგები, ფსიქიატრები, ნერვული აშლილობის სპეციალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სააკაშვილს აქვს **დემენციის ნიშნები,** აღმოცენებული თავის ტვინის ქრონიკული ან პროგრესირებადი დაავადების შედეგად და ახასიათებს ემოციათა კონტროლის უნარის დაქვეითება, სოციალური ქცევის ან მოტივაციის დარღვევები. მიშას არ ახსოვს, რა ხდებოდა, რა ხდება მის თავს და ა.შ.

**— შეუძლოდ, ალბათ, არის, მაგრამ მეგონა, ცოტას აფერისტობდა კიდევაც...**

— ალბათ, ესეც არის, მაგრამ სააკაშვილის შემთხვევა არის ერთადერთი მთელ მსოფლიოში. სხვა მაგალითი არ მახსოვს, პრეზიდენტი იქნებოდა თუ რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი, ასეთი ყურადღების ცენტრში ყოფილიყოს. მთელი საქართველო იმ რეჟიმშია, როგორ ჩაისუნთქავს და როგორ ამოისუნთქავს გიულის ბიჭი. მოკლედ, ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ გაიყვანონ საქართველოდან, ვითომ სამკურნალოდ.







რა თქმა უნდა, შეიძლება, სააკაშვილს მართლაც ჰქონდეს ფსიქიკური პრობლემები, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ კამოსავით აფერისტობდეს, რომელმაც საკუთარი განავალი შეჭამა!

**სააკაშვილი ჩვენთან შემოგზავნილი იყო არეულობის მოსაწყობად. ეს ფუნქცია მან ვერ შეასრულა, გაეხვია თავის სულელურ ამბიციებში და ახლა სურთ, აქაურობას გაარიდონ, კანონზე მაღლა დააყენონ მისი აბსურდული მოთხოვნები.**

**— როგორც რუზველტმა თქვა დიქტატორ სამოსაზე, „ის ძაღლისშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილიაო“... არადა, მაგათი მხარდაჭერილი „დემოკრატიის შუქურა“ გიჟი რომ გამოდგეს?**

— რას ამბობთ? რამდენი დიქტატორი და არანორმალური იყო სხვადასხვა ქვეყნის სათავეში, რომლებსაც დასავლეთი და ამერიკა უჭერდა მხარს, მაგრამ არავის შეუწუხებია თავი და არც სირცხვილით გაწითლებულა ვინმე. კარიბის ქვეყნები გაიხსენეთ, სამხრეთ ამერიკელი დიქტატორები, იგივე **„ძაღლიშვილი“ სამოსა;** ასე რომ, არავის შერცხვება, „დემოკრატიის შუქურა“ ფსიქიკურად შეშლილი რომ იყოს!

სხვა ინტერესი არ არსებობს:

**სურთ, საქართველოში არეულობის შექმნა, ბიძინა ივანიშვილზე დარტყმების განხორციელება, მისი ქვეყნიდან გაძევება, რომ „ქართული ოცნება“ დარჩეს დამფუძნებლის გარეშე და ხელისუფლების დამხობა ადვილად შესაძლებელი გახდეს!**

## „ვშიშობ, სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილის შეწყალებით ან საზღვარგარეთ გაშვებით „ქართულ ოცნებას“ ნიშნი არ მოუგოს!“

*ესაუბრა* ***ირანდა კალანდაძე***

## კვირგვინოსნები

**ვაჟა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



**ზურაბიშვილი** ანგარიშს უწევს „ოცნებას“. არ ვარ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტი შეიწყალებს **გვარამიას.**

„ახალი თაობა“

**ნიკა რიჩაძე**
*ექსპერტი*



პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილება, **შეიწყალოს პატიმარი კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით,** მაგრამ მე მოლოდინი მაქვს, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტი არ განიხილავს **ნიკა გვარამიას** შეწყალების საკითხს.

„ახალი თაობა“

**ვატო გელაშვილი**
*„შეაჩერე კორუფციას“ თანადამფუძნებელი*



ხომ ხედავთ, რა დაემართა **ნიკა მელიას?** მისი რეიტინგი უკვე ნულს ქვემოთაა. **ოფისში რომ მიდის, დარაჯი კარსაც არ უღებს,** მაქვს კომუნიკაცია პარტიის წევრებთან და ვიცი, არ სიამოვნებთ მისი მისვლა ოფისში. მუდამ დამარცხებულია, **ნიკა მელია გახდა მარცხის სინონიმი,** ორ ჯოკერში გაიხიშტა.

„ალია“

**მარინე ჯიშკარიანი**
*ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელი*



**სააკაშვილის** ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ეს, **სასჯელის გადავადების ნაცვლად,** შესაძლოა, **მისი გათავისუფლების** საფუძველი გახდეს.

„რეზონანსი“

**პეტრე ცაავა**
*ჭყონდიდის გადაყენებული მიტროპოლიტი*



რაღაც გონივრულვადაში თუ **მამალაძეს** არ გაათავისუფლებენ, რაღაც უკიდურესი ზომებია მისაღები.

„ახალი თაობა“

**გოგიტა მურცხვალაძე** *შშმ პირის მამაა. ის რამდენიმე დღის წინათ დაგვიკავშირდა და კატეგორიულად გვთხოვა:* **გააფრთხილეთ ხელისუფლება და ხალხი, რომ სახალხო დამცველად აღარ აირჩიონ ნინო ლომჯარიასნაირი ადამიანი:**



# „ერთ საპროტესტო აქციაზე სააკაშვილის ცოლს ბენზინი შევასხი და სანამ ცეცხლს მოვუკიდებდი, დაცვამ გაიყვანა სამშვიდობოზე!"



## გოგიტა მურცხვალაძე:

# ვის დაეხმარნენ, იქნებ გაგვაგებინოთ?



— რაც ბოლო დროს საქართველოს ომბუდსმენები ჰყოლია, ზოგი ლგბტ-ების დამცველი იყო, ზოგი — სააკაშვილის, ზოგიც — სხვა დამნაშავეების. ნამდვილი სახალხო დამცველი საქართველოს არ ღირსებია. სიტყვა სახალხო მაინც ამოაგდონ მაგ ტიტულიდან, მაინც არ იცავენ უბრალო მოქალაქეების უფლებებს.

ინვალიდი შვილი მყავს და ამ მდგომარეობაში სახელმწიფო ინსტიტუციებმა და უპასუხისმგებლო ექიმებმა ჩააგდეს. თავის დროზე **ნანული შევარდნაძესაც** ვთხოვდი ყურადღებას, **სანდრა რულოვსსაც,** მაგრამ ორივე იმდენად უგულოდ მოგვექცა, რომ ერთ საპროტესტო აქციაზე სააკაშვილის ცოლს ბენზინი შევასხი და სანამ ცეცხლს მოვუკიდებდი, დაცვამ გაიყვანა სამშვიდობოზე.

დიახ, როცა იცი, რომ შვილი ექიმების უგულისყურობით არის ამ დღეში, ყველაფერს გააკეთებ გამწარებული მშობელი და ვერავინ გამამტყუნებს.

არასოდეს დამავიწყდება ლომჯარიას ბოლო პასუხი ჩემს მრავალრიცხოვან მიმართვებზე — თურმე, ჩემი ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახი სახალხო დამცველისთვის პრიორიტეტული არ ყოფილა, მაგრამ სააკაშვილს ფრჩხილი რომ წამოსტკივდეს ან მის ცოლებს რამე გაუჭირდეთ, ფეხზე დგას მთელი მაგათი აპარატი.

როცა ბათუმში მივმართე სახალხო დამცველის ადგილობრივ ორგანიზაციას, ჩემი მდგომარეობით კი არ დაინტერესდნენ, აქეთ დამიწყეს ჭკუის სწავლება — პრეტენზია გამოთქვი ირაკლი ღარიბაშვილზე, ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებაზეო"...

***— როცა დამიკავშირდით, მახსოვს, გამოფენაზე დამპატიჟეთ. რა გამოფენაა ეს?***

— ჩემი შვილის მსგავსად დაავადებით შეწუხებული კიდევ 17 ბავშვი გაწევრიანებულია ორგანიზაციაში, რომელიც საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვებს ატარებს. უახლოეს ხანში ვაპირებთ ახალი ექსპოზიციის მოწყობას, სადაც დაპატიჟებული გვყავს პრემიერ-მინისტრი და ქალაქის მერი. თუ თვითონ ვერ მოვლენ, იქნებ თავიანთი წარმომადგენლები მაინც გამოაგზავნონ.

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ასეთ გამოფენაზე მაშინდელი თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი** მოვიწვიეთ. საქმის კურსში იყო, როგორც ვიცი, მაშინდელი მინისტრის მოადგილე თვალებჟუჟუნა **ანა დოლიძეც,** რომელიც ახლა სიმართლეს და სამართლიანობას ჰპირდება ხალხს. მოლაპარაკებები გვქონდა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელთან **თამარ კაციტაძესთანაც,** რომ თავდაცვის სამინისტრო დაკავდებოდა გამოფენის პატრონაჟით. **გამოფენის დღეს მობრძანდა ქალბატონი კაციტაძე, მოიყვანა ხუთი-ექვსი ტელევიზია, დადგა კამერების წინ, ჩვენ არავინ არაფერს შეგვეკითხა, ილაპარაკეს, რომ თავდაცვის სამინისტრო ეხმარება ინვალიდ ბავშვებს, აწყობს საქველმოქმედო აქციებს და მორჩა, ადგნენ და წავიდნენ.** ეს იყო თავზარდამცემი, თითქმის სიკვდილის ტოლფასი ამბავი. როცა რომელიმე ორგანიზაცია პატრონაჟს უწევს ღონისძიებას, ის იხდის გარკვეულ თანხას, ყიდულობენ ნახატებს. ამ გამოფენის ორგანიზებისთვის 3000 ლარამდე სწრაფი სესხი მქონდა გამოტანილი საქართველოს ბანკიდან, რომელიც მერე წლების განმავლობაში გაჭირვებით დავფარე. იმ ხანებში ხიდაშელის მეუღლეს შევხვდი და ვუთხარი — თქვენმა ცოლმა მოგვატყუა და ამის გამო ვალები დამედო-მეთქი. უსუფაშვილმა მიპასუხა: **ჩემი ცოლის საქმეში მე არ ვერევი, რაც გინდათ, ის ქენითო.** ამ კაცუნას და მედროვეს როგორ უნდა ენდოს პარტია და ადამიანი ან ის „ლელო" რა პარტიაა, სადაც უსუფაშვილი არის შემძვრალი ვირთხასავით?!

სხვათაშორის, **„ლელოშიც"** ვიყავი. შენობაში არ შემიშვეს, მაგრამ ერთი გოგონა გამოვიდა და ტელეფონის ნომერი მომცა, ვინმე ქალბატონ თეონას დაურეკეთ, თქვენი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათო. ქალბატონი თეონა **თეონა დოლენჯაშვილი** აღმოჩნდა. დავწერე განცხადება, დავურთე საგაზეთო სტატიები, სადაც ჩემი შვილის შესახებ იყო გამოქვეყნებული. ქალბატონმა თეონამ მითხრა: **დაგეხმარებათ პარტია, მაგრამ არ გვინდა, ეს ამომრჩევლის მოსყიდვაში ჩაგვეთვალოს, რაიმეს მოვიფიქრებთ და მოგვიანებით დაგვიკავშირდითო.** ჩემს შვილს ყოველთვე ძვირადღირებული წამლები სჭირდება, მაგრამ იმედიანად ვიყავით. ასე წვალებ-წვალებაში გავიდა ოთხი თვე და დავურეკე — რაიმე ხომ არ გადაწყვიტეთ, იქნებ ერთი თვის წამლის ფულით მაინც დაგვეხმაროთ-მეთქი. უცებ იღრიალა ქალბატონმა თეონამ — აქ მეორედ აღარ დარეკოთ, თორემ ჩვენი ბიჭები მოგხედავენო. გამოდის, რომ პარტია კუნთებიანი ბიჭებით აშინებს ამომრჩეველს და ასე უნდათ არჩევნებში გამარჯვება?

ძალიან მიკვირს, როცა ტელევიზიებით აცხადებენ, საქართველოს ფინანსურად დაეხმარნენო. ნუ გვაყვედრიან ნურც ამერიკა და ნურც ევროპა — ამდენი და ამდენი თანხა გადმოვრიცხეთო... ხალხს არაფერი გაგვიგია და ვის დაეხმარნენ, იქნებ გაგვაგებინოთ?

*ესაუბრა* ***ირანდა კალანდაძე***



# ჩალაძირად განწირულები

***საქართველოში მეხივით გავარდა ამბავი, გიორგი ჩალაძემ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობაზე თავისი კანდიდატურა წარადგინაო. სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე, ვიფიქრე, უგონებენ, უბრალოდ, აშაყირებენ-მეთქი. თურმე, სადა ვბანაობ?***



გიორგი ჩალაძე და მიხეილ სააკაშვილი

მოკლედ, **ჩალაძეს** ისეთი წერილი დაუწერია, რომ წაიკითხავთ, გული საგულეს აღარ გაგიჩერდებათ — პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს, საჭიროა ეფექტური მოქმედებაო. პრეზიდენტი სააკაშვილიო, განა ყოფილიო? მისთვის მიხეილი ისევ პრეზიდენტია. **როგორც საქართველოში იციან ხოლმე, უმალვე გამოხტნენ „ჭორიკნები" — ეგ ის ჩალაძეა, გიულ-დედულის შერთვას რომ აპირებს, მალულად შეიძლება შეირთო კიდევაც, კაციც ეგა ყოფილა, ქუდიც მაგასა ჰხურებია, ჯერ ყოფილი პრეზიდენტის ოჯახი დაიპყრო, მერე მისი პირადი ექიმი გახდა, ახლა კიდევ პარტიას ეპოტინებაო.** როგორ ფიქრობთ, ვინმე ჩალაძე იმ „ბაგაჟისაა", ეგეთი რამე გიულ-დედულის ძმის **თემურ ალასანიას** დასტურის გარეშე წამოროშოს? შანსი არ არი, რაკი ამან გაარახუნა, გამოდის, ეს უკვე ოჯახის „მკაფიო" გადაწყვეტილებაა.

**ვინმე ჩალაძე, რომელსაც პოლიტიკაში თავი ამომავალი ვარსკვლავი ჰგონია, თავის წერილში წუხს, რომ დღემდე მიხეილის გათავისუფლება ვერ მოხერხდა.** თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საკითხში დიპლომატიურ მეთოდსაც კი იყენებს — მე წარსულზე დროის დაკარგვას არ ვაპირებ, აზრი აღარ აქვს, მაინც ვერაფერს შევცვლი, აწი ერთად უნდა შევქმნათ ჩვენი დიადი მომავალიო... საინტერესოა, ვის მიმართავს ვინმე ჩალაძე — **ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ დიადი მომავალიო?** ვის და... ქართველ ხალხს, საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობას, პათოსიდანაც აშკარად ჩანს, რომ მას თავი უკვე ეროვნული ლიდერი ჰგონია! მოკლედ, იგი მზად არის, პასუხისმგებლობა აიღოს და ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს, რომელიც სააკაშვილის გათავისუფლებით დასრულდება.

მინდა-არ მინდა, ამ დღეებში იმდენს ლაპარაკობენ „ნაცთა ვარამზე", უნებურად ვფიქრობ —

**თუ მოვლენები გიულ-დედულისა და მისი ძმის გრაფიკით განვითარდა, ნაციონალური მოძრაობა მომავალ არჩევნებამდე ვეღარ მიაღწევს. თუმცა, ეს ე.წ. პარტია, ფაქტობრივად, უკვე დაშლილია,**

**ხოლო უახლოეს მომავალში საერთოდ გაქრება.**

ავი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ პარტიის ხელში ჩასაგდებად იბრძვიან **ვანო მერაბიშვილი** და **ძმები ახალაიები,** ამასთან, შინაგან საქმთა ყოფილი მინისტრი ამჯერად ძებნილ **დავით კეზერაშვილის** მითითებებს ასრულებს. და აქ იკვეთება ნაციონალური ხროვის ახალი ამომავალი ვარსკვლავის, დეპუტატ ლევან ხაბეიშვილის უჭკნობი ფიგურა, რომელმაც კაი მაყუთი იშოვა და არამხოლოდ შარვალ-კასტუმი გამოიცვალა, ორი ცალი დაცვაც აიყვანა — თუ ადრე მარტო დაბოდიალობდა, ახლა სამნი დაბოდიალობენ. თან არ დაგავიწყდეთ, „ხაბეს" ძვირადღირებული სათვალეც შეუძენია და სოლარიუმში „ზაგარიც" მიუღია. ვაი რომ, **სასაცილო მდგომარეობაში არიან ეს უბედურები, ამასწინებზე დედისგან დაწყევლილმა ხაბეიშვილმა ტელევიზორში განაცხადა — ჩვენ უკვე ხელისუფლებაში მოსასვლელად ვემზადებითო. ჰო, რა ვიცი, როგორც ჩანს, მართლა ემზადება, ამიტომაც უყიდა კეზერაშვილმა ახალი შარვალ-კასტუმი.**



გიული ალასანია და გიორგი ჩალაძე

სხვათაშორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხროვას რამდენიმე ევროპარლამენტარიც აგულიანებს — **კუბილიუსები, იუკნევიჩიანეები** თუ **მარკეტები** მათ ჰპირდებიან, რომ ამ ხელისუფლებას უახლოეს ხანში გადააყენებენ, ვადამდელ არჩევნებს დაანიშნინებენ და მერე გზა ხსნილი ექნებათ. ჭკუანაკლული ევროპარლამენტარები ვერ ხვდებიან, რომ საქართველოს ხელისუფლება აღარ არის დაუძლურებული, ხოლო ძალოვან უწყებებს თავისუფლად შეუძლიათ, მოიგერიონ შინაური თუ გარეული მავნებლები! **ეს აშკარად დაგვანახა ქოლცენტრების საქმემაც, როცა გერმანელ სამართალდამცავებთან ერთად კეზერაშვილის ე.წ. ბიზნესი „დააწიოკეს".** რაც მთავარია, ამ ფარჩაკებს არა აქვთ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა — ბოლო გამოკითხვებით ნაცმოძრაობის რეიტინგი 8%-მდეა ჩამოსული!

ზემოთ **ძმები ახალაიები** ვახსენეთ... ავი ენების თქმით, ისინი მხარს უჭერენ **ნიკანორ მელიას,** რადგან ვანო მერაბიშვილთან ყოველთვის დაპირისპირებულები იყვნენ და ერთად ვერც ახლა მოძოვენ. ზოგიერთნი უკვე ალაპარაკდნენ აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაურის **ლევან ვარშალომიძის** კანდიდატურაზეც, რომელიც სააკაშვილის „ლუბიმჩიკია" ისევე, როგორც გავარვარებული ნაციონალი **ხატია დეკანოიძე,** მაგრამ ის კატეგორიულად აცხადებს — ჩემი კანდიდატურის დაყენებას არ ვაპირებო.

„ქართული ოცნების" თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** თქმით, თავმჯდომარის სავარძელზე ასევე თვალი უჭირავს ნაცმოძრაობის გენმდივან **პეტრე ცისკარიშვილს,** რომელიც აშკარად შეშინებულია, სადღაც რაღაც აქვს მიქარული. **ისე, რაღა დაგიმალოთ და... ფაქტია, ნაცმოძრაობას სათავმჯდომარეოდ ერთი ხეირიანი კანდიდატიც არ ჰყავს, ნებისმიერის არჩევისა თუ დანიშვნის შემდეგ ეს პარტია განწირულია დასაშლელად!**

***გელა ზედელაშვილი***

№36-37 (160-161) ★ 2022 წლის 14 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*უკანასკნელ ხანს ინტერნეტსივრცეში ხშირად წააწყდებით წინამდებარე კოლაჟს, რომელზეც ლენინისთავიანი, ანუ, ფაქტობრივად, თავწაჭრილი ამერიკის თავისუფლების ქანდაკებაა გამოსახული...*

# ბაიდენი ლენინის ფაზაში შევიდა!

## ვინ გადაარჩენს ამერიკას, რომელიც ბაიდენისა და მისი ბანდის მიერ გაქეზებულმა და დაფინანსებულმა მამათმავლებმა დაიპყრეს?



ეს კოლაჟი, ერთი შეხედვით, სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში უზუსტესად ასახავს იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში უბინძურესი სისტემის სახე შეიძინა და პლანეტის ზესახელმწიფოს, ფაქტობრივად, მორალური საფუძველი გამოაცალა. **ისტორია კი გვასწავლის, რომ ყველა უდიდესი იმპერია მაშინ დაინგრა და გაცამტვერდა, როცა მას ზნეობრივი ფუნდამენტი მოერყა. ასე დაემართა რომს, რომელიც ბარბაროსთა შემოსევებს კი არა, იმპერატორთა აღვირახსნილობას გადაჰყვა, როცა კალიგულებმა, ჰელიოგაბალებმა თუ კომოდუსებმა თავიანთი დედებისა და დების საწოლში დაიწყეს ძრომიალი...** ასე დაემართა **ბიზანტიასაც** და, როგორც ჩანს, იმავე ბედს გაიზიარებს **ბაიდენის ამერიკაც**, რომელმაც **შეერთებულ შტატებში, ფაქტობრივად, ბოლშევიზმი აღორძინა და ყველა იმ გარყვნილებისა და უზნეობის აპოლოგეტი გახდა, რომელსაც წყეულმა ლენინმა და სექტანტმა ტროცკიმ ბოლშევიკურ რუსეთში თავის დროზე უდიდესი პროპაგანდა გაუწიეს.**

მაგალითად, **ლენინი და ტროცკი** ჯერ კიდევ 1911 წელს ერთმანეთს სწერდნენ და უმტკიცებდნენ, რომ **„ოჯახი, როგორც ბურჟუაზიული ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს“**, ხოლო **„ყველანაირი სექსუალური შეზღუდვა, მათ შორის, სექსუალური დისკრიმინაცია და ერთნაირსქესიანთა სიყვარულის აკრძალვა უნდა შეწყდეს!“**

როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, **ლენინმა და ტროცკიმ,** პეტროგრადსა და მოსკოვში ცნობილი გერმანელი ჰომოსექსუალები დიდი ამბით მოიწვიეს და საჯარო ლექციები წააკითხეს, ხოლო **ის კანონი, რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიაში მამათმავლობა 5 წლით ციმბირში გადასახლებით ისჯებოდა, სასწრაფოდ გააუქმეს და შექმნეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „ძირს სირცხვილი!“** სწორედ **ლენინისა და ტროცკის** გარყვნილი იდეების შედეგი გახლდათ ის საზიზღრობა, რომ მართლმადიდებელი რუსეთის სატახტო ქალაქში — **პეტროგრადში, 1918 წლის ივნისში რამდენიმე ასეულმა ქალმა და კაცმა სრულიად შიშველმა ქუჩაში ჩაიარა...** ლესბოსელებმა და ჰომოსექსუალებმა იგივე გაიმეორეს რუსეთის სხვა ქალაქებშიც, მაგრამ ამასობაში **ლენინი** ჩაძაღლდა, ხელისუფლებას **სტალინი** დაეპატრონა და 1925 წელს **იაგო ხვიჩიასა და ზურაბ-ბირჩი ჯაფარიძის** სულიერი წინაპრების მიერ შექმნილი უბინძურესი ორგანიზაცია **„ძირს სირცხვილი!“** აკრძალა. **ბელადი 1932 წლიდან საბჭოთა გეი-მაფიასაც დაერია და ლენინისა და ტროცკის მიერ დამტკიცებული და წახალისებული სოდომისტების თხუთმეტწლიანი პარპაში დაასამარა!**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არაფერია გასაკვირი იმ სკანდალურ მასალაში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა და რომელიც ადასტურებს, რომ ლენინი და გერშელ ზინოვიევი გარყვნილი მამათმავლები იყვნენ!

**პრეზიდენტი ბაიდენი, რომელსაც ქვეყნებსა და სახელმწიფოებში ერთნაირსქესიანი ქორწინების დაკანონება იდეა-ფიქსად ექცა, შევიდა სწორედ იმ ფაზაში, რა მდგომარეობაშიც ლენინი 1922-1924 წლებში გორკაში იმყოფებოდა...** მოგეხსენებათ, ოქტომბრის რევოლუციის ბელადი და „ხალხთა დიდი მასწავლებელი“, რომელსაც გერმანელი ექიმები მკურნალობდნენ, ბოლოს სრულიად შეიშალა და **ათაშანგის გუმოზური ფაზის გავლენით** აბსოლუტურად შეურაცხადი გახდა. ლენინი შეირყა და პირად მდივანს — **ფოტიევას** სრულიად გაუაზრებელ და აბსურდულ წინადადებებს კარნახობდა... **სწორედ ასეა ბაიდენის საქმეც, რომელსაც ლენინის მსგავსად ტვინი კარგა ხანია, რაც გათიშული აქვს და ამის გამო ხან თვითმფრინავის ტრაპზე ეცემა, ხან ველოსიპედიდან ვარდება, ხან ჰაერში აქვს ილიჩივით ხელი გაწვდილი, მაგრამ არავინ ესალმება, რადგან იქ არავინაა და ხანაც ვიღაც-ვიღაცებს უკუღმა აბნევს მედლებს მკერდზე...**

აი, ასეთი ადამიანი, ამ მდგომარეობაში მყოფი ამერიკის პრეზიდენტი, მთელ მსოფლიოს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აიძულებს! აღარაფერს ვამბობთ იმ ყბადაღებულ გენდერიზაციასა და ჰომოფობიაზე, რომელმაც შეერთებულ შტატებსა და სოდომ-გომორას შორის საბოლოო ჯამში ტოლობის ნიშანი დასვა!

**მითი ამერიკული დემოკრატიზმის შესახებ პირადად ჩემს წარმოდგენაში მაშინ დაიმსხვრა, როცა 1992 წლის 26 მაისს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, ჯაბა იოსელიანის გვერდით პირმცინარი დადგა და კრინტი არ დაძრა იმაზე, რომ სისხლიანი ხუნტა, რომელმაც ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი დაამხო, ქვეყანაში მშვიდობიან საპროტესტო მიტინგებს ხვრეტდა!**

საბჭოთა რუსეთი გადაარჩინა **სტალინმა,** რომელმაც ლენინისა და ტროცკის მიერ აშვებული სოდომისტებიც ალაგმა, ინდუსტრიალიზაციაც განახორციელა და კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომიც მოიგო!

**ვინ გადაარჩენს ამერიკას, რომელიც ბაიდენისა და მისი ბანდის მიერ გაქეზებულმა და დაფინანსებულმა მამათმავლებმა დაიპყრეს, ღმერთმა უწყის!**

***დიტო ჩუბინიძე***



ლენინი გორკაში. 1924 წელი

**ვამბობთ ლენინს, ვგულისხმობთ ბაიდენს!**



ბაიდენი ვაშინგტონში. 2022 წელი

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ფრიად სამწუხაროა, რომ „რადიო თავისუფლებამ“ ერეკლე მეფე ასეთ კონტექსტში მოიხსენია!




**რადიო თავისუფლება** ✔
5 დ. · 🌐

7 ნოემბერი მეფე ერეკლე მეორის დაბადების დღეა. მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ბევრი მითი და ჭორი უკავშირდება. მათ შორისაა ისტორია ერეკლე მეორის ცოლის, დარეჯან დედოფლის ღალატის შესახებ.

◆წაიკითხეთ რადიო თავისუფლების სტატია არქივიდან (24 ივნისი, 2020 წ.)

🔗მეფე ერეკლე მეორის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სტატიების სერია აქ:
https://bit.ly/37ImXOZ



RADIOTAVISUPLEBA.GE
**ღალატობდა ერეკლეს ცოლი თუ Fake News-ი XIX ს-ში?**
ერეკლე II-მ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში სამჯერ იქორწინა. მესამედ დ...

*დასაწყისი იხილეთ „გენერალისიმუსი“ №10-35*

***რადიო „თავისუფლებამ“, რომელსაც წლებია, ამერიკის კონგრესი აფინანსებს, მაინცდამაინც 7 ნოემბერს, ერეკლე მეფის დაბადების დღეს, რომელსაც მთელი საქართველო განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს, გამოაქვეყნა ვინმე ჯიმშერ რეხვიაშვილის მიერ ორი წლის წინათ, 2022 წლის 24 ივნისს დაწერილი ბინძური, პროვოკაციული და აბდაუბდა პასკვილი — „ღალატობდა ერეკლეს ცოლი თუ „ფეიკ ნიუსი“ მე-19 საუკუნეში?“ პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ერეკლე მეფის შესახებ თითქმის უცნობ ფაქტებს ახმაურებს და „რადიო თავისუფლების“ მიერ ტირაჟირებულ ცილისწამებას აპროტესტებს:***

— წინამდებარე საგაზეთო ინტერვიუში ვაპირებდი, **სტალინის ვაჟის ვასილი სტალინის ტრაგიკულ ბედზე** მელაპარაკა, მაგრამ **ვინმე ჯიმშერ რეხვიაშვილმა** „რადიო თავისუფლების“ მეშვეობით ისეთი სიბინძურე გაავრცელა, თავს ვალდებულად ვრაცხ, სწორედ ამ თემაზე ვისაუბრო! ცილისწამება ეფუძნება ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის შვილიშვილის **თეკლა ბატონიშვილის ვაჟის ალექსანდრე ბატონიშვილის** მიერ ამ საუკუნე-ნახევრის წინათ დაწერილ აბდაუბდას იმის შესახებ, რომ **ოსეფა ყორღანაშვილს** ბებიამისთან — **დარეჯან დედოფალთან** არავითარი ინტიმური კავშირი არ ჰქონია და ეს ყველაფერი ეფუძნება **პლატონ იოსელიანის, მურავიოვისა და გენერალ ქიშმიშევის** მიერ გავრცელებულ ბოროტ ტყუილს! სიმართლე გითხრათ, **ალექსანდრე ორბელიანი** მთლად დალაგებული ჭკუა-გონების პატრონი არ მგონია, რადგან იმის დასამტკიცებლად, რომ **დარეჯან დედოფალი** ერეკლე მეფის ერთგული იყო, შვილიშვილი ცოლ-ქმრის ცხოვრებიდან ისეთ ინტიმურ დეტალებზე საუბრობს, ამ ყველაფრის ციტირებაც კი ძალიან უხერხულია!

**— მაგალითად, რას წერს?**

— მაგალითად, **ალექსანდრე ორბელიანი** წერს: *„ბევრჯელ მეფე-დედოფალი მკერდებს მიაწყობდნენ ერთმანეთსა, რომლებსაცა ერთი სითეთრე და ერთი ფერი ჰქონიათ, ასე თურმე თამაშობდნენ ქვეშაგებში ყმაწვილურათ, ასე უზომოთა ჰყვარებიათ ერთმანეთი...“* ბებიისა და ბაბუის ინტიმური თანაცხოვრების დეტალებზე შვილიშვილი რომ ასე ილაპარაკებს და დაწერს — ხომ ხედავთ, **ერეკლესა და დარეჯანს** აი, ასე უყვარდათ ერთმანეთი და სხვა დანარჩენი ყველაფერი ჭორებიაო! — ვფიქრობ, ის მთლად დალაგებული არ არის და ფსიქიატრის გამოკვლევას საჭიროებს!

**— რა ისტორიული საფუძველი აქვს მსგავს ბინძურ ჭორს და ვინ იყო ოსეფა ყორღანაშვილი?**

— **ოსეფა ყორღანაშვილი** გაურკვეველი ეროვნებისა და აღმსარებლობის პიროვნება იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ის თითქოსდა **დარეჯან დედოფლის** ნათლული გახლდათ, მაგრამ ესეც გაურკვეველია, რადგან დარეჯანმა ოსეფა სომხის ტერტერებს მოანათვლინა. რაც შეეხება ბინძური ჭორის საფუძველს, თითქოსდა **ოსეფასა და დარეჯან დედოფალს** შორის რამე ხდებოდა, ამ ყველაფერს ავრცელებდა და თხზავდა რუსეთის დამპალი იმპერია და მისი სპეცსამსახურები, რათა სახელი გაეტეხათ მეფის ოჯახისთვის და ქართველი ერისთვის შეექმნათ არასრულფასოვნების კომპლექსი, თითქოსდა ქართველები არ იყვნენ თავისუფლების ღირსნი, რადგან მეფის ოჯახიც კი უწმინდური იყო.

როგორც ცნობილია, რუსეთი საქართველოში ძალზე ვერაგულად მოქმედებდა და რუსთხელმწიფე **ალექსანდრე პირველმა** საგანგებო „კომისიაც“ კი შექმნა იმის დასადგენად, უნდა გაეუქმებინათ თუ არა ქართლ-კახეთის სამეფო. იმპერატორმა ამ „კომისიას“ სათავეში ჩაუყენა რუსის ჯარის პირველი მთავარსარდალი საქართველოში, **გენერალ-ლეიტენანტი კარლ კნორინგი**. ამ ე.წ. „კომისიას“ ინსტრუქცია თავიდანვე მიცემული ჰქონდა და კნორინგს უნდა „დაესაბუთებინა“, რომ საქართველოს არ შეეძლო თავისი თავის მართვა და ამიტომაც უნდა დაქვემდებარებოდა რუსეთს.

„კომისიის“ ჭკვიანი და დაკვირვებული წევრები — წარმოშობით ქართველი, მაგრამ რუსი სენატორი, ბოროდინოს ომის მონაწილე **გენერალ-მაიორი გრიგოლ ლაშქარევი (ლაშქარაშვილი)** და რუსეთის ყოფილი ელჩი საქართველოში **პეტრე კოვალენსკი** იმპერატორ **ალექსანდრე პირველს** დაჟინებით სთხოვდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაეუქმებინა ქართლ-კახეთის სამეფო, რადგან ეს ქართველებსა და რუსებს შორის ჩამოაგდებდა სამუდამო მტრობას! რუსთხელმწიფემ ეს რჩევა და გაფრთხილება არ შეისმინა და 1801 წლის 12 სექტემბერს სიონის საკათედრო ტაძარში წაკითხული მანიფესტით საქართველოს სახელმწიფოებრიობა მოსპო!

**— სტალინი ამ ნაბიჯს როგორ აფასებდა?**

— სტალინის პატრონაჟით 1943 წელს გამოცემულ **„საქართველოს ისტორიის“** სახელმძღვანელოში 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება შეფასებულია, როგორც **„ბოროტება!“** იმისათვის, რომ ეს მზაკვრული და ძალადობრივი აქტი გაემართლებინათ, რუსეთმა დაიწყო საქართველოს სამეფო ოჯახისა და ქართული ელიტის არნახული დისკრედიტაციის კამპანია. კერძოდ,

## დაიწყეს ბინძური ჭორების გავრცელება ერეკლეზე, მის მეუღლეზე, მის შვილებზე და ა.შ. ამ ყველაფრით რუსეთი გამუდმებით ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მან საქართველოს სამეფო კი არ გააუქმა, არამედ პირიქით, საქართველო გადაარჩინა, რადგან დინასტია შეიცვალა და ბაგრატიონების ნაცვლად ქვეყანას რომანოვები დაეპატრონნენ.

ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერატორები თავიდანაც და განსაკუთრებით **ალექსანდრე მესამის** პერიოდიდან მოყოლებული, სულ იწოდებოდნენ, როგორც **„ცარ გრუზინსკი“...** რუსეთის საიმპერატორო კარის დამოკიდებულება **ერეკლე მეფის, დარეჯან დედოფლისა** და მათი ოჯახისადმი ძალიან ჰგავს **ნიკიტა ხრუშჩოვის** ქმედებებს სტალინის, სტალინის ოჯახის, მისი მემკვიდრეებისა და ქართველების მიმართ! როგორც სტალინის ცოლზე **ნადეჟდა ალილუევაზე** ავრცელებდა ნიკიტა ხრუშჩოვი ჭორებს, სწორედ ისე უვრცელებდა რუსეთის იმპერია ბინძურ ხმებს სახელოვანი **ერეკლე მეფის ერთგულ მეუღლეს დარეჯან დედოფალს!**

**— წყეულმა ლევან ბერძენიშვილმა ერეკლე მეფეს მოღალატე უწოდა, ხოლო ახლა ვიღაც დარეხვილმა დარეჯან დედოფალი მეძავად შერაცხა! როგორც ისტორიკოსი, რას იტყვით, ერეკლე მეფე მართლა რუსოფილი იყო?**

— 1747 წელს ქართლის მეფე **თეიმურაზ მეორე და მისი ვაჟი,** კახეთის მეფე **ერეკლე მეორე** ირანის შაჰს აუჯანყდნენ და ხარკი შეუწყვიტეს. **ნადირ-შაჰმა** თავისუფლების მოსურნე ქართველთა დასასჯელად დიდძალი ჯარი შეკრიბა, მაგრამ **ნადირი** მოკლეს და 1749 წელს ირანის იმპერია დაიშალა. **ირანის შაჰინშაჰი** ვერავინ გახდებოდა, თუ მას შაჰად გურჯისტანის მმართველი არ ცნობდა. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სწორედ ქართლის მეფეები ითვლებოდნენ ირანის მემკვიდრეობით სპასალარებად და სწორედ მათ უნდა შემოერტყა შაჰისთვის ხმალი. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ირანელები სპარსეთის სპასალარად ქართლის მეფეს **თეიმურაზს** მიიჩნევდნენ. თეიმურაზსა და ერეკლეს ირანის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენა არ სურდათ და ამიტომაც ირანის შაჰად არავის აღიარებდნენ. ტახტის ყველაზე რეალური პრეტენდენტი **აზატ-ხანი** ერეკლემ ჯერ ბრძოლაში დაამარცხა და მერე დაატყვევა, ხოლო ერევნის, განჯისა და ნახჭევანის ხანებმა ერეკლეს ყმებად გამოაცხადეს თავი.1755 წელს განჯაში ერეკლეს ეწვივნენ ირანელი ხანები და ირანის შაჰინშაჰის გვირგვინი შესთავაზეს! **ერეკლემ ირანის ტახტზე უარი განაცხადა, რადგან პატარა კახისთვის პირად ძალაუფლებასა და დიდებაზე მაღლა საქართველო იდგა!** საქართველოსთვის კი ერთიანი და ძლიერი ირანის სახელმწიფოს არსებობა სახიფათო იყო. ცნობისათვის, 1796 წლამდე **ირანს შაჰი არ ჰყავდა!** 1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით **ერეკლემ** გაანადგურა ოსმალეთის არმია და განიმტკიცა მდგომარეობა, რაც რუსეთს აშფოთებდა!

**— რატომ უთხრა ერეკლემ უარი თურქეთს ძალიან მომხიბვლელ წინადადებაზე — ერეკლეს ჩაებარებინა გაერთიანებული საქართველოს მეფობა, შეენარჩუნებინა ქრისტიანობა, ოღონდაც უარი ეთქვა რუსეთთან კავშირზე?**

— საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის, რომ ამ წინადადებაზე ერეკლეს უარი არ უთქვამს, მაგრამ ამ ფაქტს რუსული ისტორიოგრაფია ჩქმალავდა. უფრო მეტიც, **ერეკლემ** პოლიტიკური და ეკონომიკური ხელშეკრულება გააფორმა ბრიტანეთთანაც. ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითებს **ზაქარია ჭიჭინაძე** 1920 წელს გამოცემულ გამოკვლევაში. მართლაც, 1780-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის მეფეს **ერეკლე მეორეს** ეახლნენ ბრიტანეთის და ოსმალეთის ელჩები და სამოკავშირეო ხელშეკრულებები გააფორმეს საქართველოსთან. ოსმალეთი **ერეკლეს** უთმობდა მთელ დასავლეთ საქართველოს, რომელიც 1555 წელს ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა, სანაცვლოდ, ერეკლე უარს ამბობდა რუსეთის მოკავშირეობაზე.

ბრიტანეთი საქართველოს მფარველობას კისრულობდა საერთაშორისო ასპარეზზე და ერეკლეს საერთო ქართულ-ბრიტანული საწარმოების გახსნას ჰპირდებოდა!

ამ ხელშეკრულებათა შესახებ შეიტყო რუსეთის სამეფო კარმა. რუსები ფრიად შეშფოთდნენ, რადგან ქართულ-ოსმალური და ქართულ-ბრიტანული ხელშეკრულებებით რუსეთი სამუდამოდ კარგავდა გავლენას კავკასიაზე. პეტერბურგმა თვითმიზნად დაისახა ბრიტანეთთან და ოსმალეთთან გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა და საერთაშორისო არენაზე ერეკლეს უპირულად და არასანდო პარტნიორად წარმოჩენა. **ეკატერინე მეორეს** ფავორიტმა **პავლე პოტიომკინმა** აამოქმედა აგენტურა და რუსეთში მყოფი **ერეკლეს** მტერი **ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი.**

**— ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი?**

— დიახ! **ალექსანდრე** რუსეთიდან ირანში, დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში „სამოგზაუროდ“ გამოუშვეს და თან ხმებიც დაყარეს, თითქოს ერეკლეს დასამ-

## „ვინც ერეკლეს მტრად და მოღალატედ მიიჩნევს, ან უმეცარია, ან რუსული ორთავიანი არწივისა და რუსეთის იმპერიის ყურმოჭრილი მონა!“

## «როგორც სტალინის ცოლზე ნადეჟდა ალილუევაზე ავრცელებდა ნიკიტა ხრუშჩოვი ჭორებს, სწორედ ისე უვრცელებდა რუსეთის იმპერია ბინძურ ხმებს ერეკლე მეფის ერთგულ მეუღლეს დარეჯან დედოფალს!»

# „1787 წლამდე ერეკლე ზოგიერთ ქართულ მონეტაზე რუსულ არწივსაც გამოსახავდა. კრწანისის ბრძოლის მერე ერეკლეს სიკვდილამდე ქართულ ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე თავმოგლეჯილი რუსული არწივებია გამოსახული!

## მოგეხსენებათ, გერბის შეურაცხყოფა სახელმწიფოსთვის ომის გამოცხადების ტოლფასია!“



ხობად და ქართლში გასამეფებლად ალექსანდრე ირანულ-იმერულ-დაღესტნურ ალიანსს ჰკრავდა. ქართლის თავადთა ერთ ნაწილს არ ხიბლავდა კახელი ერეკლეს ქართლში მეფობა და ამიტომ ღალატსაც არ ერიდებოდა. ირანელი **ქერიმ-ხან ზენდი** და იმერეთის მეფე **სოლომონ პირველი** ერეკლეს უთვლიდნენ, ალექსანდრეს მხარს არ დავუჭერთო, მაგრამ ამ დროს რუსეთის მიერ მოსყიდული დაღესტნელი ხანები ჭორებს ყრიდნენ — **ალექსანდრეს** გარშემო დიდძალი ჯარი იკრიბებაო! სინამდვილეში **პოტიომკინის** ბრძანებით, ამ ხანებს **ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი** დატყვევებული ჰყავდათ და **ალექსანდრეც** და ის ხანებიც **პოტიომკინის** მარიონეტები იყვნენ. მათი საშუალებით რუსეთი ცდილობდა ერეკლეს დაშინებას. მოკლედ, რუსეთმა ერეკლე არჩევანის წინაშე დააყენა: **ან რუსეთის მფარველობა ან — სამოქალაქო ომი საქართველოში.** ერეკლეს კარზე მყოფი პოტიომკინის აგენტი **რეინეგსი** რუსეთთან ტრაქტატის საზღაურად **ალექსანდრეს** განეიტრალებას, ანუ ომის თავიდან აცილებას ჰპირდებოდა ერეკლეს. ერეკლემ ძმათა შორის სისხლისღვრას **გეორგიევსკის ტრაქტატი** ამჯობინა!

**— ე.ი. რა გამოდის, რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატი სინამდვილეში რისთვის სჭირდებოდა?**

— რუსეთს ეს ტრაქტატი მხოლოდ ერეკლეს დისკრედიტაციისთვის, ქართულ-ბრიტანული ალიანსის დარღვევისა და საქართველოს ოსმალეთთან დაპირისპირებისთვის სჭირდებოდა. შესაბამისად, **რუსეთმა ჯერ 1785 წელს, ომარ-ხან ავარიელის შემოსევისას არ დაიცვა ტრაქტატის პირობები და არაფერი მოიმოქმედა საქართველოს მტრის წინააღმდეგ, ხოლო 1787 წელს საერთოდ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და მარტოდმარტო დატოვა ერეკლე ოსმალეთის პირისპირ.** ოსმალეთმა ერეკლესთან ომი ვერ გაბედა და ისევ შესთავაზა დასავლეთ საქართველოზე ქართლ-კახეთის სუვერენიტეტის აღიარება რუსეთთან კავშირის გაწყვეტის სანაცვლოდ, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

**— კრწანისის ტრაგედიამდე როგორ მივედით? ნუთუ აღა-მაჰმად-ხანს რუსებთან ერთად ბრიტანელებიც აქეზებდნენ — თბილისი სასწრაფოდ აიღეო?**

— დიახ, ახალი მასალებით ირკვევა, რომ სწორედ ასე იყო! 1795 წლისთვის ირანში დაწინაურდა **აღა-მაჰმად-ხანი,** რომლის პირველობასაც ირანელ ხანთა უმეტესობა აღიარებდა, მაგრამ შაჰინშაჰის ტიტულის მიღებას ერეკლეს თანხმობის გარეშე ვერ ახერხებდა. ერეკლე **აღა-მაჰმად-ხანს** შაჰად არ ცნობდა. ირან-საქართველოს მორიგი ომი გარდაუვალი ჩანდა. ისევ გააქტიურდნენ რუსები. **გენერალი გუდოვიჩი** ერეკლეს ირანელებთან შუამავლობას ჰპირდებოდა, მაგრამ სანაცვლოდ კატეგორიულად სთხოვდა, ერეკლეს ჯარი არ შეეკრიბა, რათა არ გაეღიზიანებინა **აღა-მაჰმად-ხანი.** იმავდროულად რუსები ირანელებს აღუთქვამდნენ, რომ საქართველოს ომში არ დაეხმარებოდნენ. დიახ, რუსები თბილისის ასაოხრებლად აქეზებდნენ სპარსეთს. რუსეთს საქართველოს ირანელთაგან აოხრება ხელს აძლევდა, რადგან მერე უფრო იოლად დაიპყრობდა დაცემულ საქართველოს. აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღში იდგა, როცა მის ბანაკში გამოცხადდა ბრიტანეთის ელჩი და საჭურის შაჰს კატეგორიულად განუცხადა — **სასწრაფოდ შეიჭერით საქართველოში და აიღეთ თბილისი!**

**— საქართველოს აოხრებით ინგლისელებს რა ხეირი?**

— ამით ბრიტანელ ელჩს სურდა, ერეკლესთვის დაენახვებინა, რომ რუსეთზე მინდობა დამღუპველი იყო! მოკლედ,

**რუსებისგან და ბრიტანელებისგან წაქეზებული აღა-მაჰმად-ხანი მოულოდნელად მოადგა თბილისს. რუსეთზე მინდობილმა ერეკლემ ჯარის 10 პროცენტის შეკრებაც ვერ მოასწრო. გმირულად იბრძოლა პატარა კახმა... ღალატის წყალობით დაეცა ნარიყალა და შვილიშვილებმა გაკოჭილი გაიყვანეს 75 წელს გადაცილებული გმირი მეფე, რომელიც ხმლით ხელში მარტოდმარტო აპირებდა მეტეხის ხიდთან მტერზე შეკვდომას.**

ხუთიოდე დღეში არაგველების თაოსნობით სახელდახელოდ შეყრილმა საქართველოს მხედრობამ ჟინვალთან 6 ათასი რჩეული ირანელი ამოწყვიტა, რის გამოც ჩასვრილი და შეშინებული აღა-მაჰმად-ხანი თბილისიდან გაიქცა. ბრიტანელი ელჩის სურვილი ასრულდა — **ერეკლემ სამუდამოდ შეიძულა რუსეთი!**

**— რაში გამოიხატა, რომ ერეკლემ რუსეთი შეიძულა?**

— 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატიდან მოყოლებული, ქართლ-კახეთს ჰქონდა უფლება, ქართულ ფულზე რუსეთის გერბიც, ორთავიანი არწივიც გამოესახა, რათა ყველა იმ სახელმწიფოში, სადაც რუსულ ფულს ცნობდნენ, ქართულ ფულსაც ჰქონოდა გასავალი. 1787 წლამდე ერეკლე ზოგიერთ ქართულ მონეტაზე რუსულ არწივსაც გამოსახავდა. კრწანისის ბრძოლის მერე ერეკლეს სიკვდილამდე ქართულ ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე თავმოგლეჯილი რუსული არწივებია გამოსახული! მოგეხსენებათ, გერბის შეურაცხყოფა სახელმწიფოსთვის ომის გამოცხადების ტოლფასია! **ერეკლე მეორემ მთელი მსოფლიოსა და შთამომავლობის დასანახად თავები დააწყვიტა რუსეთის სიმბოლოსა და სიწმინდეს.** პატარა კახი რუსთმოძულედ აღესრულა... ერეკლე მეორის პრორუსულობის შესახებ ბინძური მითი რუსებმა და მათმა მონებმა შექმნეს! **ვინც ერეკლეს** მტრად და მოღალატედ მიიჩნევს, ან უმეცარია, ან რუსული ორთავიანი არწივისა და რუსეთის იმპერიის ყურმოჭრილი მონა!

**— საბოლოო ჯამში მაინცდამაინც ერეკლე მეფის დაბადების დღეს ზემოხსენებული სიბინძურისა და ცილისწამების გავრცელება რა მიზანს ისახავდა?**

— ეს **გიგა ბოკერიასა და ლევან ბერძენიშვილის** იდეოლოგიაა...

**ვინც ერეკლეს დაბადების დღეს მთვრალი თუ ფსიქიკურად შეურაცხადი ალექსანდრე ორბელიანის მიერ საუკუნენახევრის წინათ ნაჯღაბნი სტატიად გადააკეთა და მეფის მეუღლე შეურაცხყო, იმან „კაგებეს“ საქმე გააკეთა!**

ვინც ერეკლეს პრორუსულობას აბრალებს და საქართველოსთვის შეწირული გმირის ოჯახს შეურაცხყოფს, ორასი წლის წინათ რომანოვების რუსეთის პირდაპირი აგენტი იყო, ხოლო დღეს „ლიბერასტის“ ქურქში გახვეული პუტინის რუსეთის აგენტია!

ერეკლეს თანამეცხედრე **დარეჯან დადიანი** 1801 წლიდან რუსულ ოკუპაციასთან მებრძოლი ქართველების უპირველესი ქომაგი და იდეური ლიდერი იყო. ამის დასტურია რუსეთის საიმპერატორო საბჭოს ბრძანების ტექსტი: *„მიმართეთ ნებისმიერ ზომას, რათა დედოფალი დარეჯანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები რუსეთში გადაიყვანოთ, რადგან მათი საქართველოში ყოფნა მტრული პარტიების შექმნას უწყობს ხელს!“*

ამ ყველაფრის მიუხედავად, დღესაც არსებობენ გადაგვარებულები, რომლებსაც სძულთ საქართველოც, ქართველობაც და საქართველოს ნამდვილი ისტორიაც. **ფრიად სამწუხაროა, რომ ოდესღაც თავისუფლების შუქურად მიჩნეული „რადიო თავისუფლება“ ისე გადაგვარდა, რომ საქართველოს გმირთა მგმობელ სულით საჭურისთა ხროვას შეუერთდა და ასეთი ბინძური სტატუსით აღნიშნა სახელოვანი ერეკლე მეფის იუბილე!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

„ვინც ერეკლეს პრორუსულობას აბრალებს და საქართველოსთვის შეწირული გმირის ოჯახს შეურაცხყოფს, ორასი წლის წინათ რომანოვების რუსეთის პირდაპირი აგენტი იყო, ხოლო დღეს „ლიბერასტის“ ქურქში გახვეული პუტინის რუსეთის აგენტია!“



*ერეკლე მეფის ძეგლი თელავში*

## «აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღში იდგა, როცა მის ბანაკში გამოცხადდა ბრიტანეთის ელჩი და საჭურის შაჰს კატეგორიულად განუცხადა – სასწრაფოდ შეიჭერით საქართველოში და აიღეთ თბილისი!»

# ფრთხილად...








































***ამასწინათ მომხდარმა ერთმა უცნაურმა შემთხვევამ სერიოზულად დაგვაფიქრა იმაზე, თუ რაოდენი სიფრთხილეა საჭირო, სანამ ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას — სატელევიზიო ანძას სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშის ფერებში გავანათებთ.***

საქმე ის არის, რომ **ამა წლის 1-2 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის სატელევიზიო ანძა იმ ქვეყნების დროშათა ფერებში გაანათეს, რომელთა ქალაქებიც საქართველოს დედაქალაქთან არიან დამეგობრებული.** კერძოდ, 1 ოქტომბრის ღამეს თბილისის ანძა მონაცვლეობით განათდა **აზერბაიჯანის, გერმანიის, პოლონეთის, ესტონეთის, ლიეტუვის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, მოლდოვის, უკრაინის, კატარის, იორდანიისა და სლოვენიის** დროშის ფერებში, რასაც, ერთი შეხედვით, კურიოზული, მაგრამ, რეალურად, სერიოზული გაუგებრობა მოჰყვა.

ამბავი, რომელიც რედაქციაში სტუმრად მოსულმა ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა რამდენიმე დღის წინათ გვიამბო, ასეთია:

**ამა წლის 1 ოქტომბრის ღამეს თბილისის ერთ-ერთ პოპულარულ რესტორანში მოქეიფეთა ორ ჯგუფს შორის დაწყებული შელაპარაკება კინაღამ ცემა-ტყეპაში გადაიზარდა იმის გამო, რომ ერთნი თბილისის ანძის რუსეთის დროშის ფერებში განათებას აღშფოთებით შეხვდნენ, ხოლო მეორენი — არცთუ შეფარული კმაყოფილებით.** რა თქმა უნდა, დედაქალაქის ერთ-ერთი სიმბოლო იმ ღამით რუსეთის სამფეროვანი სახელმწიფო დროშის ფერებში არავის გაუნათებია, მაგრამ **თბილისელ მოქეიფეთა ორივე ჯგუფმა სწორედ ასე მიიჩნია, რადგან თეთრ-ლურჯ-წითლად აბდღვრიალებულ ანძას ჰკიდა თვალი.** როგორც ჩანს, ზარხოშიანმა მოქალაქეებმა ტელეანძისაკენ იმ მომენტში გაიხედეს, როცა იგი **საფრანგეთის** ან **სლოვენიის** დროშის ფერებში იყო განათებული და **რაკიღა ორივე ქვეყნის დროშის ფერები რუსეთის სახელმწიფო დროშის ფერთა იდენტურია, იფიქრეს, რომ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობა ოკუპანტების დროშისფრად ანათებდა.** ცხადია, ამგვარ აღქმას ჩვენს ქვეყანაში კარგა გვარიანად ფეხმოკიდებულმა და უკრაინის ომის ფონზე გაასკეცებულმა **ანტირუსულმა ისტერიამაც** შეუწყო ხელი და **როცა მოქეიფეთა ერთმა ჯგუფმა ტრიკოლორად მოციმციმე ანძის დანახვაზე რუსეთის უშვერი გინება მორთო, ზედ საქართველოს „რუსეთუმე მთავრობის" გინებაც მიაყოლა და ერთი-ორი „პუტინ ხუილოც" დაიყვირა,** მოქეიფეთა მეორე ჯგუფმა მათ მიმართ აშკარა და ხმამაღალი უკმაყოფილება გამოხატა. მოკლედ, ატყდა ერთი ამბავი და ერთმანეთს სულ **„პუტინისტები", „ლიბერასტები", „კრემლის მონები", „ამერიკის შნირები", „ბიძინას ჩმორები" და „მიშას მაჩალკები"** ეძახეს. რესტორნის დაცვას რომ არ ევარგა, საქმე, ალბათ, მუშტი-კრივამდეც მივიდოდა, მაგრამ **ტრიკოლორის** გამო წაკიდებულთა დაშოშმინება, საბედნიე-

## დროშები, დროშები,

## რა უნდა ვიცოდეთ, როცა ტელეანძას რომელიმე ქვეყნის დროშის ფერებში გავანათებთ

# ტრიკოლორია!




**დროშები, ჩქარა! ★**

როდ, ფიზიკური ჯახის გარეშე მოხერხდა.

**არადა, ვინ იცის, მოქეიფეთა ორივე ჯგუფს დღესაც ჰგონია, რომ იმ ღამით თბილისის ანძა მართლა რუსეთის დროშის ფერებში იყო განათებული.**

კაცმა რომ თქვას, ეს **ტრიკოლორი** მაგარი ოხერი და მუდრეგი რამეა!

თეთრი, ლურჯი და წითელი ფერი რუსეთის გარდა კიდევ იმდენი ქვეყნის სახელმწიფო დროშაში ფიგურირებს, თუ კარგად არ გამეცადინდი, შეიძლება, შეცდე და შერცხვე კიდეც!

**„ასავალ-დასავალის“ წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი დროშების ფოტოებს რომ შეხედავთ, ამაში თავადაც დაგვეთანხმებით!**

კი, სხვადასხვა ქვეყნის დროშაზე **ტრიკოლორი** სხვადასხვანაირი გეომეტრიითა და მიმდევრობით არის დატანილი — **ზოგ ალამზე თეთრი, ლურჯი და წითელი ზოლები ჰორიზონტალურად გახლავთ გავლებული, ზოგზე კი — ვერტიკალურად; ზოგან თეთრი ხაზი მაღლაა, ლურჯი — შუაში და წითელი — დაბლა, ზოგან კი — პირიქით; ზოგ დროშას გერბიც ზედ ახატია და სხვებისაგან ამით განირჩევა, მაგრამ, როცა საქმე ანძის ან რომელიმე შენობის ამა თუ იმ დროშისფრად განათებას ეხება, ყველა ეს განმასხვავებელი ნიშანი ერთბაშად ქრება.** მაგალითად,

**სლოვენიის დროშა რუსეთის დროშისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მომცრო გერბი ახატია, მაგრამ, როცა იგივე თბილისის ანძას სლოვენიის დროშის ფერებში გავანათებთ, გერბის შტრიხი, ცხადია, დაიკარგება. ასე მოხდება სხვა ტრიკოლორი დროშების შემთხვევაშიც.**

სხვათაშორის, რამდენიმე წლის წინათ **ტრიკოლორ**მა თბილისელ ნაცებს ერთი საჯაყი საქმე უქნა: **სააკაშვილის სექტის წევრმა ბესიკ გაზდელიანმა რუსთაველის გამზირზე, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან დადებულ სამგლოვიარო გვირგვინზე თეთრ-ლურჯ-წითლიანი დროშა შენიშნა და მაშინვე ცეცხლი წაუკიდა — აქაოდა, მე, ქართველი პატრიოტი, ოკუპანტი რუსეთის ბაირაღს დემონსტრაციულად ვწვავო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 9 აპრილის მემორიალთან ის გვირგვინი სლოვაკეთის დელეგაციას მიეტანა და ის ტრიკოლორიც რუსეთის კი არა, სლოვაკეთის დროშა ყოფილიყო.**

ასე რომ, **ტრიკოლორთან დიდი სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე თბილისის ტელეანძის განათებას ეხება და განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველოში ანტირუსული ისტერია პიკშია ასული!**

**დღეს ქვეყანაში ისეთი მოქალაქეებიც გვყავს, რომლებსაც თბილისის ანძის რუსეთის დროშისფრად განათება გულზე მალამოდ დაედებათ – დადგა დრო სანეტარო, თბილისის თავზე რუსული დროშა ფრიალებსო და ისეთებიც მრავლად არიან, რუსეთის დროშის დანახვაზე**




**კონვულსიები რომ ემართებათ!**

არც პირველთა გახარებაა საქართველოსთვის სიკეთის მომტანი და არც — მეორეთა გამწარება!

**ეს უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, როცა თბილისის ანძას რომელიმე დროშის ფერებში გავანათებთ!**

*ჯაბა ხუბუა*

# რამდენიმე დროული შეხსენება ანტირუსული ისტერიის ფონზე

**მიუძინებელი ისტორია ★**

*მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ,* ***1945 წლის დეკემბერში,*** *ქართული საბჭოთა პრესის ფურცლებზე გაცოცხლებულ იქნა თემა* ***საქართველოს სამართლიანი ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ თურქეთის რესპუბლიკის მიმართ.*** *აშკარა იყო, რომ დიდი სამამულო ომის ტრიუმფატორი, გენერალისიმუსი* ***იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი*** *სერიოზულად ფიქრობდა* ***საქართველოს იმ ტერიტორიების დაბრუნებაზე, რომლებიც თურქეთს ჰქონდა მიტაცებული.*** *ამაზე ისიც მეტყველებს, რომ* ***თურქეთისადმი საქართველოს კანონიერი პრეტენზიების შესახებ*** *ვრცელი წერილი დაწერეს და გაზეთ „კომუნისტის“ 1945 წლის 14 დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნეს დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა —* ***სიმონ ჯანაშიამ*** *და* ***ნიკო ბერძენიშვილმა,*** *რომლებიც* ***სტალინთან*** *დაახლოებული მეცნიერები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეთა მიერ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული წერილი —* ***„თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“*** *77 წლისაა, აქტუალობას მოკლებული არც დღეს გახლავთ. ის კი არა, თანამედროვე მსოფლიოში დაწყებული ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ფორმირების პირობებში* ***შესაძლოა, უფრო აქტუალურიც კი არის, ვიდრე 77 წლის წინათ.*** *სხვა თუ არაფერი, ეს საქართველოს მიუძინებელი ისტორიაა, რომელიც მუდამ ჩვენთან არის.*

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება, როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ, დაიკავონ მათი შესაფერისი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

**ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა, წარმოადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.**

ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს **თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ.**





**თქვენ წინაშეა დიდი ქართველი მეცნიერების – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ 77 წლის წინათ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც აქტუალობას არ კარგავს!**

*სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი*

# თურქეთისადმი ჩვენი

საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, **ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.**

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — **ჩვენი ძველისძველი მიწა-წყალის დაბრუნებას.**

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის მკვიდრ ტერიტორიაზე — დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა — დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრებით პირველობენ წინა აზიაში. იმ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსათვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით — **ღალისი** (ახლა — ყიზილ-ირმაკი), მდინარეების **ტიგროსისა და ევფრატის აუზების ზემო ნაწილში** ისინი ჰქმნიან სამიწათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში **ურარტუს სახელმწიფოს** ღირსეულად უჭირავს ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის დროშა და ავითარებს ამ ცივილიზაციას.

მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს. მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განუწყვეტლივ განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, რომლებიც თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადადიან. **ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო — იბერია აღმოსავლეთით და კოლხეთი დასავლეთით.**

ამ ახლად შექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, **სასპერთა,** ე.ი. **იბერთა სახელმწიფო** — წინა აზიის ერთი ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში ვრცელდება კალახენასა და ადიაბენამდე, ე. ი. მთავარი (აღმოსავლეთი) ტავრის ქედამდე.

ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს (იბერიას ეკუთვნის პარიადრის მთიანი ოლქი) — ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთ სექტორი, ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონია. აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს **ტიბარანიის** სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ღალისის შესართავის აღმოსავლეთით, ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს **მითრიდატე პონტოელს,** რომელიც **პომპეუსს** გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენე-ხოტენეს მკვიდრ მცხოვრებლებთან.

ტიბარანიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო **კოლხეთი,** ერთ-ერთი წინა აზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს „ისტორიის მამა“ — **ჰეროდოტე.**

მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად — **ეგრისის სამეფოს** საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი, მხედართმთავარი **ქსენოფონტე,** რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ **ტრაპეზუნტი და კერასუნტი** (ამჟამად გირესუნი) **კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობენო.** თავისი ათიათასიანი რაზმით ქსენოფონტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპეზუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს.

სამხრეთ, უფრო სწორად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია — ე.ი. **კოლხეთის ტერიტორია,** მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია, მდინარე მტკვრის სათავისა და ჩილდირის ტბის სამხრეთით — უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო **ქართველი ტომებით,** რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.

**ოცდაათი საუკუნე ებრძოდა ქართველი ხალხი თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ, განედევნათ იგი მსოფლიო-ისტორიული ასპარეზიდან. მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან, უარი არ უთქვამს თავის წმიდათა-წმიდა უფლებებზე.** ჭარბი ძალების მოწოლით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს.

**ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა.** უფრო გვიან, IV საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისაგან შეიქმნა **ლაზთა სამეფო,** რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს — **ეგრისს.** ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები რომ კოლხთა პირდაპირი შთამომავალნი არიან, ამას სადავოდ არავინ ხდის. ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოპი კესარიელი: „შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებად შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“.** ამის შესახებ უფრო გარკვეულად ლაპარაკობს პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე **აგათია: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და ისინი რომ ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“.** „ლაზები, — ამბობს იგივე ბიზანტიელი მწერალი, — ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ფრიად ამაყობენ კოლხთა ძველი სახელწოდებით და, ალბათ, არც უსაფუძვლოდ“.

მაგრამ ხომ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ — **რიონის კოლხეთი,** არამედ დასავლეთის, **ჭოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც.** სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც, თუმცა, დასავლეთ კოლხეთმა ვერ მოასწრო ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანება.

დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობას ეს სახელწოდება შერჩა მთელს მომდევნო დროში — ჭანების, ხალდების სახელწოდებასთან ერთად. X საუკუნის ქართველი მწერალი ბიზანტიელი ავტორის გამოთქმას — **„ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“,** მშობლიურ ენაზე კანონზომიერად გადმოგვცემს ასე: „მაგალითად ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტი“.

**ტრაპეზუნტის იმპერიის** (1204-1461 წლები) ხელმწიფეებს კონსტანტინეპოლში უწოდებდნენ **„ლაზთა მბრძანებლებს“,** ხოლო მათს სამფლობელოს ხან **ლაზიკას,** ხან **კოლხეთს.** ლაზთა ამ ტომის ისტორიული მოსახლეობის საზღვრების გამოსარკვევად კი საინტერესოა აკადემიკოს **მარის** ცნობა: **„კონსტანტინეპოლში ლაზებს უწოდებენ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს, სამსუნელებსა და სინოაელებსაც კი... ხოლო არზრუმელები ლაზებს უწოდებენ, ერთი მხრივ — გიუმიშხანელებს, ხოლო მეორე მხრივ — სანაპიროს ყველა მცხოვრებს“.**

შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ნაწილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს **ვახტანგ გორგასალს** (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყლა სპარსელთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს) და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის **სპერის** (ამჟამად ისპირი) მფლობელებმა, **ბაგრატიონებმა,** რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, **ქალაქ ბაიბურთის რაიონში** იყო, საფუძველი დაუდეს საერთო ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გააერთიანა. მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე **ბაგრატიონებმა,** რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის — ტაოკლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, **მეფე დავით** III 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი **ბასილი,** დაეთმო საქართველოსთვის წინათ წართმეული მისი ოლქები: **კარინი** (ქალაქ არზრუმის ოლქი), **ჭარქი და აპაჰუნიქი** (იმ დროს უკვე სომხებით დასახლებული, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრე **ხალდოი — არიჭი** (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და **კლისური** (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორმაირი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვ. ოთხმოციან წლებში დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს, სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები **დერჯანი** (ამჟამად ტერჯანი) და **ტარონი,** ხოლო 997 წელს მან აიღო ქალაქი **მანასკერტი** (მელიაზგერდი).

**ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზინჯანამდე.**

სამხრეთ საქართველოს სამთავროში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები — **ბანა** (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), **ხახული** (თორთუმის ახლოს), **ოშკი** (იქვე), **იშხანი, წყაროს-**

**საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე!**

## მიუძინებელი ისტორია

# კანონიერი პრეტენზიების შესახებ

**თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით** („ქართული სინა"), **ოპიზა, დოლისყანა, შატბერდი, ფანასკერტი** და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა **გიორგი მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი** (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), **იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები** და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XII საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადგილი უჭირავს. საკმარისია დავასახელოთ დიდი **რუსთაველი,** შეუდარებელი ოსტატები **ბექა ოპიზარი და ბეშქენ ოპიზარი,** ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე — **იოანე პეტრიწი,** გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები **გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე,** რათა გავიგოთ, თუ რა შვილები მისცა დედასამშობლოს სამხრეთ საქართველომ.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება შეწყვიტა მონღოლთა შემოსევამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი, რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.



დასავლეთს მადლობით უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბარიერად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. მეთხუთმეტე საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გამოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები — ოსმალო თურქები.

XV საუკუნეში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს. ამ დროისათვის საქართველო გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ საქართველოს სამთავრობო **სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე,** გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს. კიდევ მეტიც: იმ საფრთხის სწორი შეგნება, რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ქმნიან ერთიან საგარეო პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორჯერ შეეცადნენ, მოეწყოთ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, **1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსეულ დიდ ლაშქარზე ბასიანში** (არზრუმის ახლოს).

**თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ, დაეპყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ხალხი უმაგალითო გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შეძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოწყვიტეს დედასამშობლოს.**

მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასოდეს არ ჩამქრალა. **XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი გორგიჯანიძე თავის თანამემამულეთა განწყობილებას გამოხატავს, როდესაც ამბობს, რომ ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რჯული ეჭირათ" და რომლებიც მომწყვდეული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს — თურქეთსა და ირანს შორის — „ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაქნეშიც ჰქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ.** ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს **(ავტორს მხედველობაში აქვს ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულება)** — **სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს** (დარჩა), **იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა** — ხონთქარსა".

მაგრამ საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. **რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: იმპერატორი „პირობას იძლევა, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს იარაღის შემწეობით, ხოლო ზავის შემთხვევაში — დაჟინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს მისი ოდითვე კუთვნილი მიწები და ადგილები".**

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის XIX-XX საუკუნეების ყველა ომში და ამ თემებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმედებს ამყარებენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — **ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი** — აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. **საერთოსახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუმის, არტაანის (არდაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება.** ხალხი ამაში თავისი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.

საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. **თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ.** მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ სდუღდა და გადმოდიოდა. გაჰქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები — მევენახეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გაღატაკდა. **მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათაწმიდას — მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.**

ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. **იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი, იქ, სადაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე არაფერი დადებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ; ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობა მხოლოდ იმ ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული.**

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. **თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენსაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან.** ამ ერთიანობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქები იძულებული არიან აღიარონ ეს. **თურქეთის მთავრობამ 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ-საქართველოს სამთავრობო — სამცხე და მას გურჯისტანის, ე.ი. საქართველოს ვილაიეთი უწოდა.** დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუმენტი — „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი" („დევთერი მუფასალ ვილაიეთი გიურჯისტან"), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აწერილია **ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.**

მეორე ვილაიეთი — **ტრაპეზუნტის**ა — წარსული საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე **ყიზილ-ირმაკამდე** (ძველი ღალისი) და გამოყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: **1. ლაზისტანი, რუსეთის საზღვრიდან ქ. რიზემდე; 2. ტრაპეზუნტის სანჯაყი, რიზედან ტ. ორდუმდე; 3. ჯანიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-ირმაკამდე, ცენტრით ქ. სამსუნში და 4. გიუმიშხანა (ინგლისის კონსულ ვ. ჯიფორდ პალგრევის ანგარიში.** ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს თურქეთის ოფიციალური ნომენკლატურა მოწმობდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც კი, თვით ყიზილ-ირმაკამდე, არის **ჯანიკი — ჭანების, ე. ი. იმავე ლაზების ქვეყანა.**

თურქულ ენციკლოპედია **„ჰაამუსულ-ალამში"** ნათქვამია: **„ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ... მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასას".**

სამხრეთ საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი. **XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება,** როგორიცაა **იმერა** (გიუმიშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), **ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოხორა, ლორი, ბოშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიტრა, ჭოროღმა, ხართი, ჩუმოვანი, ორწვერი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლები გამალებით შლიან ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს — არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ მათ ჩვენი წინაპრების ასეულ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.**

მძიმე დროს, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა, **თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს არტაანის, ოლთისისა და ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის სამხრეთი სექტორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისათვის.**

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც, ფაქტიურად, გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად წერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი? **განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათაწმიდა საქმეში?**

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს **არტაანის** (არდაგანის), **ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით,** ე. ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

***ს. ჯანაშია,***
*პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.*

***ნ. ბერძენიშვილი,***
*პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი*



კომუნისტი

№ 246 (7461).

წერილი რედაქციის მიმართ

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ



კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 დეკემბერი, 1945 წ. № 246 (7461). ფასი 20 კაპ.

## ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის!

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## როგორც ცნობილია, ბერია და სტალინი დაინტერესებული იყვნენ თავის დროზე თურქეთისთვის გადაცემული ქართული მიწების დაბრუნებით. ამ საკითხზე თითქოს ნაზიმ ჰიქმეთთან მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდნენ. გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ ამის შესახებ.

ასეთი დაინტერესება მართლაც არსებობდა, და არამარტო ქართულ, არამედ სომხურ მიწებთან დაკავშირებითაც და თურქ პოეტ-კომუნისტ **ნაზიმ ჰიქმეთთან** მოლაპარაკებასაც ნამდვილად აწარმოებდნენ იქაური ინტელიგენციის რეაქციის დასადგენად. ამ მიმართულებით მუშაობა 1944 წლის მიწურულს დაიწყო, როდესაც საბჭოთა ჯარები აღმოსავლეთ ევროპაში შევიდნენ და მსოფლიოს ახლებურად განაწილების პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა. **ევროპის გასაბჭოებისას სტალინი, ბუნებრივია, არ გამორიცხავდა ანალოგიურ ვარიანტს სამხრეთ მეზობლების — თურქეთის და ირანის მიმართაც.** საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი **აკაკი მგელაძე** თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ ომის დამთავრების შემდეგ აფხაზეთში დასასვენებლად მყოფ სტალინს აგარაკზე ახალი სასკოლო გეოგრაფიული რუკა მიუტანეს. ბელადმა იგი კედელზე გააკრა, ყურადღებით დაათვალიერა და ასეთი კომენტარი გაუკეთა: **„დასავლეთში ყველაფერი რიგზეა — აღმოსავლეთ პრუსია, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და ა.შ. ჩვენია. შორეულ აღმოსავლეთშიც ურიგოდ არ არის საქმე — სახალინი და კურილის კუნძულები დავიბრუნეთ. აი, ეს საზღვარი კი არ მომწონს“.** სტალინმა ჩიბუხის ტარი სსრკ-ის თურქეთთან და ირანთან საზღვარს გააყოლა და დასძინა: **„არა უშავს, ამ საკითხსაც მალე გადავწყვეტთ“.**

აქვე უნდა ითქვას, რომ ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე თურქეთმა ჯერ კიდევ 1941 წლის ივლისში მოუყარა თავი საბჭოთა კავშირთან საზღვარზე **მილიონიან არმიას,** რათა ხელსაყრელ მომენტში ამიერკავკასიის ოკუპაცია მოეხდინა. სტალინმა პასუხად საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულების შესაბამისი სტატიით ისარგებლა და ირანში ჯერ 12, შემდეგ კი კიდევ 5 საბჭოთა დივიზია შეიყვანა. ამ აქციამ სწრაფად გამოაფხიზლა თურქი პოლიტიკოსები.

1945 წლის თებერვალში, „დიდი სამეულის“ იალტის კონფერენციის დამთავრებისთანავე სტალინმა მითითება მისცა **ბერიას** და **მალენკოვს,** დაემუშავებინათ და პოლიტბიუროზე განსახილველად წარმოედგინათ წინადადებები **„თურქეთის ომისშემდგომი მოწყობის შესახებ“.** წინადადებები დამუშავდა და მაშინვე დაიწყო საბჭოთა და პარტიული კადრების კომპლექტაცია თურქი, აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი კომუნისტებისაგან, რომლებსაც წითელი არმიის მიერ „გათავისუფლებულ“ თურქეთის რაიონებში ადმინისტრაციული ხელისუფლების ღერძი უნდა შეედგინათ. დაზვერვის მონაცემებით, თურქები არც აპირებდნენ წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ ეს კარგად მომზადებული აქცია ჩაიშალა. **1945 წლის 21 ივლისს პოტსდამის კონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა სტალინს ამერიკის მიერ ატომური ბომბის გამოცდის შესახებ აუწყა.** ამას მოჰყვა ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამოგდება. მცირე აზიაში საომარი მოქმედების წამოწყება მსოფლიოს ატომური ომის ზღვარზე მიიყვანდა. **მოლოტოვის** მოწმობით, სტალინმა შეკრიბა თანამოსაგრენი და განუცხადა: **„სტამბულზე ლაშქრობა აღარ შედგება. ეს უკეთეს დრომდე გადავდოთ. ახლა კი თურქებმა იაპონელებს უთხრან მადლობა“.**

**იმავე მიზეზით გამოიყვანეს ჯარები ირანიდან.**

უეჭველია, სტალინს რამდენიმე წელი კიდევ რომ ეცოცხლა, **„უკეთესი დრო“** აუცილებლად დადგებოდა.



ბერია და სტალინი ქართული მიწების დაბრუნების საკითხზე ნაზიმ ჰიქმეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.



იოსებ სტალინი თავისი დაბადების 50-ე წლისთავზე პოლიტბიუროს წევრებს შორის. 1929 წლის 21 დეკემბერი

## თავისი გენერლებიც კი ჰიტლერს თავშეუკავებელ, ისტერიულ პიროვნებად ახასიათებენ. სტალინზე კი მისი თანამებრძოლნი სრულიად საწინააღმდეგოს ამბობენ. გვიამბეთ, როგორი იყო იგი ადამიანებთან ურთიერთობაში?

უპასუხებს ამ შეკითხვას სტალინის უახლოესი და უძველესი თანამებრძოლი **მოლოტოვი.** ყველა, ვისაც კი ბელადთან ურთიერთობა ჰქონია — მისი მეგობრებიც და მტრებიც — ერთსულოვნად მოწმობენ, რომ **იგი არასოდეს იმაღლებდა ხმას.** ფლოტის ადმირალი **ისაკოვი** საკმაოდ ... ერთ შემთხვევას გვიამბობს. ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე ცეკაში თათბირზე, რომლებსაც სტალინი ესწრებოდა, განიხილავდნენ ავიაციაში ავარიულობის საკითხს. მომხსენებელი იყო სამხედრო-საჰაერო ფლოტის მაშინდელი სარდალი **რიჩაგოვი.** სტალინმა გააწყვეტინა და ჰკითხა — მაინც რატომ ხდებოდა ამდენი ავარია, რაზეც **რიჩაგოვმა** მიახალა: **„იმიტომ, რომ თქვენ კუბოებით გვაიძულებთ ფრენას“.** საყვედური აშკარად დაუმსახურებელი იყო. რიჩაგოვის გამოხტომამ ყველა გააოცა. ისინი შიშით ელოდნენ სტალინის რეაქციას. მცირე ხნის დუმილის შემდეგ მან თავაუღებლად ჩაილაპარაკა: **„ეს არ უნდა გეთქვათ“.** მერე კი მშვიდად დაამატა: **„თათბირი დამთავრებულია“.**

ძნელი არ არის ანალოგიურ სიტუაციაში ჰიტლერის რეაქციის წარმოდგენა. ისე, უნდა ითქვას, რომ **რიჩაგოვს** მართლაც მოუწია კუბოთი ფრენა. სულ ცოტა ხანში იგი უკვალოდ გაუჩინარდა **ლუბიანკის** სარდაფებში.

სტალინი თავისი გარემოცვიდან ყველასთან უზადოდ თავაზიანი იყო. **მოლოტოვის, ვოროშილოვის და ორჯონიკიძის** გარდა ყველას თქვენობით მიმართავდა, გვარით და **„ამხანაგი“**-ს დამატებით. **სახელით და მამის სახელით მიმართვა სტალინის მხრიდან უმაღლესი პატივისცემის გამოხატულებას უდრიდა.** მაგალითად, წარმატებით ჩატარებული ბელორუსიის ოპერაციის შემდეგ მისთვის **„კონსტანტინ კონსტანტინოვიჩი“** გახდა მარშალი **როკოსოვსკი.** იგი ამ მხედართმთავარს **ჟუკოვზე** მეტად აფასებდა და გამარჯვების აღლუმის მიღება ამ უკანასკნელს მხოლოდ რუსული ეროვნების გამო დააკისრა.

საინტერესო ფაქტია, რომ სხვების თანდასწრებით სტალინი არასოდეს ელაპარაკებოდა ქართულად **ორჯონიკიძეს და ბერიას.** ხოლო თუ ეს მაინც მოხდებოდა, აუცილებლად ებოდიშებოდა ენის არმცოდნეებს და ნათქვამს რუსულად თარგმნიდა.

## სიცოცხლეში სტალინს „ყველა მეცნიერების კორიფეს“ უწოდებდნენ, ხრუშჩოვისეული „პიროვნების კულტის მხილების“ შემდეგ კი უცებ „უვიცად“ გადაიქცა. მაინც ვინ იყო იგი? განა შეძლებდა უვიცი, 30 წელიწადი ემართა უზარმაზარი სახელმწიფო და ატომურ იარაღამდე მიეყვანა იგი?

მიუხედავად დაუმთავრებელი სემინარიული განათლებისა, **სტალინი** შესანიშნავად ერკვეოდა ბევრ მეცნიერებაში. ავიაკონსტრუქტორი **იაკოვლევი** წიგნში „ცხოვრების მიზანი“ აღნიშნავდა, რომ განცვიფრებული იყო სტალინის ღრმა ცოდნით თვითმფრინავთმშენებლობაში. მის სამხედრო განსწავლულობაზე მისივე მარშლები წერდნენ. ლიტერატურასა და ხელოვნებაში სტალინის შესანიშნავ ერუდიციაზე გვაუწყებდნენ მწერლები **სიმონოვი, მიხალკოვი,** კინორეჟისორები **ალექსანდროვი, რომი...** ენათმეცნიერებით სტალინი დაახლოებით 1950 წლის მარტში დაინტერესდა. ამ ინტერესის ბიძგი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების კრებულში ახალგაზრდა მეცნიერის **არნოლდ ჩიქობავას** მიერ გამოქვეყნებული სტატია, სადაც იგი ეჭვქვეშ აყენებდა აკადემიკოს **ნიკო მარის** ზოგიერთ დებულებას. ნიკო მარის აზრით, რომელიც ურყევ ავტორიტეტად ითვლებოდა ენათმეცნიერებაში, ენას კლასობრივი არსი ჰქონდა. ფაქტია, რომ **ასეთი სითამამე არნოლდ ჩიქობავას უკვალოდ არ ჩაუვლიდა და მას უნივერსიტეტიდან გაძევება მოელოდა,** მაგრამ ამის ნაცვლად საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელ **კანდიდ ჩარკვიანთან** ერთად 1950 წლის 10 აპრილს მოსკოვში, სტალინთან გამოიძახეს. სტალინმა ყურადღებით მოუსმინა ახალგაზრდა მეცნიერს და შესთავაზა, ანალოგიური, ოღონდ უფრო მძაფრი სტატია „პრავდაში“ დაებეჭდა. სტატია გამოქვეყნდა მინაწერით **„იბეჭდება განხილვის წესით“.** გაჩაღდა დისკუსია, რომლის შედეგები სტალინმა შეაჯამა სტატიით **„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“,** სადაც უარყო ენის კლასობრიობა.



სხვათაშორის, სტალინთან შეხვედრისას **ჩიქობავამ** დაიჩივლა, რომ **მარის** თეორიის მოწინააღმდეგეებს სდევნიდნენ. მაგალითად, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიიდან და ერევნის უნივერსიტეტიდან გააძევეს უხუცესი ლინგვისტები **აჭარიანი და კაპანციანი.** სტალინმა მაშინვე დაურეკა სომხეთის ხელმძღვანელს **არუთინოვს** და ჰკითხა: **ამხანაგო არუთინოვ, თქვენთან აკადემიაში არიან ასეთი ამხანაგები — აჭარიანი და კაპანციანი?** — იყვნენ, ამხანაგო სტალინ, ისინი ანტიმარქსისტული შეხედულებებისთვის გაათავისუფლეს, — უპასუხა არუთინოვმა. — **ნუთუ ამ ხალხმა მარქსის სწავლება ხელჰყო?** — გაიკვირვა სტალინმა. — არა, მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ აკადემიკოს **მარის** მარქსისტულ სწავლებას ენის შესახებ, — განუმარტა არუთინოვმა. მაშინ სტალინმა უთხრა: **ამხანაგო არუთინოვ, ალბათ, წაკითხული გაქვთ გოგოლის „რევიზორი“, იქ ერთი ასეთი ფრაზაა — ალექსანდრე მაკედონელი დიადი ადამიანია, მაგრამ სკამების დამტვრევა რა საჭიროა?** იმავეს თქმა შეიძლება მარზე.

რა თქმა უნდა, ორივე სომეხ მეცნიერს მყისვე აღუდგინეს ყველა უფლება.





## როდის შევიდა ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობაში, როდის შეიქმნა ჩეჩნეთის ავტონომია და თავის დროზე რატომ იყო იგი გაუქმებული?

**1859 წელს, თითქმის 30-წლიანი სისხლისმღვრელი ომის შემდეგ** ჩეჩნეთი იძულებით შეუერთდა რუსეთს, **1921 წელს** იგი შევიდა მარიონეტულ **ე. წ. მთიელთა რესპუბლიკაში,** რომელიც ჩრდილო კავკასიის ხალხებისგან **სერგო ორჯონიკიძემ** ჩამოაყალიბა. 1922 წლის ნოემბერში **ორჯონიკიძემ, კიროვმა და მიქოიანმა,** უხუცესებთან მოლაპარაკების შედეგად, მიაღწიეს შეთანხმებას მთიელთა რესპუბლიკიდან **ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის გამოყოფის შესახებ. 1923 წლის 15 იანვარს ეს ავტონომია საზეიმოდ გამოცხადდა აულ თორუს-მარტანში და 1934 წლის იანვრამდე იარსება, მერე კი ინგუშეთს შეუერთდა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო.** სამამულო ომის დროს, 1942-43 წლებში ჩეჩნეთის მეტი წილი გერმანელების მიერ იყო ოკუპირებული. ადგილობრივ მოსახლეობას წინააღმდეგობა არც გაუწევია და გერმანელებს განმათავისუფლებლებივით შეხვდა. **სწორედ ეს გახდა 1944 წელს ავტონომიის გაუქმების და ჩეჩნების ჩრდილოეთ ყაზახეთში გადასახლების მიზეზი.** ავტონომიური რესპუბლიკა 1957 წელს **ხრუშჩოვმა** აღადგინა.


2022 წლის 14 ნოემბერი. № 36-37 (160-161)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com

ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ვუსმინოთ გლეხებს და არა – გლახებს!



***2022 წლის ნოემბერია. კახეთში ხნავენ, მიწას ანაფუზრებენ, ანუ აფხვიერებენ, ქერსა და ხორბალს თესავენ. ამ თვეში ამ საქმეს უნდა მორჩნენ, თორემ დეკემბრიდან ატყდება წვიმები, თოვლი, ჭყაპი და მინდვრებში ტრაქტორი ვეღარ შევა.***

ზოგს ჰგონია, გლეხი მოსავალს რომ დააბინავებს, ეგრევე ქეიფსა და დროსტარებაზე უნდა გადავიდეს ან მხართეძოზე უნდა წამოწვეს და გადაღლილი ძვლები გაზაფხულამდე დაასვენოს. არა, ეგრე არ არი, მოსავლის აღებისთანავე იწყება მინდვრების გასუფთავება და, მოდით, აქვე ვთქვათ პრობლემაზე, რაც იმ პერიოდში კახეთის მოსახლეობას აწუხებს ხოლმე. **ეს არის ხანძრები თითქმის ერთი თვის განმავლობაში.** ქერის, შვრიისა და ხორბლის აღების შემდეგ გლეხმა თავისი ნაკვეთი უნდა გაასუფთავოს, საამისოდ არსებობს სპეციალური ტექნიკა და, ბუნებრივია, მისი გამოყენება ხარჯებს უკავშირდება. ამ შემთხვევაში თითქმის ყველა „მოკლე" და იაფიან გზას ადგება „შემთხვევით" გაჩენილი ხანძრების მეთოდით. ღამე გაიარე, წაუკიდე, უცებ აბრიალდება, მეზობლებშიც გადავა, თან მათაც აწყობთ... **თუ გარემოს დაცვიდან მოვლენ, ვერაფერს დაგიმტკიცებენ, 2 000-ლარიან ჯარიმას ვერ გამოგიწერენ, პირიქით, შეიძლება იქით მიაწვე — ცხელა, ალაზნის ველზე და შირაქში ტემპერატურა ლამის 50-60 გრადუსამდე ადის, ხანძრის ჩასაქრობი კი არა, დასალევი წყალიც კი ჭირს, მე რა ვიცი, ვინ გაიარა, ანთებული პაპიროზი ვინ გადააგდო, ან ვინ წაუკიდა თავის ნაკვეთში და მერე ჩემთანაც რანაირად გადმოეკიდა?**

რამდენიმე სიტყვით იმაზეც ვთქვათ, ვალიკოს, შალიკოს, შაქროს, ზაქროს, მიხოს და სხვათა მიერ განგებ გაჩენილი ხანძრები რამდენი სახის ზიანს გვაყენებს. **პირველი — როგორც სოფლის მეურნეობის მცოდნეები ამბობენ, მიწა კარგავს ხარისხს, ზიანდება ნაყოფიერი ფენა; მეორე — ნადგურდება ფრინველი, ცხოველი; მესამე — ხანძარი შეიძლება გადავიდეს ქარსაცავ ზოლებსა და ტყეებში; მეოთხე — რა თქმა უნდა, უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, მაგ დროს სოფლებში ისეთი ამბავია, გეგონება, თოვსო, სინამდვილეში კიდევ ნავლი მოდის.**

*— ვალიკო ძიავ, რა არი, კაცო, ესა, რა უბედურებაა, ამდენი ხანძარი ერთდროულად გაგონილა? —* ვეკითხები ერთ-ერთს.

*— ჰო, რავი, ეტყობა, ვილაცამ პაპიროზი გადააგდო, ან კიდენა ბიჭებმა იქეიფეს და ნაკვერჩხალი დარჩათ.*

*— არ გინდა ახლა „რიჟა" ბაზარი, ხო ვიცი, სპეციალურად უკიდებენ ხოლმე?* — არ ვეუბნები, შენც უკიდებ ხოლმე, ხომ არ დავაფრთხობ?

*— არა, შენ თავ გეფიცები, ხო იცი, მე ეგეთი რამეებისაგან შორსა ვარ, —* იწყებს თავის მართლებას.

*— როცა მე მიფიცებ, სწორედ მაშინ იტყუები! —* ვუჭერი გზას.

*— მაიცა, განა მინდვრითვინ ცეცხლი წაკიდება უხეიროა? —* გადმოდის შეტევაზე.

*— უხეიროა, ფრინველი და ცხოველი ნადგურდება, მწყერი, მაჩვი და რამე! —* არ ვუთმობ.

*— აბა, რას ამბობ? მაგ დროს ხოხობი სხვაგან მიფრინამს, მაჩვი, ტურა და მელა კიდე გარბის, სამაგიეროდ, მინდორი პარაზიტი ჭიისაგან და თაგვისაგან სუფთავდება.*

*— მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ხოხობი გაფრენას ვერ ასწრებს და ტურა, მაჩვი, მელა კიდე გაქცევას!*

*— სხვათაშორის, ტურა, მაჩვი და მელა შესაცოტავებელია... უფრო მგელი, რომელიც უკვე სახლებში იწევს! —* მიადგა ვალიკო ძია მეორე პრობლემას.

*— ჰოოო... ეგ ძალიან სერიოზული პრობლემაა, —* ვწევ ხელებს.

*— შარშან ტიბაანში რაც მოხდა, ხო იცი? —* მეკითხება ნიშნის მოგებით.

*— ვიცი, მგელი სახლის აივანზე ავიდა, ოჯახის უფროსი იკითხა და როცა თოფი გადმოიღეს, გაიქცა, —* ვხუმრობ.

*— ჰოოო, შენ იცინი და მთელ სოფელში შიშიანობა იყო, ბალღებ ვეღარ ვუშვებდით გარეთ, მე არ მინახნია, იძახიან, დეზებიანი მგელი იყო, თვალები წითლად უელამდაო. იმის მერე ეგეთი აღარ გამოჩენილა, მაგრამ შებინდებისას რო აყმუვლდებიან ხოლმე, შენი ყურით გექნება გაგონილი!*

კი, ეგ ხშირად მესმის... ტურა და მელა საქათმეში იწევს, მგელი ცხვარ-ძროხაზე ნადირობს. ამ შემთხვევაში ვალიკო ძიას ვერ გავამტყუნებ, ნებისმიერი გარეული ცხოველის მოკვლაზე დიდი ჯარიმაა, ისევ 2 000 ლარიო. არადა, ძალიან მომრავლდა, ცხვარ-ძროხას თუ სადმე გარეკავ, თვალი არ უნდა მოაშორო, თავზე უნდა დაადგე. **პრინციპში, ვალიკო ძიას ბოლომდე ვერც ხანძრების შემთხვევაში გავამტყუნებ, ნაკვეთის დადისკვა, ანუ მიწის ჩაჩეხვა-გაფხვიერება ძალიან ძვირი ჯდება, საკმარისი მექანიზაცია არ არი. ბოლო დროს კახეთში წასვლისას ლილოს რომ გავივლი ხოლმე, აშკარად ვატყობ, ძალიან ბევრი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაა „შემოყრილი", მაგრამ ისეთი ფასები ადევს, საშუალო დონის გლეხი და ფერმერი ვერ იყიდის.** მაგალითად, **„ბელარუსის"** ტიპის ტრადიციული ტრაქტორის ფასი 56 000 დოლარია, ჩინური **„ჩიჟ-ჩიჟა"** ტრაქტორების ფასი 20-25 ათას დოლარამდე ადის.

**როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამაც ერთგვარი გადაწყობა დაიწყო, პირველი, რაც გაკეთდა, მოხდა სახელმწიფო ქონების სანახევრო განკერძოება და მაღაზიებში სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის „დაყრა" ძალზე იაფად.** ზოგი იტყვის, ჩინეთმა თვითონ დაიწყო ტრაქტორების წარმოება და იქ ამიტომაც არის იაფიო. დიახ, ასე მოხდა, მაგრამ, ალბათ, ერთი ქარხნის გახსნა ჩვენც შეგვეძლო... თუნდაც ბელარუსის გამოცდილება გაგვეზიარებინა — ჩინეთიდან შეაქვთ ნაწილები და თავიანთ ქვეყანაში აწყობენ. ამას წინებზე ტელევიზორში ვუყურე, **ლუკაშენკო** ეწვია ერთ-ერთ ქარხანას, გიჟად იყო, ყველაფერი რომ ჩინეთიდან შემოგაქვთ, **აქ რა ჩემ ფეხებს აკეთებთო?** შემოტანა უფრო იაფი გვიჯდებაო. **რა გიჯდებათ, არ მაინტერესებს, ხვალ რომ ჩინელებმა თქვან, თქვენთან თანამშრომლობა აღარ გვინდა, მერე სად მიდიხართო? ნება იბოძეთ, ყველაფერი თუ არა, 50 პროცენტი მაინც თვითონ გააკეთეთო.** რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში **ლუკაშენკო** მართალია, მაგრამ რაკი ჩვენ ბელარუსულ სატრაქტორო ინდუსტრიამდე ვერ მივალთ, საამისოდ არც გამოცდილება გვაქვს, არც შესაძლებლობები, ყოველ შემთხვევაში, ერთი საამწყობო ქარხნის აშენება მაინც უნდა გვეცადა. ეს ჩემი აზრია, თავიანთი სიტყვა სპეციალისტებმა და მთავრობამ უნდა თქვან.

# აკი, გლეხი კაცითვინ არავინ არიო?!

**ლილოში რომ გაივლით, გზის ორივე მხარეს ტრაქტორებისა და გუთნების გამოფენებია, ვერც კი დაითვლით, იმდენია, მაგრამ რად გინდა? როგორც უკვე გითხარით, ფასებია, ცეცხლი უკიდია, როგორც შირაქსა და ალაზნის ველს მოსავლის აღების შემდეგ.** რა საჭიროა უქმად გამოფენილი მექანიზაცია, თუკი გლეხი ვერ იყიდის? სხვათაშორის, ვერ ვიტყვი, მთავრობას ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია-მეთქი, ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე ადგილზე გაიხსნა მსხვილი სატრაქტორო პარკი, ერთი მათგანი იყო სოფელ **ჩალაუბანთან,** რომელსაც დახმარება უნდა გაეწია კახელი მიწათმოქმედებისთვის. მიხვიდოდი, დაწერდი განცხადებას, გადაიხდიდი გადასახადს, მოგაკითხავდნენ და საქმეს გაგიკეთებდნენ. **თავიდან, სანამ ეს ყველაფერი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა, თითქოს არა უშავდა, მაგრამ, როცა სამინისტროშიც მობეზრდათ თუ აღარ მოუნდათ, როცა გული აიღერღეს, ისეთი ფასები დაადეს, იქ გლეხისთვის ქუდი რომ შეგეგდოთ, აღარ შევიდოდა.** თუ შევიდოდა, იყო ერთი გაწევ-გამოწევა და დედის გინება. მერე ისე მოხდა, როგორც თქვეს — ჩალაუბნის პარკში უფროსები გაფლანგვაზე დაიჭირეს და ტრაქტორებიც სადღაც წაიღეს. მაშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მომწერეს — პარკები შეიძლება საერთოდ გაუქმდესო. ფაქტია, გაუქმდა. მე თუ მკითხავთ, გასაუქმებელიც იყო.

**კახეთში რთველიც დასრულდა, მოსავალი დაბინავებულია, ჩასაწური ჩაწურულია, მაგ მხრივ არავინ წუწუნებს, მგონი, წარსულს ჩაბარდა — ჰაიმე, ვერ ჩავაბარე, დამილპა, არიქა, გლეხი კაცითვინ არავინ არიო. ვერ გეტყვით, გლეხები ბოლომდე კმაყოფილნი არიან-მეთქი, ბევრი რამეა გასაკეთებელ-გამოსასწორებელი, მაგრამ რას ამბობთ, რა შედარებაა?**

სანამ ჩალაუბანს გამოვცდებოდი, ოთხი მშენებარე ხიდი დავითვალე, უკვე ეტყობა, თანამედროვე ტიპის ხიდები რომ შენდება; სოფლებში შიდა გზები კეთდება, ადრე გაუვალი ორღობეები იყო, ლამის ყველა ორღობეში ლამპიონებს ამონტაჟებენ, ღამე სოფლები ქალაქებივით არი გაჩახჩახებული. არ ვაჭარბებ, ვისაც რეგიონებთან აქვს კავშირი, ვინც შაბათ-კვირას მაინც მიდის მამაპაპისეულ ადგილ-მამულებში, ყველამ იცის, რა კეთდება და როგორ კეთდება.

**სხვათაშორის, ნაცები ხშირად „სპეკულანტობენ, ბიძინა ივანიშვილი ყოველ სოფელს 5 მილიონს რომ ჰპირდებოდა, სად არი, ხალხი რატომ გადაყარაო? რა 5 მილიონი, ნებისმიერს დავენიძლავები, ამ წლების განმავლობაში გაცილებით მეტი იხარჯება, ვიდრე ივანიშვილი გვპირდებოდა.**

ერთ დღეში მოსკოვი როდის აშენებულა? ჩემ ბავშვობაში მოსკოვს იტყოდნენ ხოლმე, ახლა — ვაშინგტონს. **მოვდივარ თბილისისკენ, მიხარია, გლეხებს გზისპირებზე ყურძენი გამოუტანიათ, სხვა ხილიც, ბოსტნეულიც, საგარეჯოს სოფლებში რამოდენიმეგან დაგვიანებული რთველიც შევნიშნე, ზოგიერთი ჭკვიანი გლეხი ინახავს და მერე კაი ფასში ყიდის.**

მოვდივარ მანქანით, თან რადიო მაქვს ჩართული,



რუსეთიდან დაფინანსებულ **ჰელენ ხოშტარიას** ალაპარაკებენ, ისევ იმას ამბობს — **ბიძინა ივანიშვილი უნდა დასანქცირდეს, რუსეთთან აქვს კავშირიო. მამამის ბოზიას არ აქვს რუსეთთან კავშირი, ის წმინდანია, პირდაპირ სამოთხეს უკავშირდება, იქიდან იღებს სოლიკო ვირსალაძის გამოგზავნილ რუბლებსა და დოლარებს...**

არ დაიჯერებთ, სოლიკო ზოგჯერ ევროებსაც აგზავნის ხოლმე! ჰელენი აცხადებს — საქართველო გაჩერებულია, საერთოდ არაფერი კეთდება, სრულ რეგრესში ვიმყოფებითო. **აბა, მე სიზმარში ვარ, ამდენ გაკეთებულსა და გამკეთებელს რომ ვხედავ?!**

***გელა ზედელაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლია ელიავა**
*ექსპერტი, პროფესორი*



საქართველოში **ეკონომიკური მდგომარეობა არის მძიმე,** განსაკუთრებით კი ახლა განვითარებული **მწვავე ინფლაციური პროცესების** ფონზე, როდესაც იზრდება ფასები, შემოსავლები კი — არა. ადამიანებს უწევთ **ვალების ყულფში** თავის გაყოფა.

„რეზონანსი"

**ბადრი ვადაჭკორია**
*ჟურნალისტი, ფოტოგრაფი*



მე უფრო ბევრს ვამბობ ერთი ფოტოკადრით, ვიდრე ფურცელზე დაწერილით ვიტყვი. **თუ რაიმე პრემია არსებობს, ყველა მაქვს მიღებული, რუსთაველის პრემიის გარდა,** ისიც იმიტომ, რომ ნომინაცია არა აქვს, რომელიც ჩემს პროფესიას შეიძლება მიესადაგოს. **საპატიო თბილისელის წოდება კი ჩემთვის ყველაზე გამორჩეული და საპატიოა.**

„კვირის პალიტრა"

**ნიკოლოზ ჩხეტიანი**
*ფონდ „ქართუს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*



პოლიტიკურად ანგაჟირებული მედია არ ღალატობს თავის თავს — **დაგვაბრალეს, რომ, თურმე, ბოტანიკურ ბაღს ფონდი „ქართუ" წყალს პარავს** და ბოროტი დევების როლშიც გამოგვიყვანეს.

„TV იმედი"

**მარიკა კვალიაშვილი**
*კომპოზიტორი*



**ბიძინა ივანიშვილს** ქვეყნის გადარჩენაში ლომის წილი აქვს შეტანილი, თუმცა, არიან ადამიანები, რომლებსაც ამის აღიარება არ სურთ.

„ჯორჯიან თაიმსი"

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ანალიტიკოსი*



**სტრატეგიული პარტნიორობა აზერბაიჯანთან კარგია** და უფრო უნდა გაძლიერდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, **არაფრით არ შეიძლება სასწორი აზერბაიჯანის მხარეს გადაიხაროს.**

„კვირის პალიტრა"



**ავთანდილ ჯორბენაძე,**
*1993-1999 წლებში — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, 2000-2001 წლებში — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი*

# ქართული მედიცინის

ქართული მედიცინა ქართველი ერის უძველესი კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ჩვენში მედიცინის განვითარება თვით ქვეყნის ისტორიულ გზას უკავშირდება, რომელშიც შეგვიძლია შემდეგი ძირითადი ეტაპების გამოყოფა:

- **უძველესი დროის ქართული მედიცინა;**
- **ქართული რენესანსის დროის მედიცინა;**
- **მედიცინა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე;**
- **ქართული მედიცინა საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს;**
- **ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში;**
- **ჯანმრთელობის დაცვა საბჭოურ პერიოდში;**
- **ჯანმრთელობის დაცვა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.**

ქართველ ერს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის წარმომადგენელს, ჰქონდა ყოველი ისტორიული ეპოქის შესაბამისად განვითარებული მედიცინა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი წელთაღრიცხვის პერიოდის რაიმე წერილობითი მტკიცებულება უცვლელი სახით არ შემოგვრჩენია, არქეოლოგიური არტეფაქტებით, მითოლოგიურ წყაროებში გადმოცემული მისტერიებით და უკვე ქრისტიანული ეპოქის ძეგლებით ან ახალი რელიგიის გავლენით სახეცვლილი ნაწარმოებებით შეიძლება ვიმსჯელოთ იმდროინდელ ქართულ მედიცინაზე.

მე-18 საუკუნეში მოღვაწე მედიცინის ისტორიის კლასიკოსი **კურტ იოაჰიმ შპრენგელი** თავის ფუნდამენტურ ნაშრომს Cure Mediana-თი, ანუ **მედეასებური** მკურნალობით იწყებს და ამით პრაქტიკულად აღიარებს, რომ მედიცინის განვითარების ისტორია კოლხურ-იბერიული პრაქტიკიდან იღებს სათავეს.

**კერპთაყვანისმცემელ საქართველოში ყოველი დაავადების გამომწვევ მიზეზად შესაბამისი ავი სული იყო მიჩნეული. ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად ხდება ძირეული ცვლილება ამ მიმართებით. ქრისტიანულად მონათლული ქართველი კაცი უკვე წმინდანს, სულით ამაღლებულს და გასხივოსნებულს ევედრება შველას ავადმყოფობის დასათრგუნად.** იმ პერიოდის ქართული მედიცინის დონე ნაჩვენებია **იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“,** სადაც ავტორი არამარტო ავადმყოფის მკურნალობის და მოვლის, არამედ დაავადების გამომწვევ პირდაპირ და არაპირდაპირ მიზეზებსაც მიმოიხილავს.

**მარტვილი საბაწმინდელის** ნაწარმოებში **„სინანულისთვის სიმდაბლისა“** მრავალ სხვა საინტერესო რჩევებთან ერთად ბერ-მონაზონთათვის აუცილებელი სამედიცინო ცოდნაცაა გადმოცემული. აქვე აღნიშნულია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში საჭიროა პროფესიონალი ექიმის მოყვანა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ექიმის პროფესია მე-6 საუკუნის საქართველოში დამოუკიდებლად არსებობდა. მნიშვნელოვანია, რომ რელიგიური ხასიათის ნაწარმოებებში განსაკუთრებითაა გამოყოფილი სამონასტრო მედიცინა. ფაქტია, რომ ის მძლავრი შენაკადია მთლიანი მედიცინისა. ყველა წმინდანი მკურნალია, გამონაკლისი თითქმის არ არსებობს. **პეტრე იბერი, შუშანიკი, ცამეტი ასურელი მამა, გრიგოლ ხანძთელი და მრავალი სხვა თავისი დროის გამოჩენილი მკურნალები იყვნენ.** განსაკუთრებით აღსანიშნავია ილარიონ ქართველი, მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი **„უვერცხლო მკურნალი“.**

ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული სამედიცინო წიგნი მე-10 საუკუნის ბოლოთი თარიღდება. **„უსწორო კარაბადინი“** ენციკლოპედიური განათლების ექიმის მიერაა დაწერილი, რომელიც თავის თავს **ქანანელს** უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებში გარდა იმ პერიოდის მსოფლიო სამედიცინო ცოდნის თავმოყრისა, აღწერილია შუმერული მედიცინის, კერძოდ, დიაგნოსტიკის ცალკეული მომენტები, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წიგნს.

დღეს ძალზე ბევრს წერენ ქართულ რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენლებზე — **იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელზე.** არსენ იყალთოელი თანამედროვეთა მიერ დიდ ანატომიკოსად იყო აღიარებული. **საქართველოს ისტორიის „ოქროს პერიოდის“ შესაფერისი ნაწარმოებია მე-11 საუკუნის დასაწყისში ხოჯაყოფილის მიერ შექმნილი „წიგნი სააქიმოი“.**

მე-10-11 საუკუნეებში საქართველოში და საზღვარგარეთ მრავალი ქართული სავანე აშენდა, სადაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საავადმყოფოებს ეჭირათ. **აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები, იერუსალიმის, ათონის ივერთა, პეტრიწონის, სინასა და შავი მთის ქართულ სავანეებში დღესაც ადვილი შესამჩნევია საავადმყოფოების ნაშთები.** ზოგიერთ მათგანში კი, მაგალითად, **ათონის ივერთა მონასტერში,** რამდენიმე სამკურნალო დაწესებულებას ვხვდებით — **ინფექციურ დაავადებათა, სულით ავადმყოფთა და საერთო პროფილის საავადმყოფოებს.** აქ უმდიდრესი ბიბლიოთეკები იყო დაცული. ასე რომ, ქართული მედიცინა — პრაქტიკულიც და სამეცნიეროც — თანაბარი უფლებებით არსებობდა და ვითარდებოდა.

**უდიდესი ქართველი ექიმი და მოაზროვნე ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი** პირველი საერო პიროვნებაა, რომელიც დიდსა და შეუცვლელ ადგილს იკავებს ქართული და, არამარტო ქართული, მედიცინის ისტორიაში. მისი **„სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“** ჭეშმარიტი შედევრია. ძველი საქართველოს უკანასკნელი დიდი ნაწარმოებია **დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“.** სულ საქართველოს და საზღვარგარეთის ფონდებსა და ბიბლიოთეკებში 500-ზე მეტი სამედიცინო ხელნაწერია დაცული. ქართულ მედიცინაზე შეიძლება ითქვას, რომ ის უნიკალური ბუნების მატარებელი ფენომენია — შექმნილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე და თანაბარი დონით ატარებს ორივე ამ სამყაროს, ორივე მენტალური სისტემისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ეს არის, ერთი მხრივ, სიღრმე, მასშტაბურობა და მრავალფეროვნება და, მეორე მხრივ, სისტემატიზაცია, შინაგანი დისციპლინა და კონკრეტიზმი, რაც ქართულ მედიცინას საინტერესო და თვითმყოფად ხასიათს ანიჭებს. **ერეკლე მეორის პერიოდის მასალებიდან ცნობილია, რომ ექიმბაში (ანუ ექიმების მეთაური) 20-25 წლის განმავლობაში ზრდიდა თავის შეგირდებს და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდათ ამ უკანასკნელთ დამოუკიდებლად მუშაობისა და მოწაფის აყვანის უფლება.**

მე-17-18 საუკუნეებიდან იწყება ევროპული ცოდნის დანერგვა ქართულ მედიცინაში. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან **ვახტანგ მეექვსის** წაყვანილი ახალგაზრდები მოსკოვსა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში ეუფლებიან სამედიცინო განათლებას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია **ილია გრუზინოვი (ნამჩევაძე)** — დიდი ქართველი მეცნიერი, ანატომი და ფიზიოლოგი. უაღრესად ნიჭიერი, ევროპული ენების მცოდნე ილია გრუზინოვი სახელმწიფოს ხარჯით გაიგზავნა ევროპაში. გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის სამეცნიერო წრეებში მან სწრაფად გაითქვა სახელი. იგი ითვლება ნეიროფიზიოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მსოფლიოში. **ილია გრუზინოვი** 32 წლის ასაკში დაიღუპა 1812 წელს ალმოდებულ მოსკოვში. მას მოსკოველები „გმირ პროფესორს“ უწოდებდნენ.

1799 წელს **იოანე ბაგრატიონმა** თავის მამას გიორგი მე-12-ს მოუმზადა სახელმწიფო რეფორმათა პროექტი **„სჯულდება“,** რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში საერო შინაარსის სკოლების დაარსების, გაზეთის გამოცემის, ბიბლიოთეკისა და მუზეუმის გახსნასთან ერთად ითვალისწინებდა სასნეულოების, სამშობიაროებისა და აფთიაქების დაარსებას, რომელთა სამართავად სპეციალური სამედიცინო უწყება უნდა შექმნილიყო. **სამწუხაროდ, ამ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა გიორგი მე-12-ის სიკვდილისა და რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის გამო.**

1801 წელს, ანექსიისთანავე, რუსეთმა დაიწყო საქართველოს სამედიცინო დარგის თავის ყაიდაზე გადაკეთება. 12 სექტემბერს შეიქმნა **„საქართველოს საექიმო სამმართველო“,** რომლის ინსტრუქციის თანახმად, საექიმო სამმართველო მეთვალყურეობას უწევდა სამკურნალწამლო ნივთიერებების გაყიდვის საქმეს (აფთიაქებს), აწესრიგებდა სულით დაავადებულთა და ავადმყოფ პატიმართა საექიმო დახმარებას. მასვე ევალებოდა გუბერნიის მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერილობის შედგენა. სამმართველო იძენდა და ინახავდა რთულ ხელსაწყოთა კომპლექტებს და სხვა. საექიმო სამმართველოს ემორჩილებოდა გუბერნიის მთელი სამედიცინო პერსონალი.

1840 წელს **საქართველოს საექიმო სამმართველო** გარდაიქმნა **„ქართლ-იმერეთის საექიმო სამმართველოდ“.** ეს უკანასკნელი კი 1846 წელს, ამიერკავკასიის გუბერნიებად და მაზრებად დაყოფასთან დაკავშირებით, გარდაიქმნა **საგუბერნიო სამმართველოსთან არსებულ თბილისის საექიმო მმართველობად,** ხოლო ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოსთან შეიქმნა **გუბერნიის ექიმის თანამდებობა.** აღნიშნული გარდაქმნების მიზანი იყო მანამდე არსებული დაქუცმაცებული სამედიცინო ქსელის გაერთიანება და ცენტრალიზაცია. თუმცა, ამ რეფორმებმა ვერ გაამართლა. ამიტომ 1861 წელს შემუშავდა პროექტი, რომლის მიხედვითაც საექიმო ნაწილის მმართველობა მიაკუთვნეს კავკასიის მეფისნაცვალს და ის შევიდა მისი მთავარი სამმართველოს განკარგულებაში.

1867 წელს დაიწყო სამედიცინო ნაწილის რეორგანიზაცია. მას ევალებოდა კავკასიაში არსებულ დაწესებულებათა ზედამხედველობა, ექიმების, ბებიაქალების და ფერშლების დანიშვნა, გადაყვანა და დათხოვნა, სამედიცინო პერსონალის მუშაობის წესების შემუშავება, მათი წარდგენა ხარისხზე და დაჯილდოებაზე, აფთიაქების გახსნა და დახურვა, გამოსაცემი სამედიცინო ნაშრომებისა და საჯარო განცხადებების ცენზურა, ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება, სასწავლო საექიმო საზოგადოებების წესდების განხილვა და საექიმო დაწესებულებების მიერ მიღებული დადგენილებების და ზოგიერთ შემთხვევაში გაცემული ჰონორარების რევიზია.

1888 წელს ერთხელ კიდევ გარდაიქმნა სამოქალაქო უწყების სამედიცინო განყოფილება და დაარსებულ იქნა ზუსტად ისეთივე მმართველობა, როგორიც იყო რუსეთის იმპერიის სხვა გუბერნიებში. ამიერიდან სამედიცინო საქმეს განაგებდა **შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი და გუბერნიის სამმართველოს საექიმო განყოფილება.**

ეპიდემიებთან ბრძოლის მიზნით საქართველოს ძირითად მაგისტრალებზე შეიქმნა **კარანტინები.** მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 12 კარანტინი ფუნქციონირებდა.

**პირველი სამოქალაქო ტიპის სტაციონარი საქართველოში 1829 წელს გაიხსნა, რომელიც 12 საწოლზე იყო გათვლილი.** მხოლოდ 58 წლის შემდეგ მოხერხდა მისი 200 საწოლამდე გაფართოება. **1865 წელს გაიხსნა პირველი ამბულატორია. 1873 წელს დაარსდა პირველი სამეანო დაწესებულება, რომელიც 1875 წელს ოლღას სახელობის ამიერკავკასიის საბებიო ინსტიტუტად გადაკეთდა.** მის შენობაში დღეს **ჩაჩავას კლინიკაა** განთავსებული. **1913 წლისთვის საქართველოში 38 საავადმყოფო იყო 1985 საწოლით, მათგან ქალაქად — 28, ხოლო სოფლად — 10. მოქმედებდა 36 საექიმო პუნქტი, 48 ამბულატორია, 2 სამალარიო სადგური და 95 აფთიაქი.**

მე-19 საუკუნე წინააღმდეგობებით სავსე იყო. ერთი მხრივ, ეროვნული ჩაგვრა, ყველაფერი ქართულის და, მათ შორის, ეროვნული მედიცინის დევნა და, მეორე მხრივ, ქართველების მიერ განათლების მიღება რუ-



ილარიონ ქართველი



პეტრე იბერი



არსენ იყალთოელი



ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი



იოანე პეტრიწი

# ისტორიული გზა

სეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში. რუსეთის მთავრობა ხშირად „სჯიდა“ სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს და კავკასიაში ასახლებდა. ასე მოხვდნენ თბილისში პოლონელი, რუსი, უკრაინელი, გერმანელი და სხვა ეროვნების ექიმები. მათი უმეტესობა კეთილშობილი, ვაჟკაცური ბუნების ადამიანები იყვნენ. სწორედ ამიტომ ხდებოდა, რომ საქართველო — რუსული იმპერიის განაპირა გუბერნია — ბევრი სასიკეთო წამოწყებისა და ნოვაციის ავტორი იყო.

1864 წელს თბილისში ჩამოყალიბდა **კავკასიის სამედიცინო საზოგადოება,** რომლის შექმნაშიც დიდი წვლილი შეიტანეს **ივანე სობოლშჩიკოვმა, გიორგი დავრიშვილმა, ივანე მინკევიჩმა, ზაქარია ზუბლაშვილმა, იოსებ გორალევიჩმა, გიორგი ტარსაიძემ, ივან პრიბილმა, სტეფანე ბასტამაშვილმა, იასე ჩიბიანმა** და სხვებმა. ქართული ხალხური მედიცინის კვლევისთვის და სხვა წარმატებებისთვის საზოგადოება ვენასა და მოსკოვში ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

**1896 წელს ექიმმა მიხეილ გედევანიშვილმა თბილისში ჩამოიტანა რუსეთის იმპერიაში პირველი რენტგენისა და დარსონვალის აპარატები, რომელიც დღეს მედიცინის ისტორიის მუზეუმში ინახება.**

უნდა ითქვას, რომ ზოგადად ქართველი საზოგადოების კვალად, მე-20 საუკუნის ათიან წლებში ქართული მედიცინა საკმაოდ განვითარდა. **ნიკოლოზ მეორის** ლოიალური პოლიტიკა საშუალებას აძლევდა ენთუზიასტებს, გაეხსნათ ახალი საავადმყოფოები, ამბულატორიები. 1916 წელს შეიქმნა **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება,** რომელმაც დიდი როლი შეასრულა თბილისის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის გახსნის საქმეში. ილიასეულ და სხვა ქართულ პერიოდიკაში ხშირად იბეჭდებოდა სამედიცინო ხასიათის წერილები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, ექიმთა უფლებების დაცვას, საქველმოქმედო საქმიანობას. ქართული სამედიცინო საზოგადოება საკმაოდ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, როდესაც რუსული იმპერიის რღვევა დაიწყო.

**1918 წელი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია. ამ წლის 26 მაისს, ნაშუადღევს, საქართველოს ეროვნული საბჭოს პარლამენტის დავალებით ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია.**

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბება უაღრესად რთულ ვითარებაში მოხდა. ეს სირთულე განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. პირველი და უმთავრესი იყო ის, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა განსაზღვრა მსოფლიოს პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა საკმაოდ მოულოდნელმა გადანაწილებამ და ამიერკავკასიაში წარმოქმნილმა სამართლებრივ-პოლიტიკურმა ვაკუუმმა. მართალია, ქართველი ხალხის მუდმივი ბრძოლა და შინაგანი მზაობა თავისუფლებისთვის ჯანსაღი საზოგადოების შექმნისა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე დამყარებული მიზნების დასახვის გარანტი გახდა, მაგრამ მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები არ აძლევდა საშუალებას ახალგაზრდა რესპუბლიკას, სრულად მორეოდა შინაგან არაერთსულოვნებასა და გარეგან მტერს.

**საკმაოდ მაღალი პროფესიულ-ინტელექტუალური საექიმო პოტენციალი ახალგაზრდა რესპუბლიკას მემკვიდრეობით გადმოეცა. საქართველოს ექიმებს განათლება მიღებული ჰქონდათ რუსეთისა და ევროპის ყველაზე ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვეული რიტმითა და სათანადო სტანდარტით მუშაობდა სხვადასხვა პროფილის საავადმყოფოები და საგანმანათლებლო კერები.**

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მთავრობა, ბუნებრივია, მომჭირნედ მიუდგა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სისტემის ჩამოყალიბებას. თითოეული შტატის დამტკიცებას მთელი რიგი კანონპროექტებისა და დადგენილებების შექმნა სჭირდებოდა. ამდენად, ორგანო, რომელსაც უნდა ეთავა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მართვის ფუნქცია, მხოლოდ 1918 წლის ნოემბერში შეიქმნა და მას **საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საექიმო-სასანიტარო განყოფილება** დაერქვა. ხელმძღვანელად დაინიშნა **სიმონ ჯაფარიძე.**

ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა პრაქტიკულად იმეორებდა რუსეთის იმპერიის მიერ დატოვებულ სქემას. საქართველოს ტერიტორია დაყოფილიი იყო მაზრებად, ოლქებად, ქალაქებად და ა.შ. მაზრა იყო ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. შესაბამისად, ინიშნებოდნენ სამაზრო, საოლქო, საქალაქო ექიმები. აქვე ცალკე იყო გამოყოფილი **სასამართლოს ექიმები.** მიდგომა ცალკეული რეგიონისადმი განსხვავებული იყო. მაგალითად, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სვანეთის და ახალქალაქის მხარეს. პირველისადმი ყურადღება მისი მაღალმთიანობითა და ენდემური ჩიყვის პრობლემით იყო პირობადებული, ხოლო მეორესადმი — ასევე მაღალმთიანობით და, ჩვენი აზრით, ეროვნული და აღმსარებლობითი მომენტებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამკურნალო ქსელი იყოფოდა სამ სექტორად:

**1. სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი,**

**2. მუნიციპალური (საერობო) სამკურნალო ქსელი და**

**3. კერძო სამკურნალო ქსელი.**

გარდა ამისა, სამკურნალო საქმეს ემსახურებოდა კერძო პრაქტიკის მწარმოებელ ექიმთა კორპუსიც.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა **სააფთიაქო საქმესაც.** იმ დროს აფთიაქები ორი სახის იყო — **საქალაქო (მუნიციპალური)** და **კერძო.** ქართველ ფარმაცევტთა წრეებში დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ძლიერი იყო საქართველოში ფარმაცევტული საქმის ახლებურად, დროის მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობის სურვილი. **კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების** მაგიერ შეიქმნა **საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოება.**

1920 წლის თებერვალში **შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს პარმენ ჭიჭინაძეს,** რომელიც განათლებით ექიმი იყო, გამოაქვს პროექტი დეკრეტისა **„საექიმო-სასანიტარო განყოფილების ბაზაზე ჯანმრთელობის დეპარტამენტის დაარსების, მისი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“.** თავის მოხსენებაში **პარმენ ჭიჭინაძე** მიმოიხილავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ **იმძლავრა მალარიამ, ჭლექმა, ვენერიულმა სნეულებებმა, ხოლო პარტახტიანი ტიფის წინააღმდეგ გატარებული დიდი სამუშაოს მიუხედავად, შედეგები არასახარბიელოა.** მისი აზრით, ეს გამოწვეული იყო ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებისა და უწყებების არაკოორდინირებული მოქმედებებით და მოითხოვს ყველა სამედიცინო ორგანიზაციის ჯანმრთელობის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებას. მრავალმხრივი განხილვის შემდეგ დეკრეტი 13 ივლისს იქნა დამტკიცებული.

ვფიქრობთ, საინტერესოა დეპარტამენტის ფუნქციათა ნუსხა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ იმდროინდელ სამედიცინო პრობლემათა სპექტრიც და ქართველ ექიმთა დამოკიდებულებაც მისადმი მიმართ.

*„... **ჯანმრთელობის დეპარტამენტს მიენდოს:***

*ა) რესპუბლიკის ყველა საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა მოქმედებისთვის თვალყურის დევნება და კონტროლი;*

*ბ) საკარანტინო საქმე;*

*გ) ჭლექის, მალარიის, ხოლერის, შავი ჭირის, პარტახტიანი სახადის, ვენერიული ავადმყოფობის და სხვა სენის წინააღმდეგ ბრძოლა;*

*დ) ექსპერტიზის საქმე;*

*ე) საექიმო-სასანიტარო სტატისტიკის წარმოება;*

*ვ) სახელმწიფო მნიშვნელობის აგარაკ-კურორტების საექიმო-სასანიტარო მხრივ ხელმძღვანელობა და მართვა-გამგეობა იმ უწყებასთან შეთანხმებით, რომელსაც აგარაკ-კურორტები აქვს ჩაბარებული;*

*ზ) საფარმაციო და საფარმაცევტო საქმე;*

*თ) საექიმო-სასანიტარო კანონების სისწორით აღსრულებისთვის თვალყურის დევნა და სხვა;*

*ი) საექიმო-სამეცნიერო კითხვების დამუშავება.*

***ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსად ინიშნება ექიმი.***

***ჯანმრთელობის დეპარტამენტს აქვს 5 განყოფილება დროებით, სანამ მოხდება, რკინისგზისა და საერობო და საქალაქო სამკურნალო ნაწილების გაერთიანება“.***

დეპარტამენტს მართავდა საბჭო, რომელიც შედგებოდა განყოფილების გამგეებისგან და თავმჯდომარეობდა დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მოდელი ემყარებოდა სოციალური სახელმწიფოს შექმნის პრინციპებს. საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 121-ის მიხედვით, **„დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან“.** ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის მოდელის არჩევით საქართველო უერთდებოდა ევროპულ ღირებულებებს და ქვეყანაში ევროპულ სტანდარტს ამკვიდრებდა.

**იმ პერიოდის საქართველოში სულ 45 საავადმყოფო იყო 1200-მდე საწოლით.1919 წლის მონაცემებით თბილისის გუბერნიაში 17 საექიმო უბანი იყო, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 13.** ამ პერიოდში ახალი სამედიცინო დაწესებულებები გაიხსნა ფოთში, ახალქალაქსა და სვანეთში. მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთეულად უნდა მივიჩნიოთ ე.წ. სამკურნალო-მეთვალყურე სადგურები და ადგილები. როგორც ჩანს, ეს დაწესებულებები წარმოადგენდა დღევანდელი გაგებით სანეპიდსადგურებისა და ამბულატორია-პოლიკლინიკების ერთგვარ ნაზავს.


„მედეა“ – ეველინ დე მორგანი (1855-1919)

საქართველოსთვის ამ მეტად მძიმე პერიოდში ქართველი ექიმები ახერხებენ ახალი საავადმყოფოების გახსნასაც. მაგალითად, 1919 წლის დეკემბერში ვინმე **გრიგოლ სალუქვაძე** აკეთებს მოხსენებას ოზურგეთში საავადმყოფოს გახსნის შესახებ. არის ცნობები ომში დაღუპულთა ოჯახების, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების დახმარების, ქართველ მფრინავთა რაზმის სამედიცინო უზრუნველყოფის და სხვ. შესახებ. მნიშვნელოვანია 1920 წლის ნოემბრის დეკრეტი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1919 წლის 30 მაისის კანონს ემყარება. ის ეპიდემიებთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ოჯახების ან შრომისუნარდაკარგულ საექიმო პერსონალის დახმარებას ეხება: **ექიმებს — 15 ათასი მანეთი, ხოლო ფერშლებს — 10 ათასი მანეთი.** ეს თანხა მათ საშუალო წლიურ ხელფასს შეესაბამებოდა.

სამედიცინო მომსახურება დამოუკიდებელ საქართველოში ფასიანი იყო, მაგრამ ხალხის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფასები მთავრობის გადაწყვეტილებით განახევრებული იყო.

**ქუთაისმა, საქართველოს სხვა ქალაქთაგან პირველმა, მოგვცა უფასო მკურნალობის მაგალითი. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო მე-19 საუკუნის დამლევისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი ქუთაისელი ექიმი სამსონ თოფურია.** მისი საავადმყოფო უფასო იყო მოსახლეობის ფართო ფენებისთვის (ამის შესახებ საინტერესო მოგონება აქვს **აკაკი წერეთელს,** რომელსაც ბევრჯერ უსარგებლია სამსონ თოფურიას თანადგომით).

საარქივო მასალებში მრავლადაა ექიმთა ხელფასების მომატების ამსახველი დოკუმენტები. თანხებია გამოყოფილი ექიმთა სამგზავრო ხარჯებისთვის, საკანცელარიო ნივთების შესაძენად, სამეურნეო საქმიანობისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკმაოდ სოლიდური ასიგნებანი წამლების, ქირურგიული იარაღების, ყვავილის ასაცრელი ვაქცინის შესაძენად, ეპიდემიების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართული მედიცინის ბედი, ხალხის ჯანმრთელობა მარტო ექიმების საფიქრალი არ ყოფილა. ეს კარგად ჩანს **საქართველოს განათლების მინისტრის გიორგი ლასხიშვილის ბრძანებიდან, სადაც ვკითხულობთ:**

*„ქართველ ექიმთა საყურადღებოდ. ქართველ ექიმებს კარგად მოეხსენება, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ხალხი საექიმო დახმარების მხრივ. სხვათაშორის, ეს გარემოებაც ხელს უწყობს ხალხში ათასგვარი ცრურწმენების გავრცელებას, რასაც, სამწუხაროდ, მკვიდრად აქვს გადგმული ფესვები არათუ სოფლებში, ქალაქებშიაც კი. გასაჭირის დროს ხალხი გარბის მარჩიელთან, რომ მისგან გაიგოს თავი-*

გაგრძელება 28-ე გვერდზე


იოანე ბატონიშვილი


**მიხეილ გედევანიშვილი –**
1896 წელს თბილისში, საკუთარ ბინაში, მოაწყო საქართველოში პირველი რენტგენო და ელექტროთერაპიული კაბინეტი და სტაციონარი


**ნიკოლოზ ჭიჭინაძე – ექიმი**
1918-1920 წლებში იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ნოე რამიშვილის მოადგილე და პერიოდულად მინისტრის მოვალეობას ასრულებდა. 1920 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძე ჩაანაცვლა საქართველოს სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე


**ივანე ელიაშვილი**
1888 წლიდან თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან; 1896-1898 წლებში იყო „სამედიცინო ფურცლის“ ქართული გამოცემის ხელმძღვანელი



# ავთანდილ ჟორჟოლიანი? 

## ქართული მედიცინის

დასაწყისი 26-ე გვერდზე

***სი აწმყო და მომავალი. მოკლეთ რომ მოვსჭრათ, ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული, და ასე იქნება, სანამ მისი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც კი კერძო თაოსნობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამიტომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამწიგნობრო სექციამ განიზრახა, დაბეჭდოს მთელი რიგი სამკურნალო წიგნაკებისა... წიგნაკები უნდა დაიწეროს მეცნიერულად და მდაბიურათ, რომ გასაგები იყოს საშუალო მკითხველისთვის"...***

ამდენად, გასაკვირი აღარ არის სურვილი **სამკურნალო ფაკულტეტის** გახსნისა. 1918-1921 წლებში საქართველოში უფრო მნიშვნელოვანი რამ (დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდგომ, რასაკვირველია), ვიდრე უნივერსიტეტის გახსნაა, არაფერი მომხდარა. ეს იყო პირველი ეროვნული უნივერსიტეტი საქართველოსა და მთელს კავკასიაში.

დიდი **ივანე ჯავახიშვილის** აზრით, იგი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევაძიების დაწესებულებაც უნდა ყოფილიყო და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის ათვისება. დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი დიდი დამაარსებლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი 100-წლიანი მოღვაწეობით პირნათლად შეასრულა და მომავალშიც შეასრულებს თავისი მესაძირკვლის ამ ბრძნულ განაწესს — იგი სრულიად საქართველოს არამარტო უპირველესი და უმსხვილესი სასწავლო-აღმზრდელობითი კერაა, არამედ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც, მრავალსაუკუნოვანი ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო კულტურის ღირსეული მემკვიდრე.

1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიჩნია, რომ **„სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისთვის",** და უკვე საბჭოს 1918 წლის 17 ივნისის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების თავმჯდომარე **სპირიდონ ვირსალაძე,** გადაწყდა სექტემბრიდან საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამედიცინო გაერთიანებული ფაკულტეტის გახსნა. სასწავლო კლინიკებისათვის გამოიყო **„მიხეილის სახელობის საავადმყოფო", „ოლღას სახელობის საბებიო ინსტიტუტი",** ახლანდელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **ა.ალადაშვილის სახელობის კლინიკური საავადმყოფო, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საავადმყოფო** და სხვა.

1919 წლის 29 აპრილს უნივერსიტეტის **სამედიცინო ფაკულტეტის პირველ დეკანად არჩეულ იქნა ალექსანდრე ნათიშვილი.** უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ **გრიგოლ მუხაძე, ივანე თიკანაძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი, შალვა მიქელაძე, ალექსანდრე ალადაშვილი, სვიმონ ამირეჯიბი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ კახიანი, ვარლამ მოსეშვილი, მიხეილ ასათიანი, ალექსანდრე მაჭავარიანი, გაბრიელ ღამბარაშვილი, იოველ ქუთათელაძე, სიმონ გოგიტიძე, ვლადიმერ ჟღენტი, ლევან მარუაშვილი** და სხვა. თითოეული მათგანი შემდგომში ცალკეულ სამედიცინო დარგებში აღიარებული და სახელოვანი ქართული სამედიცინო სკოლების **(ქირურგიული, თერაპიული, მეან-გინეკოლოგიური, კარდიოლოგიური, ფიზიოლოგიური, პათოლოგ-ანატომიური, ჰიგიენისა და პროფილაქტიკური, ფარმაკოლოგიური და სხვა)** შემქმნელი გახდა, სადაც ახალგაზრდა სამედიცინო კადრები ეზიარებოდნენ იმდროინდელი თეორიული ცოდნის უახლეს დონეს.

სახსრების, ძვირადღირებული სამეცნიერო და სასწავლო მოწყობილობათა და დაწესებულებათა უქონლობის მიუხედავად, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აღნიშნავდა: **„სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისათვის, ამ ფაკულტეტზე ჩვენი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავს დიდ გამარჯვებას ამ საქმისა".** ასე ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე ქართულ სამედიცინო განათლებასა და მეცნიერებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დადგა **წითელი ჯვრის ეროვნული ორგანიზაციის** შექმნის საკითხი. საქართველოს წითელი ჯვრის დამფუძნებელი კრება ჩატარდა 1918 წლის 11 სექტემბერს, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია** და სამხედრო მინისტრი **გრიგოლ გიორგაძე.** კრება გახსნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რწმუნებულმა, ექიმმა **მიხეილ ზანდუკელმა,** რომელმაც ქართულად წაიკითხა ვრცელი მოხსენება წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ. **გამოირკვა, რომ რუსეთის წითელი ჯვრის მთელი ქონება, რაც თავმოყრილია საქართველოში, გადაეცა ქართულ წითელ ჯვარს. წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავის განკარგულებაში არსებული ძვირადღირებული ინვენტარის გამოყენებით დიდი მთავრის ქუჩაზე გახსნა შესანიშნავი საავადმყოფო, სადაც მომსახურება უფასო იყო.**

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს **წითელი ჯვრის საზოგადოებასთან** დაარსდა **მოწყალების დების საზოგადოება,** რომელშიც 20 მოწყალების და გაერთიანდა. მათ შეიმუშავეს დებულება, რომელშიც ეწერა, რომ მოწყალების დებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ქართული ენა.

ქართული სამედიცინო პრესა სათავეს იღებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან. რა თქმა უნდა, სამედიცინო ხასიათის პუბლიკაციებს რევოლუციამდელი ქართული პერიოდული პრესაც ყოველთვის ფართოდ უღებდა კარს **(„დროება", „მსოფლიო გაზეთი", „ივერია", „კვალი", „თემი" და სხვა),** მაგრამ ლაპარაკია სპეციალურ სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებიც საქართველოში სწორედ დემოკრატიული რესპუბლიკის დროს დაარსდა.

პირველი სამედიცინო ხასიათის პერიოდული გამოცემა (ჟურნალი) **„ექიმი"** 1919 წელს გამოვიდა. თანახმად მისი რედაქციის განცხადებისა, ეს იყო **„სამეცნიერო-საზოგადოებრივი სამკურნალო ჟურნალი",** ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების გამოცემა. იმავე წელს **„საქართველოს ექიმის თანაშემწეთა საზოგადოებამ"** დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის **„ექიმის თანაშემწის",** ხოლო **„საქართველოს მოსამსახურე ფარმაცევტთა პროფკავშირის ცენტრალურმა საბჭომ" — „მოსამსახურე ფარმაცევტთა"** ყოველთვიური ჟურნალის გამოცემა. 1920 წლიდან გამოდიოდა **„ჭლექთან მებრძოლი საზოგადოების"** ყოველორკვირეული ჟურნალი (მოამბე) **„ჭლექი და მასთან ბრძოლა".**

1918-1921 წლებში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზება, დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება გარკვეულწილად არასრულყოფილად ჩანდეს, მაგრამ ის საოცრად მობილური, მებრძოლი, ცოცხალი ორგანიზმი იყო. უაღრესად მაღალი პროფესიული დონით, ჯანსაღი აზრითა და სწორი მიმართულებით. ის დაფუძნებული იყო მაღალ ეროვნულ თვითშეგნებაზე, იმ უკვდავ იდეაზე, რომ ყველაფერი რაც კეთდება, კეთდება ერის, ქვეყნის საკეთილდღეოდ, მის სამომავლოდ. **ქართველ ექიმებს სრულად ჰქონდათ შეგნებული, რომ ისინი იმ ეპოქის, იმ მომენტის თანადროულები იყვნენ, რომელიც საფუძველს უყრიდა ცივილიზებული საქართველოს მომავალს.**

საქართველოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების მოკლე ისტორიამ ცხადყო, თუ რამდენად დიდი პოტენციალი იყო იმ დროისთვის ქვეყანაში. სულ მცირე ხანში გადაიჭრა ათეული წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები, რომლებიც ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადებას, მოსახლეობის გაჭირვებულ ფენებში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას, სამედიცინო ქსელის გაფართოებას ეხებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამედიცინო ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი რუსეთში მომხდარ ჯერ 1917 წლის თებერვლის, შემდეგ კი ოქტომბრის გადატრიალებას ქვეყნის სამომავლო იმედებს უკავშირებდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ როგორც მენშევიკური, ასევე ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის გატარების პროცესში მონაწილეობდნენ განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ექიმები და საზოგადო მოღვაწეები. მათ მიერ კარგად გააზრებული და გატარებული ღონისძიებები უაღრესად დიდ სოციალურ ეფექტს იძლეოდა.

საერთოდ, ქართველ ექიმთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნისთვის ტრადიციული მოვლენაა. რევოლუციამდელი ექიმებიდან საკმარისია დავასახელოთ ექიმი **ივანე ელიაშვილი,** რომელიც აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა — 1896-1898 წლებში იყო **„სამედიცინო ფურცლის"** ქართული გამოცემის ხელმძღვანელი და მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი და გიორგი წერეთლებთან, იაკობ გოგებაშვილთან, ივანე მაჩაბელთან. **ივანე ელიაშვილის** სასარგებლო საზოგადოებრივი მოღვაწეობა გრძელდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდშიც, როდესაც იგი ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის წევრი იყო და დახმარებას უწევდა საერობო მედიცინის მესვეურთ.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის მანძილზე ძლიერი იყო სოციალურ-დემოკრატიული იდეების გავლენა. 1918 წლის 21 ივლისს თბილისში ჩატარდა „სოციალ-დემოკრატ საექიმო პერსონალის კავშირის" დამფუძნებელი კრება, რომელშიც გაერთიანდა ორმოცამდე წევრი, რაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა.**

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ღრმა ცვლილებები განხორციელდა, რაც, უპირველესად, იმაში გამოიხატა, რომ უკვე პირველი დღეებიდანვე სახელმწიფომ ხელში აიღო მთელი ჯანმრთელობის დაცვა და ის ტოტალიტარული რეჟიმის ნაწილი გახდა.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტით შეიქმნა **ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი,** რომელსაც სათავეში ჩაუდგა ექიმი **გრიგოლ კუჭაიძე.** კომისარიატს თავის განკარგულებაში გადაეცა საკმარისად მსხვილი მატერიალური ფასეულობანი (მათ შორის, კერძო მფლობელობაში მყოფი სამედიცინო დანიშნულების მქონე ყველა შენობა-ნაგებობა, საავადმყოფო სალაროებისა და მცირერიცხოვან კერძო სადაზღვევო კომპანიებში კონცენტრირებული სახსრები). უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ოციან წლებში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემას მყარი საფუძველი ჩაეყარა, იგი სწრაფად განვითარდა და მოკლე ხანში მუშაობის სათანადო ეფექტიანობასაც მიაღწია.

ჯანმრთელობის დაცვის საბჭოური მოდელის სწრაფი წარმატების საფუძველი მისი უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობით იყო განპირობებული. ბოლშევიკური მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საქმეში მოკლე დროის მანძილზე მიღწეული გაუმჯობესება ტოტალიტარული სისტემის საფასადო ნაწილს წარმოადგენდა. თავისი იდეოლოგიური დატვირთვით ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღწეული დადებითი შედეგები კომუნისტური პროპაგანდის უდიდეს პოლიტიკურ აქციებს უტოლდებოდა. ამის მისაღწევად არამარტო არ ზოგავდნენ სათანადო მატერიალურ სახსრებს, არამედ საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, ეპიდემიების დროს) ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განკარგულებაში გადაეცემოდა სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მოზიდული უზარმაზარი ძალები და საშუალებები.

**უკვე 1925 წლიდან საგრძნობლად გაფართოვდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. გაიზარდა ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის**





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამაარსებლები — **სპირიდონ ვირსალაძე, ალექსანდრე ნათიშვილი**













**გრიგოლ მუხაძე, ივანე თიკანაძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი, შალვა მიქელაძე, ალექსანდრე ალადაშვილი, სვიმონ ამირეჯიბი**

# ისტორიული გზა

**რიცხვი, გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარება. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარება შემდგომ პერიოდშიც არ შენელებულა. გაძლიერდა დასახლებული ადგილების სანიტარიულ კეთილდღეობაზე ზრუნვა** (არხების გაყვანა, მაზუთით ჭაობების დამუშავება, სამალარიო სადგურების დაარსება, სანიტარიული ზედამხედველობის გაძლიერება და სხვა).

**30-იანი წლებისათვის პრაქტიკულად ლიკვიდირებულ იქნა ზოგი ინფექციური დაავადება** (ქოლერა, ყვავილი), **ზოგი კი** (მათ შორის ბავშვთა ინფექციები) **მკვეთრად შემცირდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო საერთო და განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობის დონემ.**

ექიმებით ქვეყნის უზრუნველყოფას ახორციელებდა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი,** რომელიც 1930 წლიდან თბილისის **სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტად** გადაკეთდა. ამით სამედიცინო კადრების მომზადება გამოყვანილ იქნა საუნივერსიტეტო განათლების სისტემიდან და ის უწყებრივ დაქვემდებარებაში გადავიდა. და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1995 წელს, **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში** უმაღლესი სამედიცინო განათლება აღდგა თავდაპირველად მედიცინის სპეციალობის სახით ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტზე, ხოლო 2000 წელს, უნივერსიტეტის დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით, **მედიცინის ფაკულტეტი** კვლავ ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ფაკულტეტი.

1935 წელს დაარსდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, რომელიც ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატების საქმეს ხელმძღვანელობდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის უდიდესი ზარალი, რომელიც სამედიცინო საზოგადოებას 30-ან და 50-ანი წლების დასაწყისში მთავრობის მიერ გატარებულმა რეპრესიებმა მიაყენა. სულ უფრო ძლიერდებოდა ქვეყნის იზოლაცია გარე სამყაროსაგან, რაც არ შეიძლებოდა უარყოფითად არ დასტყობოდა ქართულ სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკას.

ჯანდაცვის სფეროს ფართო იდეოლოგიზაციამ და დასავლეთისგან იზოლაციამ ზოგიერთი სამედიცინო დარგი სრულ დეგრადაციამდე მიიყვანა. ეს ხორციელდებოდა ეტაპობრივად: თავდაპირველად სამეცნიერო მიმართულების იდეოლოგიურად მცდარ პოზიციებზე ყოფნასთან დაკავშირებით წყდებოდა დაფინანსება, შემდეგ იწყებოდა მატერიალური ბაზის დაშლა და პარალელურად ამ დარგის სპეციალისტთა ფართო კრიტიკა, ხშირად კი ფიზიკური განადგურებაც. **საკმარისია გავიხსენოთ ის უდიდესი ზიანი, რომელიც ამ კამპანიებმა გენეტიკის, ფსიქოლოგიის, სოციალური მედიცინის, ფსიქიატრიის, სამედიცინო სოციოლოგიის, დემოგრაფიის განვითარებას მიაყენა.**

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი ზარალი განიცადა საქართველომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მიყენებული დემოგრაფიული ზარალის ანარეკლები დღემდე აისახება საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში. **ასობით ქართველი ექიმი აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. რესპუბლიკაში არამარტო შეიქმნა პირობები ბრძოლის ველიდან გამოყვანილ დაჭრილ მეომართა გამოჯანსაღებისთვის, არამედ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით დროებით გადაადგილებულ 1,5 მილიონზე მეტ პირთა სოციალური და სამედიცინო დახმარებისთვის.**

მიუხედავად იმისა, რომ ომმა უდიდესი ზიანი მოუტანა ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას, იმსხვერპლა ათასობით მედიცინის მუშაკი, ომისშემდგომ წლებში ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში განხორციელდა მთელი რიგი მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მდგომარეობა.

**1968 წლისთვის საქართველოში უკვე 600-ზე მეტი საავადმყოფო იყო 41400 საწოლით. ამ დროისათვის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დასაქმებული იყო 17 ათასი ექიმი, 40 ათასამდე საშუალო სამედიცინო პერსონალი, ფუნქციონირებდა 22 სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტი.** მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლები, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ტექნიკური აღჭურვილობა გაცილებით უსწრებდა ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებლებს და უახლოვდებოდა განვითარებული ქვეყნების მონაცემებს. **ამ პერიოდისთვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 72 წელს მიაღწია, მაშინ, როდესაც 1926 წელს იგი 48 წელს შეადგენდა.**

70-იანი წლების დამლევიდან, საბჭოთა საზოგადოებაში გაღრმავებულ კრიზისთან ერთად, სერიოზულად გამწვავდა ის პრობლემებიც, რომლებმაც მოგვიანებით დაამუხრუჭა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შემდგომი განვითარება. ამ პერიოდში საზოგადოების ყველა სფეროში თავი იჩინა მოსახლეობის ნიჰილისტურმა განწყობილებამ როგორც მედიცინის მუშაკებისადმი, ასევე საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ განწყობის საფუძველი თვით ჯანმრთელობის დაცვის საბჭოური მოდელის სტრუქტურაში იყო ჩადებული.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფომ, სხვა უფლებებთან ერთად, საზოგადოების ყოველი წევრის ჯანმრთელობაზე ზედამხედველის უფლებაც მიისაკუთრა. კონსტიტუციის თანახმად, იგი გახდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ერთადერთი გარანტი. ჯანდაცვის ასეთი ფორმა, პირველყოვლისა, შექმნილი იყო, როგორც ტოტალიტარული სისტემის ზედამხედველობის შემადგენელი ნაწილი.

**ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საბჭოურ მოდელში ეკონომიკური მოტივაციის არარსებობამ, მის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს აქტიურმა ჩარევამ იგი სრულ ბიუროკრატიზაციამდე მიიყვანა. სისტემას აინტერესებდა არა იმდენად მომხმარებლის (პაციენტის) მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მისი პრობლემების გადაჭრა, არამედ ქსელის ხელოვნური გაფართოება. პაციენტიც აღიქვამდა საკუთარ ჯანმრთელობას არა როგორც ბუნებით მოცემულ უდიდეს განძს, ეკონომიკურ კატეგორიას, რომლისადმი უყურადღებობა საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე დანაშაულია, არამედ როგორც სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებას და მის საზრუნავს.**

ოთხმოციან წლებში საბჭოურ სისტემაში შექმნილმა მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კაპიტალური დაბანდების კატასტროფული შემცირება გამოიწვია. ამას დაერთო რესპუბლიკაში **დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრი გაუარესება, ჯანდაცვის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მორალური და ფიზიკური მოძველება.** სახელმწიფო უკვე ვერ ახორციელებდა თავის თავზე აღებულ მოვალეობას მოსახლეობის მაღალკვალიფიციური პროფილაქტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო დახმარებით უზრუნველყოფის საქმეში.

**საბჭოურ მოდელზე აგებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემა იყო ზედმიწევნით ცენტრალიზებული და მას ახასიათებდა ტოტალიტარული მიდგომა მართვის, დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და სხვა სფეროებში.** ჯანდაცვის სტრატეგია და ტაქტიკა, მისი მოცულობა, განხორციელების საშუალებები და დანახარჯები განისაზღვრებოდა ცენტრალიზებულად და სრულიად უარყოფდა განვითარების ეკონომიკურ მოტივაციას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გაცხადებული იყო მედიცინის პროფილაქტიკური ხასიათი, სინამდვილეში მისი ძალისხმევის უდიდესი ნაწილი ძირითადად მიმართული იყო სტაციონარულ მკურნალობაზე. **სისტემის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად ითვლებოდა გატარებული საწოლ-დღეების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სწრაფვას საწოლებისა და სამედიცინო პერსონალის უზომოდ გაზრდისკენ. და ეს მაშინ, როდესაც კარგადაა ცნობილი, რომ საავადმყოფო სექტორი მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მხოლოდ 14-16%-ის მოგვარებას უზრუნველყოფს.**

სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ვალდებულება **„საყოველთაო და უფასო სამედიცინო დახმარება“** გულისხმობდა, რომ პოპულაციის თითოეული წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი განსაზღვრულად გარანტირებული სამედიცინო დახმარებით. მაგრამ, ამგვარი გარანტიების მიუხედავად, პიროვნების უფლება მისი ჯანმრთელობის დაცვაზე გარკვეულწილად ირღვეოდა, ვინაიდან მას არ ჰქონდა სურვილისამებრ სამკურნალო დაწესებულებისა და მკურნალი ექიმის თავისუფალი არჩევის საშუალება. ხოლო, რაც შეეხება უფასო სამედიცინო დახმარებას, იგი საშუალო დონის ფარგლებში იყო და უმეტეს შემთხვევებში, ავადმყოფს მაინც უხდებოდა „ექიმის ჰონორარის“ თავისი ჯიბიდან გადახდა. ამგვარად, ჯანდაცვის საბჭოური მოდელი წარმოადგენდა უფრო მეტად მოსახლეობის „სოციალური დაცვის“, ვიდრე კლასიკური ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.

**1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჯერ კიდევ სსრკ-ში 1980-იანი წლების ბოლოს დაწყებული ეკონომიკური კრიზისი საქართველოში ისე გაღრმავდა, რომ მას შედეგად მოჰყვა საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემების სრული მოშლა, ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევა და წარმოების პარალიზება.** ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს ამწვავებდა შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, სამოქალაქო ომი და გარედან ინსპირირებული სეპარატისტული მოძრაობები, 300 ათასი იძულებით ადგილნაცვალი პირი, კრიმინალური ძალების აღზევება, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა, ფასების ლიბერალიზაცია, ეროვნული ვალუტის მეტად მაღალი და საოცრად ძნელად პროგნოზირებადი ინფლაციის ტემპები, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ჯანმრთელობის დაცვის მოძველებული მოდელის შემდგომ ფუნქციონირებას, მეტადრე, რომ ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების ოდენობა იმდენად შემცირდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მატერიალური და შრომითი რესურსების მინიმალურ დონეზე ფუნქციონირებაც კი. ქვეყნის მწირი ფინანსური შესაძლებლობები პრაქტიკულად გამორიცხავდა ყოვლისმომცველ სამედიცინო დახმარებას, რის გამოც აუცილებელი გახდა სახელმწიფო ვალდებულებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაბალანსებულიყო მის შესაძლებლობებთან.

**1995 წლის 10 აგვისტოს დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრული რეორგანიზაციის პროცესი, რომლის კონცეფცია ეყრდნობა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ქართული მედიცინის გადარჩენის აუცილებლობას.**

კონცეფციის თანახმად, დარგის რეორიენტაცია უნდა განხორციელებულიყო შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **ჯანდაცვის ახალი სისტემის სამართლებრივი ბაზის შექმნა;**
- **ჯანდაცვის სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია;**
- **ახალი ეკონომიკური და ფინანსური მოდელის ჩამოყალიბება, დაფინანსების პროგრამულ მეთოდებზე გადასვლა;**
- **სამედიცინო დაწესებულებათა და პერსონალის აკრედიტაცია-ლიცენზირების დანერგვა;**
- **პირველადი ჯანდაცვის (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმი) პრიორიტეტულობა;**
- **პრივატიზაციის პროცესის უზრუნველყოფა;**
- **სადაზღვევო მედიცინის პრინციპებზე გადასვლა;**
- **წამალთპოლიტიკის რეფორმა;**
- **სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეფორმა;**
- **სამედიცინო განათლების რეფორმა;**
- **სამედიცინო მეცნიერების რეფორმა;**
- **სამედიცინო საინფორმაციო სამსახურის რეფორმა;**
- **მედიცინის მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფა.**

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაცია წარმოადგენდა საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე განხორციელებული სახელმწიფოებრივი რეფორმებიდან ერთ-ერთ პირველს, რომლის უმთავრესი მიზანი იყო კოლაფსში მყოფი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის აღდგენა, მასში თვისებრივად ახალი ურთიერთობების დამკვიდრება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებთან.

მომზადდა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და მართვის ახალი მოდელის შესატყვისი სამართლებრივი ბაზა, რომელიც ეფუძნება რეორიენტაციის ერთიან კონცეფციას. მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია კანონი **„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.** ის წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც სრულყოფილად აისახა დემოკრატიული, საყოველთაო ჰუმანიზმისა და ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი პრინციპები. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონები **„საექიმო საქმიანობის შესახებ“, „პაციენტთა უფლებების შესახებ“, „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“** და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში დაფინანსების ახალი სისტემის შექმნისას არჩევანი შეჩერდა სოციალური დაზღვევის მოდელზე. აღნიშნული არ იყო შემთხვევითი მოვლენა

გაგრძელება 30-ე გვერდზე


ივანე ბერიტაშვილი


ნიკოლოზ კახიანი, ვარლამ მოსეშვილი, მიხეილ ასათიანი, ალექსანდრე მაჭავარიანი, გაბრიელ ღამბარაშვილი, იოველ ქუთათელაძე, სიმონ გოგიტიძე, ვლადიმერ ჟღენტი

# ქართული მედიცინის

## ავთანდილ ჯორბენაძე,

*1993-1999 წლებში — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, 2000-2001 წლებში — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი*



*დასაწყისი 26-ე გვერდზე*

და **მიზნად ისახავდა 1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს გასაბჭოების შედეგად იძულებით შეწყვეტილი პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ევროპული სოციალური დაზღვევის მოდელის აღდგენას.** აქვე, აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის მოდელის არჩევით საქართველო ეხმიანებოდა საბჭოთა იმპერიის ნგრევის შედეგად ახლადგანთავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს. კერძოდ, რეგიონის 28 ქვეყნიდან 22-მა დანერგა ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის სისტემა.

**საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში პრევენციული მედიცინისა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების ამუშავებას.** ჩამოყალიბდა ევროპულ პრინციპებზე აგებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავდა **საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტებს.** **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის** დაქვემდებარებაში განისაზღვრა სამი ქვედანაყოფი: **დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ცენტრი, სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი.** დეცენტრალიზაციის მიზნით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორდონიანი სამსახურების სისტემა ცენტრალურ დონეზე და ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება გადანაწილებული იყო ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე, ხოლო მენეჯმენტი და ადმინისტრირება — ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე. გეგმური იმუნიზაციის გაწყვეტილი ჯაჭვის აღდგენით მოხერხდა ინფექციური დაავადებების გავრცელების შეჩერება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ლუგარის ცენტრის** შექმნა, რომელიც დღეისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ბაზაა კავკასიის რეგიონში ბიოსამედიცინო სფეროში და ბიოუსაფრთხოებაში სამეცნიერო კვლევებისათვის. **ამოქმედდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის, მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებათა მართვის სისტემა.**

რეორიენტაციის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა სტაციონარულ მკურნალობაზე ორიენტირებული საბჭოთა მედიცინის რეორიენტაცია პრევენციასა და პირველად ჯანდაცვაზე. **საქართველო წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, სადაც შემოღებულ იქნა პირველადი ჯანდაცვის მხარდამჭერი პოლიტიკა. შემუშავდა საოჯახო მედიცინის კონცეფცია. ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა პირველადი ჯანდაცვის დეპარტამენტი. ჩამოყალიბდა საოჯახო მედიცინის საზოგადოება. საოჯახო მედიცინა აღიარებულ იქნა აკადემიურ დისციპლინად და დაინერგა სამედიცინო სასწავლო პროგრამები. შემუშავდა პროგრამები, რომელთა მთავარ მიზანს შეადგენდა ექიმების გადამზადება ოჯახის ექიმებად.**

საბჭოთა პერიოდში საუბნო-ტერიტორიული პრინციპით მოწყობილი პირველადი ჯანდაცვა, სადაც პაციენტს არ ჰქონდა ოჯახის ექიმის არჩევის უფლება, შეიცვალა თავისუფალი არჩევანის პრინციპით. შედეგად, **პაციენტს მიენიჭა ოჯახის ექიმის არჩევის უფლება.** პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციები დამოუკიდებელი იურიდიული პირები გახდნენ. სამედიცინო ორგანიზაციასა და ჯანდაცვის პერსონალს შორის ჩამოყალიბდა საკონტრაქტო ურთიერთობები. პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციების დასაფინანსებლად შერჩეულ იქნა სულადობრივი დაფინანსების მეთოდი, რაც ხელს უწყობდა ექიმებს შორის კონკურენციის გაზრდას, სამედიცინო დახმარების მაღალი ხარისხით ჩატარების სტიმულს.

მმართველობის დეცენტრალიზაციის მიზნით ჩამოყალიბდა **ჯანდაცვის რეგიონული და მუნიციპალური ცენტრები.** განხორციელდა სააფთიაქო ქსელისა და სტომატოლოგიური დაწესებულებების სრული განკერძოება.

საავადმყოფოებს მიენიჭათ მართვის სრული თავისუფლება. ისინი თავად გახდნენ პასუხისმგებელნი სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე და საავადმყოფოს რესურსების განკარგვაზე. სამედიცინო ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ტვირთი გადანაწილდა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. საავადმყოფოების ბიუჯეტურ-მუხლობრივი დაფინანსება შეიცვალა მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსებით, რაც გულისხმობდა სამედიცინო დაწესებულებისა და ჯანდაცვის მუშაკის საქმიანობის ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მნიშვნელობის ადეკვატურად. **საავადმყოფოების დაფინანსების ახალი სისტემის შექმნისას არჩევანი შეჩერდა დიაგნოზებზე დაფუძნებული, წინასწარ დადგენილი და განფასებული სამკურნალო სტანდარტების, ე.წ. სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მოდელზე, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოში აღიარებული ხარჯ-ეფექტური მეთოდის, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების პრინციპებს.**

შემუშავდა ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის გეგმა, რომელიც გულისხმობდა სექტორის სამ ჯგუფად დაყოფას: A ჯგუფის საავადმყოფოები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო, B ჯგუფის საავადმყოფოები უნდა გადასულიყო კერძო საკუთრებაში, თუმცა, მათ უნდა შეენარჩუნებინათ სამედიცინო პროფილი 10 წლის ვადით და C ჯგუფის საავადმყოფოები უნდა გაყიდულიყო როგორც უბრალოდ უძრავი ქონება. ჰოსპიტალური რეფორმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას, რაც გაზრდიდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენციას და, შესაბამისად, ხელს შეუწყობდა პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

სამედიცინო მეცნიერება გადავიდა გრანტული პრინციპით დაფინანსებაზე. მომზადდა სამედიცინო განათლების განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაინერგა განვითარებულ ქვეყნებში კარგად აპრობირებული სამეტაპიანი სისტემა — **დიპლომამდელი საბაზისო განათლება, პოსტდიპლომური — სარეზიდენტო დახელოვნება და შემდგომი უწყვეტი სამედიცინო განათლება.** რეორიენტაციის შედეგად საექთნო საქმე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ პროფესიად, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავებამ, რომელიც დღეს საყოველთაოდ აღიარებული გაიდლაინებისა და პროტოკოლების წინამორბედი იყო, სამედიცინო საქმიანობის სუბიექტების ლიცენზირებამ და პერსონალის სერტიფიცირებამ შექმნა სამედიცინო მომსახურების ხარიასხის სახელმწიფო კონტროლისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების სტიმულირების მექანიზმები.

რეორიენტაციის შედეგად აუცილებელი გახდა თვისობრივად ახალი პრობლემების დროული გადაწყვეტა. ჩამოყალიბდა **ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოებრივი მართვის ინსტიტუციური სტრუქტურები.** დემოგრაფიული პროცესების სამედიცინო ასპექტების სახელმწიფოებრივი მართვის უზრუნველსაყოფად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა **დემოგრაფიის დეპარტამენტი,** რომლის უპირველესი მიზანია საქართველოში შექმნილი მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღება. ამასთან ერთად, დეპარტამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავკასიის ხალხებთან დემოგრაფიული განვითარების სფეროში ყოველმხრივი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებას, მწვავე დემოგრაფიული პრობლემების დაძლევისთვის საერთო ძალისხმევის შემუშავებას, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ფაქტორი გამხდარიყო მშვიდობიანი კავკასიის იდეის რეალიზების საქმეში.

სისტემის განვითარების ინტელექტუალური უზრუნველყოფისთვის შეიქმნა **ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი,** ხოლო დაავადებათა გავრცელების მონიტორინგისა და პრევენციისთვის — **დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.** ამ ორი სრულიად ახალი ფუნქციებით აღჭურვილი დაწესებულების საქმიანობამ ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად შესაძლებელი გახადა 1998 წლიდან დაწყებულიყო **„ეროვნული მოხსენების საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“** ყოველწლიური გამოცემა, რომელიც შესაბამისი წლის სტატისტიკური მონაცემების სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე მზადდებოდა და დიდი სარგებლობა მოჰქონდა სახელმწიფოს პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრასა და შედეგების შეჯამებაში.

ეროვნული მოხსენების საფუძველზე გადაიდგა შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი — **შემუშავდა და 1999 წელს დამტკიცდა „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა“ და „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2000-2009 წლებისთვის“.** ამ დოკუმენტებით განისაზღვრა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, რომლებიც ექსპერტულ გაანგარიშებებსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგნოზს ეფუძნებოდა.

**განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ინსტიტუციონალური რეფორმებით, ინოვატორი იყო არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, არამედ ზოგადად აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორისაც.** ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეარულა საქართველოს მეგობარი ქვეყნების — აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, შვედეთის, ნორვეგიისა და სხვათა მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების — ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ინტელექტუალურმა და ფინანსურმა მხარდაჭერამ.

**ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების პროცესის შეჩერება და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ქაოტურად შექმნილი ბაზრის მოწესრიგების დაწყება.**

საბოლოო ჯამში, **საქართველოში ჩამოყალიბდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოდელი, რომელიც აგებული იყო სამი მხარის პასუხისმგებლობაზე.** ესენია — სახელმწიფო, დამქირავებელი და ადამიანი. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა — პრევენცია, უსაფრთხო გარემოს შექმნა და უმწეო მოსახლეობაზე ზრუნვა, დამქირავებელმა იტვირთა სამედიცინო დაზღვევის დაფინანსება სოლიდარობის პრინციპით, ხოლო თითოეულმა ადამიანმა დაიწყო ფიქრი თავის ჯანმრთელობაზე და მასზე ზრუნვა, რათა შეემცირებინა ის დანახარჯები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მის მკურნალობას.

**2003 წლის ცნობილი მოვლენების შედეგად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ახალმა მთავრობამ უარი თქვა სოციალური დაზღვევის სისტემის ბისმარკის მოდელზე, რომელიც ყველაზე უკეთ ახდენს ჯანდაცვის სექტორისათვის დამატებითი სახსრების მობილიზებას და, შესაბამისად, მდგრად დაფინანსებას და გადავიდა ზოგადი გადასახადებით დაფინანსების (ბევერიჯი) მოდელზე, რითაც შეიწირა საქართველოში სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარების საწყისი ჩანასახები.**

ცვლილებები შეეხო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემასაც. **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი შეერწყა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს და ჩამოყალიბდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი,** რამაც შეასუსტა საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლი და მნიშვნელობა, რადგან დაავადებათა კონტროლის ცენტრი მხოლოდ ინსტრუმენტია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში. **შედეგად — შემცირდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყურადღება. უფრო მეტიც, გაუქმდა სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური და მისი ცალკეული ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში გადა-**

**1968 წლისთვის საქართველოში უკვე 600-ზე მეტი საავადმყოფო იყო 41400 საწოლით. ამ დროისათვის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დასაქმებული იყო 17 ათასი ექიმი, 40 ათასამდე საშუალო სამედიცინო პერსონალი, ფუნქციონირებდა 22 სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტი. მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლები, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ტექნიკური აღჭურვილობა გაცილებით უსწრებდა ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებლებს და უახლოვდებოდა განვითარებული ქვეყნების მონაცემებს. ამ პერიოდისთვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 72 წელს მიაღწია, მაშინ, როდესაც 1926 წელს იგი 48 წელს შეადგენდა.**

# ისტორიული გზა

**ნაწილდა.** სამსახურის გაუქმების გამო ზედამხედველობის გარეშე დარჩნენ სხვადასხვა ობიექტები **(მაგ., სამედიცინო ორგანიზაციები, სტომატოლოგიური კაბინეტები, სილამაზის სალონები)**, სადაც შესუსტდა სერვისის მიწოდების ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმებზე კონტროლი.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მეტი აქცენტი კეთდება მკურნალობაზე, ვიდრე პრევენციაზე, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის და პრევენციული მედიცინის აღიარება ჯანდაცვის სისტემის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჰოსპიტალური სექტორისა და პირველადი ჯანდაცვის სამსახურების შემდგომი კოორდინირებული განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის განვითარებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლი განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, როდესაც აქტუალური გახდა **ინფექციური დაავადებების ეპიდემიები და პანდემიები.** გლობალიზებულ სამყაროში საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევები სცდება ეროვნულ საზღვრებს და ინტერესებს, ვინაიდან მას გააჩნია უდიდესი გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანდაცვა განიხილება გლობალურ კონტექსტში და მოითხოვს საერთაშორისო რეგულაციებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ტრანსნაციონალურ ქმედებებს და გადაწყვეტილებებს.

**იმის გათვალისწინებით, რომ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა უპირატესად საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე კერძო, ინდივიდუალური სერვისი, ინფექციური დაავადებების ეპიდემიების ხანა მოითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების როლის ზრდას და ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.**

**ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უარი თქვა 1995 წელს შემუშავებულ ჰოსპიტალური სექტორის რეორიენტაციის გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმის კონკურენციას.** ასევე, ამოღებულ იქნა 1995 წელს შექმნილი სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტები, რომელიც აგებული იყო მსგავსი დიაგნოზების ჯგუფებით დაფინანსების მეთოდზე (DRG). **საავადმყოფოები კერძო სადაზღვევო და ფარმაცევტულ კომპანიებს გადაეცა იმ პირობით, რომ მათ უნდა განეახლებინათ ან აეშენებინათ თანამედროვე დონის საავადმყოფოები.** გამომდინარე იქიდან, რომ ერთ მუნიციპალიტეტში ერთი სადაზღვევო კომპანია იყო წარმოდგენილი, კონკრეტული სადაზღვევო კომპანიები „კანონიერ" მონოპოლისტებად გადაიქცნენ შესაბამის რაიონში. გარდა ამისა, **დაზღვეულს ჩამოერთმევა არამარტო სადაზღვევო კომპანიის, არამედ მისთვის სასურველი სამედიცინო ორგანიზაციის არჩევის უფლება, რადგან პაციენტი იძულებული გახდა, შემოფარგლულიყო მხოლოდ მის რაიონში მოქმედი სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით, რომელსაც ეს სადაზღვევო კომპანია ახორციელებდა თავისივე საკუთრებაში მყოფ კლინიკაში.** ამით დაირღვა **„კანონი პაციენტის უფლებების შესახებ".** მონოპოლიების არსებობამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო სამედიცინო მომსახურებებზე ფასების ზრდას და, მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნიდა მომსახურების ხარისხს და ზღუდავდა სამედიცინო სერვისების თავისუფალი არჩევანის უფლებას.

2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა პოლიტიკურმა პარტიამ — **„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო"** საგრძნობლად გაზარდა ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების მოცულობა, გააუქმა სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვაში და ახლადშექმნილი „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის" განხორციელება დააკისრა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა.

**„ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად საავადმყოფოების ოპტიმიზაციის პროცესის შეფერხებაა. ბოლო წლებში სამედიცინო ბაზარზე მომრავლებული საავადმყოფოები, რომელთა უმრავლესობის დაფინანსების ძირითადი წყაროა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა.** თითქოს მხოლოდ იმიტომ შეიქმნენ, რომ სახელმწიფოს ისედაც მწირი რესურსების ხარჯზე ეარსებათ. სწორედ ასეთი „ახალგამომცხვარი" წვრილი საავადმყოფოების ზრდა და მათი ჩართვა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში განაპირობებს ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯების ზრდას და პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის ყოველწლიურ ათეულმილიონიან დეფიციტს.

**სტატისტიკური ინფორმაციით, 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საავადმყოფოების რაოდენობა 229-დან 272-მდე გაიზარდა. დღეისათვის საქართველოში 1 მილიონ მოსახლეზე 79 საავადმყოფოა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინების გარეშე იქმნება.** საწოლთა ფონდის დატვირთვა მხოლოდ 47%-ია, მაშინ, როდესაც რენტაბელობის უზრუნველსაყოფად ეს მაჩვენებელი მინიმუმ 80% უნდა იყოს. **საწოლთა არასათანადო დატვირთვა ზრდის მომსახურების ხარჯს და ამცირებს ხარისხს, რადგან პატარა კლინიკების განვითარების და მაღალტექნოლოგიურ აღჭურვილობაში ინვესტიციების შესაძლებლობა დაბალია.** ასევე გასათვალისწინებელია, რომ საავადმყოფოების სიჭარბე ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს მომსახურების ფასის ხელოვნურ გაზრდას.

**ხარისხიანი და ხარჯეფექტური სერვისის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში აქტიური შესყიდვისა და სამედიცინო დაწესებულებების სელექტიური, ანუ შერჩევითი კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა. იგი გულისხმობს სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის განსახორციელებლად იმ სამედიცინო დაწესებულებების კონტრაქტირებას, რომლებიც ფუნქციონირებენ განსაზღვრული სტანდარტებით. საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების სელექტიური კონტრაქტირება სამშობიარო სახლებიდან დაიწყო. აუცილებელია სელექტიური კონტრაქტირების დანერგვა სხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებშიც.**

ჯანდაცვის ხარჯების შეკავებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების ანაზღაურების შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების — გლობალური ბიუჯეტი და დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები (DRG) — დანერგვა, რაც ამცირებს სამედიცინო დაწესებულებისა და პერსონალის მიერ დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაციისა და ძვირადღირებული პროცედურების დანიშვნის ხარჯზე საკუთარი შემოსავლების ზრდას.

**მიზანშეწონილია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა, სადაც პასუხისმგებლობა ჯანმრთელობაზე თანაბრად და სამართლიანად გადანაწილდება სახელმწიფოზე, დამქირავებელსა და დაქირავებულზე. სოციალური დაზღვევის სისტემა უკეთ უზრუნველყოფს ხარჯების შეკავებას და ხელს უწყობს ნებაყოფლობითი დაზღვევის შევსებითი ფორმების განვითარებას. იგი გულისხმობს სამედიცინო დახმარების იმ სახეების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შედიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, ან შედიან, მაგრამ დამატებითი დაზღვევით პაციენტს უჩნდება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის თავისუფალი არჩევის უფლება, რაც ამცირებს გეგმური სამედიცინო მომსახურების ან სპეციალისტთან კონსულტაციის ლოდინის პერიოდს.**

საჭიროა საკუთრების სხვადასხვა ფორმების, როგორც სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო მომგებიანი, ასევე არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის განვითარების ხელშეწყობა. ამით გაიზრდება სამედიცინო ორგანიზაციების საკუთრების ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობს პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

**რესურსების ხარჯთეფექტიანად გამოყენების უმთავრესი მექანიზმია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის არსებობა და ამ სერვისებზე მოთხოვნილების გაზრდა, რადგან ასეთ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული სერვისების მიწოდებას. პრევენციული ღონისძიებები ნაკლებად ხარჯიანია, ვიდრე დაავადებათა მკურნალობა, რადგან გაცილებით იაფია დაავადებათა თავიდან არიდება ან მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრა, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული დაავადებების მკურნალობა.**

2003 წლიდან შეიცვალა მიდგომა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის მიმართ, რომლის მიხედვით სამედიცინო ბაზარი თვითრეგულირების მექანიზმებს უნდა დაყრდნობოდა, ხოლო სამედიცინო პერსონალს თვითგანვითარების პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელა. შედეგად, 2006 წლიდან სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლება სავალდებულო პირობას აღარ წარმოადგენდა, რადგან გაუქმდა ექიმთა რესერტიფიცირების მექანიზი.

**დღეისათვის დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა უვადოდ და ამ სერტიფიკატზე არ არის მიბმული მისი მიღების შემდგომ პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების (ან შენარჩუნების) კრიტერიუმები.** ექიმს არ ევალება რესერტიფიცირების გავლა ან კრედიტ-ქულების დაგროვება. დღევანდელ მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელშიც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მიმნიჭებელ სერტიფიკატს თუ ლიცენზიას პერიოდული განახლება არ ესაჭიროებოდეს უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემაში მონაწილეობის გარეშე. **ამიტომ საქართველოში მოქმედი სამედიცინო განათლების სისტემა** (დიპლომამდელი განათლება, რეზიდენტურა, უწყვეტი სამედიცინო განათლება და პროფესიული განვითარება) **საჭიროებს ცვლილებებს, სადაც გათვალისწინებული იქნება 1996 წელს შემუშავებული სამედიცინო განათლების რეფორმის კონცეფცია** (სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლების სავალდებულოობა), **რომელიც ეყრდნობოდა მსოფლიოში არსებულ თანამედროვე გამოცდილებას.**

საქართველოს უახლოესი წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარება, რომლის მიზანია მოსახლების ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, საჭიროებს სისტემურ მიდგომას. ფრაგმენტული, მხოლოდ რომელიმე მიმართულების რეფორმებს სასურველი შედეგის მოტანა არ შეუძლია. სისტემის სრულყოფაზე მიმართული ძალისხმევა მოითხოვს თანმიმდევრულობას, უწყვეტობას და მემკვიდრეობითობას. დაუშვებელია, რომ ის განიცდიდეს გაუთავებელ პერმანენტულ რყევებს. **ქვეყანას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირების გრძელვადიანი სტრატეგიული მიმართულებები და სამოქმედო ხედვა, რაც ხელს უწყობს მის ეფექტიან და თანმიმდევრულ განვითარებას. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების ფართო წრე. გრძელვადიანი პოლიტიკის განსაზღვრა ჯანმრთელობის დაცვის ზეპარტიული კონსენსუსის თემა და საგანი უნდა გახდეს. მიუხედავად მთავრობების ცვლისა, სტრატეგიული კურსი კარდინალურად არ უნდა იცვლებოდეს და მიღწეულის უარყოფა პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილების გამო არ უნდა ხდებოდეს.**

საქართველოს მოქალაქეები იმსახურებენ მაღალი ხარისხის, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული.

**ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები გააჩნია, რომლის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია ქართული მედიცინა. მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული მედიცინა ყოველთვის შეესაბამებოდა ეპოქის მოთხოვნილებებს და ზრუნავდა ქვეყნის ადამიანური კაპიტალის გაზრდაზე, რომელიც საზოგადოების თითოეული წევრის განათლების დონითა და ჯანმრთელობის მდგომარეობით განისაზღვრება.**




**სტატისტიკური ინფორმაციით, 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საავადმყოფოების რაოდენობა 229-დან 272-მდე გაიზარდა. დღეისათვის საქართველოში 1 მილიონ მოსახლეზე 79 საავადმყოფოა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინების გარეშე იქმნება.**

### გამოყენებული ლიტერატურა:


*გამყრელიძე ა., ვასაძე ო.* — საქართველოს ჯანმრთელობის დაცვა საუკუნეთა მიჯნაზე (მოკლე ისტორიული მიმოხილვა). — თბილისი, 2003.

*გელბახიანი პ., ჟღენტი ვ., ტატიშვილი ი.* — მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები. — თბილისი, „მეცნიერება", 1971.

*ვერულავა თ., ჯორბენაძე რ.* — საქართველოს ჯანდაცვის სისტემა დამოუკიდებლობის პერიოდში — 1918-1921 წლები. — თბილისი, 2018.

*სააკაშვილი მ., ბელაშვილი ა., ჭეიშვილი ლ., ჩხეიძე ც.* — საქართველოს მედიცინის ისტორია, XIX საუკუნე. — თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1960.

*შენგელია მ.* — ქართული მედიცინის ისტორია. — თბილისი, „განათლება", 1970.

*შენგელია რ.* — მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია. — თბილისი, 2012.

***რა სიმპტომების შემთხვევაში უნდა ატეხოს პაციენტმა განგაში, ყველა საქმე გადადოს და დაუყოვნებლივ სისხლძარღვთა ექიმს მიაკითხოს?* — *„სისხლძარღვები მთელ ორგანიზმშია დაქსაქსული, შესაბამისად, სისხლძარღვთა ექიმების კომპეტენციის სფეროს სრულიად ორგანიზმი მიეკუთვნება.*** ***ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში*** *სისხლძარღვთა ყველა დაავადებას ევროპული დონის სტანდარტებით და ტექნოლოგიებით ვმკურნალობთ!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ჩაფიძის კლინიკის სამედიცინო დირექტორმა, სისხლძარღვთა ქირურგმა, მსოფლიო ფლებოლოგთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ზაზა ლაზარაშვილმა:***



## „სიამაყით მინდა, ვთქვა, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი აღიარებულია მსოფლიოში როგორც მენჯის ვენური დაავადებების მკურნალობის ერთ-ერთ ლიდერ ცენტრად!“




## ზაზა ლაზარაშვილი:

# ეს ის სიმპტომებია, რა დროსაც დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ სისხლძარღვთა ექიმს!

— სისხლძარღვები, ზოგადად, ვენებად და არტერიებად იყოფა და უნდა ითქვას, რომ გავრცელების თვალსაზრისით, არტერიულს მნიშვნელოვნად აღემატება ვენური პათოლოგიები. მაგალითად, ქვემო კიდურების ქრონიკული ვენური დაავადება ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ასაკში ნებისმიერ ადამიანს აღენიშნება, სტატისტიკურად კი, მოსახლეობის 50 პროცენტი ამ დაავადებით იტანჯება, ისინი ცხოვრებას **ვარიკოზული, გაგანიერებული ვენებით** ან ვენების გარდამავალი, დილიდან საღამომდე მზარდი შეშუპებებით აგრძელებენ, რადგან სენი გრავიტაციასთან არის დაკავშირებული. ამასთან, რაც უფრო მაღალია ადამიანი, მით მეტი შანსია, ეს დაავადება დაემართოს. უფრო ღრმა პროცესის დროს ხდება კიდურების ჰიპერპიგმენტაცია, ავადმყოფს ფეხები უყავისფრდება. შეიძლება „ტროფიკული წყლულის“ სახით გართულებაც ჩამოყალიბდეს და პაციენტის დაინვალიდება გამოიწვიოს.

**— ვენური დაავადება კაცსაც და ქალსაც ერთნაირი სიხშირით ემართებათ?**

— არა, სქესის თვალსაზრისით არსებობს დიდი დისბალანსი, კერძოდ, ახალგაზრდა, რეპროდუქციულ ასაკში მყოფ ქალებს ასეთი დაავადება 6-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მამაკაცებს, რაც ორსულობასთან და მშობიარობასთან არის დაკავშირებული, ამას ისიც ემატება, რომ ქალის სასქესო ჰორმონი ვენის კედელზე უარყოფით გავლენას ახდენს. ვენური დაავადება სხვა ფაქტორზეც არის დამოკიდებული: **მუდმივად მცირე რაოდენობით სითხის მიღებაზე, რაც სისხლის სიბლანტეს განაპირობებს; უმოძრაობაზე; ასევე იმ პროფესიის ადამიანები, ვისაც ფეხზე დიდხანს დგომა უწევთ, ამ პათოლოგიის განვითარების მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.**

სიცოცხლისთვის ყველაზე საშიში არის **თრომბოზი,** რომელიც შეიძლება იყოს როგორც ვენური, ასევე არტერიული. ჩვენთან კლინიკაში ხვდებიან პაციენტები, რომელთაც ქვემო კიდურების არტერიების მწვავე ან ქვემწვავე თრომბოზი აღენიშნებათ, რასაც იშემიის ნიშნები ახლავს. ამ დროს პაციენტი უჩივის მწვავე ტკივილს დაზიანებულ კიდურში, რომლის ინტენსივობა მატულობს, მკვეთრად ქვეითდება მგრძნობელობა, კარგავს ნორმალურ შეფერილობას, ჯერ ფერმკრთალდება, მერე ლურჯდება და მისი მოძრაობა იზღუდება. **ეს ხდება დროის მცირე მონაკვეთში, რამდენიმე საათში, ხანდახან — რამდენიმე წუთში და ეს მდგომარეობა ძალიან საგანგაშოა.** თუ ასეთ ავადმყოფს დახმარება დროულად არ გაეწია, შესაძლოა, შეუქცევადი ცვლილებები განუვითარდეს, რამაც ქვედა კიდურების დაკარგვა გამოიწვიოს; ხოლო თუ პროცესი შორს წავიდა, სიცოცხლესაც კი შეუქმნას საფრთხე.

**— ბოლო პერიოდში საქართველოში სისხლძარღვთა რომელმა პათოლოგიამ იმატა?**

— ჩვენს ქვეყანაში ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში გახშირდა **მენჯის ვენების პათოლოგიების** გამოვლენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა. მამაკაცებში ეს პათოლოგია უფრო ხშირად სათესლე პარკებზე ვენების ვარიკოზული გაგანიერებით, ე.წ. **ვარიკოცელეთი** გამოიხატება. ქალბატონებში კი ეს დაავადება ძნელად დიაგნოსტირებადია, რთული მექანიზმით მიმდინარეობს, იმდენად, რომ სპეციფიკური სიმპტომები არ გააჩნია. ქალს აქვს მენჯის არეში ქრონიკული ხასიათის არაციკლური ტკივილი, განსაკუთრებით, სქესობრივი აქტის დროს და აქტის შემდეგ, რის მიზეზსაც ვერ ადგენს. მიდის გინეკოლოგთან, რომელიც ეუბნება, რომ ის ჯანმრთელია. ანალოგიურად პასუხობს უროლოგი და ა.შ. **შეიძლება 3-4 წელი ისე გავიდეს, რომ ქალს ექიმები თვლიდნენ ჯანმრთელად, ხოლო ტკივილის ნამდვილი მიზეზი გაუგებარი დარჩეს, რადგან ხშირად, ქალს გამხელაც რცხვენია.** ამას მოსდევს ოჯახური კონფლიქტი, რადგან ქალი ვერ ასაბუთებს ტკივილს.

ამ მდგომარეობის დასაძლევად ჩვენ შევქმენით **მენჯის ვენების ევროპული ალიანსი,** რომელშიც გაერთიანებულები არიან გინეკოლოგები, უროლოგები, რადიოლოგები, ნევროლოგები, რადგან ამ დაავადებას ერთი დარგის ექიმი ვერ მართავს. მსგავს შემთხვევებში დიაგნოზი ისმება სიმპტომებისა და ნიშნების ერთობლიობის ანალიზიდან გამომდინარე. **სიამაყით მინდა, ვთქვა, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი აღიარებულია მსოფლიოში როგორც მენჯის ვენური დაავადებების მკურნალობის ერთ-ერთ ლიდერ ცენტრად.**

**— სისხლძარღვების ტრავმულ დაზიანებებზე რას გვეტყვით?**

— **ღია ტრავმა** მანიფესტირებულია და ამის გამო საშიშია, თუმცა, არანაკლებ საშიშია **დახურული ტრავმები,** ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, გვიან ვლინდება და მდგომარეობის მიჩქმალვას უწყობს ხელს. დახურული ტრავმა ხდება ბლაგვი საგნით დაზიანების, მოტეხილობის დროს, რა დროსაც შეიძლება აღინიშნებოდეს ვრცელი, მოპულსირე სისხლჩაქცევები. ადრე ჩვენ გვქონდა საინტერესო შემთხვევა, მოგვიყვანეს ტროლეიბუსის მძღოლი, ხელზე ჩამოყალიბებული ღარით. მას ხელზე შემოეხვია ე.წ. „ბიგელებზე“ მობმული თოკი, რამაც ის ზემოთ აითრია, დაუზიანა მხრის არტერია და მთელ კიდურზე მწვავე იშემიის სურათი ჩამოუყალიბდა. მსგავსი შემთხვევები აწმყოშიც ხშირად ხდება.



ცალკე უნდა აღინიშნოს **ანევრიზმები,** სხვადასხვა ტიპის სისხლძარღვის კედლის ნაწილობრივი დაზიანების გამო ჩამოყალიბებული გამობერილობები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სისხლძარღვის კედლის ათეროსკლეროზის გამო ელასტიკურობის დაქვეითება, შიდა შრის გადაგვარება, ზოგიერთი ინფექციური დაავადება, მაგალითად **ათაშანგი** ანდა სულაც ტრავმა. **ნებისმიერი ანევრიზმა თანდათან პროგრესირებს, მისი უკუგანვითარება არ ხდება და ადრე თუ გვიან, ხდება საოპერაციო.** ანევრიზმის ღია ოპერაცია გულისხმობს სისხლძარღვის დაზიანებული ფრაგმენტის პროთეზით ჩანაცვლებას. ოპერაციის დროს ჩვენს კლინიკაში ვიყენებთ **ენდოვასკულურ მეთოდს,** როდესაც ოპერაციით გამოწვეული ტრავმა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამისთვის ვიყენებთ სპეციალურ სტენტებს — **სტენტგრაფებს,** რომელიც ყოველგვარი განაკვეთების გარეშე დგება სისხლძარღვის სანათურში. ეს მეთოდი, რომელიც პირველად „ნასამ“ შეიმუშავა, სისხლძარღვთა ქირურგიაში რევოლუციურ ნახტომად ითვლება, რადგან უტარდება მძიმე მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს და 5-6-საათიან ქირურგიულ ჩარევას ცვლის მინიინვაზიური ჩარევით.

## „ნებისმიერი ანევრიზმა თანდათან პროგრესირებს, მისი უკუგანვითარება არ ხდება და ადრე თუ გვიან, ხდება საოპერაციო!“

**— რომელ დაავადებას შველით, რაც ადრე განუკურნებლად ითვლებოდა?**

— **ინსულტისა და ინფარქტის შემდეგ, განსაკუთრებით, დიაბეტიან პაციენტებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ქვემო კიდურების ქრონიკული არტერიული უკმარისობა.** ჩვენს კლინიკაში თანამედროვე მინიინვაზიური ტექნოლოგიებით ამ დაავადებასაც საკმაოდ კარგი შედეგებით ვმკურნალობთ. დიდი ნახტომი გვაქვს ე.წ. **დიაბეტური ტერფის** მკურნალობაში, რაც 10 წლის წინ პაციენტისთვის ლამის, სასიკვდილო განაჩენად ითვლებოდა, თუმცა, სიკვდილამდე კიდურის ამპუტაცია უწევდა. არადა, დიაბეტური ტერფის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პაციენტისთვის კიდურის შენარჩუნებას. თანაც, ერთ კიდურში პრობლემის განვითარებას ხშირად მეორე კიდურიც მიყვებოდა ხოლმე და, შესაბამისად, ერთის ამპუტაციის შემდეგ მალევე მეორეს მოკვეთის აუცილებლობის წინაშე ვდგებოდით, ამის შემდეგ კი მომავალ 1 წელიწადში სიკვდილის ალბათობა მკვეთრად იზრდებოდა.

**— როგორ დავიცვათ სისხლძარღვების ჰიგიენა?**

— ვენურ სისტემას არ უყვარს სიცხე, არტერიული კი სიცივეს ვერ ეგუება. ამიტომ უნდა შევარჩიოთ ტემპერატურის „ოქროს შუალედი“. **გვახსოვდეს, რომ თამბაქო სისხლძარღვების მტერია! აუცილებლად უნდა მივიღოთ დღეში 2-2,5 ლიტრი სითხე, რაც აუცილებელია სისხლის გასათხელებლად.** ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა იყოს მორგებული და ადამიანს ეცვას თავისუფლად, ეს ეხებათ განსაკუთრებით დიაბეტით დაავადებულებს, რადგან მათ მგრძნობელობა ისედაც დაქვეითებული აქვთ და ვერ გრძნობენ, როცა ვიწრო ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი სხეულს უზიანებთ.

მინდა, რჩევა მივცე გოგონებს: ვენური სისტემის დაზიანება გეომეტრიული პროგრესიით არის დაკავშირებული სოლარიუმებში ხშირ ვიზიტებთან. სისხლძარღვების ჯანმრთელობა პირდაპირ არის დაკავშირებული სწორად კვებასთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საკვები უნდა იყოს უჯრედისით მდიდარი, უმეტესი — მცენარეული, ვიდრე ცხოველური; **ვერიდოთ ცხიმიან საკვებს და რაციონი გავამდიდროთ თევზეულით. გვახსოვდეს — თევზი რაც უფრო იაფია, მით უფრო სასარგებლოა, რადგან მეტი რაოდენობით შეიცავს ომეგა-3-ს.**

**— დაუყოვნებლივ რა სიმპტომების შემთხვევაში უნდა მივმართოთ სისხლძარღვთა ექიმს?**

— **უეცარი ტკივილი, რომელიც ძლიერდება და თანდათან აუტანელი ხდება, კიდურის გაფერმკრთალება და ციანოზში გადასვლა, კიდურის დაბუჟება, მგრძნობელობის დაქვეითება, კიდურებზე შემაგრებული და შეშუპებული უბნების გაჩენა — ის სიმპტომებია, რა დროსაც დაყოვნება არ შეიძლება!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



## „ვენური სისტემის დაზიანება გეომეტრიული პროგრესიით არის დაკავშირებული სოლარიუმებში ხშირ ვიზიტებთან!“



გიორგი ჩალაძე და მალგოჟატა გოშევსკა

# ტემპერამენტიანი არამკითხე, ანუ

## დაუპატიჟებელი ქალი, რომელმაც თავი მოგვაბეზრა!

***ვინ არის მალგოჟატა გოშევსკა, რომელმაც ქართველებს რახანია, თავი მოგვაბეზრა? არა, გასაგებია, რომ იგი პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერი გახლავთ, თითქოს სერიოზული თანამდებობაც უკავია, მაგრამ რა უნდა ჩვენგან, ასერიგად რამ გადარია და რამ ააცუნდრუკა? შეიძლება, რომ კლიმაქტერული პერიოდი ჰქონდეს და საკუთარ გრძნობებს ვეღარ აკონტროლებდეს, მაგრამ ამდენ ხანს? როგორც ამ საკითხში გარკვეული ადამიანები ირწმუნებიან, პრემენოპაუზაც არ არის გამორიცხული უცაბედი ხურვებებით, ალგ ზნებადობითა და ორიენტაციის დარღვევით. პრინციპში, ასე შორიდან მისი მედიცინური მდგომარეობის გარკვევა რთულია, მაგრამ ქცევების მიხედვით, ზოგადი დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება.***

**მაშ, ასე... ამოცანა გვეკითხება: რატომ იღვწის მალგოჟატა ასე თავდავიწყებით მიხეილ სააკაშვილის პალატაში შესაღწევად?** ფაქტია, ამხელა ქალი, მარშალის წოდებით, პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის სტატუსით ჩამოდის ჩვენს სახელმწიფოში, არ უშვებენ სააკაშვილთან, არც გვარამიასთან, რჩება ლამის ერთი კვირა, დადის, დაეხეტება, ინტერვიუებს იძლევა, მაინც არ უშვებენ, თავის ქვეყანაში არ ბრუნდება და ათასნაირ უკადრებელს კადრულობს... **თან არ დაგავიწყდეთ, ამხელა „ფილარმონია“ ქალი ჩამოეხეტა არაოფიციალურად და თავხედურად ითხოვს პატიმარ-პაციენტთან შესვლას.** ისე, ოფიციალური ვიზიტითაც რომ ჩამოსულიყო, მაინც არ შეუშვებდნენ, კანონით არ ეკუთვნის — არც მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრია, არც — საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, არც — ადვოკატი ან პირადი ექიმი. **სააკაშვილთან შესვლაზე გოშევსკას უკვე ორჯერ უთხრეს უარი, მაგრამ ვერაფერი გააგებინეს, ახლა ნიკა გვარამიას ნახვა მოიწადინა, ისევ უარი მიიღო. თუმცა, ფარხმალს არ ყრის, ამჯერად კი მშვიდობით წავიდა, მაგრამ, ალბათ, ისევ ამოჰკრავს ორგანიზმში ალი, ისევ წამოუვლის სიმხურვალე და მალე გვეწვევა იგივე მოთხოვნებით.** სხვათაშორის, გოშევსკა ძალზედ ნაწყენი ყოფილა მმართველ პარტიაზე, უფრო სწორად, მის ერთ-ერთ ხელმძღვანელზე, რომელსაც წინა სტუმრობის დროს დამამცირებელი სიტყვებით მოუხსენიებია, ყველამ იცის, ვინ არის ეს ქალი და რას წარმოადგენსო.

**იიი... რას ჰქვია, ვინ ვარ და რას წარმოვადგენო? ქართველების უმეტესობამ იცის, ვინ ვარ და რას წარმოვადგენ, მაგრამ ამ ბატონისთვის ორიოდე სიტყვით დავახასიათებ ჩემს პიროვნებას, მე გახლავართ პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც უკვე მეორე ვადით არის ხელისუფლებაში, ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელიც ახორციელებს პოლონეთში რეფორმებს, აქტიურად ეხმარება უკრაინას. მრავალი წელია, მხარს ვუჭერთ ოპოზიციურ მოძრაობებს იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია კითხვის ნიშნის ქვეშ დგასო.**

აჰა, უყურებთ? **გამოდის, პოლონეთის ხელისუფლება მხარს უჭერს ოპოზიციურ მოძრაობებს იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.** გოშევსკას ტემპერამენტიანი საქციელი გვაფიქრებინებს, რომ დემოკრატია ჩვენს სახელმწიფოშიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ამიტომაც ცდილობს, „დაგვეხმაროს“.

**მე გახლავართ პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის მოადგილეო, ჩვენ უკვე მეორე ვადით ვართ ხელისუფლებაშიო, აქტიურად ვეხმარებით უკრაინასო, მხარს ვუჭერთ ოპოზიციურ მოძრაობებსო.** ეს რომ პოლონეთის ოპოზიციური პარტიის რომელიმე წარმომადგენელს ეთქვა, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ **პოლონეთის ხელისუფლება ოპოზიციაში ედგას სხვა ქვეყნის ხელისუფლებას და ეხმარებოდეს იმ სხვა ქვეყნის ოპოზიციას, ეს უკვე ნონსენსია. გამოდის, შენ პარტნიორი კი არა, მტერი ხარ.**

როგორც ხედავთ, ქალბატონი მალგოჟატა აქეთ გვამუნათებს, ჯერ ერთი, ქართველების უმეტესობამ იცის, ვინც ვარო. იქნებ უნდა ეთქვა — **პოლონელების უმეტესობამ იცისო?** არა, ქართველების უმეტესობამო, გვაბოლებს. **ხედავთ, რამხელა წარმოდგენა ჰქონია თავის გაცხელებულ თავზე? მერე იძახის, ჩვენ ორჯერ აგვირჩიესო, მგონი, არ იცის, რომ „ქართული ოცნება“ მესამედ აირჩიეს.** რაც შეეხება ოპოზიციის მხარდაჭერას, რაც ჩვენ ოპოზიცია გვყავს ჩაბანძებულ-ჩაოხრებული, ისეთივე მხარდამჭერები გააჩნია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მალგოჟატას მეთაურობით — რაც — ალხანა, ის — ჩალხანა!

**მეო** — განაგრძობს **მალგოჟატა — ძალიან დიდი ყურადღებას ვაქცევ ჩვეულებრივ, საშუალო დონის ადამიანის ცხოვრებას და მდგომარეობას საქართველოში, ჩვენ პოლონეთში უკვე მოვაგვარეთ სოციალური პრობლემები და ახლა თქვენ უნდა დაგეხმაროთო... პოლონეთის საელჩოსთან, საკონსულოსთან გაუთავებელი რიგებია, ადამიანები ცდილობენ, წავიდნენ პოლონეთში და ამას აკეთებენ არა იმიტომ, რომ პოლონეთი უყვართ, არამედ სოციალური გაჭირვების გამო. რიგებია, რასაც ვაკვირდებითო.**

სად არის რიგები? არავითარი რიგები პოლონეთის საელჩოსთან არ არის, ერთ-ორ კინკილა ადამიანს თუ დაინახავთ. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოდან პოლონეთში სამუშაოდ წავიდა 9 ათასი ადამიანი, პოლონეთიდან ბრიტანეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში გავიდა 500 ათასი ადამიანი. აი, ამის შემდეგ გველაპარაკება აწეული ტონით ეს ქალბატონი და სასჯელაღსრულების სისტემასაც კი გვიწუნებს. არადა, პოლონეთში ისეთი ჩაოხრებული პენიტენციური სისტემა ყოფილა, 2021 წელს ევროკავშირს დაუჯარიმებია კიდეც.

დაბოლოს... სანამ ჩვენი აღტყინებული სტუმარი წავიდოდა, უცნაური რამ ჩაუდენია — ოპოზიციონერებს ქუთაისში წაუყვანიათ, ერთგან დანაგვიანებული ადგილი დაუნახავს, ვიღაცას უთქვამს — ეგ საკონცენტრაციო ბანაკის ეზოაო... გადმომხტარა მანქანიდან, დაუსუფთავებია იქაურობა და „მედიებმაც“ ეგრევე გააპიარეს — **პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის მოადგილე ასე და ასე მოიქცაო.** საზოგადოების ერთმა ნაწილმა ქოშები უკუღმა ყარა, სად ქუთაისი, სად საკონცენტრაციო ბანაკიო? ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩამოიყვანეს გერმანელი ტყვეები და მშენებლობებზე ამუშავებდნენ. ასე იყო თბილისშიც.

და მაინც, რა აწუხებს **ქალბატონ მალგოჟატას,** ფაშიზმის ნოსტალგია ხომ არ გასჩენია? მგონი, პირიქით უნდა იყოს — **რაც ფაშისტურმა გერმანიამ მის ქვეყანას გაუკეთა, მათ ნაბანაკევზე ცოცხით არ უნდა დარბოდეს.** მით უფრო, რომ ეს არ იყო საკონცენტრაციო ბანაკი.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს სანატრელი დღეც დადგა, წაშავდა თუ წაბნელდა ეგ მალგოჟატა. კი გააცილეს, მაგრამ გული მიგრძნობს, მალე ჩამოეთრევა და ისევ გაბურღავს ტვინსა და გონებას! ბურღოს თავისი დაბურღული ტვინით. თუ დაჩლუნგდება, ისევ გალესავენ.

***გელა ზედელაშვილი***



**„ოპოზიციონერებს ქუთაისში წაუყვანიათ, ერთგან დანაგვიანებული ადგილი დაუნახავს, ვიღაცას უთქვამს — ეგ საკონცენტრაციო ბანაკის ეზოაო... გადმომხტარა მანქანიდან, დაუსუფთავებია იქაურობა და „მედიებმაც“ ეგრევე გააპიარეს — პოლონეთის სეიმის თავმჯდომარის მოადგილე ასე და ასე მოიქცაო!“**

## კვირგვინოსნები

**ფარიდე ხარხელაური**, *პოეტი*



ლექსის კაცის მეუღლეობა არ არის ადვილი. **მე ლექსით ვცოცხლობ და იმ განწყობაზე ვარ, რასაც ლექსი მკარნახობს.** მარინას დიდი ქალობაც ის არის, რომ ისეთი ვუყვარვარ, როგორიც ვარ.

„სარკე“

**ზურაბ ყიფშიძე**, *მსახიობი*



**ჩემი ცოლი კი არის ჯაჯღანა, მაგრამ მასთან ერთად მოგზაურობა ძალიან მიყვარს.**

„სარკე“

**მაია ონაშვილი**, *მამუკა ონაშვილის და*



**ბესო ჩუბინიძემ** ჩემი ძმის ნახატების გამოფენა მოაწყო. რომ მეგონა, გამოფენაზე უამრავი ადამიანი მოვიდოდა, მათ შორის — მისი მეგობრები, ასე არ მოხდა. რატომღაც ბევრმა ვერ მოიცალა. **ხსოვნის საღამო რომ გავაკეთო და იგივე განმეორდეს? მამუკას იქ გული ეტკინება.**

„სარკე“

**სილვესტერ სტალონე**, *ჰოლივუდის ვარსკვლავი*



გამოთქმა **„ცოლის მონა“** სუსტი მამაკაცების მოგონილია, რომლებსაც არ შეუძლიათ, გულწრფელად შეიყვარონ ქალი და პატივი სცენ მას. **მე მიყვარს ცოლი, მას კი — მე.** ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა უკვე განქორწინებულები ვიქნებოდით.

„სარკე“

**ანი ღლონტი**, *მომღერალი თამაზ ღლონტის ქალიშვილი*



მამა არასდროს არის კმაყოფილი ჩემი ნამღერით. მისი მაქსიმალური შეფასება ჩემს მიმართ არის **„ნორმალურია“.** ეს ნიშნავს, რომ უფლება მაქვს, ვიმღერო.

„თბილისელები“

# ხველის ხალხური რეცეპტები

***ხველა სასუნთქი გზების დაავადებების (პლევრიტი, ტრაქეიტი, ბრონქიტი, ფილტვების ანთება, ბრონქული ასთმა, ბრონქოექტაზია, ტუბერკულოზი და სხვა) ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, გაციების სეზონის დროს, შემოდგომაზე და გაზაფხულზე ხველის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი გამომწვევი მიზეზი არის ვირუსული ინფექცია.***

წარმოგიდგენთ მწვავე ბრონქიტის სამკურნალო სხვადასხვა ხალხურ რეცეპტს. **მკურნალობის ჩატარების დროს აუცილებელია, გათვალისწინებული იქნას გამოყენებული პროდუქციისადმი ალერგია.**

**ციტრუსოვანი სასმელი: ამ ტიპის სასმელს ვამზადებთ ფორთოხლის, გრეიპფრუტისა და ლიმონის წვენისაგან.**

**მიღება:** ახლადგამოწურულ წვენს ვაძლევთ ბავშვს დღეში **3-ჯერ ჭამამდე, ან ჭამის შემდეგ** (თუ ბავშვისთვის წვენი მჟავე იქნება, შეიძლება იგი განზავდეს ნელთბილი წყლით და თანაც დავატკბოთ თაფლით).

**ბანანის სასმელი: ვიღებთ 2 მწიფე ბანანის ნაყოფს, ვჭყლეტავთ ბადეზე, ხილფაფას ვათავსებთ ემალის ქვაბში და ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს** (ბავშვებისათვის შეიძლება დაემატოს გემოვნებით შაქარი), **ვდგამთ ნელ ცეცხლზე 3-4 წუთი, ვიღებთ ცეცხლიდან და ვახურავთ ხუფს.**

**მიღება:** აღნიშნულ სასმელს ბავშვს ვაძლევთ მთელი დღის განმავლობაში — ოდნავ შემთბარს.

**თაფლისა და ნივრის ნარევი: ვარჩევთ ნიორს და ვატარებთ ხორცსაკეპში. აქედან ვიღებთ ორ ჩაის ჭიქა მასას და ვასხამთ 1,5 ჩაის ჭიქა თაფლს, ვურევთ ენერგიულად, შემდეგ ნარევს ვუმატებთ დაფქულ, დაქუცმაცებულ 5 სუფრის კოვზ სელის ფესვს, 1 სუფრის კოვზ ანისულის დაფქულ ნაყოფს, 1 სუფრის კოვზ კოჭას ფესვებს. აუცილებელია ძალიან ენერგიული არევა.**

**მიღება:** ნარევი ეძლევა დღეში **3-ჯერ,** ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ასეთი დოზირებით:

**3-7 წლის ასაკში ჩ/კ-ის 1/6;**
**7-12 წლის ასაკში ჩ/კ-ის 1/3;**
**დიდებს ჩ/კ-ის1/2.**

**პომიდვრისა და ნივრის ნარევი: ხორცსაკეპში ვატარებთ 1 კგ მწიფე პომიდორს, 1 თავ ნიორს. შემდეგ 300 გ პირშუშხას დავჭრით წვრილად და ავურევთ ერთმანეთში. გადავიტანთ ჯამზე და ვინახავთ მაცივარში.**

**მიღება:** დღეში **3-ჯერ** ჭამის წინ ჩაის კოვზით; ოთახის ტემპერატურამდე შემთბარი.

**ვაშლისა და ხახვის ნარევი: ვიღებთ სახეხზე გახეხილი კანიანი ვაშლისა და გათლილი, გაწმენდილი ხახვის ხილფაფას,** თითო ჩაის ჭიქას. **აღნიშნულ მასალას ვამატებთ ორ ჩაის ჭიქა თაფლს და ვურევთ კარგად ერთმანეთში.**

**მიღება:** დღეში **6-7-ჯერ** სუფრის კოვზით, რეჟიმის გარეშე.



## დარიჩინი ხველისა და ბრონქიტისთვის

ხველებისა და ბრონქიტის მოხსნისათვის, ვამზადებთ სასმელის ასეთ ვარიანტს: ვიღებთ ჩაის ჭიქის 2/3 ღვინოს, 1/3 ჩაის ჭიქა ცხელ წყალს, 2 ჩაის კოვზ ნამდვილ თაფლს, ნახევარ ჩაის კოვზ დარიჩინს და ამდენივე ანისულის თესლს, 2 ცალ სანელებლისათვის გამოსაყენებელ მიხაკს და ფორთოხლის ნაჭრებს. ასეთი ტიპის ნარევს ვდგამთ ნელ ცეცხლზე და როგორც კი დაიწყებს დუღილს, ვდგამთ ცეცხლიდან და ვსვამთ გაციებამდე.





## ძახველის ნაყენი

**იმ მცენარეთა შორის, რომლებსაც არატრადიციული მედიცინა დიდ პატივს სცემს, ერთ-ერთ პირველად შეიძლება დავასახელოთ ძახველის ნაყოფი. მრავალი დაავადების სამკურნალოდ იგი იძლევა ძალიან კარგ შედეგს, რომელთა შორისაც პრიორიტეტული ბრონქიალური ასთმაა.**

ამ მიზნით **ძახველის ნაყოფიდან** შეიძლება დამზადებულ იქნეს შემდეგი სახის ნაყენი: ვიღებთ გადარჩეულ, გასუფთავებულ 1 კგ **ძახველის ნაყოფს,** ვყრით ემალის თასში, ვასხამთ **1 ჩაის ჭიქა წყალსა** და **ამდენივე შაქრის ფხვნილს;** ამის შემდეგ ხელის დახმარებით ვახდენთ **ნაყოფისა** და **შაქრის ფხვნილის** ერთნამეთში არევას და დაჭყლეტილი მასის გამოწურვას. ხილიდან მიღებული **ჭენჭო** კვლავ გადაგვაქვს ემალის თასში, დაფარვამდე ვასხამთ **წყალს** და ვტოვებთ 5-6 წუთი დაბალ ცეცხლზე, შემდეგ ამ ნადუღ წყალს სწრაფად ცხელ მდგომარეობაში ვწურავთ. მთლიან მასას ვაგროვებთ, კვლავ ვწურავთ საცერში და ვაცივებთ. **ძახველის წვენი შაქრის** გარეშეც კი კარგად ინახება მაცივარში.

**მიღება: ძახველის ნაყენის მიღება შეიძლება ნებისმიერი ვარიანტით, როგორც ჩაისთან, ისე ცალკე.**

**იგივე რეცეპტი მიღების იგივე წესით დადებითად მოქმედებს ისეთ დაავადებებზე, როგორებიცაა: ჰიპერტონია, თავის ტკივილი, იმუნიტეტის ამაღლება, ხმის ხრინწიანობა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების და სიმსივნის პროფილაქტიკისათვისაც.**

## ხველის მკურნალობა ფიჭვით



ვიღებთ **1 ჩაის ჭიქა ფიჭვის კვირტებს,** ვატარებთ ხორცსაკეპში. მიღებულ მასას ვამატებთ თაფლს(მოცულობით **1:1**), ვდგამთ წყლის აბაზანაში **5 წუთის** ხანგრძლივობით.

**მიღება: დღეში 5-ჯერ ჩაის კოვზით**

## კომბოსტოს წვენი კარგი ამოსახველებელი საშუალებაა



ახალი **თეთრთავიანი კომბოსტოს სქელ ფოთოლს** ვატარებთ ხორცსაკეპში ისეთი რაოდენობით, რომ მისგან გამოწურულმა წვენის მოცულობამ შეადგინოს **1 ჩაის ჭიქა,** რომელსაც დამატებული აქვს **1,5-2 ჩაის კოვზი შაქარი.**

**მიღება: დღეში 3-4-ჯერ ნახევარი ჩაის ჭიქა**

## ჭარხლისა და შაქრის ნარევით ძლიერი ხველების მოხსნა შეიძლება



კარგად გაწმენდილ **წითელი ჭარხალს** გამოვაცალოთ გული, ამონაჭერს ვავსებთ შაქრის ფხვნილით, **ჭარხლის** თავიდან მოჭრილ ნაწილს ვაფარებთ **შაქარჩაყრილ ბოლქვს,** ასე დამუშავებულ **ჭარხლის თავებს** ვალაგებთ სუფთა ტაფაზე და ვდებთ ღუმელში. **ჭარხლის** შიგთავსიდან იწყება წვენის გამოსვლა. ღუმელში **ჭარხლის თავებს** ვაჩერებთ მანამ, სანამ მისგან გამოსული წვენი შესქელებას არ დაიწყებს — სიროფის მასამდე.

მიღება: **აღნიშნული სიროფის მაგვარ სითხეს ვიღებთ დილიდან მცირე ულუფებით მთელი დღის განმავლობაში.**

## წიწიბურა არამარტო სასარგებლო პროდუქტია, არამედ მისი ყვავილით შეიძლება ბრონქიტის მკურნალობა



**უძველესი დროიდან ადამიანები ბრონქიტის სამკურნალოდ იყენებდა წიწიბურას ყვავილს. მისი ყვავილების შეგროვება ხდება წიწიბურას ყვავილობის დროს, რის შემდეგაც ვახდენთ უბრალოდ მის გაშრობას ჩრდილში. მისგან ვამზადებთ ჩაის შემდეგი წესით: 40 გ მშრალ ყვავილს ვასხამთ 1 ლ მდუღარე წყალს და ვაყოვნებთ 2 საათით. ამის შემდეგ მისი გამოყენება შეიძლება როგორც ჩვეულებრივი ჩაი.**

## ბრონქიტის მკურნალობა კორდისკბილას ნაყენით



**ვიღებთ 1 სუფრის კოვზ კორდისკბილას მცენარის დაქუცმაცებულ მასას, ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ვათავსებთ ძალიან ნელ ცეცხლზე 4-8 წუთი, ვაცივებთ და ვწურავთ.**

**მიღება:** ნახევარი ჩაის ჭიქა ნაყენი დღეში **2-ჯერ,** ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

**იმავე ნაყენით და გამოყენების იგივე წესით შეიძლება მშრალი ხველების, ხმის იოგების ანთების და მისი ხრინწიანობის მკურნალობა.**

## ძახველის ქერქი შეიცავს ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს C და K-ს, ნაყოფში ბევრია ასკორბინის მჟავა, შაქარი, სათრიმლავი ნივთიერებები, ორგანული მჟავები, კაროტინი, ვიტამინი PP.




ძახველის ქერქის ნახარში გამოიყენება **კრუნჩხვების, უძილობის, ნევროზის დროს,** გააჩნია დამამშვიდებელი მოქმედება. ამისათვის, 3 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ქერქი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 300 მლ (1,5 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და მდუღარე წყლის აბაზანაში გააჩერეთ 20-30 წუთი, შემდეგ გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 20 წთ-ის განმავლობაში, გადაწურეთ. მიიღეთ დღეში 2-ჯერ ნახევარი ჩაის ჭიქა.

## კვირგვინოსნები

**ნატა გულიაშვილი**
*მსახიობი, წამყვანი, პროდიუსერი*



გაუაზრებელი **ბულინგის მსხვერპლი გავხდი,** ამის გამო დეპრესიაში ჩავვარდი, სიცოცხლე არ მინდოდა და **თავის მოკვლაც კი ვცადე.** ადამიანებს, სანამ რაიმეს იტყვიან და მოიმოქმედებენ, დიდი დაფიქრება მართებთ.

„თბილისელები“

**ვიქტორ კამენშიკოვი**
*რუსი დეპუტატი*



**სოციალური ქსელის გარეკანზე თბილისის ხედის ფოტო მაქვს** და როდესაც მეკითხებიან, სად არის გადაღებული, ვპასუხობ, **მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალაქში, ეს თბილისია-მეთქი.** ისე სწრაფად იცვლება პროცესები, რომ შესაძლოა, ტერიტორიები ძალიან სწრაფად დაიბრუნოთ.

„კვირის პალიტრა“

**ნიკა შენგელია**
*ეკონომიკის ექსპერტი*



ჩვენ ველოდებით **პურის ფასზე 10-პროცენტიან მატებას,** დაახლოებით დეკემბრის 20 რიცხვისთვის. უმძიმეს მდგომარეობაშია ხალხი. ისტორიული ფასებია! ვის ახსოვს ამ პერიოდში პომიდორი 6-7 ლარი? **ჩვენ ევროპის ფასებს ბევრად გადავაჭარბეთ. არანაირი დადებითი მოლოდინი არ მაქვს.** ფასები ვერ დაიკლებს და ინფლაციაც იქნება.

„ახალი თაობა“

**დემნა გვასალია**
*დიზაინერი*



**მე ვერ დავბრუნდები საქართველოში, რადგან ხალხი დამემუქრა მოკვლით.** ერთ-ერთი მათგანი ბიძაჩემია. **ვიზრდებოდი ისეთ ქვეყანაში, სადაც ვერ ვიტყოდი, რომ გეი ვიყავი,** ყოველთვის ვცდილობდი, გამოვჩენილიყავი ისეთი მაგარი ბიჭი, რომელიც გადარჩებოდა იმ უბნებში, სადაც მე ვცხოვრობდი, მაგრამ შინაგანად ასეთად არ ვგრძნობდი თავს.

„ახალი თაობა“

# რევოლუციური გარდატეხა კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში:

## პროფესორ ირაკლი ნადირაძის პრეპარატი „ამფიცეზინი“ სიმსივნის ზრდას აჩერებს და სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს!

***ამ პრეპარატის წყალობით, უახლოეს მომავალში პაციენტებისთვის კიბო სასიკვდილო განაჩენი აღარ იქნება. აღმოჩენა მსოფლიოს წამყვანი ონკოლოგების ყურადღების ცენტრში უკვე მოექცა. ვესაუბრებით პრეპარატ „ამფიცეზინის“ შექმნის იდეის ავტორს, ზოგად ონკოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, აკად. ივანე ბერიტაშვილის პრემიის ლაურეატს, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტს, სხვადასხვა დარგობრივი აკადემიების ნამდვილ წევრს, პროფესორ ირაკლი ნადირაძეს:***



**პროფესორი ირაკლი ნადირაძე**

ზოგადი ონკოლოგი, პროფესორი **ირაკლი ნადირაძე**

- მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **(მოსკოვი, 1984).**
- მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **(კიევი, 1990).**
- სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **(1990).**
- აკად. ივ. ბერიტაშვილის პრემიის ლაურეატი **(1993).**
- სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი.
- საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.
- ქ. ვენის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.
- აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სამხედრო-საველე სწავლებაში მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია „PATRIOT AWARDS“-ის სერტიფიკატით **(1998 წლის 19 ივლისი).**
- ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი **(1985-2010).**
- საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედის“ ხალის პათოლოგიისა და კანის სიმსივნეების ცენტრის ხელმძღვანელი.
- 8000-მდე ოპერაცია კანზე, რბილ ქსოვილებზე, ძუძუსა და ძვლებზე.
- 181 სამეცნიერო ნაშრომი.
- 9 მონოგრაფია.
- 2 სახელმძღვანელო ექიმებისა და სტუდენტებისათვის.
- 1 გამოგონება.
- 11 რაციონალიზატორული წინადადება.
- 10 მეთოდური რეკომენდაცია.
- 21 საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაცია.

— ყველაფერი 1962 წელს დაიწყო, როდესაც ჩვენმა თანამემამულემ, პროფესორმა **მარი მაჩაბელმა** აღმოაჩინა ზოგადპათოლოგიური, ზოგადბიოლოგიური, არასპეციფიკური თრომბოჰემორაგიული სინდრომი, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი **„მაჩაბლის სინდრომი“** ეწოდა. მე ამ დიდი მეცნიერის დოქტორანტი გახლდით. 1990 წელს მომენიჭა სახელმწიფო პრემია იმ ნაშრომებისათვის, რომლებითაც დავამტკიცე, რომ ონკოლოგიურ ავადმყოფებში, როგორც წესი, ვითარდება **„მაჩაბლის სინდრომის“**, იგივე **„თრომბოჰემორაგიული“**, ანუ, **„ელექტრონული უკმარისობის სინდრომის“** ქრონიკული (იშვიათად, მწვავეც) ფორმები.

ახლა შევეცდები, მარტივად, მედიცინაში ნაკლებად გაცნობიერებული მკითხველისთვის გასაგებ ენაზე აგიხსნათ: მაგალითისთვის განვიხილოთ ერთუჯრედიანი ჰომოგენური ორგანიზმი — ამება: მისი შემადგენელი ნაწილია სითხე და მშრალი მასა, რომელიც მთელ სხეულში თანაბრად არის გადანაწილებული. თუ მის ორგანიზმში უმცირესი სხეულაკი მოხვდება, იწყება გამოდევნის რეაქცია — ხდება ამების სხეულის მყარ და თხევად ნაწილებად განშრევება, უცხო სხეულაკის ირგვლივ ყალიბდება ვაკუოლი, რომელიც საბოლოოდ მას ორგანიზმიდან აგდებს. ანალოგიურად, ადამიანის ორგანიზმსაც ახასიათებს დაცვითი რეაქცია — მასში მოხვედრილი უცხო სხეულის გამოდევნა, რაც ამ სხეულის ირგვლივ ფიბრინის გარსის წარმოქმნით იწყება. „მაჩაბლის სინდრომის“ არსი სწორედ ამ მოვლენაში მდგომარეობს და იგივე ხდება, როდესაც სიმსივნის პირველად კერას მოწყვეტილ სიმსივნურ უჯრედს ორგანიზმი ფიბრინის გარსით ფუთავს, მაგრამ პრობლემა ამის შემდეგ იწყება, რადგან ამგვარად შეფუთული უჯრედის გამო ორგანიზმი „განგაშს“ ვეღარ ტეხს. **იმუნურმა სისტემამ, რომც შეამჩნიოს, ფიბრინის გარსით შეფუთულ უჯრედს ვეღარ დაუპირისპირდება.** უამრავი კვლევა და, შესაბამისად, ლიტერატურა არსებობს იმის თაობაზე, რომ სიმსივნის ამოკვეთის დროს ოპერაციასთან დაკავშირებულ ქსოვილთა მექანიკური ტრავმის გამო პირველადი სიმსივნური კერიდან მოწყვეტილი უჯრედების რაოდენობა 50-60-ჯერ მატულობს. ისინი იფუთებიან ფიბრინით, როგორც „მაჩაბლის სინდრომის“ სანოგენური რეაქცია და, სისხლის თუ ლიმფის გზით შორს, სხვა ორგანოებში გადადიან, სადაც ფიბრინისვე მეშვეობით მიეწებებიან ენდოთელიუმს და აძლევენ დასაბამს მეტასტაზს. ისიც ცნობილია, რომ ეს ფიბრინი ერთგვარი საკვები ნიადაგია მეტასტაზის განვითარებისათვის.

**— კვლევა რა მიმართულებით წარმართეთ?**

— ჯერ კიდევ „მაჩაბლის სინდრომზე“ მუშაობისას მომივიდა ისეთი პრეპარატის შექმნის იდეა, რომელიც ხელს შეუშლიდა სწორედ ამ ფიბრინის გარსის წარმოქმნას, ანუ არ მისცემდა სიმსივნური კერიდან მოწყვეტილ უჯრედს შეფუთვის საშუალებას, თანაც მოქმედ ნივთიერებას უნდა ჰქონოდა ე.წ. „ქილერის“ ფუნქციაც, ანუ გაენადგურებინა სიმსივნური უჯრედი; როგორ გაანადგურებდა — პირდაპირი იერიშით თუ გატუტიანების გზით — ეს უკვე სხვა საკითხია. მთავარია, რომ უჯრედი გაშიშვლებულ-შეუფუთავი უნდა დარჩენილიყო.

**პრეპარატ „ამფიცეზინის“ მოქმედების მექანიზმი ერთდროულად ორ ეტაპს მოიცავს: იგი ჯერ ფიბრინისგან აშიშვლებს სიმსივნურ უჯრედს, შემდეგ კი ანადგურებს მას.** დამჭირდა პროფესიონალი ბიოქიმიკოსის დახმარება, რადგან მე კლინიცისტი-ონკოლოგი ვარ და შესაბამისი სპეციფიკური გამოცდილება ნაკლებად მაქვს. საბედნიეროდ, ასეთი სპეციალისტი ვიპოვე — პროფესორი **ნოდარ ჩიგოგიძე,** რომელიც ჩემმა ახლობელმა, ცნობილმა მეცნიერმა **ბელა ლვინეფაძემ** გამაცნო. ჩვენ ერთად გავაგრძელეთ მუშაობა და მისი ძალისხმევით ჩემი იდეა პრაქტიკაში განხორციელდა. აქვე უნდა გითხრათ, რომ **„ამფიცეზინით“ მკურნალობა სიმსივნესთან ბრძოლაში სრულიად ახლებური, ნოვაციური მიდგომაა.**

**— ნოვაციის არსი რაში მდგომარეობს?**

— როგორც მოგახსენეთ, **სიმსივნურ უჯრედში შეღწევას და მისი შიდა გარემოს გატუტიანებას ვაღწევთ ცეზიუმის და რუბიდიუმის იონებით.** თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მსოფლიოში ელექტრული მუხტი და, ზოგადად, „ელექტრობა“ ჩვენამდე ონკოლოგიაში ჯერ არავის გამოუყენებია. ნიშანდობლივია, რომ **„მაჩაბლის სინდრომიც“ და „ამფიცეზინიც“** საქართველოს და ქართველ მეცნიერებს უკავშირდება.

ამ ეტაპზე „ამფიცეზინის“ ეფექტურობა ექსპერიმენტულად უკვე შესწავლილი და დადგენილია, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალაქ **რიგის ვიროთერაპიის ინტერნაციონალურ ცენტრს,** ასევე **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური და სამკურნალო საშუალებების კვლევის ჯგუფს** შესაბამისად in vitro და in vivo ექსპერიმენტების ჩატარებაში დახმარებისათვის (პატენტი — P20197005B, 17/07.19).



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

პატენტი

P 2019 7005 B
გამოგონება

დასახელება: მეტასტაზირების ახალი ინჰიბიტორების შექმნა ონკოდაავადებათა ქიმიოთერაპიისათვის

პატენტმფლობელი: **ირაკლი ნადირაძე; ნოდარ ჩიგოგიძე**

გამომგონებელი: **ირაკლი ნადირაძე; ნოდარ ჩიგოგიძე**

განაცხადის შეტანის თარიღი: **17-11-2017**

რეგისტრაციის თარიღი: **17-07-2019**

გენადი ლებანიძე
თავმჯდომარე



Global Journal of Cancer Therapy

ISSN: 2581-5407 DOI: https://dx.doi.org/10.17352/gjct

Research Article

Received: 19 January, 2021
Accepted: 22 February, 2021
Published: 24 February, 2021

*Corresponding author: Irakli Nadiradze, Georgia-Israel Joint Clinic, Scientific Center of Biologically Active Substances, Georgian Technical University, Georgia, E-mail: iraklinadiradze51@yahoo.com

https://www.peertechz.com

Check for updates

**Essentially new inhibitors of metastasis of malignant tumors for chemotherapy-sparing treatment**

ISh Nadiradze* and NSh Chigogidze

Georgia-Israel Joint Clinic, Scientific Center of Biologically Active Substances, Georgian Technical University, Georgia

სხვათაშორის, რიგაში ჩატარებულმა კვლევებმა 93,5%-ში დადებითი შედეგი აჩვენა, ხოლო შვედმა კოლეგებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ეს გამოგონება კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში რევოლუციურ გარდატეხას შეიტანს და მილიონობით ადამიანს გარდაუვალი სიკვდილისგან გადაარჩენს.

**— რისგან შედგება თქვენი გამოგონილი პრეპარატი „ამფიცეზინი“?**

— **„ამფიცეზინი“** წარმოადგენს გრძელჯაჭვიანი მრავალმუხტიანი ანიონაქტიური მაკრომოლეკულებისა და გამატუტიანებელი მეტალის **(ცეზიუმის და რუბიდიუმის)** ნაერთს, რომელიც ხელს უშლის ფიბრინის წარმოქმნას და შემდეგ კლავს გაშიშვლებულ სიმსივნურ უჯრედს. **„ამფიცეზინი“ როგორც სრულიად ახალი კლასის ინჰიბიტორი, მართალია, ვერ ებრძვის უკვე არსებულ მეტასტაზებს, მაგრამ ეფექტურად აფერხებს ოპერაციის შემდგომი მეტასტაზირების პროცესს.** ამასთან, დადგენილია, რომ „ამფიცეზინი“ არ აზიანებს საღ უჯრედებს, ვინაიდან მათში მჟავა-ტუტოვანი წონასწორობა ნორმის ფარგლებშია. ის შერჩევით ებრძვის მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებს. **„ამფიცეზინის“ გამოყენება პაციენტს დიდ შეღავათს აძლევს ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის ჩატარებისას, რადგან ქიმიოთერაპია იწვევს თმის ცვენას, დასუსტებას, გულისრევას, ლეიკოციტების ვარდნას** და ა.შ. „ამფიცეზინის“ პარალელური მიღება პაციენტის მიერ ტრადიციული ქიმიო ან სხივური თერაპიისას ამ გვერდით მოვლენებს საგრძნობლად ხსნის, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული მკურნალობის სასურველი დოზებით გაგრძელების საშუალებას იძლევა.

**— სიმსივნის დროს განსაკუთრებით, როდის არის რეკომენდებული „ამფიცეზინის“ გამოყენება?**

— **პრეპარატი რეკომენდებულია სიმსივნის 1-2-3 სტადიის დროს.** უკვე მოგახსენეთ, რომ ოპერაციის პროცესში სიმსივნური უჯრედების ორგანიზმში გავრცელება 50-ჯერ უფრო დიდი ინტენსივობით ხდება. თუ სისხლში „ამფიცეზინის“ სათანადო კონცენტრაცია იქნება, ოპერაციის პროცესში სიმსივნური უჯრედების ფიბრინის გარსით შეფუთვა შეფერხდება და, შესაბამისად, შემცირდება მეტასტაზების გაჩენის შანსი. ამიტომ პაციენტმა „ამფიცეზინის“ მიღება ოპერაციამდე უნდა დაიწყოს და მას ეს პრეპარატი ოპერაციის მსვლელობის პროცესშიც უნდა მიეწოდოს. დღეისათვის არსებული მონაცემებით, „ამფიცეზინი“ გათვლილი არ არის მე-4 სტადიაში მყოფ პაციენტებზე, თუმცა, გვქონია თხუთმეტამდე შემთხვევა, როცა ასეთ პაციენტებს შეუტყვიათ ამ პრეპარატის არსებობა, დაჟინებით უთხოვიათ მისი მიღება, ხელწერილით წაუღიათ და დაავადების სტაბილიზაციის თვალსაზრისით, მოულოდნელად კარგი შედეგიც დამდგარა. თუმცა, ობიექტურად, ასეთი მოვლენა დღემდე ჩვენთვისაც ჯერჯერობით აუხსნელია.

**— როდის გახდება „ამფიცეზინი“ ყველა დაინტერესებული პაციენტისთვის ხელმისაწვდომი?**

— პრეპარატის საბოლოო ლეგალიზაცია და სერიული წარმოება კლინიკური კვლევების ჩატარებას მოითხოვს, რასაც უსახსრობის გამო ვერ ვახერხებთ, ამიტომ ამ ეტაპზე „ამფიცეზინს“ მხოლოდ მოხალისე პაციენტებზე გავცემთ, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობასთან გამაოგნებელ შედეგს ვიღებთ! **იმედს ვიტოვებთ, რომ ქართველი მეცენატები დაინტერესდებიან ამ ზოგადსაკაცობრიო გამოგონებით და კვლევებს ბოლომდე მიგვაყვანინებენ, რითიც „ამფიცეზინი“ თავიდან ბოლომდე ქართულ პრეპარატად დარჩება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამას საკუთარ თავზე უცხოელი მეცენატები აიღებენ, „ამფიცეზინი“ სხვა ქვეყნის მიერ ნაწარმოები პროდუქტი გახდება.

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# P.S.

**ონკოლოგების კონსულტაციისათვის** *(„ამფიცეზინთან“ და სხვა ონკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით)* **შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამედიცინო ცენტრ „მედი-მედის“** *(მისამართი: მარჯანიშვილის 9 — **მარჯანიშვილის თეატრთან** და **TBC შენობასთან**)*. ტელეფონი:

**599-14-84-76, 0322-91-14-01, 571-14-19-82.**

**კონსულტაციის ღირებულება — 70 ლარი.**

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!**

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში პირდაპირ ამბობს, რომ 2008 წლის თებერვალში ნატოს ბუქარესტის სამიტზე, ამერიკის დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების პროცესის დაბლოკვა გერმანიისა და საფრანგეთის მიერ პირდაპირ რუსეთის სასარგებლოდ მოხდა და სწორედ ამან გაუხსნა კრემლს ხელ-ფეხი, რომ აგვისტოში საქართველოში შემოჭრილიყო და ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ეღიარებინა!

მემუარისტი რუსეთის ეჭვიანობას საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესისადმი **ევგენი პრიმაკოვის** სიტყვებით განმარტავს:

> ***„თავის დროზე ევგენი პრიმაკოვი, რუსეთის დიდმპყრობელური საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი იდეოლოგი, გამართული ქართულით მიხსნიდა, რომ საქართველოს დასავლეთის დაპირებებისა არ უნდა სჯეროდეს. „დაიმახსოვრეთ, რაც უნდა გააკეთოთ, რუსეთი ყოველთვის მოძებნის ათას საბაბს, თქვენს ხარჯზე რომ დასავლეთს მოელაპარაკოს“ — მითხრა პრიმაკოვმა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 219).*

იქვე სააკაშვილი **პრიმაკოვის ამ დოქტრინას** ამერიკული საგარეო პოლიტიკის არანაკლებ დიდი და გავლენიანი იდეოლოგის — ყოფილი სახელმწიფო მდივნის **ჰენრი კისინჯერის** მიდგომითაც ამყარებს:

> ***„მსგავსი ცინიკური პოზიცია ჰქონდა კისინჯერსაც. 2008 წელს მან ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს სარა პეილინს უთხრა, რომ სააკაშვილი პოკერის დამწყებ პატარა მოთამაშეს ჰგავს, რომელიც გამოცდილი მოთამაშეების სათამაშო მაგიდასთან ჯიბეში კარტის გარეშე მიდის, თანაც უნდა, რომ სწორედ ამ მაგიდასთან დასვან. ბუნებრივია, ვერაფერს მიიღებს. მეც დაახლოებით იგივე მითხრა კისინჯერმა პირადი შეხვედრისას: დიდი მოთამაშეები მოლაპარაკებას ყოველთვის მოახერხებენ თქვენ ხარჯზე“*** *(იქვე, გვ. 219).*

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და ევროპის საზღვრებთან დიდი სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებამ დასავლეთის ეს ცინიკური დოქტრინა — პატარა ქვეყნების ინტერესების ხარჯზე რუსეთთან გარიგებების შესახებ — ჩაილურის წყალი დალია, რადგან ამჯერად საფრთხე უკვე პირადად ევროპას შეექმნა! ანუ, მარტივად რომ ითქვას, **რუსეთმა იმხელაზე გადაკვეთა ყველა „წითელი ხაზი“, რომ მასთან დასავლეთის გარიგება (იმავე უკრაინის ხარჯზე) უკვე გამორიცხულია!**

შემდეგ სააკაშვილი საინტერესო დეტალებს იხსენებს, 2008 წლის 26 აგვისტოს, **პრეზიდენტ მედვედევის** მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობების აღიარების“ შემდეგ, როგორ გადაერთო მთელი საგარეო პოლიტიკა არაღიარების პროცესისაკენ:

> ***„მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო, ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა ბრძოლა იმ მიზნის მისაღწევად, რომ მსოფლიოში არავის მიებაძა მოსკოვის მაგალითისთვის.***
>
> *რუსეთის ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას ბევრი სახელმწიფო აღიარებდა. პირველი ეს გააკეთა ნიკარაგუამ* ***დანიელ ორტეგას*** *ხელმძღვანელობით, რომელიც კრემლის მოკავშირე იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან.* ***რუსებმა განაცხადეს, რომ კიდევ 10-15 ქვეყანა მზად იყო აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. ჩვენ ამან ძალიან შეგვაწუხა. პატარა ქვეყნისთვის საერთაშორისო სამართალი უაღრესად მნიშვნელოვანია.***
>
> ***ჩვენ შევიძინეთ ისეთი თვითმფრინავი, რომელსაც შეეძლო დიდ მანძილზე ფრენა დაჯდომის გარეშე. ის გამიზნული იყო, უპირველეს ყოვლისა, ინვესტიციების მოსაზიდად, მაგრამ ძალიან გამოგვადგა ჩვენი „არაღიარების პოლიტიკის“ გასატარებლად. ამ თვითმფრინავით დავფრინავდი ეგრეთ წოდებული „რისკის ქვეყნებში“ მათთან დამეგობრების მიზნით“*** *(იქვე, გვ. 228).*

რა თქმა უნდა, მეზღაპრეობის მოყვარული **სააკაშვილი** ამ შემთხვევაშიც აზვიადებს თავის როლს: **„არაღიარების პოლიტიკაში“** გადამწყვეტი როლი ამერიკის მკაფიო პოლიტიკას ეკუთვნოდა — ვაშინგტონმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა და შემდეგ დააკანონა კიდეც, რომ, ვინც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებდა, ამერიკული სანქციების „შავ სიაში“ ამოყოფდა თავს! თუმცა, ობიექტურობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ **სააკაშვილის ხელისუფლება,** თავის მხრივ, მართლაც ძალიან აქტიურობდა „არაღიარების პოლიტიკის“ გასატარებლად:

> ***„ეკვადორის პრეზიდენტის ინაუგურაციაზეც ვიყავი, საერთო ენა გამოვნახე ბოლივიის პრეზიდენტთან, მიუხედავად იმისა, რომ ის უკიდურესად მემარცხენე შეხედულების მიმდევარი იყო.***
>
> ***სხვა ქვეყნებთან ყველაზე მეტად კუბელები დაგვეხმარნენ. ჰავანაში საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე გავგზავნე.*** *ის* ***რაულ კასტროს*** *შეხვდა. კუბელებმა თავისთან შეკრიბეს კუნძულოვანი ქვეყნების ყველა ლიდერი და კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა:* ***„მე ვიცი, ვენესუელელები ცდილობენ, დაგარწმუნონ, რომ ცნოთ აფხაზეთი. ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ ვენესუელას, ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ რუსეთს, მაგრამ აქ საკითხი არ ეხება გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს, საქმე საერთაშორისო სამართლის პატივისცემაშია. კუბა ყოველთვის პატივს სცემდა საერთაშორისო სამართალს. მოვუწოდებთ ყველას, პატივი სცეს საერთაშორისო სამართალს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“*** *(იქვე, გვ. 230).*

მემუარისტი ერთობ პიკანტურ დეტალებსაც კი იხსენებს, როგორ აქტიურად იყო ჩართული შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის ქვეყნებთან „არაღიარების პოლიტიკის“ გასატარებლად:

> ***„ამერიკელებს, ცოტა არ იყოს, არ მოეწონათ ჩვენი კუბასთან კონტაქტები, მაგრამ გადავწყვიტე, ამჯერადაც საკუთარი ინტერესებიდან გამოვსულიყავი, ვინაიდან იქ, სადაც ამერიკელებს არ შეეძლოთ მუშაობა, ამის გაკეთება შეეძლოთ კუბელებს. უფრო მეტიც, ერთი-ორჯერ ჰილარი კლინტონმა*** *(რომელიც იმ დროს ობამას მთავრობის სახელმწიფო მდივანი, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო — გ.გ.)* ***გამოიყენა გრიგოლ ვაშაძე კუბელებისთვის გზავნილის გადასაცემად.***
>
> *ამერიკელებიც, რა თქმა უნდა, ძალიან დაგვეხმარნენ. კლინტონმა დაურეკა დომენიკის პრეზიდენტს. ეს მთლიანად პროამერიკული ქვეყანაა, მაგრამ მისი პრეზიდენტი ეთამაშებოდა აფხაზეთის აღიარების იდეას, ვინაიდან, სავარაუდოდ, რუსები რაღაცას დაჰპირდნენ.* ***ჰილარის*** *დავურეკე, მან იმას დაურეკა და მითხრა, რომ უყვირა. ლაპარაკმა შედეგი გამოიღო. დომენიკის პრეზიდენტს ვაშინგტონში შევხვდი. ის უმალ მოვიდა ჩემთან და მითხრა:* ***„თქვენ ყველაფერი არასწორად გაიგეთ. ჩვენ არ ვაპირებდით არაფრის აღიარებას, რა საჭირო იყო აქ ჰილარის ჩარევა?“ კლინტონი მომიყვა, რომ რუსები დომენიკელებს ბევრ ტურისტს დაჰპირებიან. „თქვენ აშკარად პრიორიტეტების აღრევა გჭირთ. ის, რომ ამერიკაში მილიონობით დომენიკელი ცხოვრობს, არაფერია?“ — ჰკითხა მან დომენიკის პრეზიდენტს — „განა, თქვენ არ უნდა გაითვალისწინოთ ჩვენი თვალსაზრისი?“*** *(იქვე, გვ. 230).*

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, როგორ დაეხმარა ავსტრალია ვანუატუს ხელისუფლების საკმაოდ უხეში ჩარევით მოსარჯულებლად:

> ***„შემდეგ მუშაობა დავიწყეთ წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახელმწიფოებთან. რუსებმა აღიარება მიიღეს ნაურუსაგან*** *(კუნძული 10 000-იანი მოსახლეობით)* ***და ვანუატუსაგან. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრს ვთხოვე, სასწრაფოდ დაგვეხმარებოდა. გარკვეული დროის შემდეგ ავსტრალიელებმა გამოიყენეს თავიანთი გავლენა და უზენაესი სასამართლოს საშუალებით ვანუატუს ხელისუფლება გადააყენეს. ახალმა პრემიერ-მინისტრმა გააუქმა აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილება. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ძველი ხელისუფლება დაბრუნდა არჩევნების გზით და აფხაზეთი ისევ აღიარეს.*** *ჩვენ კვლავ ვიმუშავეთ ავსტრალიელებთან და ერთი წლის შემდეგ ვადამდელ არჩევნებში ისევ ოპოზიციამ გაიმარჯვა. პირველი, რაც მან გააკეთა, ეს აფხაზეთის აღიარების გაუქმება იყო.* ***ბანგკოკში, სადაც ტაილანდის მთავრობის მიწვევით ვიყავი, ვანუატუს პრემიერ-მინისტრს შევხვდი. პირველი, რაც მთხოვა, ის იყო, რომ ავსტრალიელებისთვის მეცნობებინა, რომ ჩვენი საკითხი მოხსნილია, თორემ ამის გამო დიდი უსიამოვნებები ექნებოდა“*** *(იქვე, გვ. 231).*

მაგრამ ყველაზე საინტერესო და პიკანტური მაინც ტუვალუს შემთხვევაა! ეს არის ჯუჯა კუნძულოვანი სახელმწიფო, 12-ათასიანი მოსახლეობით, რომელიც ოკეანის დონის მზარდი ამაღლების გამო განწირულია ჩაძირვისთვის:

> ***„ერთხელ ტუვალუს წარმომადგენელი გაეროში ჩვენს ელჩთან მივიდა და ძალიან ცუდი ამბავი აუწყა: ლავროვმა მათი პრემიერ-მინისტრის ჩამოსაყვანად თვითმფრინავი გააგზავნა. მას უნდა, რომ პრემიერმა აფხაზეთი აღიაროს, რამე ილონეთ. რუსებმა პრემიერი სოჭში ჩაიყვანეს, იქიდან კი — სოხუმში, სადაც მან ხელი მოაწერა აფხაზეთის აღიარების აქტს. მიყვებოდნენ, რომ ლავროვმა მას პირდაპირ ნიუ-იორკში ჩემოდნით გადასცა 2 მილიონი დოლარი „ქეშად“.***
>
> *ჩვენ ეს პრემიერი გაეროს დერეფანში დავიჭირეთ და ცალკე ოთახში გავიყვანეთ. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი დაიხარა მისკენ და ჰკითხა:* ***„სერ, მართალია, რომ სოხუმში ჩაფრინდით?“*** *ის პასუხობს:* ***„დიახ-დიახ, მართალია“*** *და თან იღიმება.* ***„მართალია, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიარეთ?“*** *მან უფრო გამომწვევად გაიღიმა. მაშინ* ***ვაშაძემ*** *მისი ჰალსტუხი მუშტზე დაიხვია, ულვაშები სახესთან მიუახლოვა, თვალი თვალში გაუყარა და მოგუდვა დაუწყო, თან ეუბნებოდა:* ***„სერ, თქვენ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვით“. ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიასთან ერთად მათი გაშველება მომიხდა. ასე კეთდება მსოფლიო დიპლომატია“*** *(იქვე, გვ. 232).*

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




## გრიგოლ ვაშაძემ ტუვალუს პრემიერის ჰალსტუხი მუშტზე დაიხვია, ულვაშები სახესთან მიუახლოვა, თვალი თვალში გაუყარა და მოგუდვა დაუწყო!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი ქვერუბრიკით — „წამალი სახლშია“, სხვადასხვა საშიში დაავადების გასანეიტრალებლად იმ მარტივი, მაგრამ ეფექტური რეცეპტურის შესახებ გვესაუბრება, რომელიც აფთიაქში წასვლას რომ არ საჭიროებს. საუბარს შაქრიანი დიაბეტით ვიწყებთ, რომელსაც საქართველოში უხსოვარი დროიდან ებრძვიან:***



## კახა საბახტარიშვილი:

# ძველ საქართველოში შაქრიან დიაბეტს ლობიოთი, ქათმის ნაღვლით, სელის თესლით, ლიმონით, ნიახურით, კომბოსტოს მწნილით, შემწვარი ხახვითა და წიწიბურათი ებრძოდნენ!



— 14 ნოემბერს **დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად **დიაბეტის საერთაშორისო დღეს** აღნიშნავს. დიაბეტით მსოფლიოში დაახლოებით 450 მილიონი ადამიანია დაავადებული და ყოველ წამში დედამიწაზე დიაბეტის გართულებებით, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც იღუპება. უახლოეს ათ წელიწადში ამ ციფრების მკვეთრ ზრდას ელოდებიან! მოსახლეობის ფართო ფენებში დიდი ხანია, გავრცელებულია მითი იმის შესახებ, რომ შაქარი იმდენად მავნებელია, თუ საერთოდ არ მივიღებთ, ჩვენი ჯანმრთელობისთვის უკეთესი იქნება! რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის... **შაქარი, კერძოდ, გლუკოზა, გარკვეული რაოდენობით ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამას თუნდაც ის ფაქტი ამტკიცებს, რომ ადამიანის თავის ტვინი მხოლოდ და მხოლოდ გლუკოზით იკვებება, ამდენად, შაქარი აუცილებლად გვჭირდება!** გარდა ამისა, ყველა უჯრედს, კუნთებს სჭირდებათ ენერგია, ხოლო ამ ენერგიის წყარო, ანუ „საწვავი“ სწორედ გლუკოზაა. შაქარს ორგანიზმი საკვებიდან იღებს, რომელიც გლუკოზად გარდაიქმნება და სისხლში შეიწოვება. როდესაც თავის ტვინს გლუკოზა სჭირდება და „შია“, ის მაშინვე გამოსცემს სიგნალს და ადამიანს მაშინვე უჩნდება საკვების მოთხოვნილება. მიღებული საკვებიდან სისხლში მოხვედრილი გლუკოზა უშუალოდ ვერც უჯრედებსა და კუნთებში მოხვდება და მას ვერც ტვინი მოიხმარს... ამიტომ სისხლში გლუკოზის მოხვედრისთანავე პანკრეასის ჯირკვალი გამოყოფს ჰორმონ **ინსულინს,** რომელსაც გლუკოზა თავის ტვინსა და უჯრედებში შეაქვს. რომ არა ინსულინი, ჩვენი სისხლი დაშაქრდებოდა და „სიროპს“ დაემსგავსებოდა!

**— ბატონო კახა, რა განაპირობებს სისხლში შაქრის მაღალ დონეს?**

— სისხლში შაქრის დონე ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღების შემდეგ ყოველთვის მაღალია, მაგრამ ინსულინს ზედმეტი შაქარი თავის ტვინსა და უჯრედებში მიაქვს. ამიტომ **ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ჭამიდან ორი საათის შემდეგ შაქარი ყოველთვის ნორმის ფარგლებშია და ეს ნორმა 4,5-დან 5,6-მდე მერყეობს.** თუ შაქრის მაჩვენებელმა 6 მილიმოლს ლიტრზე გადააჭარბა, მაშინ საქმე დიაბეტთან გვაქვს. შაქრიანი დიაბეტი ძირითადად ორი სახისაა — **პირველი ტიპის,** ანუ ახალგაზრდული და ინსულინდამოკიდებული და **მეორე ტიპის** — შეძენილი, ანუ ინსულინდამოუკიდებელი. განსაკუთრებით სახიფათოა პირველი ტიპის დიაბეტი, რომელიც ბავშვობის ასაკში იჩენს თავს.

სხვადასხვა ვირუსული ინფექციების, აუტოიმუნური პროცესების შედეგად ორგანიზმი ინსულინის გამომმუშავებელ პანკრეასის უჯრედებს, ანუ ე.წ. **ლანგერჰასის კუნძულების** 90 პროცენტზე მეტს ანადგურებს, ინსულინი საერთოდ არ გამომუშავდება, სისხლში გლუკოზის დონე მკვეთრად მატულობს, ადამიანი წონაში მკვეთრად იკლებს, ტანჯავს გაძლიერებული წყურვილი და შარდვა, რასაც თან ერთვის ღებინება, გულისრევა, დაღლილობა, სუნთქვის აჩქარება და გაღრმავება. გარდა ამისა, სისხლში გროვდება საშიში ნივთიერებები — **კეტონები,** ვითარდება **კეტოაციდოზი,** ადამიანს პირიდან აცეტონის სუნი ამოსდის და თუ ორგანიზმში სასწრაფოდ ინსულინის ინიექცია არ იქნა შეყვანილი, პირველი ტიპის დიაბეტით დაავადებული შესაძლოა, კომაში ჩავარდეს, რასაც აუცილებლად სიკვდილი მოჰყვება! ამიტომ, ვისაც პირველი ტიპის დიაბეტი აქვს, იმან მთელი ცხოვრება ინსულინი უნდა გაიკეთოს!

მეორე ტიპის, ანუ შეძენილი დიაბეტის 90 პროცენტზე მეტი შემთხვევა დაკავშირებულია ჭარბ წონასთან. ასეთ დროს ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ინსულინი ხშირად საკმარისია, მაგრამ მუცლის ცხიმი, რომელიც ნაწლავებს გარს ახვევია, გამოყოფს აქტიურ ნივთიერებას, რომელიც ინსულინს საშუალებას არ აძლევს, უჯრედებამდე გლუკოზა მიიტანოს! ასეთ ადამიანს მგლის მადა უვითარდება და უზომო ჭამის მოთხოვნილება განსაკუთრებით საღამოობით უჩნდება. ამიტომ ჩვენი რჩევაა — **ვისაც საღამოობით ჭამის მოთხოვნილება განსაკუთრებით გაძლიერებული აქვს, აუცილებლად შეიმოწმოს შაქარი!**

**— რა გართულებებს იწვევს შაქრიანი დიაბეტი?**

— დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ვერაგი დაავადებაა! შაქრიანი დიაბეტი ანგრევს მხედველობას, თირკმლებს, სისხლძარღვების კედლებსა და ნერვულ დაბოლოებებს. თუ ფეხის ტერფზე ნახეთქი გაგიჩნდათ, რომელიც უმტკივნეულოა, ასი პროცენტით შეიძლება ითქვას, რომ დიაბეტი გაქვთ! საქმე ის გახლავთ, რომ **დიაბეტი აზიანებს არამარტო სისხლძარღვებს და იწვევს დიაბეტურ ანგიოპათიას, არამედ აზიანებს ნერვულ დაბოლოებებს, ნერვებს მგრძნობელობას უკარგავს და ვითარდება დიაბეტური ნეიროპათია.** ამიტომაც ნახეთქი, რომელიც სინამდვილეში ჭრილობაა და მტკივნეული უნდა იყოს, შაქრიანი დიაბეტის გამო უმტკივნეულოა. ასეთ ნახეთქში ადვილად იჭრება სხვადასხვა ბაქტერია, რაც საბოლოოდ განგრენის წინაპირობა ხდება.

**— გამიგია, რომ ბევრს, რომელსაც შაქრიანი დიაბეტი ჰქონდა, გარკვეული დროის შემდეგ ყოველგვარი მკურნალობის გარეშე შაქარი დაურეგულირდა, რა ხდება?**

— სინამდვილეში ის ხდება, რომ **ჭარბ შაქარს გამოყოფს თირკმლები, რის გამოც სისხლში შაქრის დონე თითქოსდა რეგულირდება, მაგრამ ჭარბი შაქრის გამოყოფა ანგრევს მათ და იწვევს თირკმლის უკმარისობას.** ასე რომ, თუ შაქარი თავისით, მკურნალობის გარეშე დარეგულირდა, გვახსოვდეს, რომ ის შესაძლოა, ამ დროს თირკმლებს სპობს, რომლებსაც ტკივილის უნარი არა აქვთ!

**— ჩვენი წინაპრები შაქრიან დიაბეტს რითი მკურნალობდნენ?**

— შაქრიანი დიაბეტის ნიშნები — **ხშირი შარდვა, გაძლიერებული წყურვილი, წონაში კლება და გაძლიერებული მადა** ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლში — „უსწორო კარაბადინშია“ აღწერილი. ძველ საქართველოში შაქრიან დიაბეტს ლობიოთი, ქათმის ნაღვლით, სელის თესლით, ლიმონით, ნიახურით, კომბოსტოს მწნილით, შემწვარი ხახვითა და წიწიბურათი ებრძოდნენ!

**— სახლის პირობებში, როცა ფარმაცევტულ მედიკამენტზე ხელი არ მიგვიწვდება და შაქარი მაღალია, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა პაციენტი კომაში არ ჩავარდეს?**

— **პირველი ტიპის დიაბეტს ვერანაირი ხალხური მეთოდით და ოჯახის პირობებში ვერ ვუშველით!** აქ შველა მხოლოდ და მხოლოდ **ინსულინია,** რომელიც ინიექციის სახით პაციენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს! რაც შეეხება მეორე ტიპის დიაბეტს, არსებობს რამდენიმე ეფექტური რეცეპტურა, რომლის საშუალებითაც საოჯახო პირობებში შაქრის დარეგულირება შესაძლებელია!

**№1. სამ მარცვალ თეთრ ლობიოს დავასხათ ნახევარი ლიტრი ცივი, ანადუღარი წყალი, ასე გავაჩეროთ მთელი ღამე, ხოლო დილით ლობიო უზმოზე შევჭამოთ და წყალი დავაყოლოთ. ეს უნდა გავაკეთოთ ყოველ დილით!**

**№2.** ერთ ჩაის კოვზ კურკუმას დავასხათ ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და მოვურიოთ. მიღებული მასა რომ გაგრილდება, დავლიოთ ჭამამდე ერთი საათით ადრე, ანდა ჭამის შემდეგ ნახევარ საათში. ზუსტად იმავენაირად შეიძლება დარიჩინის გამოყენებაც... ეფექტი ბევრად უკეთესი იქნება, თუ ერთ დღეს კურკუმას ნაყენს მივიღებთ და მეორე დღეს — დარიჩინს. იდეალური იქნება, თუ დილით სამ მარცვალ თეთრ ლობიოს შევჭამთ, ხოლო შუადღისას კურკუმას ან დარიჩინის ნაყენს დავლევთ!

**№3. მე-13 საუკუნის ქართულ სამედიცინო ტრაქტატში — „წიგნი სააქიმოი“ წავაწყდი უნიკალურ რეცეპტს. კერძოდ, დიაბეტის სამკურნალოდ ახალდაკლული ვარიას ნაღველი თვეში ერთხელ უნდა ჩავყლაპოთ!**

**№4.** შაქრიანი დიაბეტის დროს ძალზე კარგია ყოველდღე ნახევარი ლიტრი კომბოსტოს მწნილის წვენის დალევა!

**№5. ორ სუფრის კოვზ სელის თესლს მოვაყაროთ მცირეოდენი ხორბლის ფქვილი, დავასხათ ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და ხუთი წუთის განმავლობაში თავდახურულ ჭურჭელში ვადუღოთ! სელის თესლის ქერქი ძირში დაილექება, ხოლო მიღებული სითხე სადილამდე ნახევარი საათით ადრე თბილ მდგომარეობაში ერთ მიღებაზე დავლიოთ! როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ორი თვის შემდეგ პანკრეასი დაიწყებს ინსულინის გამომუშავებას, რისი პირველი ნიშანიც სახის გაწითლება და მადის მომატება იქნება. ვისაც პირველი ტიპის დიაბეტი აქვს და ამ ხერხს მიმართავს, შესაძლოა, ინსულინის დოზის შემცირება მოუხდეს!**

**№6.** შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ ძალიან ეფექტურია ლიმონი და ნიახურის ფესვები! ლიმონი შეიცავს ჰესპერიდინს, რომელიც შაქარს დაბლა წევს, ხოლო ნიახური მდიდარია კალციუმით, ფოსფორით, რკინით, სპილენძითა და მანგანუმით, რომლებიც დიაბეტის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მხრივ დიდ როლს ასრულებენ. **ექვსი ცალი ლიმონი დავჭრათ, დავუმატოთ ნახევარი კილოგრამი ნიახურის გაწმენდილი და გასუფთავებული ფესვები. ეს ყველაფერი გავატაროთ ხორცსაკეპში, ხოლო შემდეგ მიღებულ მასას დავუმატოთ 4 ცალი დაფნის ფოთოლი, რომელიც ძლიერი ანტიოქსიდანტი და შაქრის დამწევია და 20 წუთის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე ვადუღოთ.** გაცივების შემდეგ ნაყენი შევინახოთ მაცივარში და დღეში ორ-სამჯერ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ერთი სუფრის კოვზის ოდენობით მივიღოთ!

**№7. ყავის საფქვავში დავფქვათ ერთი სუფრის კოვზი წიწიბურა, დავასხათ ერთი ჩაის ჭიქა არაჟანი და მიღებული მასა რვაათი საათის განმავლობაში მაცივარში დავტოვოთ. დილით ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მივიღოთ!**

**— დავუშვათ, ადამიანი დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით, ტყეშია, აუწია შაქარმა და არანაირი საშუალება არა აქვს მის დასარეგულირებლად, რა უნდა ქნას?**

— მაღალ შაქარს დაბლა სწევს ფიზიკური დატვირთვა და ცივი წყალი. თქვენ მიერ აღწერილ სიტუაციაში პაციენტი რაც მეტს ირბენს, იმოძრავებს, ფიზიკურად დაიტვირთება და ცივ წყალს გადაივლებს, გადარჩენის შანსი მით მეტი იქნება, რადგან ყველა ზემოხსენებულ აქტივობას დიდი რაოდენობით ენერგია, ანუ გლუკოზა სჭირდება. ცივი წყლის გადავლების შემდეგაც სითბოს წარმოსაქმნელად გლუკოზა უნდა „დაიწვას“... ამიტომ ჩემი რჩევაა: **ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს, ცივ წყალში ბანაობა შეიყვაროს!** გვახსოვდეს, რომ მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის 90 პროცენტს ჭარბი წონა განაპირობებს! ამიტომ ადამიანმა დღის განმავლობაში, 6 საათამდე უნდა ჭამოს ოთხ-ხუთჯერ, ოღონდ მცირე ულუფებით!

**— ცნობილია, რომ პირველი ტიპის დიაბეტი გენეტიკურია, ანუ უმრავლეს შემთხვევაში მემკვიდრეობით ვრცელდება! შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანმა ეს სახიფათო მემკვიდრეობა თავიდან აიცილოს?**

— ჯერჯერობით ასეთი მექანიზმი მედიცინას არ შეუქმნია, თუმცა, არსებობს დამაიმედებელი კვლევები, რომლის თანახმადაც პირველი ტიპის დიაბეტის დროს ე.წ. ღეროვანი უჯრედებით მოახდინენ ინსულინის გამომმუშავებელი, მაგრამ განადგურებული ე.წ. ლანგერჰასის კუნძულების აღდგენას. თუ ეს მოხდა, მაშინ არამარტო პირველი ტიპის დიაბეტის, არამედ უამრავი გენეტიკური დაავადების დაბლოკვა მოხერხდება და ადამიანი უამრავ ხათაბალას დააღწევს თავს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„ვისაც საღამოობით ჭამის მოთხოვნილება განსაკუთრებით გაძლიერებული აქვს, აუცილებლად შეიმოწმოს შაქარი!“**

**„დიაბეტის სამკურნალოდ ახალდაკლული ვარიას ნაღველი თვეში ერთხელ უნდა ჩავყლაპოთ!“**

**„თუ შაქარი თავისით, მკურნალობის გარეშე დარეგულირდა, გვახსოვდეს, რომ ის შესაძლოა, ამ დროს თირკმლებს სპობს, რომლებსაც ტკივილის უნარი არა აქვთ!“**



# მიხეილ ცაგარელი: ცხოველები ჩვენს სახლში და ასტროლოგია

*— რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ცხოველს, რომელიც ჩვენს სახლში ცხოვრობს? რომელი მათგანი ასუფთავებს ბინძური ენერგიისგან იმ ადგილს, სადაც ბინადრობს ანდა თავის თავზე იღებს უარყოფით ზემოქმედებას და სნეულებებისგან გვკურნავს? რომელს შესწევს უნარი, გაგვაფრთხილოს და არაკეთილმოსურნე ადამიანებისგან დაგვიცვას ან დადებითი ენერგია დააგროვოს და ჩვენ და ჩვენი ოჯახის წევრებს გადმოგვცეს? რომელი მათგანი ასუფთავებს გარემოს და ხელს უწყობს მატერიალური დოვლათის დაგროვებას? რამდენად განსხვავებული მოთხოვნები გვაქვს ცხოველებთან მიმართებით და ჩვენი პირადი ჰოროსკოპის რომელი მაჩვენებელი მიუთითებს ამაზე? რა შემთხვევაში ირჩევს ადამიანი აქტიურ დიდი ზომის ძაღლს ანდა რბილი, ფაფუკი ბეწვის მქონე კატას და რომელი ცნობილი ადამიანია ამის მაგალითი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნეთ, იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, რომლებსაც სახლში შინაური ანდა ეგზოტიკური ცხოველი ჰყავთ, უფრთხილდებიან და ზრუნავენ მათზე, თუმცა, ადამიანები განსხვავებულები არიან და ცხოველთა ნირი და ხასიათიც, ისევე როგორც ჩვენი მათდამი დამოკიდებულება და პრიორიტეტები განსხვავებულია. ასტროლოგიური თვალსაზრისით, რას გვირჩევთ, სანამ სახლში ცხოველს მოვიყვანთ, რა უნდა გავითვალისწინოთ?**

— ჩვეულებრივ, სახლში ცხოველის ყოლა არის დიდი პასუხისმგებლობა და გარკვეული შრომაც, რომელიც უპასუხოდ არ რჩება, დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და, გარდა ამისა, სარგებლობაც მოაქვს, რამეთუ ცხოველების ენერგია ადამიანებზე დადებითად მოქმედებს. მაგალითად, **კატებს შესწევთ უნარი, დაბინძურებული ენერგეტიკისგან გაათავისუფლონ ის ადგილი, სადაც სახლობენ. მათ ასევე შეუძლიათ ადამიანის ენერგოდაბინძურებისგან გათავისუფლება, სნეულებისგან განკურნება და უარყოფითი ზემოქმედების საკუთარ თავზე აღება. ძაღლი კი დადებითი ენერგიის შემგროვებულია და ამ ენერგიას თავის პატრონსა და ოჯახის წევრებს გადასცემს.** გარდა ამისა, ძაღლი გრძნობს, ვინ რა განწყობით მოდის მის პატრონთან, აფრთხილებს ყეფით პატრონს და იცავს არაკეთილმოსურნისგან თუ არაკეთილსინდისიერი ადამიანებისგან. **რაც შეეხებათ თევზებს, მათი სახლში ყოლა გარემოს ასუფთავებს და აკვარიუმის სწორად განლაგებისას ხელს უწყობს მატერიალური დოვლათის დაგროვებას.** თავად ადამიანებს რაც შეეხებათ, ყოველ ჩვენგანს თავისებური ხასიათი, ცხოვრების წესი და პრიორიტეტები გააჩნია, ამიტომ ცხოველის მიმართ დამოკიდებულებაც განსხვავებულია. ზოგს ცხოველი შორიდან მოჰყავს, ზოგი კი ქუჩაში მოხეტიალე ძაღლს ან სადმე კუთხეში მიგდებულ კნუტს გულგრილად ვერ ჩაუვლის. ვიღაც დიდხანს ფიქრობს, თუ რომელი ცხოველი მოიყვანოს, ვიღაც კი უარს არ ამბობს და ცხოველი თავშესაფრიდან მოჰყავს. უმეტესობას ძაღლი ან კატა ჰყავს სახლში. ზოგს კი უფრო იზიდავს რეპტილიები, ჩიტები, თევზები, გარეული თუ ეგზოტიკური ცხოველები. ასევე განსხვავებულია ცხოველის მიმართ მოთხოვნაც. მავანს დინჯი, მშვიდი, უპრობლემო და ადვილად მოსავლელი ცხოველი სურს, მავანს კი — აქტიური და კონტაქტური. რჩევას რაც შეეხება, ასტროლოგიას ძალუძს, ამ საკითხშიც დაგვეხმაროს და გაგვარკვიოს, თუ ენერგეტიკულად რომელი ცხოველი შეგვეფერება. ცხადია, იმისთვის, რომ ზუსტად განისაზღვროს, ამა თუ იმ ადამიანს რომელი ცხოველი შეესაბამება, საერთოდ იყოლიებს თუ არა, რა სახეობის იქნება ანდა მასთან როგორ იურთიერთებს, საჭიროა, ამ ადამიანის პირადი ნატალური რუკა განვიხილოთ, თუმცა, ვინაიდან დღეს ყოველ ჩვენგანს შეუძლია ინტერნეტის საშუალებით პირადი რუკის შედგენა, ამიტომ უკვე სავსებით შესაძლებელია, ვისაუბროთ ადამიანის ჰოროსკოპში **მე-6 ასტროლოგიური სახლის ამა თუ იმ ზოდიაქოში განლაგების მნიშვნელობის შესახებ, რამეთუ სწორედ ეს მონაცემი განსაზღვრავს სახლი ცხოველის არსებობის რაობას.** ასე, მაგალითად: **1. ადამიანის ჰოროსკოპში მე-6 ასტროლოგიური სახლი ვერძის ზოდიაქოშია ან პლანეტა მარსია მე-6 სახლში. ამ შემთხვევაში ადამიანისათვის აუცილებელია ცხოველზე დომინირება, ანუ ცხოველი უნდა იყოს ძალიან დამჯერი, აქტიური და ცოტა აგრესიული, რათა საჭიროებისას პატრონი დაიცვას და გარშემო მყოფები შეაშინოს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში უპირველესად მოიაზრება დიდი ზომის ძაღლი,** როგორიცაა როტვეილერი, ბულდოგი, ბულტერიერი, პიტბული, ნაგაზი, დოგი, დალმატინელი, სენტბერნარი, ლაბრადორი, რეტრივერი და ა.შ. კარგია, თუ ძაღლს ნადირობის ინსტინქტიც გააჩნია. ნიშანდობლივია, რომ **ვერძი** და პლანეტა **მარსიც** კატის ყოლაზე ნაკლებად მიგვითითებს, რადგან ასეთ ადამიანებთან კატა ველურ ინსტინქტებს ვერ ითრგუნავს, იჩხაპნება, ადამიანებს ემალება, დამოუკიდებელი და აგრესიულია. **2. თუ ადამიანის ჰოროსკოპში მე-6 სახლი კუროს ზოდიაქოშია ან პლანეტა ვენერაა მე-6 სახლში განლაგებული, მაშინ ეს განაპირობებს ცხოველებისადმი სიყვარულს, მათი სილამაზით ტკბობას, მოფერებისა და ჩახუტების სურვილს. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, ასეთნი არიან რბილი, ფაფუკი ბეწვის მქონე კატები** (როგორიცაა ბრიტანული, ციმბირული, სპარსული ჯიშები) **ანდა მცირე ზომის დეკორატიული ძაღლები** (პატარა ტერიერი, ბოლნიეზე, შიტცუ, ჩიხუახუა, პუდელი, პომერანული შპიცი, მალტეზე და სხვანი). პატრონი ხშირად თავისი ცხოველისთვის იძენს ლამაზ სამოსს, ყელსაბნევს და არომატული შამპუნებით ბანს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარ პატრონთან დიდი და აქტიური ძაღლებიც უფრო მშვიდობიანი, დამჯერი და მოსიყვარულენი ხდებიან. მაგალითისათვის, ჰოროსკოპში ამგვარი კონფიგურაციის მქონე **პერის ჰილტონს 17 ძაღლი ჰყავდა** და ყველა ჩიხუახუასა და პომერანული შპიცის ჯიშისანი. ასევე **მარლონ ბრანდოს ძალიან უყვარდა კატები, ადვილად იმორჩილებდა. მასთან ნებისმიერი ქუჩის მშიშარა კატაც თავს აფარებდა.** კოლეგები და ნაცნობებიც ხშირად აღნიშნავდნენ მის ცხოველებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულსა და გულისხმიერებას.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 14 – 20 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
**ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში დიდ შემოსავალს გიქადით. ნაცნობ-მეგობრებმა შესაძლოა, ფინანსური დახმარება გაგიწიონ. შეყვარებულზე ნუ იეჭვიანებთ, რადგან ეს თქვენს ურთიერთობას უფრო გააუარესებს. წერილობით მიღებულ ინფორმაციას ნუ ენდობით და აუცილებლად შეამოწმეთ. ამ კვირაში ორგანიზმის გადატვირთვა მძიმე ფიზიკური შრომით ან ვარჯიშით არ არის რეკომენდებული.**

**კურო (21.04-20.05)**
**ძველი მეგობრები კომერციულ და ფინანსურ საკითხებში დაგეხმარებიან. უტყუარი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სფეროში თამამად იმოქმედეთ. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო პარტნიორი გამოჩნდეს და კარგი იქნება, თუ მასთან ურთიერთობას კონფლიქტის გარეშე დაასრულებთ. ოჯახის წევრების მიმართ კრიტიკული და მომთხოვნი ნუ იქნებით. კარგი პერიოდია მოგზაურობის დასაწყებად.**

**ტყუპი (21.05-22.06)**
**პროფესიულ წინსვლაში ცოდნის გაღრმავება და მოთმინება დაგეხმარებათ, დამატებითი სამუშაოსგან მოგება მიიღოთ. აქტიურ ქმედებას მოერიდეთ, რათა არ გაიუარესოთ როგორც ჯანმრთელობა, ისე ფინანსური მდგომარეობა. შეყვარებულთან ურთიერთობისას ეცადეთ, დიპლომატია გამოიყენოთ და ურთიერთობა არ დაძაბოთ. მოგზაურობა და საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა სასიამოვნოც იქნება და სასარგებლოც.**

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
**თქვენი ენერგიულობა და კომუნიკაბელურობა გაიზრდება და გარეგნობაც გაგიუმჯობესდებათ. გადაადგილებები და საქმიანი მიმოწერა გახშირდება. შესაძლოა, შემოსავალმაც მოიმატოს. მოგზაურობა წარმატებით ჩაივლის. კარგი პერიოდია კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კოლეგებთან კონფლიქტი კი შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი გახდეს. ფარული სასიყვარულო ურთიერთობის შემთხვევაში კი მოსალოდნელია მისი გაოფიციალურება.**

**ლომი (23.07-23.08)**
**კარგი დროა სამეგობრო წრის გაფართოებისთვის და ახალი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ასევე საქმეების დასასრულებლად, ავტორიტეტის გასაძლიერებლად და მოგების მისაღებად. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობით სოციალურ სტატუსს აიმაღლებთ. საყვარელი ადამიანი კი არამარტო სიმშვიდეს გიბოძებთ, არამედ ფინანსურ დახმარებასაც გაგიწევთ. ეს პერიოდი კარგია მოგზაურობისთვის, ახალი პარტნიორების გასაცნობად და ცოდნის გასაღრმავებლად.**

**ქალწული (24.08-23.09)**
**ოპტიმიზმი და გამბედაობა დაგეხმარებათ ახალი წარმატებების მიღწევაში. შესაძლოა, შემოსავალმაც იმატოს. შრომის პირობები გაგიუმჯობესდებათ. სასიკეთო იქნება მოგზაურობა და ახალ ადამიანებთან კონტაქტი. უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობა მიზანს დაგაახლოებთ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან ურთიერთობა გარემოების მიხედვით შეიცვლება და, შესაძლოა, საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს ჩაეყაროს საფუძველი.**

**სასწორი (24.09-22.10)**
**თავს სანაქებოდ იგრძნობთ. თქვენი პოპულარობა და საქმიანი აქტიურობა იმატებს. თუ საქმიან პარტნიორებთან უფრო მომთმენი იქნებით, თავს გაართმევთ ნებისმიერი სირთულის ერთობრივ პროექტებს, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გექნებათ. თუმცა, ეს საკმარისი იქნება ახალი ჰორიზონტების დასაპყრობად. შეყვარებულის პრობლემას ყურადღებით მოეკიდეთ, ამით თქვენი ურთიერთობა უფრო გულთბილი გახდება.**

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
**რომანტიკული და ჰარმონიული კვირა გელით, როცა აღსავსე იქნებით ენერგიითა და შემოქმედებითი იდეებით. ეს პერიოდი ასევე კარგი იქნება სასიყვარულო ურთიერთობისთვის, გართობისა და მხიარულებისთვის. ახალი საქმე მოგებას მოგვიანებით მოგიტანთ. უცნაურ და საინტერესო ადამიანებთან კონტაქტების რიცხვი გაიზრდება. ოჯახის წევრებთან, შვილებთან თუ შეყვარებულთან ურთიერთობა ბევრ სიამოვნებას გიქადით. მეუღლეს კი ჯობს, წვრილმანების გამო არ ეკამათოთ.**

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
**კარგი პერიოდია სამეგობრო წრის გაფართოებისთვის და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოებრივი საქმიანობით ავტორიტეტსა და სოციალურ სტატუსს აიმაღლებთ. საყვარელი ადამიანი სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ და ფინანსურ დახმარებასაც გაგიწევთ. ხელი შეეწყობა ცოდნის გაღრმავებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და მოგების მიღებასაც. მოგზაურობას კი შესაძლოა, გლობალური ცვლილებები მოჰყვეს.**

**თხის რქა (22.12-19.01)**
**ეს დრო ხელს შეუწყობს ავტორიტეტის ამაღლებას სამსახურსა და პროფესიულ სფეროში. ახალი კონტაქტები და საქმიანი მოლაპარაკებები უფრო პოპულარულს გაგხდით. ეცადეთ, მუშაობას მეტი დრო დაუთმოთ და ფინანსური დამოუკიდებლობა აღიდგინოთ. ამ კვირაში შესაძლებელია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება. პირად ურთიერთობაში უწესრიგობა და საიდუმლო ინფორმაციის გაგება შესაძლოა, ცუდად აისახოს ოჯახურ ურთიერთობაზე.**

**მერწყული (20.01-18.02)**
**რაც უფრო მაღალ მიზანს დაისახავთ, მით უფრო მოიმატებს თქვენი შემოსავალი და საზოგადოებრივი სტატუსი. კარგი დროა იმიჯის შესაცვლელად, საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. უკანონო ქმედებას მოერიდეთ, რათა ფარული მტრები არ გააქტიურდნენ. სასიყვარულო სფეროში კი სრული სიმშვიდე დაისადგურებს. მოგზაურობისას ნუ იჩქარებთ, რათა არაფერი გამოგრჩეთ ანდა დაგავიწყდეთ.**

**თევზები (19.02-20.03)**
**საზოგადოებასთან, საყვარელ ადამიანთან და შვილებთან ნანატრი ჰარმონია დაისადგურებს. კარგი პერიოდია ფინანსური ოპერაციებისთვის და ახალი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მოგზაურობა-გადაადგილებანი ძირითადად ოჯახური პრობლემის გამოსწორებას დაუკავშირდება. ცოტაოდენი გარისკვაც დასაშვებია. შემოსავლის ზრდა თქვენს პატივმოყვარეობას გააძლიერებს, ხოლო სასიკეთო განწყობა დადებითი შთაბეჭდილებების მიღებაში დაგეხმარებათ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**16, 17 და 18 ნოემბერი**

**8 ნოემბერი – სავსემთვარეობა (15.03), მთვარის დაბნელება (15.00);**
**24 ნოემბერი – ახალმთვარეობა (02.58).**



## 14 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.49 საათზე, ჩადის 16.42 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.49) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 21.15 საათზე, ჩადის 15 ნოემბერს 12.13 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 21.39 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.41 საათიდან 16.49 საათამდე. **ტენდენციები:** ამ კვირაში **შავი მთვარისა** და **ვაკშიას** პლანეტური ენერგიების შეერთება **კირჩხიბის** ზოდიაქოში განაპირობებს ტრადიციების, ოჯახის ინსტიტუტის შესუსტებას, ისტორიული მოვლენების საბუთებითურთ გადაწერას ან გაქრობას, ქვეყნებს შორის საზღვრების ძალადობრივ შეცვლას, ტერიტორიების დაკავებას, მსოფლიოში წესრიგის შეცვლას, ურთიერთობების დაძაბვას ახლობლებთან, უფროს თაობასთან, ძველი ფასეულობის შეცვლას. სიფრთხილე გამოიჩინეთ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საკითხში. ემოციურ გადაწყვეტილებას სიამაყის გამო ნუ მიიღებთ. არ არის სასურველი ფიზიკური გადაღლა, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა. კარგი დღეა მეგობრების წრეში გასართობად, რაიმეს შესაძენად, ვაჭრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვების** გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 15 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.50 საათზე, ჩადის 16.41 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 22.18 საათზე, ჩადის 16 ნოემბერს 12.48 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 22.54 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სიბრძნისა და სულიერების აღზევების დღეა. სასიკეთოა საქმის დასრულებისთვის და საშუალედო შედეგების შესაჯამებლად. არ არის სასურველი პარტნიორთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მაშინაც კი, თუ ამისაკენ სხვები გიბიძგებენ. შედეგიანი იქნება თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. მოერიდეთ ემოციურ და ფიზიკურ გადაღლას. გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის, თმების მოვლისთვის. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ნიშნობა, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 16 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.51 საათზე, ჩადის 16.40 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 23.21 საათზე, ჩადის 17 ნოემბერს 13.17 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 23.12 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 17.28 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოში (10 დეკემბრამდე), რაც გააძლიერებს პარტნიორულ ურთიერთობაში აქტიურობას, ოპტიმისტურობას, ერთობლივი მოგზაურობისკენ მიდრეკილებას, უცხოელი პარტნიორისადმი გრძნობის გაღვივებას, კომუნიკაბელურობას და ასევე სარკაზმს, სულსწრაფობას, დიქტატორულობას. ხელს შეუწყობს ფინანსების მოზიდვას სპორტსა და ტურიზმში. **დღეს გეძლევათ საშუალება, ნეგატიური ენერგიის ტრანსფორმაცია მოახდინოთ პოზიტიურში.** ამავდროულად, შთაბეჭდილებას ნუ მიენდობით და ინფორმაცია შეამოწმეთ. არ არის სასურველი ნერვიულობა, სოლარიუმის ან საუნის სტუმრობა, სიმძიმეების აწევა, ქორწინება, ფინანსური ოპერაციები, ხელშეკრულების დადება. კარგი დღეა გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 17 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.52 საათზე, ჩადის 16.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.05) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 18 ნოემბერს 13.41 საათზე (მთვარის 23-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.55 საათიდან 05.05 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გამარჯვების მმართველი პლანეტა **იუპიტერი** ხდება დირექტული, რაც ხელს შეუწყობს მოგზაურობასა და უცხოელებთან კონტაქტს, სწავლას, სოციალურ კიბეზე აღმასვლას. რელიგიური, პოლიტიკური და იურიდიული ინსტიტუტებისა მუშაობას, ახალი ფილოსოფიური მოძღვრების და იდეების წარმოქმნას, სპორტში მიღწევებს, ახალი ლიდერების გამოვლენას. **დღეს დათესილი სიკეთე შემდგომ ნაყოფს გამოიღებს**. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სასიყვარულო კონტაქტები, სარისკო ქმედებები, წვრილმანი ჩაძიება. დღეს შესაძლებელია სულიერი მდგომარეობის განახლება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 18 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 16.38 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 00.25 საათზე, ჩადის 14.04 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 01.31 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **მშვილდოსნის** ზოდიაქოში (7 დეკემბრამდე), რაც ხელს შეუწყობს უცხო ენების ათვისებას, გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, ლიდერული და ორგანიზატორული თვისებების გამოვლენას, ოპტიმიზმის გაძლიერებას, სპორტისკენ მიდრეკილებას. ამავდროულად, გააძლიერებს სულსწრაფობას, ეგოიზმს, დიქტატორულ ტენდენციებსაც. კარგი დღეა რაიმე საქმიანობისთვის საძირკვლის ჩასაყრელად, სწავლისთვის, ფინანსური და საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ნივთებისა თუ ტანსაცმლის მოწესრიგებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. გამახვილებულია აზროვნების კონცენტრაციის უნარი, ყურადღება. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. მოერიდეთ ნევროზულობას, ემოციურობას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 19 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.55 საათზე, ჩადის 16.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.59) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 01.30 საათზე, ჩადის 14.25 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 02.50 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.46 საათიდან 14.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მაღალია დამწვრობებისა და მედიკამენტებით გამოწვეული ალერგიის ალბათობა. გარდა ამისა, დღეს სამყარო შეგვიმოწმებს ჩვენ მიერ დასახული მიზნის ჭეშმარიტებასა და სიზუსტეს. ეს კარმული გამოცდაა, რომელიც უკავშირდება ხასიათის სიმტკიცეს, ნებისყოფას, სანდოობას, ერთგულებას. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის, შოკოლადის, თხილისა და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგი დღეა სასიყვარულო კონტაქტებისთვის, ვაჭრობისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ენდოკრინული სისტემა, ყელი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი, ტოპაზი, აქატი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 20 ნოემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.56 საათზე, ჩადის 16.37 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 02.35 საათზე, ჩადის 14.46 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 04.11 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს უაზრო საუბრებზე დროს ნუ დახარჯავთ. მოერიდეთ ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას. ყურადღება მიაქციეთ პროდუქტების ხარისხს. სასიკეთო და შედეგიანი იქნება წელის, თირკმლების მერიდიანზე, ტერფებზე წერტილოვანი მასაჟი. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, მეგობრებთან შეხვედრებისთვის. არ არის სასურველი მწვავე თემებზე საუბარი, ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი




**14 ნოემბერი – ხსენება უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა კოზმა და დამიანე აზიელთა**

✝ 14 ნოემბერი. ორშაბათი. უვერცხლოთა და სასწაულმოქმედთა **კოზმა** და **დამიანე** აზიელთა და დედისა მათისა ღირსისა **თეოდოტიასი;** მღვდელმოწამეთა **იოანე** ეპისკოპოსისა და **იაკობ** ხუცისა, სპარსეთს წამებულთა; მოწამეთა: **კვირიენასი** და **იულიანასი;** მოწამისა ერმინინგელდისა, გუთების უფლისწულისა; მოწამეთა: **კესარისა,** დასისა და 5-თა მათთანა.

✝ 15 ნოემბერი. სამშაბათი. მოწამეთა: **აკვინდინესი, პიგასისა, აფთონისა, ელპიდიფორესი, ანემპოდისტესი** და მათთანათა; ღირსისა **მარკიანე** კვირინელისა.

✝ 16 ნოემბერი. ოთხშაბათი. ღირსისა **ნიკოლოზისა,** ქართველთა მნათობისა, აკოლოთიათა აღმწერელისა; დიდმოწამე **გიორგის** ტაძრის განახლება ლუდიასა შინა, სადა მდებარე არს პატიოსანი გვამი მისი; მოწამეთა: **აკეფსიმე** ეპისკოპოსისა, **იოსებ** ხუცისა და **აითალა** დიაკონისა; მოწამე მხედართა: **ატიკესი, ალაპისა, ევდოქსისა, კატერისა, ისტუკარისა, პაქტოვისა, ნიქტოპოლიონისა** და მოყვასთა მათთა; ღირსისა **აკეფსიმესი;** მართლისა სნანდულიასი.

✝ 17 ნოემბერი. ხუთშაბათი. წმიდათა და მართალთა **ქრისტეს** საფლავის მცველთა: **იოანე, სტეფანე** და **ესაია ქართველთა;** ღირსისა **იოანიკე** დიდისა; მღვდელმოწამეთა **ნიკანდრესი,** მირონელი ეპისკოპოსისა და **ერმე** ხუცისა.

✝ 18 ნოემბერი. პარასკევი. მოწამეთა **გალაქტიონისა** და **ეპისტიმიასი;** მოციქულთა: **პატრობისა, ერმისა, ლინესი, გაიოზისა, ფილოლოგისა,** 70-თაგანთა; **გრიგოლისა,** ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; **იონასი,** ნოვგოროდელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ 19 ნოემბერი. შაბათი. **პავლესი,** კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, აღმსარებელისა; ქალწულმოწამეთა: **ტეკუსასი, ალექსანდრასი, პოლაქტიასი, კლავდიასი, ევფროსინესი, ათანასიასი** და **მატრონასი;** ღირსისა **ლუკა** ტავრომენიელისა; ღირსისა **ვარლაამ** ხუტინსკელისა.

✝ 20 ნოემბერი. კვირა. მელიტინელ 33-თა მოწამეთა: **იერონისა, ისიხისა, ნიკანდრესი, ათანესესი, მამანტისა, ბარაქისა, კალინიკესი, თეაგენესი, ნიკონისა, ლონგინოზისა, თეოდორესი, ვალერისა, ქსანთესი, თეოდულესი, კალიმაქესი, ევგენისა, თეოდოქესი, ოსტრიქისა, ეპიფანესი, მაქსიმიანესი, დუკიტესი, კლავდიანესი, თეოფილესი, გიგანტისა, დოროთესი, თეოდოტესი, კასტრიკისა, ანიკიტესი, თემელისა, დოროთესი, თეოდოტესი, კასტრიკისა, ანიკიტესი, თემელისა, ევტიქისა, ილარიონისა, დიოდოტესი** და **ამონიტესი;** ღირსისა **ლაზარე** გალისიელისა, სასწაულმოქმედისა; მოწამისა **თეოდოტესი;** მოწამეთა: მე**ლასიპესი** და **კასინიასი** და ძისა მათისა **ანტონინესი;** მოწამეთა: **ავქტისა, ტავრიონისა** და **თესალონიკიასი.**


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics

იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



სამშობიარო სახლი და პედიატრიული კლინიკა

მაღაზია «ბუკვიცა»



ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### მე-40 გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ფარგალი; 6. ბასმა; 12. რჯული; 13. ბაიდენი; 14. ბეკჰემი; 15. კორდე; 16. ბლეფი; 17. ზვიგენი; 18. ამანათი; 22. ნაირა; 23. მანი; 25. რქოვანა; 26. ცინიკური; 27. კივი; 29. მონდი; 30. ლიკინა; 33. სუნიტები; 34. რისკი; 35. ნეზვი; 36. ზანუსი; 37. პიციკატო; 41. ლეონი; 42. ბიზე; 44. სტიქია; 47. ლიცეუმი; 48. გირი; 50. დეკოლტე; 51. პორშე; 52. არაგონი; 56. ნანტი; 57. რინიტი; 60. კლასი; 63. ანატომია; 64. თოლია; 66. ფაიანსი; 67. ვონა; 68. კამერონი; 69. ადიდა.

შვეულად: 1. ფობია; 2. როკვა; 3. ამება; 4. ირიბი; 5. გუნება; 6. ბიკინი; 7. სარდინი; 8. აბეზარი; 9. სილიკონი; 10. სენეგალი; 11. ტიტიკაკა; 19. მაიმუნი; 20. ნაირიტი; 21. თხუნელა; 23. მიმინო; 24. ნანიზმი; 27. კირილე; 28. ვოსტოკი; 30. ლიზისი; 31. კანტი; 32. ნისლი; 37. პალმა; 38. ცაცია; 39. კრუზო; 40. ტვიდი; 42. ბაკმი; 43. ზელცი; 45. ქარვა; 46. ალენი; 48. გენი; 49. რონდო; 51. პიკი; 53. რანდა; 54. გოტიე; 55. ნამყო; 57. რაფი; 58. ნაია; 59. ტონა; 61. ლავა; 62. სენა; 64. თია; 65. ლუი.

ქალამანიფესტივალიკოდალაქილიკინადალიდატივი

ფანტაზიანიუხატიარაპირამიდამონეტავისლალომი

მარტივი, შინნაკეთი ფეხსამოსი (ძვ.) | ხელოვნების რომელიმე დარგის მიღწევათა ჩვენება | ხეკაკუნა ფრინველი | ოხუნჯი, ხუმარა | ესპანელი ჩოგბურთელი | მიცემითი ბრუნვა

თავის ჩონჩხი | პოლიტიკური პარტიის წერილობითი საპროგრამო მიმართვა | კიკაბიძის როლი „მიმინოში“ | ფიგაროს პროფესია | თონეში გამომცხვარი მჭადი | ფრანგი მომღერალი ქალი | სამდინარო ტრანს-პორტი



თარაზულად: 1. წრეხაზის შემოსახაზი ხელსაწყო; 6. თმის ერთგვარი საღებავი; 12. სარწმუნოება (ზოგად.); 13. აშშ-ის პრეზიდენტი; 14. ინგლისელი ექსფეხბურთელი; 15. მარატის მკვლელი; 16. ფილმი ჩელენტანოს მონაწილეობით; 17. ზღვის დიდი ცხოველი; 18. საფოსტო გზავნილი; 22. ნიგერიის ფულის ერთეული; 23. გერმანელი მწერალი; 25. რქოვანი გარსი თვალში; 26. ცინიზმით გამსჭვალული, უსირცხვილო, უწმაწური; 27. ტროპიკული ხილი; 29. ფრანგული გაზეთი; 30. თონეში გამომცხვარი მჭადი; 33. სუნიზმის მიმდევარი მუსლიმანებში; 34. ალალბედზე მოქმედება; 35. დედალი ღორი; 36. პოლონელი რეჟისორი; 37. თითის ამოკვრით, უხეშად დაკვრა ხემიანი ინსტრუმენტებისა; 41. ჟან რენოს კინოროლი; 42. ფრანგი კომპოზიტორი; 44. ბუნების მძლავრი მოვლენა; 47. საშუალო სასწავლებელი; 48. მსახიობი რიჩარდ ...; 50. გულამოღებული კაბა; 51. გერმანული მანქანა; 52. ესპანეთის ისტორიული ოლქი; 56. ქალაქი საფრანგეთში; 57. სურდო; 60. საკლო ოთახი; 63. ცოცხალი ორგანიზმების აგებულების შემსწავლელი მეცნიერება; 64. ა. ჩეხოვის პიესა; 66. ქაშანური; 67. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ერთეული; 68. ამერიკელი რეჟისორი; 69. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო.

შვეულად: 1. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს სიძულვილს, შიშს; 2. ცეკვა; 3. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი; 4. ალმაცერი; 5. სულიერი განწყობილება, ხასიათი; 6. ქალის საცურაო სამოსი; 7. ზღვის პატარა თევზი; 8. მომაბეზრებელი, შემაწუხებელი; 9. მაღალმოლეკულური ქიმიური ნივთიერება; 10. აფრიკის სახელმწიფო; 11. ტბა პერუსა და ბოლივიაში; 19. ადამიანის „წინაპარი“; 20. სსრკ-ში გამოშვებული კაუჩუკების სახელი; 21. მწერიჭამიების რიგის პატარა ცხოველი; 23. ფილმი ვ. კიკაბიძის მონაწილეობით; 24. არანორმალურად პატარა სიმაღლე; 27. კირილიცას ერთ-ერთი ავტორი; 28. რუსული კოსმოსური ხომალდი; 30. სხეულის ტემპერატურის თანდათანობით დაწევა მალარიის დროს; 31. გერმანელი ფილოსოფოსი; 32. ბურუსი, ჯანღი; 37. ქოქოსის ხე; 38. „მემარცხენე“ ადამიანი; 39. უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი დანიელ დეფოს პერსონაჟი რობინზონ ...; 40. ერთგვარი ქსოვილი; 42. მკრთალი შუქი მთვარის ირგვლივ; 43. ძეხვის სახესხვაობა; 45. მაგარი გამჭვირვალე ყვითელი ფერის ფისოვანი ნივთიერება; 46. ამერიკელი რეჟისორი; 48. მემკვიდრეობის ერთეული; 49. ერთგვარი ფართოწვერიანი კალამი; 51. მთის მწვერვალი; 53. გრძელი შალაშინი; 54. ა. დიუმას ქალი კამელიებით — მარგარიტ ...; 55. წარსული დრო; 57. ერთგვარი ავტომობილი; 58. ინდური კობრა; 59. 1000 კგ; 61. ვულკანური მასა; 62. მდინარე პარიზში; 64. ცხიმოვანა; 65. ფრანგ მეფეთა სახელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 39-ე გვერდზე*

ოცნება, წარმოსახვითი პროდუქტი | შიშველი სხეული ხელოვნებაში | „ჩემი ... სამშობლო“ | საფარიკაო იარაღი | არემარე | ნატვრის სიტყვა | სათხილამურო სპორტის სახეობა

ერთგვარი გამაგრილებელი სასმელი | ზარალი, დანაკლისი | თევზის წვნიანი | რომის პაპის გვირგვინი | გეომეტრიული სხეული | ლითონის ფული | პოლონეთის უდიდესი მდინარე | მტაცებელი ცხოველი

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2022 წლის 14 – 20 ნოემბერი №47 (1459)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol